


პ/ქ – 1535

საქართველო ისტორიის საკითხები



II(4) 2008

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

J. 3219

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ISSN 1512-3154

Studies in Modern and Contemporary History

II (4)

"UNIVERSAL"


Tbilisi 2008

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

II (4)

ନୃ-ଜୀବାଶିଳେଖାଙ୍କ ନିର୍ମାଣକାରୀ ଓ
ପ୍ରକାଶକ ହୁଏଥାଏଇଲୁବାରେ
ଦେଖିଲାମାତ୍ର ୧୯୫୫

სარედაქციო კოლეგია: ალექსანდრე ბენდიანიშვილი,
გია გელაშვილი;
შოთა ვადაჭკორია;
ვაჟა კიკნაძე;
ვიოცეს მატერსკი (პოლონეთი,
ვარშავის უნივერსიტეტი);
გელა საიონიძე (რედაქტორის
მოადგილე);
მალხაზ სიორიძე;
ავთანდილ სონღულაშვილი
(რედაქტორი);
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი);
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე);
ნიკო ჯავახიშვილი



გამომცემულობა „ენციკლოპედია“, 2008

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის სახ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

8002 იმპერია
Tbilisi 2008

შინაარსი

საქანთველოს ისტორია

ნიკო ჯავახიშვილი.....	11
დიალოგიატიური ეტიკატი და ცალიმის	200-208
ტრადიციები ქართულ სახაფო კარზე	209
(XVI-XVIII საუკუნეები)	
ნიკო ჯავახიშვილი.....	31
ლეჩეშვილის სარდალ-მოურავები	209-216
(XVIII საუკუნის მიწურული –	294
XIX საუკუნის დასაწყისი)	
დოდო ჭუმბურიძე	50
ს ა ი ნ გ ი ლ ი	
(ისტორია და თანამედროვეობა)	
მზია ტყავაშვილი	69
ოსების 1810-11 წლების აჯანება ლეონ	
გატონიშვილის ხელგადვანელობით	
ედიშერ ნარიმანიძე.....	95
ქართველ მაკავადიათია აჯანება და	
სამცხე-ჯავახეთი (1917 წ. ნოემბერი-1918 წ. ივნისი)	
შოთა ვადაჭკორია.....	125
ბრესტის საზავო ხელგადვანელება	
და ქართული პოლიტიკური აზრი	
1918 წელს	
დოდო ონიკაძე.....	160
„სამუსლიმანო საქართველოს“	
საკითხისათვის 1918-1921 წლებში	

მალხაზ ცირეკიძე	167
„დაპყავ და იგატოვეს“ დამაყრობლური დოკუმენტი მოქმედებაში (ზარათალის რღავის მაგალითზე)	
დოდო ჭუმშურიძე	176
მიხეილ ჯავახიშვილის ერთი წერილი საქართველოს საზღვრების მასახად	
ფაფა ჩხარტიშვილი	184
პოლონეთ-საქართველოს ურთიართობის ზოგიერთი საკითხი	
ვახტანგ ფერაძე	195
რუსეთ-საქართველოს ურთიართობის ისტორიიდან	
ნათელა ჯორჯიკია	204
ვაიზოდები საქართველოს ავტონომიერის ისტორიიდან (1938-1952 წ.)	
ლელა სარალიძე	216
ცხინვალის რეგიონის ისტორიიდან (1990-1991 წ.)	
უ წ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს 90 წ ლ ი ს ი უ ბ ი ლ ე	
გელა საითიძე	235
უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისთვის	
ე ს თ უ ლ ი ს ი ტ ე ტ ი ს	
ზაურ გუმაშვილი	254
ჩიჩერითი 1816-1819 წლები	

ვაჟა ჩოჩია	259
ინგლისის პოლიტიკა სარავოს მავლელობის შემდეგ	
ვასილ კაჭარავა	266
ცივი რმი, პრაზიდენტი ეიზენაური და რასიზმი 1950-იანი წლების აღერიკაში	
ვასილ კაჭარავა	281
დუაბეტ ეიზენაური და 1956 წლის ავაციება უცირკოზი	
ედიშერ გვენეტიაძე	294
ირანის ისლამური რევოლუცია და მსოფლიო	
პ ლ ი ტ ი კ ა	
მაია ამირგულაშვილი	302
გვარიძება თუ არა იდეოლოგია	
ჩ ე ლ ი გ ი ლ ი	
ავთანდილ სონლულაშვილი	308
სომხური ეპლესიის პრეტენზიები საქართველოში	
ელდარ ბუბულაშვილი	321
ეგზარქოსობის პრიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები (ზოგადი დახასიათება)	

სოფიო ანდლულაძე	333
საერო და სასულიერო განათლების ცინონიაზის საკითხი ეპისკოპოს სტაციანი გოდგალის (ვასილ კარგალაშვილი) მამოქანდაკი	
ი ს ჭ თ ბ ი თ გ რ ბ ა ფ ი ა	
ოთარ გოგოლიშვილი.....	340
ჩახათის 1618 წლის აჯაყების საისტორიო ცყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა	
185	
ხათუნა ქოქრაშვილი.....	349
საქართველოს ისტორიის პროგლობაზია კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ნაზრევები	
204	
შორენა მურუსიძე	369
ეართული ეპიგრაფის ეროვნულ- განეათავისუფლების მოძრაობის კვლევის პროგლობები	
204	
მერაბ კალანდაძე.....	384
პროფესორი ვარლამ დონაძე	
216	
(1990-1991 წ.)	
წ ე ა რ თ მ ე ც ა ნ ე თ ბ ი ა	
ლელა მიქიაშვილი	402
იოანე ქართველიშვილის “მამუარების” მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში	
225	
დავით ჩოჩიშვილი	413
ივანე ჩორბის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში	
266	
(ენგლისურ და ფრანგულ)	
266-290 1816-1819 წლები	

გია გელაშვილი

421

ინგლისელი ურნალისტი ერენი ნიკინიშვილი
საქართველოს შესახებ (1906)

ი ს ჭ თ ბ ი თ გ რ ბ ა ფ ი ა

დავით ჯავახიშვილი

444

ქართველ მაფათა მაულენები

(გაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო)

დავით ჯავახიშვილი

453

ქართველ მაფათა შვილების რაოდენობა

(გაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო)

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ი ა

აიხეილ ქავთარაძის მოსაგონეარი.....

461

ასომთავრული და მართლიანობის მიმდევრული განვითარების შემთხვევაში, უძრავი უარის პატივისცემის
სამართლებრივ და მიერთი ტერიტორიაზე ხა-
ვა ხელმისაწვდომობა და საკუთრი უზრუნველყოფებრი-
ვის მიზანის მიზანი და მატერიალურობის და ხა-
ვა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფის მიზანი.

სამართლებრივ და მართლიანობის განვითარების შემთხვევაში, უძრავი უარის პატივისცემის
სამართლებრივ და მიერთი ტერიტორიაზე ხა-
ვა ხელმისაწვდომობა და საკუთრი უზრუნველყოფებრი-
ვის მიზანის მიზანი და მატერიალურობის და ხა-
ვა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფის მიზანი.

იუდესამებრივ და მართლიანობის შემთხვევაში, უძრავი უარის პატივისცემის
სამართლებრივ და მიერთი ტერიტორიაზე ხა-
ვა ხელმისაწვდომობა და საკუთრი უზრუნველყოფებრი-
ვის მიზანის მიზანი და მატერიალურობის და ხა-
ვა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფის მიზანი.

საქანთვეულთხის მუზეუმი

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის
განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

დიპლომატიური ეტიკატი და ნადიმის ტრადიციები ჩართულ სახაფო კარზე (XVI–XVIII საუკუნეები)

საქართველოში უცხო სახელმწიფოს ელჩების მიღებას ხან-
გრძლივი და მდიდარი ტრადიცია გააჩინია. შესაბამისად, სამეფო კა-
რის დიპლომატიური ეტიკეტიც საუკუნეთა განმავლობაში იცვლე-
ბოდა, იხვეწებოდა და თანდათან სრულყოფილ სახეს იძენდა.

ქართულ სამეფო კარზე განსაზღვრული იყო დიპლომატთა და
საერთოდ, საპატიო სტუმართა მიღებისა და გამასპინძლების საგან-
გებო წესები (ეტიკეტი). დადგენილი იყო სამეფო ნადიმისათვის
გათვალისწინებული სუფრის მენიუც.

ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის (1466 წელი) შემდეგ, დიპ-
ლომატიურმა ეტიკეტმაც თანდათან გარკვეული ცვლილება განი-
ცადა და ცალკეულ სამეფო-სამთავროებში (კახეთის, ქართლის და
იმერეთის სამეფოები და სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვა-
ნეთის სამთავროები) დიპლომატთა მიღება-მასპინძლობის განსხვა-
ვებული წესები დამკვიდრდა.

ქართულ სამეფოებში მიღებული დიპლომატიური ეტიკეტის
თანახმად, უმეტეს შემთხვევაში, უცხოელ ელჩებს პატივისცემის
ნიშნად, საზღვარზევე ხვდებოდნენ და ქვეყნის ტერიტორიაზე სა-
თანადო დონის საცხოვრებლითა და საკვებით უზრუნველყოფდნენ.
უკან დაბრუნებისას მათ ასევე დიდი პატივით აცილებდნენ და სა-
თანადო საგზალით უზრუნველყოფდნენ.

პროფ. ალექსანდრე ცაგარელი მიუთითებდა: „Церемониал
приема послов иностранных государств, существовавший в Грузии,
напоминает частью византийский, частью персидский подобного рода
придворные этикеты“ [12, 26].

ასე, რომ ქართულ სამეფო კარზე არსებული დიპლომატიური ეტიკეტი გარეულნილად პიზანტიურ-სპარსულის სინთეზაც ნარმობადგენდა.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებია დაცული როგორც საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოსულ უცხოელ დიპლომატთა და მოგზაურთა ჩანაწერებში [1; 3-4; 6-7; 9], ასევე ქართული სამართლის ძეგლებსა [10] ქართველ და რუს ისტორიოსთა თხზულებებშიც [2; 5; 8; 11-12].

ქვემოთ თანამიმდევრულად განვიხილავთ ზოგიერთ უცხოურ და ქართულ საისტორიო წყაროში დაცულ საყურადღებო ინფორმაციას ქართულ სამეფოებში (კახეთი, ქართლი, იმერეთი, ქართლ-კახეთი) XVI-XVIII საუკუნეთა განმავლობაში არსებული ზემოხსენებული წესების, ნადიმის ტრადიციებისა და სანალიმო სუფრის შესახებ.

კახეთის სამეფო

ალექსანდრე II-ის (მეფობდა 1574-1601 და 1602-1605 ნლებში) მეფობის პერიოდში კახეთში რუსეთის არაერთი ელჩობა ჩავიდა.

1587 ნლის 16 აგვისტოს რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის (მეფობდა 1584-1598 ნლებში) ელჩებმა ბირკინმა და ბივოგმა კახეთის საზღვარი გადაღახეს. ისინი თავიანთ მოხსენებაში მიუთითებდნენ: „И того ж дни встретил на грузинском рубеже Родивона да Петра, Александра – князя Грузинского оконничей его Уман, а сними с пятидесяти человек азнауров да сто человек янычан; а от Александра князя Родивону да Петру иноходцы привели и корм по станом от рубежа Родивону да Петру, дорогою едуши, давал доволен” [11, 35].

მოხსენებიდან ირკვევა, რომ მეფის დავალებით, რუს ელჩებს კახეთის საზღვარზევე დახვდა სახლთუხუცესი, თავადი ომან ჩოლოყაშვილი, რომელსაც დიპლომატების უზრუნველყოფა და დედაქალაქში ჩაყვანა დაევალა.

24 აგვისტოს, მეფის დავალებით, ელჩებს ეახლა კახელი აზნაური „Юремა” (სავარაუდო – ოორამი) და მოახსენა: „Государь мой, Александр князь, велел мне у вас, государевых посланников быти в приставех и корм вам велел давать довлен и велел вас поставить на своем дворе” [11, 35].

28 აგვისტოს რუსი ელჩები კახეთის მეფეს ნარუდგნენ. ერთი თვის თავზე, 28 სექტემბერს, ალექსანდრე II-მ თავის შვილებთან (ერეკლე, დავითი, გიორგი) და დარბაისლებთან დაიფიცა რუსეთის მეფის ერთგულებაზე, რომელმაც კახეთის „ყველა მტრისაგან“ დაცვა ივალდებულა [2, 20-21].

1589 ნლის ოქტომბრის დასაწყისში კახეთში ჩამოსულ რუს ელჩებს თავად ზენიგოროდსკისა და დიაკ ანტონოვს დახვდა სახლთუ-

ხუცესი, თავადი ომან ჩოლოყაშვილი, რომელმაც დიპლომატების დაბინავებასა და საკვებით უზრუნველყოფაზე იზრუნა [10, 154-159].

თეიმურაზ I-ის (კახეთში მეფობდა 1606-1648 ნლებში, ხოლო ქართლ-კახეთში 1625-1633 ნლებში) მეფობის ხანაში საქართველოს ენვია იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი (1597-1659), რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1627-1654 ნლებში მოღვანეობდა.

იტალიელი მისიონერის ცნობით, თეიმურაზ I „იმდენად აღსავს იყო ქრისტიანობისადმი მსასოებელი მონიქებით, რომ ყველა ქართველ მთავარს აღემატებოდა სარწმუნოების აღიარების საქმეში...

პატრიები მოვიდნენ იმ ქვეყანაში, საიდანაც სასულიერო ელჩი იყო გაგზავნილი და, ამგვარად, თეიმურაზ მეფეს გადასცეს წერილი. თეიმურაზმა მხიარული გამომეტყველება მიიღო, მოეფერა და უდიდესი პატივისცემით გადაეხვია მათ” [6, 216-217].

1641 ნლის 1 სექტემბერს კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ზაგების სასახლეში მიიღო რუსეთის სახელმწიფოს ელჩობა, რომელსაც თავადი ეფიმ თევდორეს ძე მიშეცეკი მეთაურობდა. ელჩობის შემადგენლობაში იყო დიაკი ივანე კლუხარევი.

თეიმურაზმა რუსეთისაგან სამხედრო დახმარება მოითხოვა, მაგრამ ამ საკითხზე რუს დიპლომატებთან შეთანხმებას ვერ მიაღწია. რუსი ელჩები კახეთში წელიწადზე მეტხანს დარჩნენ. 1642 ნლის 26 ოქტომბერს ისინი კახეთიდან გაემგზავრნენ.

კახეთის სამეფო კარზე გამართული ნადიმი ასეა გადმოცემული რუსი ელჩების ანგარიშში (დედნისეული სტილი დაცულია): „И Теймураз царь... звал послы князя Еуфима и всех государевых людей за стол. И сам Теймураз царь сел и послу князю Еуфиму велел сесть подле себя с левую руку по-прежнему. А ествы в столе были: каша пшеничная с маслом с коровьим да говядина и бораница жареная и вареная. Есть носили робята и мужики на блюдах на медных и в деревянных чашках. Перед царя есть ставил и пить подносил столник Юрий Сафракеи” [4, 152].

რუსი ელჩები მიუთითებენ, რომ სუფრასთან მჯდომი თეიმურაზ I დროდაღრო უეხზე დგებოდა და ამა თუ იმ სადღეგრძელოს წარმოსათქმამდა. მათ შორის ყოფილა რუსეთის ხელმწიფის მიხეილ თევდორეს ძე რომანოვისა (მეფობდა 1613-1645 ნლებში) და მისი ვაჟის – ტახტის მემკვიდრე უფლისნულის ალექსი მიხეილის ძის (მეფობდა 1645-1676 ნლებში) სადღეგრძელოებიც [4, 152-153].

ქართლის სამეფო

XVII საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართლს საუკუნეზე მეტხანს მართავდნენ სპარსეთის შაპინძაპების მიერ ვალის ანუ შაპის მოადგილის თანამდებობაზე დანიშნული მუსლიმი მმართველები, რომლებიც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლის შტოდან იყვნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ იყო გამონაკლისიც, კერძოდ 1688-1703 წლებში ქართლს მართავდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენელი – ერეკლე I ანუ იგივე ნაზარალი-ხანი, შემდგომში კახეთის მეფე (1703-1709 წლებში).

ქართლის ვალის როსტომ-ხანის (იგივე ხოსრო-მირზას) შვილი ბილი – ვახტანგ V (იგივე შაპ-ნავაზი) ქართლს 1658-1675 წლებში მართავდა. იგი იყო ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს პირველი წარმომადგენელი ქართლის სამეფო ტახტზე, რომლის შთამომავლი ამ სამეფოს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით მართავდა.

1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა მოგზაურმა უან შარდენბა (1643-1713), რომელმაც თავის თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ ჩვენი ქვეყნის შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობები შემოგვინახა.

ვახტანგ V-სთან შეხვედრების შესახებ ფრანგი მოგზაური საკმაოდ ვრცლად მოგვითხოვდა. მის თხზულებაში ვკითხულობთ: „როცა შაპ-ნავაზ-ხანს ჩემი ვინაობა გაუგია და შეუტყვია, რომ ან განსვენებული ხელმწიფისაგან ვიყავი ევროპაში გაგზავნილი თავის საქმეზე, პრეფეტისათვის უბრძანებია, გადმოეცათ ჩემთვის, რომ მე მისთვის ძეირფასი სტუმარი ვარ, იგი მოხარულია ჩემი ჩამოსვლისა და რომ დიდად ვასიამოვნებ, თუ რაც შეიძლება მალე ვესტუმრები...“

12-ში დილით მან ერთი აზნაური გამომიგზავნა, რომლის საშუალებითაც შემატყობინა, რომ ვინაიდან სადღესასწაულო კვირეული იწყებოდა, რომლის დროსაც ყოველდღე ნადიმი იმართებოდა, სურდა ვწვეოდი მას...

დაახლოებით შუადღე იქნებოდა, როცა სასახლეში წავედით... ჩვენ სადილად გველოდნენ. მთავარი ბრძანდებოდა დარბაზში, რომლის სიგრძე ას ათ ფუტს, ხოლო სიგანე ორმოც ფუტს შეადგენს. იგი გაშენებულია მდინარის პირას და მთლიანად ღიაა ამ მხრიდან. მოზაიკით მორთული ჭერი ეყრდნობა მოოქრულ და მოხატულ სვეტებს, რომელთა სიმაღლე ოცდახუთმეტიდან ორმოცამდე ფუტს შეადგენს; მთელი დარბაზი საუცხოო ხალიჩებითაა დაფარული.

მთავარი (იგულისხმება ვახტანგ V) და დიდებულები სამ პატარა ბუხარს შემოსხდომოდნენ, რომლებიც მრავალ ჩირალდანთან ერთად ისე ათბობდა დარბაზს, რომ სიცივე არ იგრძნობოდა... მთა-

ვარს მივესალმე სამჯერ თავის დაკვრით, მუხლი კი არ მომიღრევია. შემდეგ ორმა აზნაურმა ჩემს ადგილამდე მიმაცილა...

ვიდრე თაყავანისცემის ცერემონიალს ვასრულებდი, ერთმა აზნაურმა, რომელმაც დარბაზის კარებში ხელიდან გამომართვა სპარსეთის ხელმწიფის ფირმანები და მთავრისათვის მორთმეული ძღვენი, ისინი დიდ ვერცხლის ხონჩაზე დააწყო და მთავარს ფერხთით დაუდო. მთავარმა აიღო ფირმანი, გახსნა, წამოდგა საგარძლიდან, მიიტანა იგი ტუჩებთან და შუბლთან, შემდეგ კი თავის დიდ ვეზირს გადასცა, რათა შინაარსი მოესმინა. შემდეგ დიდი ცნობისმოყვარეობით და სიამოვნებით შეათვალიერა საჩუქარი, რომელიც სხვადასხვა ნივთისაგან შედგებოდა“ [7, 326-328].

თბილისის სასახლეში გამართული ნადიმის შესახებ მოგზაური დეტალურად მოგვითხოვდას. იგი ნერს: „როცა მეფისნაცვალს მივესალმე, არაფერი მითქვამს. ისიც მდუმარედ შემხვდა და არც კი განძრეულა. ერთი წუთის შემდეგ, როცა სუფრა გააწყვეს, მან ოქროს თევზით გამომიგზავნა იმ დიდი პურის ნახევარი, რომელიც მის წინ იყო და სუფრაჯის პირით შემომითვალა, რომელმაც პური მომანოდა, რომ „მე ვარ სასურველი სტუმარი“. ცოტა ხნის შემდეგ მეფისნაცვალმა კაცი გამომიგზავნა, რათა ეკითხა ჩემთვის, თუ როგორ მიმდინარეობდა თურქებსა და პოლონელებს შორის ომი. როცა მეორე თავი საჭმელი შემოიტანეს, მან ბრძანა დაგვესხა ღვინო იმ თასიდან, რომლიდანაც თვითონ სვამდა.

ღვინო დიდ მომინანქრებულ ოქროს სურაში ესხა. ლალითა და ფირუზით მორთული თასიც ოქროსი იყო. აზნაურმა, რომელიც ღვინოს გვისხმდა, მთავრის სახელით მოგვამრთა: „იმხიარულეთ და მიირთვითო“.

როცა მესამე თავი საჭმელი შემოიტანეს, მთავარმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინა – გამოგვიგზავნა მისთვის განკუთვნილი შემწვარი ხორცეულის ნაწილი, კერძოდ, ხოხობი, ორი კაცაბი, ფურიერმის მეოთხედი და შემოგვითვალა: „თუმცა ღვინო ნადირის ხორცს ძლიერ უხდება, მე მაინც ვპრძანებ, ძალა არ დაგატანონ სმაში“. ყველა ამგვარ პატივს უხმოდ ვიღებდი და მდაბლად ვკურავდი თავს... ასეთი ჩეულება აქვთ სპარსელებს – ამგვარ პატივისცემას სხვანაირად არ პასუხობენ.

...პევრი ღვინო სვეს; იყო უსაზღვრო სიუხვე სურსათისა. მოჰქონდათ სახსნილოც და სამარხვოც; ეს უკანასკნელი იქ დამსწრე პატრიარქისა და ეპისკოპოსის პატივსაცემად იყო, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავშეკავებულ ცხოვრებას ეწევიან.

სუფრიდან სამი საათის შემდეგ ავიშალეთ. ზოგი სტუმარი უკვე ნასული იყო, თუმცა შემწვარი ხორცეული ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ალაგებული სუფრიდან.

ნამოსულისას მთავარს მოკრძალებით დაუკარით თავი. მან კიდევ ერთხელ შემომითვალა – „სასიამოვნო სტუმარი ხარო“ და ბრძანა შინ გავეცილებინეთ.

14-ში მთავარმა ორი დიდი სურა ღვინო, ორი ხოხობი და ოთხი კაქაბი გამომიგზავნა. აზნაურმა, რომელმაც ეს ძლვენი მოგვართვა, გვითხრა, რომ მთავრისაგან ნაბრძანები ჰქონდა შეეტყო, ხომ არ მჭირდებოდა რაიმე და კაპუცინები ზურნავდნენ თუ არა ჩვენს გართობაზე. მანვე გადმომცა: თუ მთავრის მიერ გამოგზავნილი ღვინო მომენტებინა, შემეძლო ყოველდღე გამეგზავნა კაცი მისი მარნიდან ღვინის ნამოსალებად.

მე ვთხოვე ამ აზნაურს დაერწმუნებინა მთავარი, რომ ჩვენი მასაპინძლები არაფერს მაკლებდნენ და რომ ჩვენ ერთად შევსვამთმეთქი მთავრის სადლეგრძელოს მის მიერ გამოგზავნილი ღვინით. ამ ღვინოზე უკეთესს ვერაფერს დალევდა კაცი” [7, 343].

ვახტანგ V-მ უ. შარდენი თავისი დისწულის ქორნილშიც მიინვია. სასახლეში გამართულ ამ დიდებულ ლენის ფრანგი მოგზაური ასე იგონებდა: „საქორნინო ნადიმი სასახლის ტერასაზე გაიმართა... იატაკზე საუცხოო ხალიჩები ეფინა. მთელი დარბაზი ორმოცი დიდი ჩირალდნით იყო განათებული...“

სტუმრები შემაღლებულ ადგილებზე ისხდნენ. მთავარი სილმეში იჯდა უფრო მომალლო ადგილას, რომელიც გუმბათის ფორმის ქეონე ჩარდახით იყო დაფარული. მთავრის ვაჟიშვილი და ძმები ისხდნენ მის მარჯვნივ, ეპისკოპოსები – მარცხნივ, ხოლო ნეფის ადგილი მათ შორის იყო. მთავარმა მე ეპისკოპოსის გვერდით დამსვა კაპუცინებთან ერთად...

ვახტამი გააწყვეს შემდეგნაირად: თავდაპირველად, ყველა სტუმრის წინ, სეფის სამ მხარეს, გაშალეს სუფრები. ისინი ფიცარნაგის სიფარათისა იყო. შემდეგ მოიტანეს სამნაირი პური: ერთი – თხელი, როგორც ქალალდი, მეორე – თოთის სისქე, მესამე – მომცრო ზომისა და ტკბილი. საჭმელი ვერცხლის მოზრდილ ლანგრებზე ეწყო. ევროპაში ასეთ დიდ ლანგრებს არ აკეთებენ...

მსახურთაგან ერთნი შემოიტანდნენ დარბაზში ლანგრებს, დააწყობდნენ გაშლილ სუფრაზე, მეორენი მიიტანდნენ მათ სუფრაზებთან, ხოლო ესენი კი საჭმელს ღრმა თევზებზე დააწყობდნენ და შემდეგ სტუმრებთან მიჰქონდათ. პირველად მთავარს მიართმევდნენ, ხოლო შემდეგ სხვებს, მათი რანგის მიხედვით. თავდაპირველად ყველას ერთნაირ ხორცეულს მიართმევდნენ, შემდეგ მეორე სახის ხორცეულს და ა. შ. მთელი ნადიმის განმავლობაში სამი თავი საჭმელი შემოიტანეს. თითოეული დაახლოებით სამოც ასეთ დიდ ლანგაზე იყო გაწყობილი.

პირველი თავი იყო მრავალნაირი შილაფლავი მოხარშულ ხორცთან ერთად. ფლავს სხვადასხვა გემოსი და ფერისას ამზადებენ.

ყვითელი ფერისა – შემზადებულია შაქრით, დარიჩინით და ზაფრანით. ნითელში – ბრონეულის წვენია გარეული, თეთრი კი ნატურალურია და ყველაზე უკეთესი. ფლავი შესანიშნავი საჭმელია, ძალიან ცემრიელი და მარგებელი. მეორე თავი იყო ღვეზებულები, ჩაშუშული და მოხრაკული ხორცეული, მოტკბონ და მომჟავონ სანებლით და სხვა ამგვარი საჭმელები. მესამე თავი ნარმოადგენდა მშრალად შემწვარ ხორცს.

სამიერ თავს სასულიერო პირთათვის მოსდევდა თევზი, კვერცხები და მწვანილი. იყო როგორც სახსნილო, ასევე სამარხვო საჭმელები. კვრძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროდ შემოპერნდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ასორმოცდათი კაცი.

ამ საუცხოო წესრიგის შემდეგ, ყურადღებას ყველაზე მეტად ჭურჭლეულობის სიუხვე იქცევდა. აქ იყო დახსლოებით ასოცი ფიალა, თასი, ხელადა და ყანნი, სამოცი სურა და თორმეტი აზარფეშა. თითქმის ყველა აზარფეშა ვერცხლისა იყო. სურები ან სადა ოქროსი იყო, ან მომინანქრებული ოქროსი...

ნაშუალამევს, როცა ჩვენ ნამოვედით, ხორცეული სუფრიდან ჯერ კიდევ არ იყო ალაგებული“ [7, 343-347].

ვფიქრობთ, საინტერესოა ასევე უ. შარდენის მიერ აღნერილი ღვინის სმის იმდროინდელი ქართული წესი: „თავდაპირველად, ერთხანს, ღვინოს საერთოდ არ სვამდნენ; მხოლოდ მესამე თავი კერძის შემოტანისას მიეძალნენ ღვინოს. სვამდნენ საკმაოდ უცნაურად, ასეთი წესით: მთავართან ახლოს მსხდომ რვა კაცს, ოთხს მარჯვნივ, თოხსაც მარცხნივ, რვა თანაბარი სიდიდისა და ფორმის ღვინით სავსე სასმისებს მიართმევდნენ. ისინი ნამოდგებოდნენ და ვიდრე სასმისებს არ დასცლიდნენ, ფეხზე იდგნენ. პირველად მარჯვნივ მსხდომი დალევდნენ ერთად, ხოლო მარცხნივ მსხდომი მათ პასუხობდნენ, შემდეგ რვავენი დაჯდებოდნენ და ეს რვა სასმისი მათ უახლოეს მეზობლებს გადაეცემოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადღეგრძელო ყველას არ შემოვლიდა. შემდეგ ყველაფერი ინუბოდა თავიდან; ახალი სადღეგრძელო რვა უფრო მოზრდილი სასმისით ისმებოდა. ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, დიდებულების სადღეგრძელოები დიდი სასმისებით ბოლოს უნდა დაილიოს. ეს იმიტომ, რომ სტუმრები, რადგანაც მათი ხათრისა და პატივისცემის გამო, ისინი იძულებული არიან სვან მანამ, ვიდრე მაგრად არ დათვრებიან. ამგვარად სვამდნენ ამ ნადიმზე ჩემი ყოფნის უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში და, როგორც შემდეგ გავიგე, გათენებამდე ასევე გაგრძელებულა. პირველი სასმისები ჩვეულებრივი ჭიქის ტევადობისა იყო, ხოლო ჩემს იქ ყოფნაში დაცლილთაგან ბოლო სასმისში სამი ნახევარი სეტიე ჩადიოდა, თუმცა იგი მხოლოდ და

მხოლოდ საშუალო ზომის სასმისად ითვლება. კაპუცინები და მესმისაგან გაგვანთავისუფლეს. მართალი რომ ვთქა, იმდენი ღვინო რომ დამეტია, რაც ჩემმა თანამესუფრებმა დალიეს, იქვე გავთავუბოდი; მაგრამ მთავარმა საკამაო წინდახედულება გამოიჩინა და პრძანა ჩვენთვის სადლეგრძელოები არ შემოეთავაზებინათ...

შუალამეს წამოვედით, მას შემდეგ, რაც დიდის მონიცებით გამოვეთხოვეთ მთავარს. გამომშვიდობებისას მან მკითხა, როგორ პრძანდებაო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადლეგრძელო. მან მოისურვა კაპუცინებსა და მეც ამ მდიდრული სასმისით შეგვესვა ეს სადლეგრძელო. არ ვიცი, ეს იმიტომ გააკეთა, რომ ჩვენთვის თავი მოეწონებინა, თუ პრეფექტის პატივსაცემად, რომელიც მისი კათოლიკე უბრნყინვალესობის ქვეშევრდომი იყო” [7, 347-349].

XVIII საუკუნის დასაწყისის ქართლის სამეფოში არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების, სასამართლო ორგანიზაციის, საგადამახადო სისტემისა და სხვა საკითხების, მათ შორის დიპლომატიური ეტიკეტის შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობების შემცველია ვახტანგ VI-ის მიერ 1707-1709 წლებში შედგენილი ქართული სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „დასტურლამალი“ [10, 211-900].

იმერეთის სამეფო

იმერეთის სამეფოში არსებული დიპლომატიური ეტიკეტი ნაწილობრივ უკვე შესწავლილია [8, 95-138].

1639-1660 წლებში იმერეთს მართავდა მეფე ალექსანდრე III (გარდ. 1660 წ.). მისი მეფობის სანაში, იმერეთში ორ წელინადზე (1644-1646 წწ.) მეტხანს ცხოვრობდა ზემოხსენებული იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი.

იმერეთის სამეფო კარზე კასტელი ისეთივე პატივისცემით იღებდნენ, როგორსაც უცხო ქვეყნების ელჩებს მიაგებდნენ. ეს იმან განაპირობა, რომ კასტელი რომის პაპის წარმომადგენლად აღიქმებოდა.

იტალიელი მისიონერი საკუთარ თავზე მესამე პირში წერს: „პატრი გზას გაუდგა... მიეფერნენ იმ ქალაქებში, სადაც გაიარა. მეფის განკარგულებით, მის პიროვნებას განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ და ეფერებოდნენ ქალაქ ქუთაისამდე“ [6, 218].

კასტელის შეფასებით, მეფე ალექსანდრე III „მისიონერი პატრების კეთილისმყოფელია“ [6, 76]. მისივე ცნობით, „ქართველთა მეფე დიდ პატივს აგებს უცხოელთ, ძლიერ უყვარს ისინი და სურს, თავისიანებიც ასევე ექცეოდნენ.

მეფემ სამგზავროდ მთლად ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოწამული ცხენი მიბორდა. მისმა მხედრებმა შუაში ჩამაყენეს და ისე სამიუგანეს ქუთაისისა და ციხე-სიმაგრის სანახავად, სადაც შევხვდი შეფეხს. მან დიდი პატივი მცა, რამაც ძალიან დამარცხევინა...

იმერეთის მეფე გვიგზავნის სამეფო პაუებს, რომელთაც ფარე-შებს უწოდებენ, რათა მოგვართვან პური და მეფური საჭმელი“ [6, 101].

ალექსანდრე III-ის ბრძანებით, იტალიელ მისიონერს იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე არაერთი საცხოვრებელი გამოიყო.

იმერეთის სამეფო კარზე გამართული ნადიმების შესახებ კასტელი წერს: „[მეფეს] თავის სუფრაზე ბევრჯერ დავუპატიუვარ, რამდენჯერმე დედოფალთანაც ერთად. მან თავისი ხელით ჩემსკენ მოსწია საჭმელები და რამდენჯერმე თავისი საკუთარი ჭიქიდან ლეინო შემასვა (რომელიც შიგ პერნდა ჩატოვებული), გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსაჩენად...

ნადიმის დროს სუფრაზე უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მდერიან და ცეკვავენ...

მეფეს ბევრჯერ მივუწვევივართ ბრნყინვალე ნადიმზე, ხან საქართველოს პატრიარქთან ერთად, ხან ალექსანდრიის პატრიარქთან და ხან კი დედოფალთან და ყოველთვის თავის გვერდით მამუფებდა ხოლმე. ზოგჯერ მისი საკუთარი ხელიდან ღვინო დამიღევია, ჭიქაში დატოვებულ ღვინოს მაძლევდა ხოლმე, რაც დიდ პატივისცემად ითვლებოდა“ [6, 144-145].

ალექსანდრე III-ის მეფობის პერიოდშივე იმერეთს ეწვივნენ რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძე რომანოვის ელჩები ნიკითორე მათეს ძე ტოლობრიანოვი და მდივანი ალექსი მიხეილის ძე იველევი. მათ იმერეთში 1650 წლის ივნისიდან – 1652 წლამდე დაჰყვეს და ამ ელჩობის ფრიად საყურადღებო აღწერილობა შემოგვინახეს.

ა. იველევი წერს: „რაჭიდან ალექსანდრე მეფესთან გავემგზავრეთ მის სატახტო ქალაქები, ქუთათისში. ელჩები ქუთათისამდე დავით მიტროპოლიტმა გაგვაცილა. ქუთათისში რომ მივედით... ციხის პირდაპირ ბორცვზე დაგვაბინავეს, მდინარე რიონის ნაპირას, მეფის კარვებში. ამ ადგილას ორ დღეს ვიყავით. ალექსანდრე მეფისაგან საჭმელი და სასმელი მოპერნდათ დიდის პატივით.

ივნისის 23, ალექსანდრე მეფემ კაცი გამოგვიგზავნა, ქალაქის გარეუბანში გადასვლა შემოგვითვალა და ბინა მიგვიჩინა.

ივნისის 25... მეფეს შევუთვალე, რომ ჩვენთვის საელჩო დავალებებზე მოსალაპარაკებლად მის წინაშე გამოცხადება ეპრძანებინა და ამასთანავე კაცები გამოეგზავნა ჩვენთან ხელმისავის წყალბის, სიასამურის ბენვეულის გადასატანად, ხოლო ელჩებისათვის ცხენები გამოეგზავნა. იმავე დღეს, ალექსანდრე მეფემ ელჩებს ცხენები გამოგვიგზავნა. ცხენები ვერცხლით მოჭედილი უნაგირებით

იყო შეკაზმული, აღვირ-ლაგამი კი ოქროთი იყო გაწყობილი. სიასა-
მურის გადასატანადაც კაცები გამოგვიგზავნა...

როცა გარეუბნიდან მოედანზე გავედით და მეფის კარვის სად-
გომს სანამ მივუახლოვდებოდით, მეფემ აზნაური გამოგვიგზავნა
და გვიპრძანა სიასამურის ქარავანი შეჩერებულიყო, ჩვენც გვიპ-
რძანა, ელჩებს – შეგვეჩერებინა სვლა. თურმე, ამ დროს, დედოფა-
ლი, დიდებულთა მეუღლეებითურთ, ცალკე თავის კარავში ყოფი-
ლიყვნენ, კარვის კალთები აენიათ და ხელმწიფის ხაზინას, ელჩებს
და ხელმწიფის მსახურებს უცეკროდნენ. ცოტა ნის შემდეგ, ალექ-
სანდრე მეფემ, ელჩებს თავის კარვისაკენ სვლა გვიპრძანა. როცა
მეფისაკენ გავსწიეთ, ამ დროს ციხიდან და კოშკებიდან ზარბაზნე-
ბის სროლა დაინყო, ხოლო მეთოვურებმა ბურჯებიდან იწყეს სრო-
ლა. მეფის კარავს ათი საუნის მანძილზე რომ მივუახლოვდით, უპ-
რძანეს ჩვენთვის ეთქვათ ცხენებიდან ჩამოვსულიყავით...

ცხენებიდან ჩამოვედით და კარვისაკენ გავსწიეთ. ამ დროს
კარვებიდან გამოვიდნენ და ელჩებს შემოგვეგებნენ ზაქარია მიტ-
როპლიტი და იერუსალიმელი, ნმ. გოლგოთის მთის მონასტრის
იღუმენი ნიკიფორე.

ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, მეფის სახელით, ჯანსაღობით
მოგვიყითხეს, მარჯვნივ და მარცხნივ ამოგვიდგნენ და მეფემდე
მიგვაცილეს. როდესაც მეფის ნინაშე ნარვსდექით ელჩები, ნესისა-
მებრ, თავი დავუკარით მეფეს” [1, 109-110].

იმერეთის მეფესთან პირველი შეხვედრის ცალკეული დეტალე-
ბის აღნერის შემდეგ, რუსი ელჩები ასე აღნერენ საგანგებოდ მათ
პატივსაცემად გამართულ ნადიმს: „ალექსანდრე მეფემ გვიპრძანა
ჩვენ, ელჩებს, ნიკიფორესა და ალექსის და ამ უკანასკნელის შვილს
კლიმენტის, მარცხენა მხრით მასთან მახლობლად დაჯდომა...“

ჭამის ნინ მოიტანეს და მეფის ნინაშე სუფრა გაშალეს; აბრეშუ-
მის იყო ოქროსფერი ზოლებიანი და დააფინეს მის ნინაშე ხალიჩაზე.
შემდეგ სუფრა მოიტანეს და კათალიკოსის ნინ გაშალეს, ასევე ელ-
ჩების ნინ გაშალეს სუფრა, ატლასის იყო, ზოლებიანი. სასულიერო
პირთა და თავადების ნინაშე გაშლილი სუფრები ბამბისაგან დამზა-
დებული ქსოვილების იყო, ხოლო აზნაურებს და (რუსეთის) ხელმწი-
ფის ხალხს, ქსოვილი სუფრის ნაცვლად, ერთმანეთზე გადაკერებუ-
ლი დეკეულის ნითელი ფერის ტყავები დაუფინეს ნინ.

მეფე ალექსანდრე, სასულიერო პირები, თავადები და აზნაუ-
რები ყველანი ყიზილბაშურად ისხდნენ ნოხებზე, ფეხებმორთხმუ-
ლი. ელჩებს მაგიდა დაგვიდგეს, დასაჯდომად კი მერხი. ხელმწიფის
(იგულისხმება რუსეთის მეფე. ნ. ჯ.) ხალხსაც მერხი დაუდგეს, ხო-
ლო იჯდნენ აზნაურებს შორის დაფანტული.

საჭმელი, დაისამდე ორი საათით ადრე მოგვართვეს. და როცა
მეფეს, სასულიერო პირებს და ელჩებს საჭმელები მოგვართვეს, მე-

რიქიფებებმა თასების შეესება დაიწყეს დვინით და მეფეს, სასულიე-
რო პირებს, ელჩებს და ყველას, ვინც იქ ვიყავით, დაგვირიგეს” [1,
113-114].

აღნერაში საყურადღებოდ არის გადმოცემული სადღეგრძე-
ლოთა ნარმოთქმის ტრადიცია. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მეფის
ფეხზე ნამოდგომისთანავე მონადიმენიც დაუყოვნებლივ დგებოდ-
ნენ.

იმერეთის მეფემ განაცხადა: „როდესაც... ჩემი სიმამრისაგან,
თეიმურაზ საქართველოს მეფისაგან მოსკოვის სახელმწიფოს შესა-
ხებ, ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოების შესახებ და დიდი ხელ-
მწიფის და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის, სრულიად
რუსთის თვითმშეყრობელის შესახებ (დაწვრილებით) ამბავი გავიგე,
იმას ვნატრობდი განუწყვეტლივ, რომ პირადად მეხილა ჭეშმარიტი
ქრისტიანული სარწმუნოება და მოსკოველი ადამიანები და გამეგო-
ნა მისი მეფური უდიდებულესობის ჯანმრთელად ყოფნა. ამიტომაც
იყო, რომ მის მეფურ უდიდებულესობასთან ჩემი ელჩები გავგზავ-
ნე... შემდეგ კი... თქვენ გიხილეთ... დიდი წყალობაც მივიღე და გავი-
ხარე“ [1, 114-115].

ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის მეფის სადღეგრძელოს შეს-
მის შემდეგ, რუსმა ელჩებმა იმერეთის მეფის სადღეგრძელო ნარ-
მოთქვეს.

ა. იევლევის ცნობით, „კათალიკოსმა და სამღვდელოებამ
ალექსანდრე მეფის სადღეგრძელო ფეხზე ამდგარი შესვეს, ხოლო
მისმა თავადებმა და აზნაურებმა ალექსანდრე მეფის სადღეგრძე-
ლო ასე შესვეს: ნამოდგებოდა ჯგუფად შვიდ-შვიდი კაცი, მიუახ-
ლოვდებოდნენ მეფეს, დაცლილენ თასებს, თავს დაუკრავდნენ, ცა-
ლი მუხლით ჩაიჩიქებდნენ და ისევ თავიანთ ადგილებზე დასხდე-
ბოდნენ. ხოლო საჭმელებს მეფეს და კათალიკოსს ოქროს ლანკანებ-
ზე მოართმევდნენ, სასმელსაც ოქროს სურებით და თასებით მიარ-
თმევდნენ. ელჩებსაც მეფე მიანოდებდა თავისი არჩივიდან საჭმელ-
სა და სასმელს, იმავე ოქროს ლანკანებზე და თასებით. ხოლო სამ-
ღვდელოებას, თავადებსა და აზნაურებს საჭმელს და სასმელს ყვე-
ლას სუფრაზე ვერცხლის ჭურჭლეულობით მიართმევდნენ.

რადგანაც სუფრა გაგრძელდა (და შემოღამდა), ორი ვერცხლის
დიდი შანდალი მოიტანეს შეღებილი დიდი სანთლებით და მეფეს
იქეთ-აქეთ ნინ დაუდგეს, კათალიკოსისა და ელჩების ნინაც ვერ-
ცხლის შანდლებით შეღებილი სანთლები დადგეს. ასევე ვერცხლის
შანდლებით დადგეს სანთლების სამღვდელოებისა, თავადებისა და
აზნაურების ნინაშე, ხომ „უკანა“ სუფრაზე მსხდომარეთ სპილენძის
შანდლებით მიუტანეს სანთლები.

სუფრა ლამის სამ საათამდე გაგრძელდა, მეფე ძალიან მხიარუ-
ლი იყო სუფრასთან, განუწყვეტლივ მისი უდიდებულესობის მეფის

სახელს ახსენებდა და ელჩებს და ხელმწიფის ხალხს გვიცქეროდა. კარგის კალთებიდან ჩუმად ქალები იჯვრიტებოდნენ და ელჩებს გვიცქეროდნენ. სუფრის შემდეგ ალექსანდრე მეფემ... ბინაზე გავ-ვისტუმრა. ცხენებამდე და შემდეგ ბინამდე მრავალმა აზნაურმა მიგვაცილა” [1, 115-116].

საგულისხმოა, რომ იმერეთის მეფესთან გამართული ნადიმი უფრო ვრცლად არის აღნერილი ტოლოჩანოვის თხზულებაში, რომელშიც ვკითხულობთ: „ინყეს სუფრის გაშლა და პურის ნაცვლად თხლად გამომცხვარი ლავაშები „ხმიადები“ დააწყვეს სუფრაზე. ამის შემდეგ ნიკიფორე მთანმინდელი იღუმენი ნამოდგა და „მამაო ჩვენო“ ნარმოსთქვა, ხოლო მიტროპოლიტმა, პატრიარქის ნაცვლად რომ არის, ჯვარის გადასახვით აურთხა სუფრა.

როცა იღუმენი „მამაო ჩვენოს“ ამბობდა, ალექსანდრე მეფე უქუდოდ იჯდა. როცა საჭმელების გამოტანა და სუფრაზე დალაგება დაინყეს, ალექსანდრე მეფემ გვირგვინი მოხადა. იქვე მოიტანეს ვერცხლის დაბალვეხებიანი შავი ხავერდით განყობილი გვირგვინის დასადგამი, ხავერდს ოქრო ჰქონდა გარს შემოვლებული და ამაზე დადგეს გვირგვინი. იქვე სკიპტრაც დადეს მეფის წინ. ალექსანდრე მეფეს შავი ხავერდის ქუდი მოუტანეს, რომელიც მარგალიტით და ძვირფასი ქვებით იყო ჯვარედინად განყობილი. მეფე იმავე ადგლას იჯდა, სადაც ელჩინის დროს ვნახეთ... ყიზილბაშურად უმაგიდოდ მიირთმევდა. მის წინაშე მერიქიფენი მუხლებზე იდგნენ. საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებს და აზნაურებს სუფრაჯები მოართმევდნენ...

როცა ჭამა მთავრდებოდა, ბერძნების ბერებმა გალობა წამოიწყეს ბერძნულად. ამის შემდეგ ხილეულობა მოიტანეს, ჯერ მეფეს მოართვეს, შემდეგ სასულიერო პირებს, ელჩებს და შემდეგ აზნაურებს. ხილი ყოველგვარი იყო: კიტრი, სხვადასხვა ჯიშის მსხალი, ქლიავი, კაკალი, ბალის კაკალი, დიდი, რუსული. სუფრა დამთავრდა ლამის ორ საათზე” [9, 99-100].

5 ივლისს, ზაქარია მიტროპოლიტთან გამართული ტრაპეზის შესახებ ტოლოჩანოვი აღნიშნავს, რომ „მეფეს, ჩვენ და აზნაურებს ხორცებულის კერძებს გვანოდებდნენ, მღვდელმთავრებს კი თევზეულს. ცოტა ხნის შემდეგ, ვერცხლის ჭურჭლებით ყურძნის ღვინო შემოიტანეს... ალექსანდრე მეფე... თავის მხრივ საგანგებოდ არშივებს გვთავაზობდა” [9, 108].

ტოლოჩანოვი მიუთითებს, რომ სამეფო სუფრას რუსი ელჩები ადრე ტოვებდნენ, რის ნებართვასაც იმერეთის მეფისაგან იღებდნენ. ერთგან იგი წერს: „სუფრიდან წასვლის ნება იმიტომ ვთხოვეთ მეფეს, რომ იმათ რუსებივით ჩვეულება კი არ აქვთ, ისინი სუფრას მალე არ აშლიან, მთელ ლამეს სუფრასთან ატარებენ” [9, 107].

ირკვევა, რომ იმერეთში ჩასული რუსი ელჩები სურსათით უხად უზრუნველყვეს. ამასთან დაკავშირებით ტოლოჩანოვი შენიშვნებს: „ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი აზნაურიშვილი პატა მოვიდა ჩვენთან. მან მეფისაგან მე, ნიკიფორე ტოლოჩანოვს სურსათი მომიტანა – ერთი დეკეული და რვა ქათამი, ხოლო მდივანს ალექსი იევლევს – დეკეული და შვიდი ქათამი” [9, 110].

საგულისხმოა, რომ რუსი დიპლომატებისათვის გამოყოფილი საკვები არათანაბრად გაანანილეს, რაც დიპლომატიური ეტიკეტის გათვალისწინებით მოხდა. კერძოდ, ტოლოჩანოვს, როგორც ელჩობის ხელმძღვანელს მეტი ერგო, ვიდრე იევლევს. შესაბამისად, ელჩობის დაბალი რანგის ნარმომადგენლებს: თარჯიმნება და მეთოურებს უფრო ნაკლები რაოდენობის საკვებს არგუნებდნენ ხოლმე.

თავისი აღნერილობის სხვა ადგილას ტოლოჩანოვი მიუთითებს: „ალექსანდრე მეფემ ელჩებს თავისი სახელით, სურსათი გამოგვიგზავნა. ნიკიფორე ტოლოჩანოვს – დეკეული, როი ცხვარი, ცხრა ქათამი, ხუთი კოკა ღვინო და ნესვები, ხოლო ალექსი იევლევს – დეკეული, ერთი ცხვარი, რვა ქათამი, ხუთი კოკა ღვინო და ნესვები, მთარგმნელს, თარჯიმნებს და მეთოურებს – დეკეული, ქათმები და ნესვები” [9, 123].

1673 წლის იანვრის დასაწყისში ფრანგი მოგზაური, ზემოხსენებული უან შარდენი ქუთასის ესტუმრა. იგი მიიღო ალექსანდრე III-ის ქემ – ბაგრატ IV-მ (მეფობდა 1660-1681 წლებში).

უ. შარდენი მოგვითხრობს: „12-ში ვინახულე მეფე. იგი ლაშქრიდან დაბრუნებულიყო, რადგანაც შეუძლოდ გამხდარიყო. დიდი პატივითა და ალერსით მოგვეპყრო, გვერდით მოგვისვა და მეგობრული საუბარი გაგვიძა. საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ პატრიმი იუსტინმა და მისმა თანამოძმებმა ქუთასის დატოვეს. პატრიმი მოუმიზებებია დაუსარულებელი ომები, რომლებმაც მათ დიდი ზიანი მიაყენეს” [7, 286].

ქართლ-კახეთის სამეფო

XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არსებული საპატიო სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების საგანგებო წესებისა და სამეფო ნადიმისათვის გათვალისწინებული სუფრის მენიუს შესახებ საყურადღეო ცნობებია დაცული 1769-1771 წლებში საქართველოში მყოფი რუსული კორპუსის სარდლის, გენერალ გოტლიბ კურტ პაინრის ფონ ტოტლებენის ადიუტანტის, ფრანგი გრაფის, კაპიტან შარლ დე გრაი დე ფუას რელაციას [3] და ისტორიკოს პლატონ იოსელიანის (1809-1875) თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ [5]. აქვე დავსძენთ, რომ მოხსენება თემაზე: „სამეფო სუფრა და გამასპინძლების წესები აღმოსავ-

ლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის ბოლო მესამედი)“ წავიკითხე 2008 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს საპატირიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისა და სხალთის ეპარქიის მიერ ხულოში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ტბელობა“ [იხ.: კონფერენციის მასალების კრებული, 2008 წ., გვ. 269-271].

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა და გენერალ ტოტლებენის პირველი შეხვედრა 1769 წლის 29 აგვისტოს, მთიულეთის ჩრდილოეთ ნაწილში – ხადას თემში შედგა.

დე გრაი დე ფუას ცნობით, ტოტლებენს ეგონა, რომ „მაშინვე შევიდოდა მეფის ჩარდახში, მაგრამ მეტად განციფრებული დარჩა, როდესაც მას გამოეგება თორმეტამდე ქართველი დიდებული ხელში დიდი კვერთხებით. მდაბალი სალამი მისცეს და მისთვის გამზადებულ კარავში შეიძატიუეს. გრაფმა უპასუხა, რომ სუფთა ჰაერზე ყოფნას არის დაჩვეული. წავიდა და მთის ძირში დაჯდა“ [3, 40].

გენერალს მიართვეს ლვინო, ხილი და ტკბილეული, რაც მან მიიღო და დაანაწილებინა თავისი თანმხლები ოფიცირებისა და ჰუსარებისათვის. ნახევარი საათის შემდეგ, გენერალს ეახლა ოთხი ქართველი თავადი, რომლებიც მას ერეკლე II-ის სახელით მიესამაღნენ.

მომხდარით ტოტლებენი ფრიად განციფრებული დარჩა, რადგან „მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ პატარა აზიელი ხელმწიფე ესოდენ ძნელი სანახავი იყო. საათზე მეტი იცადა და უკან გაბრუნდებოდა, თავად რატიევს რომ არ შეეავებინა“ [3, 41].

ხანგრძლივი ლოდინით შენუხებულ ტოტლებენს უთხრეს, რომ მეფის წინაშე წარდგომა შეეძლო. მას წინ გაუძლვა 12 ქართველი, რომლებსაც ხელთ თეთრი კვერთხები ეპყრათ.

რუსეთის არმიის ფრანგი რფიცერი მოგვითხრობს: „ერეკლე სპარსული სახის ლამაზ ჩარდახში იყო. ჩარდახს ბევრი ხალხი ეხვია, მაგრამ ახლოს არავინ მიდიოდა. ოცდაათ ნაბიჯზე თეთრშელვობიანები თვალყურს ადევნებდნენ, რომ არავინ მოახლოვებულიყო. გრაფი და მისი თანმხლები ოფიცირები შეუშვეს ამ რკალში, მაგრამ ჸუსარები და კაზაკები ერთ ჯგუფად შეაკავეს.

როდესაც ტოტლებენმა ჩარდახის წინარს მიაღწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი. ტოტლებენი გადაეხვია მას, რამაც განაცვითრა ეს ყმანვილი კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვიონ, საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი [იგულისხმება ანტონ I. ნ. ჯ.]. გრაფმა მოინდომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირჯვარი გამოსახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში. ტოტლებენი შეჰყვა მას.

ერეკლე წარმატები იჯდა. იგი წამოდგა, როდესაც დაინახა, რომ გრაფი შემოდიოდა. გვერდით მოისვა. დასხდნენ პატრიარქი და

ერეკლეს ვაჟიშვილიც. დასვეს თავადი რატიევიც, ხოლო ჩვენ გარეთ დავრჩით“ [3, 41].

ზემოხსენებული ციტატიდან ნათელი ხდება, რომ იმდროინდელ საქართველოში მამაკაცთა შეხვედრისას გადაკოცნა მიღებული არ იყო.

გამართა საუბარი, რომელიც შეხებოდა რუსეთის იმპერიის გეგმებს ოსმალეთთან იმხანად მიმდინარე ომის პერიოდში. მსახურები მოსაუბრებებს მიართმევდნენ ყავას, ჩაის და სხვადასხვა სახის ლიქორებებს.

ტოტლებენის შეთავაზებაზე – დაუყოვნებლივ, ერთობლივად შეეტიათ ოსმალეთისათვის, დე ფუას ცნობით, „ერეკლეს პასუხი მეტად ჭვიანური იყო“ [3, 42]. იგი გენერლის ავანტიურისტულ გეგმებს დაეჭვებით შეხვდა. ტოტლებენს „ეგონა, რომ საქმე ექნებოდა მასავით აჩქარებულ კაცთან, რომელიც მიიღებდა მის წინადადებას და მის განხორციელებასაც უმაღვე შეუდგებოდა. ერეკლე კი ფიქრობდა“ [3, 43] და სამომავლო გეგმებს საქმაოდ ფრთხილად აწყობდა. ამის გამო, შეხვედრით უკმაყოფილო ტოტლებენმა, ერეკლეს შეთავაზების მიუხედავად, მასთან ვახშმად დარჩენა აღარ ისურვა და თავის ბანაკში დაბრუნდა. იგი ჩარდახიდან გამოაცილა ერეკლე II-ის უფროსმა ვაჟმა, სამეფო ტახტის მემკვიდრემ, უფლისნულმა გიორგიმ, მომავალმა მეფე გიორგი XII-მ [3, 43].

მოგვიანებით, ტოტლებენმა დე გრაი დე ფუა მიავლინა თბილისში, სადაც ის ერეკლე II-მ სამეფო სასახლეში მიიღო.

რელაციაში ვკითხულობთ: „მეფე ერეკლე იჯდა თავის ბიძასთან – პატრიარქთან, თავის ვაჟებთან და სიძესთან, თავად ციციანოვთან [იგულისხმება ერეკლე II-ის ასულის მარიამის მეუღლე – თბილისის მოურავი დავით ციციმვილი. ნ. ჯ.] ერთად.

ყველანი ფეხზე წარმოდგნენ. პატრიარქი დანინაურდა, პირჯვარი გადამსახა. მე მას ხელზე ვემთხვიე თანახმად ჩვეულებისა, რომელშიც გათვითცნობიერებული ვიყავი. ისინი დასხდნენ. ერეკლემ მეც შემომთავაზა დაჯდომა, მაგრამ რადგანაც ყველანი ფეხმორთხმული ისხდნენ ხალიჩზე და ჩემთვის ასე დაჯდომა შეუძლებელი იყო, ვუპასუხე, რომ იმ თაყვანისცემის გამო, რომელსაც განვიცდი მისი უდიდებულესობის მიმართ, არ ძალიძს დავჯდე მის წინაშე. მან კვლავ შემომთავაზა და განმიცხადა, რომ არ მომისმენს, ვიდრე არ დავჯდები. იძულებული გავხდი გამემხილა მისთვის ნამდვილი მიზეზი – ის, რომ ვეროპული სამოსი მოუხერხებელი იყო ამგვარად დასაჯდომად... მომიტანეს სკივრი, რომელზედაც იმგვარად ვიჯექი, რომ ყველა დანარჩენი ჩემზე დაბალი იყო“ [3, 47].

ერეკლე II-მ ტოტლებენის ადიუტანტს უთხრა, რომ მას შვილად მიიჩნევს, რამაც დე გრაი დე ფუას გაკვირვება გამოინვია. მას

იქვე მყოფმა იტალიელმა კაპუცინმა განუმარტა, რომ ასეთია აზიური წესი [3, 47].

მას შემდეგ, რაც ტოტლებენმა თავისი ავანტიურისტული ბუნება თანდათან გამოავლინა, მის მიმართ ერეკლე II-ის დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითი გახდა. დე გრაი დე ფუა მიუთითებს, რომ ერთ-ერთი შეხვედრისას ერეკლე II-მ ვერ დაფარა თავისი აღშფოთება რუსთა მისის დანამაულებრივი საქმიანობის მიმართ და ხმაში ფოლადი გამოურია.

რელაციაში ვკითხულობთ: „ერეკლე ნახევარი საათის განმავლობაში დიდი კეთილგანწყობით მესაუბრა. იგი მეზოპელ ოთახში შევიდა და მანიშნა შევყოლოდი. ტურინელი მამა გიორგი შემოგვყვა. მას შემდეგ, რაც კარები ჩაეკეტა, ერეკლემ სამჯერ თუ ოთხჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში და გამძვინვარებული სახით მომიახლოვდა. შემეტეთხა: „ვინ ხართ თქვენ და რას აკეთებთ ჩემს ქვეყანაში?“.

რამდენადაც შემეძლო, მშვიდი იერი მივიღე და როგორც საქმეში გაუთვითცნობიერებულმა დოყლაპიამ, ვთხოვე მას, აესხა ჩემთვის, ასე რამ გააშმაგა.

„თქვენ ყველაფერი კარგად იცით, მითხრა მან. ეს სწორედ თქვენა ხართ, ვინც ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რათა მოგეტაცებინათ დესპანი, რომელიც ახალციხის ფაშამ გამომიგზავნა – აგისხსნით რა საკითხის გამო. ოტომანის პორტას აცნობეს თქვენი მოსვლა ჩემს სამფლობელოში და ის ნინადადებანი, რომელიც წამომიყენეთ. თურქები მთხოვენ, რომ არ დავარღვიო ის კეთილგანწყობა, რაც ჩვენს შორის სუფეს. თურქები მთავაზობენ დიდ ფულსა და დიდ მიწა-წყალს, თუ თქვენ თქვენს მტერს შეგატოვებთ. მაგრამ კარგად ვიცი ადამიანის ლირსების ფასი და მსგავს ნინადადებას არ მივიღებ. მე სრული უარით გავისტუმრე თურქი დესპანი. თქვენ კი გინდოდათ ჩემს ქვეყანაში თქვენს წებაზე გარჯილიყავით. დესპანის ხელშეუხები პირვნება თქვენ პატივსაცემად არ მიგაჩნიათ და გსურდათ იგი გზაში მოგეტაცებინათ. და ამ დროს ვინ ხართ თქვენ?“

მე თქვენ მიგიღეთ ჩენს ქვეყანაში ისე, რომ არ მოგიციათ ჩემთვის არავითარი წერილობითი მონმობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა მისი შესახებ, რომ თქვენ მისი წარმოგზავნილები ხართ. ისე ცხოვრობთ ჩემს ქვეყანაში, თითქოს მტრის ქვეყანაში იყოთ. დაარბიეთ მთელი შემოგარენი, ცდილობდით აგემხედრებინათ ჩემი ქვეშევრდომები თურქთა წინააღმდეგ ჩემი დასტურის გარეშე.

მოთმინებით აღვიჭურვე იმის იმედით, რომ მალე რატივი დაბრუნდებოდა, მაგრამ უკვე სამი თვეა, რაც იგი გაემგზავრა და ჩვენ მისგან არავითარი ცნობა არა გვაქვს. თავი მოიქინდრეთ მისი

იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან რატივის მიერ მოწმობის მოტანის მოლოდინში, რომ მან გამოგზავნათ აქ.

ერთხანს კიდევ შევიკავებ თავს, მაგრამ გაფრთხილდით: ყოველივე ამას შეიძლება საზარელი შედეგი მოჰყვეს“ [3, 50-51].

დე გრაი დე ფუამ მეფეს უპასუხა: „თქვენი ბრალდებანი და მუქარა ჩემი მისამართით არ არის წარმოთქმული... ყოველივეს გადავცემ ჩემს გენერალს და შეგატყობინებთ მის პასუხს“ [3, 51].

საგულისხმოა, რომ ასეთი საუბრის შემდეგ ერეკლე II მაინც შევცადა, ქართულ-რუსული უთანხმოვბა სხვებს არ შეენიშნათ და კვლავ დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა – ტოტლებენს „შესანიშნავი ცხენი და მშვენიერი კარავი“ გაუგზავნა [3, 51].

XVIII საუკუნის მიწურულის ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არსებულ სანადიმო ტრადიციებთან და სუფრის მენიუსთან დაკავშირებით საყურადღეო ცნობების შემცველია პ. იოსელიანის თხზულება [5, 24-26].

გიორგი XII-ის (1746-1800) მეფობის (1798-1800) პერიოდში სამეფო სუფრის მენიუ საკმაო ორიგინალურობით გამოირჩეოდა.

წითელი ღვინო – საფერავი საგანგებოდ ჩამოჰქმნდათ კახეთიდან, სოფლებიდან ქვემო ხოდაშნიდან და ყვარლიდან.

სამეფო სუფრისთვის განკუთვნილ ღვინოს აბეჩხარ ანუ დაუბარავ და პატივდაუყრელ ვენახში ველურად მოყვანილი ყურძნისაგან წურავდნენ. ამის გამო, ღვინო ძალიან ცოტა, თუმცა საუკეთესო ხარისხისა გამოდიოდა. ეს ღვინო ცალკე, საგანგებოდ განმენდილ ქვერში ინახებოდა.

მეფე რეგულარულად მიირთმევდა ღვინოს, მაგრამ მცირე რაოდენობით, არა უმეტეს ჩარექისა (თუნგის მეოთხედისა). დათრობა, ვითარცა სიბილნე, საგდა.

იმ დროს საქართველოში არაყი ჯერაც არ იყო პოპულარული. მის მოყვარულთ მეფე ურჩევდა, რომ ქართული ჩვეულების თანახმად, არაყი – მურაბის მირთმევის დროს, თაფლით დამტკბარი დაელიათ.

სამეფო სახაპაზოში ცხვებოდა ხუთი სახეობის პური: „მურასა“, „საგარეჯო“, შოთი, „პირგაჭრილი პური“ და „კავალა პური“. ამ პურისათვის ხორბალი ბაიდარიდან მოჰქმნდათ. სადილისათვის განკუთვნილი განმტკიცული თეთრი პური ყოველდღიურად ცხვებოდა.

სუფრას ყოველ ხსნილ დღეს ამშვენებდა ქათმით და ზირიშკით შემზადებული ფლავი, საგანგებოდ ნასუქი შემწვარი ხბო, „აფხაზური“ და ახლადდაკლული ძროხის ხაშლამა.

მეფეს უყვარდა ორაგული და ნლეული ზაქის (ახალგაზრდა კამეჩის) ხორცი სირბილისა, სითეროისა და მაღალი გემოვანი თვისებებისა გამო.

ვინაიდან მთაში გაზრდილი ცხვრის ხორცი მაღალი გემოვანი თვისებებით გამოიჩინდა, დიდოელ ლეკებს სამეფო სამზარეულო-სათვის მთიდან ცხვარი (თოხლები) მაისიდან ზამთრამდე ჩამოჰყავდა. მეფის ბრძანებით, მათ ცხვრებითვე სამეულად ასაჩუქრებდნენ.

მეფეს ჩვეულებად ჰქონდა, რომ ხორცის საუკეთესო ნაჭერი საპატიო სტუმრისათვის შეეთავაზებინა, რითაც პატივისცემას გამოხატავდა.

დილაობით, შემდგომად ცისკრისა მოსმენისა, მეფე მიირთმევდა ილით და დარიჩინით მოდულებულ ჩაის. ძირითადად მიირთმევდნენ ჩინურ ჩაის, რომელიც მეფისათვის რუსეთიდან ჩამოჰქონდათ. მას სამკურნალოდაც ხმარობდნენ.

იშვიათად, თურქული წესით მოდულებულ ყავასაც სვამდნენ, რომელსაც ძირითადად სტუმრებს მიართმევდნენ [5, 24-26].

ყანდის შაქარი ვაჭრებს საგანგებოდ ჩამოჰქონდათ სპარსეთიდან და ეგვიპტიდან.

სასახლის დარბაზში გაშლილ სადილს, რომელსაც ტრადიციულად ოცი-ოცდახუთი კაცი ესწრებოდა, მღვდელი აკურთხებდა.

3. იოსელიანის ცნობით, სამეფო სადილი „არ იქმნებოდა თვინიერ მღვდლისა, რომელიც მარადის მამაო ჩვენოსა თქმითა, აკურთხევდა დაგებულსა სუფრასა და რადგან იცოდა მცირედ ბერძნულიცა, ამისათვის ხშირად თვით იტყოდა ბერძნულად „მამაო ჩვენოსა და აკურთხევინებდა სუფრასა მღვდელსა [5, 25].

ასეთი იყო ყოველდღიური სამეფო სუფრა ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის მიწურულს.

საგანგებო ნადიმების დროს სამეფო სუფრა მეტი მრავალფეროვნებით გამოიჩინეოდა.

ამრიგად, ქართულ სამეფოებში (კახეთი, ქართლი, იმერეთი, ქართლ-კახეთი) განსაზღვრული იყო დიპლომატთა და საერთოდ, საპატიო სტუმართა მიღებისა და გამასპინძლების საგანგებო წესები (ეტიკეტი).

დადგენილი იყო სამეფო ნადიმისათვის გათვალისწინებული სუფრის საკმაოდ ორიგინალური მენიუც.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალექსი იევლევის 1650-1652 წნ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღნერილობა („მუხლობრივი აღნერილობა“), რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969.

2. მერძენიშვილი ნიკო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, ნგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967.
3. დე გრია დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ თდიოშელმა, თბ., 1985.
4. თავადი მიშეცვისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში (1640-1643 წნ.), საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მიხეილ პოლიევეგტოვმა, ტფილისი, 1928.
5. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936.
6. კასტელი დონ კრისტოფორო დე, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976.
7. უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მვალობლიშვილმა, თბ., 1975.
8. სამუშაი ჯაბა, იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი დონ კრისტოფორო დე კასტელის მიხედვით, წელიწლები „ქართული დიპლომატია“ (დამატება), თბ., 1998.
9. ტოლორიანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღნერილობა (1650-1652 წნ.), რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970.
10. ქართული სამართლის ძეგლები. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970.
11. ბელოკუროვ ს., ხილები რუსეთის მემკვიდრეობის მიზანთა და მიზანთა მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1889.
12. ცაგარელი ა., ხილები რუსეთის მემკვიდრეობის მიზანთა და მიზანთა მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1891.

*Doctor of Historical sciences, Professor,
Chief scientist-researcher of the Modern
and Contemporary History Department of
the Ivane Javakhishvili Institute of History
and Ethnology*

DIPLOMATIC ETIQUETTE AND FEAST TRADITIONS OF GEORGIAN ROYAL COURT (XVI-XVIII CC)

Summary

The audience in Georgia of foreign ambassadors has long and rich traditions. Appropriately, diplomatic etiquette of royal court was changing and taking its perfect form during the centuries. Also the menu of the royal feast was defined.

In the article is observed information kept in foreign and Georgian historic sources about the abovementioned rules and feast traditions in Georgian kingdoms (Kakheti, Kartalnia, Imereti and Kartalino-Kakheti) in XVI-XVIII cc.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის
განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ლიჩეზის სარდალ-მოურავები (XVIII საუკუნის გილოული – XIX საუკუნის დასაწყისი)

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (XV საუკუნის მეორე
ნახევარი) შემდეგ, ლეჩეზუმი – იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნა-
წილს ნარმოადგენდა.

XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ლეჩეზუმი სამეგრე-
ლოს სამთავროს საზღვრებში მოექცა. ამას წინ უძლოდა იმერეთის სამეფოში დაწყებული შინააშლილობა და სოფელ გორდში მცხოვ-
რებ აზნაურ ჩიქოვანთა (იგივე ჩიქვანთა) დაწინაურება.

1701 წლიდან გიორგი ჩიქოვანი სამეგრელოს მთავარი გახდა
ანუ გადადიანდა. მისი შთამომავლობა ამ სამთავროს ფაქტობრივ
გაუქმებამდე (1857 წ.) მართავდა [28, 17-24].

XVIII საუკუნიდან სამეგრელოს მთავრების ტიტულატურაში
აღნიშნული იყო, რომ სხვა სამფონელოებთან ერთად, ისინი იყვნენ
„სვან-თაკვერის“ მფლობელი [18, 103]. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ
თავიანთ უფლებებს სვანეთსა და ლეჩეზუმზე [17, 228].

ლეჩეზუმელ ფეოდალთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რაც აუ-
ცილებელი იყო ამ რეგიონის შესანარჩუნებლად, სამეგრელოს მთა-
ვარი დიდად სწყალობდა გავლენიან თავად გელოვანებს – სვანეთის
ერისთავთა შთამომავლებს. გელოვანები როგორც ლეჩეზუმში, ასევე
სამეგრელოს მთავრის კარზე საპატიო თანამდებობებზე მოღვაწე-
ობდნენ.

სტრაგეგიული თვალსაზრისით ლეჩეზუმი იყო უმნიშვნელოვა-
ნესი რეგიონი, რომელსაც იმერეთის მეფეები ტრადიციულად თვ-
ლიდნენ თავიანთ კუთხით ტერიტორიად, ხოლო სამეგრელოს მთა-
ვარები – ფორპოსტად იმერეთზე თავდასასხმელად [9, 243].

იმერეთის მეფეები სოლომონ I და სოლომონ II ენერგიულად
ცდილობდნენ ლეჩეზუმის დაბრუნებას. ისინი რუსეთის იმპერიის
მესვეურებისაგან ითხოვდნენ, რომ დაღიანი – მათ ვასლად, ხოლო
ლეჩეზუმი იმერეთის სახასო მამულად ეცნოთ [22, 573].

ამდენად, ლეჩეზუმის ფლობას როგორც იმერეთის მეფე, ასევე
სამეგრელოს მთავარი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამი-

ტომ, მათ შორის ურთიერთობის მონესრიგებას ეს საკითხი ყოველ-
თვის აბრკოლებდა.

ლეჩებუმს მართავდა სარდალ-მოურავი, რომელიც ამ რეგიონში
არსებული სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლების მეთაური
იყო.

მოურავობა საგვარეულო სახელოს წარმოადგენდა. მეფე მოუ-
რავს რომელიმე წარჩინებული გვარიდან არჩევდა და ამა თუ იმ ქა-
ლაქს, დაბას ან სოფელს აბარებდა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა: „ძველი ქართული ადმი-
ნისტრაციული წყობილების დედაბოძი მოურავის ინსტიტუტი იყო.
თავადურ-ბატონი ურთიერთობის წარმომადგენი – მოურავობა
შედარებით ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერ-
თობას გულისხმობდა. ეს ინსტიტუტი რთული შედგენილობისა იყო.
მოურავის მოსაკითხავი იყო სამოურავო ქვეყნის ადმინისტრაცია,
მისი ფინანსები და სამართალი. მოურავი საქართველოში მხარესაც
ჰყავდა, ქალაქებაც და სოფელებაც. 1801 წლისათვის მარტო სამეცნ
სოფლების მოურავი სამოცამდე ადიოდა. მოურავობა სამეცნიერ-
ო თანამდებობა იყო და მოურავები ყველა თავადაზნაურობიდან
გამოღიოდნენ. წერილ და მცირეულიან ქართველ თავადაზნაურობი-
სათვის მოურავობა მატერიალური არსებობის უმთავრეს წაყრის
წარმოადგენდა, მაგრამ იგივე იყო ამავე დროს მისი სოციალური
გავლენის არანაკლეპმნიშვნელოვანი წყარო“ [7, 432].

მოურავს ებარა სახასი მინები, ხოდაბუნები და ზერები. ის
ნაცვალთან, სოფლის მოსამართლეებთან და მამასახლისთან ერ-
თად, სამოურავოს ტერიტორიაზე სახელმწიფო გადასახადს ან სა-
განგებო გამოსალებს ანანილებდა. მოურავს დაკისრებული ჰქონდა
ადმინისტრაციული, საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციები.

მეფის მიერ წყალობის მიმღები „სამოურავოს“ იხდიდა იმის სა-
სარგებლოდ, ვის სამოურავოშიც ნაწყალობები შედიოდა. მოურავის
მამულს სამოურავოს გლეხები ამუშავებდნენ. გარდა ამისა, მოუ-
რავს შეეძლო მეფის სახასი ყმებიდან ამოერჩია ერთი შეძლებული
გლეხი და მისგან ესარგებლა ყველაფრით, რაც იმ გლეხს მეფის სამ-
სახურად „ედუა“. მოურავს ეკუთვნიდა: „ქვრივის საჩექმო“, საომა-
რი ნადავლის წილი. მოგზაურობისას, ის უზრუნველყოფილი იყო
საკებით და ოჯახში წასაღები „ძლვენით“ [14, 48].

იმერეთის სამეცნოს ტერიტორიაზე მოქმედი 26 მოურავიდან
ყველაზე მეტი უფლებებით სარგებლობდა ქუთაისის მოურავი, რო-
მელსაც იმავდროულად სარდლის წოდებაც გააჩნდა. აქ შეგვიძლია
პარალელი გავალოთ ლეჩებუმთან, რომლის სარდალ-მოურავი სა-
მოქალაქოსთან ერთად, აღჭურვილი იყო სამხედრო ფუნქციითაც.

XVII საუკუნის მინურულადებული ლეჩებუმის გამგებლის თანამდე-
ბობა მემკვიდრეობითი არ ყოფილა. ამ მხარის დროებით მმარ-

თეველს იმერეთის მეფე ნიშნავდა. შემდგომ პერიოდში, ლეჩებუმის
მართველი სარდალ-მოურავად იწოდებოდა. ამ თანამდებობაზე რო-
მელიმე წარჩინებული თავადის დანიშვნის საკითხს XVII საუკუნის
ბოლობდან – საუკუნენახევრის განმავლობაში სამეგრელოს მთავარი
წევეტდა [21, 28].

XVIII საუკუნის 80-იანი წლების მინურულიდან – XIX საუკუნის
10-იან წლებამდე, სარდალ-მოურავობა თანამიმდევრულად ეკავათ
ოცვად გელოვანთა საგვარეულოს წარმომადგენლებს, რომლებსაც
სამეგრელოს მთავართაგან სხვა წყალობაც არ აკლდათ.

შემორჩენილია საისტორიო საბუთები, რომელთა მიხედვითაც
სამეგრელოს მთავრებმა გრიგოლ და მანუჩარ დადიანებმა ლეჩებუ-
მის სარდალ-მოურავს ქაიხოსრო გელოვანს და მის შვილებს: ბერის,
გორგის, შმაგის და ლევანს სამუდამო მფლობელობაში გადასცეს
სხევადასხვა სოფლებში მდებარე ადგილ-მამულები და ასევე ყმა-
გლეხობა [32, 71].

ამის მიუხედავად, ურთიერთობები დადიანებსა და გელოვა-
ნებს შორის ზოგჯერ მაინც იძაბებოდა, რადგან ლეჩებუმის სარდალ-
მოურავები სამეგრელოს მთავრისაგან მეტი დამოუკიდებლობის
მოპოვებას ცდილობდნენ [9, 243].

წინამდებარე სტატიაში შესწავლილი გვაქეს ლეჩებუმის სარ-
დალ-მოურავების ქაიხოსრო და ბერი გელოვანების ცხოვრება და
სახელმწიფოებრივი მოღვანეობა.

1. სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი

XVIII საუკუნის 80-იან წლებში სამეგრელოს მთავარმა ლეჩებუ-
მის სარდალ-მოურავად დანიშნა თავადი ქაიხოსრო გელოვანი, რომ-
ლის მხარდაჭერასაც დადიანისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა
ჰქონდა [10, 109].

„დიდ ნიკოდ“ წოდებული ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო
მოღვანე, გენერალ-მაიორი ნიკო დადიანი (გარდ. 1834 წ.) თავის
თხზულებაში „ქართველთ ცხოვრება“ ქაიხოსრო გელოვანს ასე ანა-
სიათებს: „დიდ-შემძლე ეაცი... რომელი მოურაობდა ლეჩებუმს და
მძლავრებდა ოდიშაცა“ [12, 186].

ერთი მოსაზრებით, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქ. გელო-
ვანი სათავეში ედგა ლეჩებუმის ერთ-ერთ სამოურავოს, ხოლო სრუ-
ლიად ლეჩებუმის სარდალ-მოურავად იგი 1788 წლიდან დაინიშნა
[19].

1766 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ეს ე
ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგინერე და მოგართვი ბაკურაძემ
გაბრიელმან და ჩემმან შვილმან გოტამ და კაცინიკმან და სხვა ჩემ-
მან ქმამ მამუკამ და ჩვენმა მომავალმა სახლისა ჩვენისამ თქუენ,

ჩვენს მოურავს გელოვანს ქაიხოსროს და თქვენს შვილს ბერუეას და მანუჩარს და სხვათა თქვენთან შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ასე და ამა პირსა ზედა, რომ დამჭირდა და მოგყიდე უოშას გელოვანის მონაციდი მამული” [18, 112].

საგულისხმოა, რომ ამ დოკუმენტში ქ. გელოვანი მოიხსენიება მოურავად და არა სარდალ-მოურავად. იმავე წლით დათარიღებულ მის ბეჭედზე ვკითხულობთ მხედრულ ზედნერილს: „ მოურავი გელოვანი ქაიხოსრო”. ეს ბეჭედი რვაკუთხა ფორმისაა [5, 103].

სამეგრელოს მთავრის კაცია II დადიანი მიერ ცაიშის ლვთის-მშობლის ეკლესისადმი 1777 წელს გაცემულ სიგელში მონმეებად დასახელებული არიან შემდეგი პირები: კათალიკოსი მაქსიმე, ანტონ ჭყონდიდელი, სოფრომ ცაგარელი, მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, არქიმანდრიტი გერმანე, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, მთავრის ძმები ნიკოლაოსი და გიორგი, მთავრის ბიძა მანუჩარი და მისი ძე – გიორგი [33, 111].

ამ საბუთშიც ქ. გელოვანი კვლავ მოურავად მოიხსენიება.

ლეჩეუმის სარდალ-მოურავად ქ. გელოვანი 1799 წლამდე, ანუ თავისი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. იმ პერიოდის საისტორიო დოკუმენტში მეფე სოლომონ II-ისა და სამეგრელოს მთავართა – დადიანთა საგვარეულოს ნარმომადგენელთა გვერდით ქ. გელოვანის სახელი პატივით იხსენიება.

სამეგრელოს მთავართა მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუ-მენტში ნახსენებ მონმეთა შორის ლეჩეუმის სარდალ-მოურავს საპატიო ადგილი ეკავა. როგორც წესი, იგი დასახელებული იყო სა-მეგრელოს სამთავროს სახლთუხუცესის და სამთავროში ცნობილი სხვა საპატიო პირების წინ.

მთავრის მიერ გაცემულ ზოგიერთ სიგელში ქ. გელოვანთან ერთად მისი ვაჟებიც იხსენიებიან. მაგალითად, გრიგოლ დადიანის მიერ 1790 წელს გაცემულ სიგელში ცაგერის ლვთისმშობლის ეკლე-სისადმი მონმეთა შორის დასახელებული არიან სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და მისი შვილები ბერი და გიორგი [33, 182].

ლეჩეუმის სარდალ-მოურავები აქტიურად მონაცილებდნენ როგორც სამეგრელოს სამთავროში, ასევე იმერეთის სამეფოში მიმ-დინარე პოლიტიკურ პროცესებშიც. ისინი ლეჩეუმში დამოუკიდებელი პოლიტიკას ატარებდნენ და ცდილობდნენ იმერეთისა და სამეგ-რელოს მმართველებს შორის ნარმოქმნილი პოლიტიკური დაპირის-პირება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

1788 წელს სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი გარდაიცვა-ლა და ტახტი მისმა 18 წლის ვაჟმა – გრიგოლმა გაიკავა. მისი გამ-თავრება იმერეთის მეფის დავით II-ისათვის (მეფობდა 1784-1789 წლებში) მიუღებელი აღმოჩნდა.

1789 წლის იანვარში დავით II-მ სამეგრელოში ილაშქრა და შოთავრის ტახტზე გრიგოლ დადიანის უმცროსი ძმა – მანუჩარი დას-ცა. გრიგოლ დადიანმა თავი ლეჩეუმში შეაფარა. ქაიხოსრო გელო-ვანმა განდევნილი მთავარი პატივით მიიღო.

სამეგრელოს თავადაზნაურობა ორ ნაწილად გაიყო, ერთი გრიგოლს ემხრობოდნენ, მეორენი კი მანუჩარს.

გრიგოლის მომხრეთა ბანაკს მეთაურობდნენ ლეჩეუმის სარ-დალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და სამეგრელოს სახლთუხუცე-სი გორგი ჩიქოვანი. მათი რჩევით, გრიგოლმა ქართლ-კახეთის მე-ფე ერეკლე II-ს სთხოვა, თბილისში მყოფი მისი შვილიშვილი (ელენე ბატონიშვილისაგან), იმერეთის ტახტის პრეტენდენტი დავით არჩი-ლის ძე (1772-1815) ლეჩეუმში გაეგზავნა [12, 184].

აღსანიშნავია, რომ დავით ბატონიშვილი სოლომონ I-ის ძმის – არჩილის ძე იყო და თავისმა გვირგვინოსანმა ბიძამ იგი იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ სიცოცხლეშივე აღიარა [15, 776].

მინვევას სიხარულით გამოხმაურა დავით არჩილის ძე, რომე-ლიც ქართლიდნა იმერეთში გადავიდა. იმერეთის თავადთა ნაწილმა (წერეთლები, წულუკიძეები და სხვები), რომელიც უკმაყოფილო იყო დავით II-ის მმართველობით, ტახტისმაძიებელი ბატონიშვილი პატი-ვით მიიღო და ლეჩეუმში გააცილა.

ლეჩეუმში ჩასულ დავით ბატონიშვილს მურის სასახლეში ცო-ლად შერთეს გრიგოლ დადიანის და – მარიამი [12, 184]. ასე შეიქმნა მძღავრი აღიანსი იმერეთის მეფის დავით II-ის ნინააღმდეგ.

1789 წლის 11 ივნისს, ხონის მახლობლად, ხუნბ-მათხოვის ჭა-ლაში მომხდარ ბრძოლაში დავით ბატონიშვილის მომხრეებმა დაა-მარცხეს დავით II, რომელმაც თავი ახალციხეს შეაფარა. ბრძოლაში დაიღუპა ქ. გელოვანის ვაჟი – მანუჩარი [12, 185].

იმერეთის ტახტზე ავიდ დავით ბატონიშვილი, რომელსაც თა-ვისი ბიძის პატივსაცემად სოლომონ II ენდა [23, 209], ხოლო სამეგ-რელოს მთავრობა კვლავ გრიგოლმა დაიბრუნა.

1792 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა იმერე-თის მეფეს სოლომონ II მიართვა ნიგნი ქურდების დასჯის შესახებ, რომლის დასასრულს ვკითხულობთ: „ამისი მონამე და დამამტკიცე-ბელი მათი ყოვლად სამღვდელობა ქუთათელ მიტროპოლიტი დო-სითეოს, გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, მთავარეფისკოპოსი ან-ტონი, ჩემი ძმა ბატონის-შვილი გიორგი, ლეჩეუმის სარდალ-მოურა-ვი გელოვანი ქაიხოსრო, ჩიქუა გიორგი და სხვანი, ერთობით კარისა ჩემისა დიდებული“ [25, 528].

ზემოხსენებული დოკუმენტიდან ცხადი ხდება, რომ სამეგრე-ლოს მთავრის კარზე ლეჩეუმის სარდალ-მოურავს, ქ. გელოვანს სა-პატიო ადგილი ეკავა. იგი უფრო წინ მოიხსენიება, ვიდრე სამეგრე-ლოს ერთ-ერთი უნარჩინებულესი თავადი გიორგი ჩიქუა.

სოლომონ II და გრიგოლ დადიანი დიდად დავალებული იყვნენ ქაიხოსრო გელოვანისაგან, რომელიც მათ ტახტზე ასაყვანად თავდადებით იძრძოდა. ამის მიუხედავად, მოგვიანებით, ყოფილ მოკავშირეთა ურთიერთობებში სერიოზული ბზარი გაჩნდა.

6. დადიანი შენიშვნავდა: „გარნა ბოროტ-მოპაზრეთა კაცთა, რომელინი უთანხმოებისა გამო ჰანგარებითა სარგებლობდენ, კვალად ქმნეს აღრეულება შორის მეფისა და დადიანისა და იქმნა განხეთქილება“ [12, 186].

სოლომონ II-ს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება სურდა. მას ხელს უშლიდა გრიგოლ დადიანი, რომელსაც თავი სრულიად დამოუკიდებელ მმართველად ეჭირა. მეფეს მიემხრო ქ. გელოვანი, რომელიც ასევე უკამაყოფილო იყო გრიგოლ დადიანის მმართველობით. იგი დაუკავშირდა იმერეთის გავლენიან თავადს ზურაბ წერეთლს (რომლის ძმისნულიც ცოლად ჰყავდა ქ. გელოვანის ვაჟს – გიორგის) და გრიგოლ დადიანის ძმას – მანუჩარს. 1792 წელს მათ საერთო ძალებით განდევნეს გრიგოლ დადიანი და სამეგრელოს მთავრად კვლავ მანუჩარი დასვეს [12, 186].

მანუჩარი სუსტი მმართველი იყო. ამიტომაც იგი მისაღები აღმოჩნდა როგორც იმერეთის მეფისათვის, ასევე ლეჩეუმის სარდალ-მოურავისათვისაც. ეს უკანასკნელი ახლა უფრო დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, ვიდრე ძლიერი მმართველის – გრიგოლ დადიანის მთავრობის დროს.

ტახტისმაძიებელი გრიგოლ დადიანი მოურიგდა თავის ყოფილ მტერს, ასევე ტახტისმაძიებელ დავით II-ს. მათ გვერდით აღმოჩნდა ქაიხოსრო აბაშიძეც, რომელიც 1784 წელს დავით II-ს იმერეთის ტახტს ეცილებოდა. ყოფილმა მონინააღმდეგებმა ძველი მტრობა დროებით დაივიწყეს და სოლომონ II-ს გაერთიანებული ძალებით შეუტიეს.

1794 წლის 24 ოქტომბერს მომხდარ ბრძოლაში სოლომონ II-მ მტერს კვლავ სძლია. მას მხარს უჭერდა თავისი პაპის – ერეკლე II-ის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, ასევე მანუჩარ დადიანი და ქ. გელოვანი თავიანთი ლაშრითურთ.

6. დადიანი წერდა: „დადიანი მანუჩარ მოვიდა ქუთაისს ოდიშ-ლეჩეუმითა სპითა, სადა პირველობდა ქაიხოსრო გელოვანი ოდიშ-ლეჩეუმთა შორის“ [12, 186].

1795 წელს მანუჩარ დადიანმა მადლიერების ნიშნად ქ. გელოვანს უბოძა ლენტეხი და ლარაშის ციხე მასში შემავალი სოფლებითურთ. იმავდროულად, მთავარმა ქაიხოსრო ხორგის მოურავადაც დანიშნა [23, 220-221].

მანუჩარ დადიანის მიერ ქ. გელოვანისადმი ბოძებულ სიგელში კვითხულობთ: „ქ. დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა მამისა მიერ

კურთხეულმან და მადიდებელმან ყოვლად უპატიოსნესისა და უზენაესისა, დიდებულისა დედოფლისა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელმან და მონყალებისა და საფარველისა მათისა მინდობილმან პონტოისა ზღვისა, ოდიშ-აფხაზთა, თაკვერთა და სვანთა მფლობელმან დადიანმან, მთავარმან მანუჩარმან ესე მტკიცე და უტყუელი დავთარი აღგინერე და გიბოძე შენ, ჩემს ერთგულ და ჩემთვის თავდადებულ სარდალ-მოურავ გელოვანს ქაიხოსროს, ძეს შენსას ხერის, გიორგის, დავითს და ლევანს და სხვათა ძეთა და მომავალთა თქვენთა, ასე და ამა პირსა ზედა, რომა თქვენ სწორეთ ჩემის ხელ-მშიფობისა და ამაღლებისა და ერთგულებისათვის მამიან-შვილიანად სისხლ დასათხევად თავდადებულ შევიქენით და ამ ღვანლისათვის მეც ვიგულმდგინე და როგორამც გულ შეგვჯერდებოდა, სწორი და სრული ქრთამიც გამოგართვი და გინყალობე ლარაშის ციხე მისის სოფლებიანად და მისის შემოსავალ-გამოსავლიანად როგორც მამაჩემს აქვნდა, აგრეთ ის ლენტეხი, ლარაშის ციხე უკლისად, მისი შემავალ რაც რამ იყოს და საძებარ-უშედებიანად უკლისად ჩემის დიდის ერთგულებისათვის მიბოძებია, გაქვნდეს საუკუნოდ და გინეზნიეროს ლმერთმან შენ და შენს ძეს და მომავალს საუკუნოდ.

ანი ვინც და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩუენ მიერი წყალობის დავთარი და იმიერ წერილებისათვის ხელყოს შლად, ისემც მოიშლება მრჩობლითავე ცხოვრებისა შვებითა და სუფევთა შეჩვენებულიც იქნება წმიდისა სამებისაგან“ [2, 2].

გრიგოლ დადიანმა სამთავროს დაბრუნება ისევ ქ. გელოვანის გადაბირებით სცადა, რაც თავისი ბიძის – გიორგი დადიანის მეშვეობით მოახერხა. მართლაც, გელოვანი დიდად დაეხმარა გრიგოლს ქერ ქუთაისის ციხიდან გაძარვაში, ხოლო შემდეგ გამთავრებაში. ქ. გელოვანმა გრიგოლს ლეჩეუმის ციხეები ჩააბარა და ლეჩეუმელ წარჩინებულებითან ერთად ერთგულების ფიცი მისცა.

სერგი მაკალათია მიუთითებდა: „გრიგოლმა თავისი ბიძის გიორგი დადიანისა და ლეჩეუმის სარდალ-მოურავის ქაიხოსრო გელოვანის დახმარებით შეძლო გადასულიყო სამეგრელოში, სადაც ის გამაგრდა ნოლას ციხეში. სოლომონ II-მ და მანუჩარ დადიანმა ალყა შემოარტყეს ნოლას ციხეს, მაგრამ ციხის აღება ვერ შეძლეს. მაშინ მეფე იძულებული შეიქმნა საქმე მორიგებით დაებოლოვებინა“ [20, 133].

1798 წელს სოლომონ II-მ სამეგრელოს მთავრად სცნო გრიგოლ დადიანი, ხოლო მანუჩარ დადიანმა საუფლისნულოდ სალიპარტიინ მიიღო [12, 188-190].

გრიგოლ დადიანის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ქ. გელოვანმა შეასრულა. მიუხედავად ამისა, გრიგოლის გაძლიერება მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს ვითარება თავის სასრგებლოდ

გამოიყენა სოლომონ II-მ და ქაიხოსრო გელოვანთან კავშირი შექრა [23, 226].

1799 წელს ქაიხოსრო გელოვანი ინტრიგების მსხვერპლი გახდა. ლეჩხუმის სარდალ-მოურავისა იმდენად ეშინოდა სამეგრელოს მთავარს, რომ მისი მოვლა გადაწყვეტა.

6. დადიანი მოგვითხრობს: „გარნა მძლავრობდა ყოველს ოდიშ-ლეჩხუმისა კვალდ გელოვანი ქაიხოსრო. ამისთვის ვერა მომთმენელმან გელოვანის ქაიხოსროს საქციელისამან გრიგორი დადიანმან ეზრახა მეფესა სოლომონს საიდუმლოთ და ურთიერთის პირის შეთქმითა მოჰკლა გრიგორი დადიანმა გელოვანი ქაიხოსრო გორდს და უმეტესად შემოიმტკიცა გრიგორი დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმი და ყოველი მიმდგომი ქაიხოსრო გელოვანისა დაამდაბლა“ [12, 190].

შემოგვრჩა ცნობა, რომ იმერეთის მეფის ბრძანებით, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა ქ. გელოვანი სოფელ გორდში ვერაგულად მოაკვლევინა, რის შემდეგაც, მიცვალებულის მოჭრილი თავი სოლომონ II-ს ქუთაისში გაუგზავნა [24, 357].

საისტორიო წყაროში ვკითხულობთ: „ჩლ(უ)თ წელს დადიანმა გრიგოლმა მეფის სოლომონის არჩილის ძის ბრძანებით ღალატით მოაკვლევინა ლეჩხუმის თავადი, იმ უამად ჩინებული კაცი, ქაიხოსრო გელოვანი, სოფელსა გორდს, რომლისაც თავი (მოართვეს) მეფეს ქუთაისს“ [27, 450].

1810 წლის 29 მარტს საქართველოში დისლოცირებული რუსეთის საიმპერიო არმიის მთავარსარდალს, კავალერიის გენერალ ტორმასოვს პოლკოვნიკი სიმონოვიჩი აცნობებდა, რომ რაღაც ინტრიგების გამო, ქ. გელოვანი სამეგრელოს მთავრის მეუღლის – ნინოს (ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ასულის) თვალწინ მოკლეს [30, 395].

ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, ქ. გელოვანის ორმაგმა პოლიტიკის მეფისა და მთავარს შორის წარმოქმნილ დავაში გააღიზიანა ორივე მხარე და სარდალ-მოურავი მათი საიდუმლო გარიგების მსხვერპლი გახდა [10, 110].

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გრიგოლ დადიანს შეეძინდა სარდალ-მოურავის კავშირისა სოლომონ II-სთან და ის ამიტომ მოაკვლევინა [23, 226].

მიუხედავად იმისა, თუ რა იყო ქ. გელოვანის სიკედილის ჭეშმარიტი მიზეზი, ფაქტია, რომ იგი დიდად გავლენიანი ფეოდალი იყო, რომლის პოზიციასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის მუდმივად არსებულ დაპირისპირებაში. ისიც ფაქტია, რომ ლეჩხუმის სარდალ-მოურავი დამოუკიდებელ მმართველად ყოფნის სურვილს შეენირა.

ქ. გელოვანმა და მისმა მეუღლემ როდამ დგებუაძემ მდინარე ლაჯანურის პირას გელოვანთა საგვარეულო ეკლესია ააგებინეს.

ამ ეკლესის წარწერა გვაუწყებს: „ქ. შენ, ცათა უვრცელეს უმაღლესო დედოფალო მარიამ მე, ფ[რია]დ ცოდვილმან მონამან მინდობილმან საფარველთა შენთამან: მსასობელმან, სარდალ-მოურავმან გელოვანმან ქაიხოსრო და მეუღლემან ჩემმან დგებუაძის ასულმან როდამ აღვაშენეთ ეკლესია ესე შენ მიერითა წყალობითა სახელსა ზედა შობისა შენისა და შევამკვეთ ყ[ოვლ]ითა სამდვდელოთატ და ნიგნებითა: და დავახატვინეთ: კანკელი ესე მრჩობლთა ცხოვრებათა ჩვენთა წარსამართუბელად: და სულთა ჩვენთა საუკუნოდ მოსახსენებლად, რათა მეოს იყო ჩვენთვის წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა ლირს გვყვენ ჩვენ მარჯვენით დგომად წინაშე ძისა შენისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა. მოანიჭე სრულ იქნა დეკემბერს მ. ქრისტეს აქეთ: ჩ. ღ. ჟ. შ. მ.

უფალო იესო ქრისტე ღ[მერო]თი შეინწყალე გლახაკი და ფ[რია]დ ცოდვილი მონა შენი დავით ბეჟიაშვილი: ქართველი: ამინ“ [16, 39-40].

ქ. გელოვანი მისი გარდაცვალების შემდეგ გაცემულ საბუთებ-შიც იხსენიება.

1825 წელს, სამეგრელოში ლევან V დადიანის (1805-1846) მთავრობის პერიოდში, სასამართლომ განიხილა თავად მანუჩარ ჩიქოვანისა და მისი ნათესავების თავადების მერაბ და კოხტა ჩიქოვანების საქმე.

სასამართლოს დოკუმენტი გვამცნობს, რომ როდესაც მთავარ კაცია დადიანის ბრძანებით, თავადი ბუჭუ ჩიქოვანი მოკლეს, ბუჭუს დაობლებული შვილები ქ. გელოვანმა თავისთან წაიყვანა და მათ რამდენიმე წლის განმავლობაში პატრიონობდა [3].

მოგვიანებით, მანუჩარ ჩიქოვანმა ქ. გელოვანის ასულზე – ხვარამზე (ხვავხა) გელოვანზე იქორნინა.

1866 წელს რუსეთის იმპერიის სენატმა სცნო ქ. გელოვანის მრავალრიცხოვანი შთამომავლების თავადური ლირსება და მათი სახელები იმპერიის თავადაზნაურთა საგვარეულო ნიგნის V განყოფილებაში შეიტანა.

ამრიგად, 1788-1799 წლებში ლეჩხუმის სარდალ-მოურავი იყო თავადი ქაიხოსრო გელოვანი, რომელიც ამ რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა.

2. სარდალ-მოურავი ბერი გელოვანი

1802 წელს სოლომონ II-მ მანუჩარ დადიანთან ერთად ლეჩხუმი დააღმქრა. მეფის სარდალობით ჯარმა აიღო ყველა ციხე, გარდა მურის ციხისა. სოლომონ II-მ „დაამძევლა და შემოიფიცა ლეჩხუმის სოფელს მცხოვრებნი“ [24, 357].

მეფეს ლეჩხუმელთა ნაწილიც მიემხრო, რამაც გრიგოლ დადიანი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მან სოლომონს სთხოვა მანუჩარი ლეჩხუმში დაეტოვებინა და უკან გაპრუნებულიყო, რის სანაცვლოდაც მეფეს აღუთქეა, რომ მის ნებისმიერ სურვილს შეასრულებდა. სოლომონმა რაჭისა და ლეჩხუმის საზღვარზე მდებარე ჭყვიშის ციხე მოითხოვა. ამ თხოვნაზე დადიანმა თანხმობა განაცხადა.

მოკავშირის გარეშე დარჩენილი მანუჩარი იძულებული გახდა, თავი ორბელის ციხისათვის შეეფარებინა და უფროსი ძმისათვის პატიება ეთხოვა. ამის შემდეგ სოლომონის ნინააღმდეგ ორივე ძმა ერთად იბრძოდა.

მანუჩართან შერიგების შემდეგ გრიგოლმა ჭყვიშის ციხის დათმობა აღარ ისურვა.

იმავე წელს სოლომონ II-მ ჭყვიშის ციხე აიღო. მან სოფელ უსახელოსთან მომხდარ ბრძოლაში გრიგოლ დადიანი დაამარცხა და მთელი ლეჩხუმი დაიკავა. ლეჩხუმის სარდალ-მოურავად მან ბერი ქაიხოსროს ძე გელოვანი დაადგინა [12, 190-191].

1802 წლის აგვისტოში სოლომონ II-მ პ. გელოვანს შემდეგი სიგელი უბოძა: „ძლიერებით და ნებით დაუსაბამო ღმერთისათა, ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატიანმან სრულიად იმერეთის მპყრობელმან მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ ესე ამიერიდან არაოდეს არ მოშლილი წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულს ყმას – გელოვანს ბერს და შენთა შვილთა და მომავალთა ესრეთ და ესევითარად, რომ ჩემის ძველ სამკიდრო ქვეყანა უამთა ვითარებისაგან დაკარგული გვქონდა და დასაკავებლათ მოველით.

ლმერთის ნებით და შენის ერთგულებით და გარჯოლობით ზოგი რომელიმე დავიკავე და ზოგი კიდევ გვაკლია და ლმერთის შეწევნით ვცდილობთ ჩენი სამკიდრებელი ქვეყანა ამოვიგო და დავიკავო, თუ ლმერთის ნება იქმნა. შენც გულის ხმობით ჩემს ერთგულებას ეცადე, გაისარჯე და ლეჩხუმი დავიკავე. საცა ინებო, ლეჩხუმში და გამოიჩიო... საუკუნოთ გიბოძო. არც ჩემგან, არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთან არც შენ და არც შენს შვილს და მომავალს ეს ჩემგან წყალობა არასოდეს არ მოგეშალოსთ, თუ თქვენ ჩემი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისათა მრჩალი იქმნეთ და უკეთუ ვინმე მძლავრებით იყადროს და ხელყოს შლან ამა ჩვენ მიერისა ბოძებულისა ნერილისა, მყის თანად ენიენ მას რისხვა ღვთის მიერი და სახლს მისსა და შვილთა მისთა“ [1, 1].

ჭყვიშის ციხეს უდიდესი სტრატეგიული დანიშნულება გააჩნდა. რაჭიდან ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ, ასევე ლეჩხუმის გავლით სამეგრელოსაკენ მიმავალ უმოკლეს გზებს სწორედ ეს ციხე კეტავდა. ცნობილია, რომ დადიანმა ქვემო სვანეთის დამორჩილება მხოლოდ ჭყვიშის ციხის აგების შემდეგ შეძლო [6, 58].

სოლომონ II-მ ჭყვიშის ციხე-სიმაგრის მოურავად დანიშნა ბერი სოლომონის უმცროსი ძმა – გიორგი ქაიხოსროს ძე გელოვანი (1770-1824) [14, 163]. მას ცოლად ჰყავდა (მეორე ქორნინება) იმერეთის ჩარჩინებული თავადის პაპუნა ნერეთლის ასული – ელისაბედი. ამის გამო, მიუხედავად სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის შეთავაზებისა, რომ მის სამსახურში ჩამდგარიყო, გიორგი გელოვანი სოლომონ II-ის მეფობის დასასრულამდე მისი ერთგული დარჩა.

გ. გელოვანის ბეჭედზე ვკითხულობთ სამსტრიქონიან მხედრულ ლეგენდას: „სარდალ გელოანის ძე გიორგი“. ბეჭედი რვაკუთხა ფორმისაა [5, 104].

1804 წელს სამეგრელოს მთავარმა მას ჩამოართვა ლეჩხუმში მდებარე უძრავ-მოძრავი ქონება და მის უფროს ძმას – სარდალ-მოურავ ბერის გადასცა.

იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810) შემდეგ, გ. გელოვანი სამეგრელოს მთავრის სამსახურში ჩადგა და მდივანბეგობა მიიღო. სამეგრელოს სამთავროს მდივანბეგი იყო მისი ვაჟიც – ფარნაოზ ციორგის ძე გელოვანი (1808-1844).

გრიგოლ დადიანი რევანშის აღებას ცდილობდა. მან ბრძოლის წაგრძელება აფხაზთა დაქირავებული ლაშქრის დახმარებით სცადა. სამეგრელოში ჩასული აფხაზეთის მთავარი ქელაიშ-აპედ-ბეი შარგაშიძე იმერეთის მეფის ძლიერ ლაშქართან შეტაკებას მოერიდა და უკან გაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში შექრილმა სოლომონმა მთავრად გრიგოლ და მანუჩარ დადიანების უმცროსი ძმა – ტარიელი (იგივე ოტია) დანიშნა, გორდისა და მურის ციხეებში გამაგრებული გრიგოლის შეპურობა მან მაინც ვერ მოახერხა.

1802 წლის 25 აგვისტოს სოლომონ II-მ რუს სარდალს ი. ლაზარევს ნერილობით აცნობა, რომ მისმა ლაშქარმა ლეჩხუმში მდებარე შვიდი ციხე ციხე აიღო [29, 573].

შექმნილ ურთულეს ვითარებაში გრიგოლ დადიანმა გადაწყვიტა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო, ხოლო თავისი სამთავროსათვის ავტონომიური სტატუსი დაემკვიდრებინა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მან გაითვალისწინა, რომ იმ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველო უკვე რუსეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული და თბილისში რუსული ადმინისტრაცია ფუნქციონირებდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ საქართველოს მთავარმართებელი, ინფანტერიის გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) ყოველნაირად ცდილობდა რუსეთის იმპერიის საზღვრებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამეფო-სამთავროებიც მოექცია.

ერეკლე II-ის შეილიშვილი ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) თავის თხზულებაში შენიშნავდა: „ჭირისა გამო მეფისა სოლომონის

მიერ, დადიანმან გრიგოლ კუალად განუახლა ციციანოვსა თხოვილი თვისი და მფარველობა როსისა” [4, 56].

1803 წლის 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა სამეგრელოსა და ლეჩხუმის თავადებათან ერთად რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა. რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად დადიანმა მოითხოვა, რომ ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს ნაწილად ეცნოთ.

იმპერატორისადმი გაგზავნილ „სათხოვარ მუხლებში”, რომლის შედგენაშიც სამეგრელოს მთავარს პავლე ციციანოვი დაეხმარა, გრიგოლ დადიანი დასახელებულია, როგორც „კანონიერი მფლობელი ოდიშის, ლეჩხუმის, სვანეთის, აფხაზეთისა და ყველა იმ მიწებისა, რომლებიც ოდითგან ჩემს წინაპართა კუთვნილებად ითვლებოდა“ [11, 126-127].

პროფ. მიხეილ გონიკეშვილი შენიშვნავს: „რა თქმა უნდა, ციციანოვი აზვიადებდა გრიგოლ დადიანის მდგომარეობას, უფლებებს. არც ლეჩხუმი და არც სვანეთი, არც აფხაზეთი სამეგრელოს მთავარს არ ემორჩილებოდა. ციციანოვს ამით მხოლოდ გრიგოლ დადიანის გულის მოგება უნდოდა და თანაც დიპლომატის თვალით წინ იყურებოდა. თავისი განცხადებით ურჩ მეფე სოლომონ მეორეს აგრძნობინა, რომ ლეჩხუმი მომავალში სამეგრელოს მთავრისა იქნებოდა. სვანეთისა და აფხაზეთის მფლობელებს კი გადაკვრით აგრძნობინა, რომ ამ ტრაქტატით ისინი სამეგრელოს მთავართან ერთად რუსეთის ქვეშევრდომებად ჩაითვლებოდნენ“ [11, 137].

1804 წლის 4 ივლისს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამეგრელოს მთავრის მიერ შეთავაზებული პუნქტები დაამტკიცა. დადიანის თხოვნის შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლებამ ლეჩხუმი მის საკუთრებად აღიარა. ამიერიდან სამეგრელოს მთავრის მტერი იმავდროულად რუსეთის მტრადაც ითვლებოდა.

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულმა სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა ლეჩხუმის სარდალ-მოურავ ბერი გელოვანს მის სამსახურში ჩადგომა შესთავაზა.

თავდაპირველად, ბ. გელოვანი მეფის ერთგული იყო. შემორჩენილია მისი წერილი სოლომონ II-ისადმი, სადაც იგი მეფეს ერთგულებას ეფიცება [31, 184]. მოგვიანებით სარდალ-მოურავმა პოზიცია შეიცვალა. ეს იმ რეალური ვითარების შედეგი იყო, რომელიც სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში შეიქმნა. ბ. გელოვანი დარწმუნდა, რომ ამიერიდან იმერეთის მეფის მხარდაჭერა მას სავალალო შედეგს მოუტანდა.

6. დადიანი წერს, რომ მთავრის შეთავაზების შესაბამისად, „პერმან გელოვანმან დაუტევა ერთგულება მეფისა და იქმნა ერთგულ დადიანისა გრიგოლისა, ვინათგან მემკვიდრეობით იყო ყმა

მასში გრიგოლისა და სახლი გელოვანთა ამაღლებულ იყო კა- წინა დადიანისაგან“ [12, 193].

გრიგოლ დადიანმა ბ. გელოვანს მდივანბეგობა უბოძა. თავის სიკელში იგი აღნიშნავდა ბ. გელოვანის ერთგულებას და დამსახურებას სამეგრელოს საზღვრებში ლეჩხუმის შენარჩუნების საქმეში [32, 73].

1804 წლის სამეგრელოს მთავარი რამდენჯერმე მონამლეს, რაც მისი მძიმედ დასნეულების მიზეზი გახდა. საფიქრებელია, რომ ის საქმეში შისი პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები ერიგნენ [13, 32].

იმავე წლის 19 ოქტომბერს მომაკვდავი გრიგოლ დადიანი მთავარმართებელ ბ. ციციანოვს სწრდა: „ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ბრძანებას ნუ განაქარვებ, ჩემი ლევანის მეტი ოდიშისა და ლეჩხუმის მემკვიდრე ნურავინ იქმნება“ [29, 490].

წერილის დასარულს მთავარი ხელს აწერდა, როგორც „სამეგრელოსა და თაკვერისა მფლობელი, მთავარი დადიანი გრიგორი“ [29, 490].

აღსანიშნავია, რომ მთავრის გადარჩენა არ იყო ხელსაყრელი პრა მხოლოდ სოლომონ II-სათვის და სამეგრელოს სამთავროს მრავალი გავლენიანი ფეოდალისათვის, არამედ თვით დედოფლად ნინო-სათვისაც, რომელმაც მეუღლეს ცოლ-ქმრული დალატი ვერ აპატია. ამის გამო, მძიმედ დასნეულებული გრიგოლ დადიანი ფაქტობრივად ბედის ანაბარად მიატოვეს.

მიუხედავად ამისა, დადიანის გადარჩენა საიდუმლოდ სცადა ბ. გელოვანმა. მან იმერეთში მყოფ ცნობილ მკურნალს, კათოლიკე პატრინიკოლას სანდო პირის ხელით წერილი გაუგზავნა და მთავრის განსაკურნად ზუგდიდში მიინვია. როდესაც პატრი სასახლეში მივიდა, მას დადიანი უკვე გარდაცვლილი დახვდა [11, 141-142].

კ. ბოროზდინი წერდა: „გრიგოლი დიდხანს არ დარჩენილა სამეგრელოს მთავრად: ამბობენ, იმერეთის მეფე სოლომონი ძალიან გულმოსული იყო, ლეჩხუმი როგორ წამართვაო და ამიტომ მოანამდონია“ [8, 4].

ლეჩხუმში, მურის სასახლეში მყოფი გრიგოლ დადიანი 1804 წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა [12, 193].

იმ დროისათვის ტახტის მემკვიდრე - ლევან გრიგოლის ძე დადიანი მცირენლოვანი იყო (იგი მხოლოდ სრულნლოვანების მიღწევის შემდეგ, 1811 წელს გახდა მთავარი), რის გამოც სამთავროს მმართველად და მემკვიდრის მეურვედ მისი დედა - ქვრივი დედოფლი ნინო გამოცხადდა.

1805 წლის იანვარში შეიქმნა სამეგრელოს მმართველობის დროებითი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც ბ. გელოვანი სამ

უნარჩინებულეს თავადთან (ბესარიონ ჭყონდიდელი, ნიკო დადიანი და სახლოუცუცესი ჩიქოვანი) ერთად შევიდა [7, 313].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამეგრელოს მთავართა მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტებზე დასახელებულ მოწმეთა შორის ლეჩეშუმის სარდალ-მოურავს საპატიო ადგილი ეკავა. ეს ტრადიცია შენარჩუნებულ იქნა ბ. გელოვანის ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდშიც.

1807 წლით დათარიღებულ საბუთს „განჩინება ხონის ექლესისა და ფალავების ყმის საქმეზე“ ხელს აწერს „ლეჩეშუმის სარდალ-მოურავი გელოვანი ბერი“ [26, 394].

სამეგრელოს სამთავროს იმუამინდელი მმართველის, მთავარ გრიგოლ დადიანის ქვრივის ნინო დადიანის მიერ 1808 წლის 5 თებერვალს გაცემულ სიგელზე დასახელებულ მოწმეთა შორის ლეჩეშუმის სარდალ-მოურავ ბ. გელოვანის ხელმონერა კვლავ სახლოუცეს გიორგი ჩიქოვანის ხელმონერაზე ნინ გვხვდება [33, 145].

ბ. გელოვანი თავდადებით იძრძოდა დასავლეთ საქართველოთ ში რუსეთის ბატონობის განსამტკიცებლად, რისთვისაც მას საიმპერიო არმიის პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

1810 წლის დასაწყისში ბ. გელოვანი თავისი რაზმით რუსთა ჯარის მხარდამხარ ებრძოდა იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს. იგი ლეჩეშუმელთა ლაშქრით ოკრიბაში შეიჭრა და მეფეს რაჭიდან დახმარების მიღების შესაძლებლობა მოუსპო [23, 288]. მანვე აიღო ჭყვიში და კვარა. მისი დამსახურება რუსეთის სარდლობის მიერ საგანგებოდ აღინიშნა.

1810 წლის 20 თებერვალს საქართველოში დისლოცირებული რუსთა ჯარის მთავარსარდლის, კავალერიის გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის (1752-1819) ბრძანებით, ქუთაისის ექლესიებში საჯაროდ გამოაცხადეს სოლომონ II-ის ხელისუფლების გაუქმების შესახებ. გენერლის საგანგებო მოწმებაში ნათევვამი იყო, რომ ამიერიან, სამეფო ხელისუფლების ნაცვლად, დაწესდება ნარჩინებული თავადაზნაურობისაგან შემდგარი იმერეთის მმართველობა, რუსი მოხელის თავმჯდომარებით [30, 219].

ტორმასოვის ბრძანებით, მოლაპარაკებაზე მინვეული სოლომონ II დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს. ძლიერი დაცვის მიუხედავად, 10 მაისს მეფემ გაქცევა მოახერხა და თავი ახალციხეს შეაფარა [23, 291].

იმავე წლის ბოლოს, სამეგრელოს მმართველმა ნინომ ლეჩეშუმის სარდალ-მოურავობა ბ. გელოვანს ჩამოართვა და თავად ნიკო დადიანს გადასცა [19].

ერთი ცნობის თანახმად, ნინო დადიანის მიერ ბერი გელოვანის ნინააღმდეგ გატარებული ზომების მიზეზი ის იყო, რომ ამ უკანასკნელმა 1810 წელს თავისი მცირენლოვანი ვაჟი როსტომი (ტატო)

მხრით ნათესავზე – მარიამ (მარიკა) გრიგოლის ასულ დადიანზე დაქორწინა, რის გამოც ეს ქორწინება ეკლესიამ გააუქმა, ხოლო ბ. გელოვანი ეკლესიდან განკვეთეს [32, 81].

დედოფლის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა დასავლეთ საქართველოში მყოფ რუს სამხედრო პირთა მძაფრი პროტესტი, რომელიც თავიანთი თანამებრძოლის – ბერი გელოვანის დაცვას შეეცადეს, თუმცა ამაოდ.

1811 წლის 8 თებერვალს გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი კავალერიის გენერალ ტორმასოვს შეახსენებდა ბ. გელოვანის დიდ ლეანდრს და უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისთვის სარდალ-მოურების ჩამორთმევის გამო. იგი აღნიშნავდა: „Когда дом Дадиани был в слабом положении и стесняем царем Соломоном, тогда служить и был полезен оному особенно Бери Геловани, бывший Лечумской наследственный моурав, к кому приверены как Лечумцы, так и Сванеты, отель он уроженец. За заслуги в то время оказанныя правительница отдала за сына его Тато свою doch и наградила его именем; когда же Мингрелия вступила в подданство и покровительство России и стала защищена от притеснений царя Соломона, тогда правительница начала гнать Бери Геловани, лишила его моуравства и отняла большую часть собственного его имени. Сколько я ни просил ее о возвращении сему, оказавшему нам важные услуги в первую экспедицию против бывшего царя Соломона, человека моуравства и хотя в. выс-во о том ей сами писать изволили, но она того не исполнила, от чего и произошла, что Геловани во время бывшаго бунта в Имеретии бунтовали в Лечум.“

Против-же Бери Геловани злоба ея до того простирается, что она отняла у сына его Тато жену его, свою doch, которые жили вместе 10 уже лет и имели детей, под предлогом, будто тамошние митрополиты, найдя их в родстве, возбраняют их сожитие. Все просьбы мои о удовлетворении претензии Манучара Дадиани и Бери Геловани остались тщетными.

О положении таковом дел в Мингрелии я долгом почель довести до сведения в. выс-а, потому боле, что могущий открится там бунт в следующее лето, когда правительница отправится в Россию, будет иметь худыя следствия и для Имеретии“ [30, 399-400].

იმავე წლის 3 მარტს გენერალი ტორმასოვი სამეგრელოს მმართველ ბიბოს სწერდა: „Мне довольно известны истинные заслуги, оказанныя светлейшему Мингрельскому дому кн. Бери Геловани, когда покойный супруг ваш был стесняем бывшим царем Соломоном и когда ему нужна помошь сего усердного князя. Ныне-же, когда Мингрелия прокровительством Е. И. В. ограждена от всех насилий неприятеля и когда в. св. не находите уже боле надобности в помощи Бери Геловани,

то воздаете ему ненавистью и мщением за прежнюю его верную службу, оказывая явную несправедливость чрез лишение его собственности и отыма даже у сына его Тато супругу – дочь вашу, с которой он соединить узами законного брака более 10 лет и иметь детей, чего однако же в. св. не можете сделать, не нарушить божеских и гражданских законов и не приведя через то разврата в народ.

Без сомнения вы по власти Высочайше вам предоставленной могли в угодность свою лишить его Лечгумского моуравства, хотя и оно у него наследственное, но отнять собственное его имение, купленное его отцем и им самим приобретенное, в. св. не имеете никакого права и я по долгу звания моего, обязан будучи войти в посредство сего дела, не могу не напомнить здесь, что законы Российские ограждают безопасностью собственность каждого и никакая насильственная власть лишить оной не может” [30, 401-402].

ტორმასოვი სამეგრელოს მმართველს აფრთხილებდა, რომ უსამართლოდ დასჯილ ბ. გელოვანს და მის საგვარეულოს, რომელიც ლეჩხუმ-სვანეთში დიდი გავლენით სარგებლობდა, აჯანყების მოწყობაც შეეძლო. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, რუსი გენერალი სამეგრელოს მმართველს ურჩევდა, ბ. გელოვანისათვის დაებრუნებინა თავისი მამული, მისი ვაჟისათვის – მეუღლე, ხოლო გენერალ სიმონოვიჩის შუამავლობით მომხდარიყო გელოვანთა განაწყენებული გვარის შემორიგება.

ტორმასოვის მტკიცებით, ამ თხოვნათა შესრულება სასარგებლო იქნებოდა როგორც სამეგრელოს სამთავროსათვის, ასევე ამ რეგიონში რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვისაც [30, 402].

სარდალ-მოურავობის დაკარგვის მიუხედავად, სამეგრელოს მთავართა მიერ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გაცემულ სიგელებში ბ. გელოვანი მაინც პატივით იხსენიება. კერძოდ, იგი მოიხსენიება როგორც „მისი ბრწყინვალება“ ან როგორც „მდივანბეგი“.

მდივანბეგი ბ. გელოვანი იხსენიება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გაცემულ საბუთში „განჩინება ივანე ასათიანისა და კაცია სულნაძის მამულის საქმეზე“ [26, 496].

1828 წლის 10 სექტემბრით დათარიღებულ საბუთში ბ. გელოვანი კვლავ მდივანბეგად იხსენიება. მასთან ერთად საბუთში მოხსენიებულია მის ძე – ბესარიონ გელოვანი [33, 287-288].

ბ. გელოვანს ცოლად ჰყავდა როსტომ რაჭის ერისთავის ასული თეოდორა, იგივე მარიამი, რომლისგანაც სამი შეიღია შეეძინა.

1829 წელს ბერი გელოვანი გარდაიცვალა.

ამრიგად, ლეჩხუმის სარდალ-მოურავის თანამდებობაზე მყოფი პირი იყო რეგიონში არსებული სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლების მეთაური, რომელსაც ხან იმერეთის მეფე, ხან კი სამეგრელოს მთავარი ნიშნავდა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან – XIX საუკუნის 10-იან წლებამდე, ლეჩხუმის სარდალ-მოურავობა თანამიმდევრულად ეკავათ თავად გელოვანთა საგვარეულოს ნარმომადგენლებს, მაგრა შეიღია კაიხოსროს და ბერის. ისინი შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე ექვემდებარებოდნენ ხან სამეგრელოს მთავარს, ხან კი იმერეთის მეფეს, რეალურად კი გამუდმებით ცდილობდნენ, რომ ლეჩხუმი დამოუკიდებლად ემართათ.

დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, ისტორიული საბუთი 926.
2. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, საქმე 6170.
3. რосსიერი გენერალი არქივი, ფონდი 1343, არქივი 46, დეპოზიტი 911.
4. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხოვნა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბ., 1941.
5. ბაგრატ ანა, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, I, თბ., 1978.
6. ბერძენიშვილი დევი, იოსებ ბანძელაძე, მანანა სურამელაშვილი, ლალი ჭურლულია, ლეჩხუმი, თბ., 1983.
7. ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965.
8. ბორობდინი კორნელი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861 წწ.), მოგონებანი, თარგმნილი თედორ სახელის მიერ, თბ., 1934.
9. ბურჯანაძე შოთა, იმერეთის საშიანა პოლიტიკა 1789-1802 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962.
10. გავიანი გერონტი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX სს.), თბ., 1988.
11. გონიკიშვილი მიხეილ, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღაწეობა რუსეთში, თბ., 2002.
12. დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტესტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბ., 1962.
13. დუმბაძე მამია, იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში, წგნ.: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, თბ., 1973.
14. ვაჭრიძე გოდერძი, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წწ.), ქუთაისი, 1999.
15. თამარაშვილი მიქელ, ისტორია კათოლიკობისა, თბ., 1902.

16. **თაყაიშვილი ექვთიმე**, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.
17. **თოფჩიშვილი როლანდი**, ლეჩხუმური გვარები, წგნ.: „ქართული გვარასახელების ისტორიიდან“, წიგნი I, მთის რეგიონების გვართა ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა, თბ., 2003.
18. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, ნინა-სიტყვაობა და საძიებელი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბ., 1958.
19. **კვარაცხელია ბადრი**, სარდლის თანამდებობა სამეგრელოს სამთავროში, სამეცნიერო-პრაქტიკული უურნალი „სამართალი“, თბ., 2001, № 8.
20. **მაკალათია სერვი**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992.
21. **მამარდაშვილი ვიორგი**, ლეჩხუმის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 2000.
22. **მაჭარაძე ვალერიან**, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი II, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1997.
23. **რეხვიაშვილი მიხეილ**, იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები), თბილისი, 1982.
24. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფესორმა ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1980.
25. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1965.
26. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1977.
27. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თევზო უორდანიას მიერ, წიგნი მესამე (1700 წლიდან - XIX ს. 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს ვიზი უორდანიაზ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967.
28. **ბორავა ბეჭან**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, თბ., 2001.
29. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. II, Тифлис, 1868.

10. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. IV, Тифлис, 1870.
11. **Бакрадзе Д.**, Сванетия, «Записки Кавказского отдела Императорского русского общества», кн. VI, Под редакцией Д. Ковалевского, Тифлис, 1864.
12. **Думин С., Гребелский П.**, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, С. Думин и Ю. Чиковани, под редакцией С. Думина, М., 1998.
13. **Какабадзе С.**, Грузинские документы института народов Азии АН СССР, М., 1967.

Niko Javakhishvili

Doctor of Historical Sciences, Professor, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

LECHKHUMI SARDAL-MOURAVIS'

(Late XVIII c. – Early XIX c.)

Summary

Lechkhumi, one of the historical and geographical Georgian regions, was reined by Sardal-Mouravi in the late feudal era. He used to be the head of military and administrative authorities existing within this region.

Starting from the late 80's of the XVIII c up to the 10's of the XIX c, position of the Lechkhumi Sardal-Mouravi was alternately occupied by the Gelovani dynasty representatives, father and son – Kaikhosro and Beri Gelovanis'. Resulting from the generated circumstances they were subordinate to sometimes Samegrelo, and at times Imereti kings, whereas, actually, they were always striving for sole governance over Lechkhumi.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ს ა ი ნ გ ი ლ ო (ისტორია და თანამედროვეობა)

დღეს, როდესაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას განსაკუთრებული საფრთხე აქვს რუსეთის მიერ ოკუპირებული მისი ძირძველი მიწების სახით, როდესაც პროფესიონალი ისტორიკოსისთვის თვალნათელია წარულის მანძილზე ქართული ტერიტორიების, იქ მცხოვრები ქართველების ბედი, - ერთგვარ რომანტიკად შეიძლება აღიქვას მკითხველმა ჩვენი წერილის თემა, რაღა დროს საინგილოა, - გავითვებულმა იქითხოს. ქართველმა ხალხმა, სამწუხაოდ ვერ უპატრონა თავის ისტორიულ მიწა-წყალს, გზადაგზა შემოეცალა საუკეთესო სოფლები, დაბები და ქალაქები, მთები და ტყეები, ზღვისპირები და მდინარეები. საინგილოც ერთი იმათგანია, ჯერ კიდევ XX საუკუნის I მეოთხედის ქართველი რომ იმედოვნებდა მის შემომტკიცებას, იქაურ ქართველთა გადარჩენას, ძალით გამაჰმადიანებული ინგილობისთვის ქართული სულის დაბრუნებას. იმედი არ გამართლდა. ქართველმა სტალინმა და ორჯონიშვილმ იმ რწმენით, რომ ოდესმე მთელ მსოფლიოში კომუნიზმი დამყარდებოდა და ქვეყნების საზღვრები სულაც ალარ იქნებოდა საჭირო, მაინც დამაინც საქართველოდან დაინყეს ტერიტორიების გაჩუქრება, არცერთ მეზობელს არ დაწყვიტეს გული. ამის შემდეგ იმ მეზობელებმა ახალი ისტორიის დაწერა გადაწყვიტეს და ეს წაჩუქრა თავიანთ ძირძველ მიწად და იქ მცხოვრები, თავიანთ ძირძველ მოსახლეობად გამოაცხადეს. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. რა უნდა ქნას ქართველმა ისტორიკოსმა, რა აზრი აქვს მისგან წათქვამ სიმართლეს. რასაც შედეგიარ მოპყვება, იმის თქმა და დამტკიცებაც უაზრო. მაგრამ ისტორიული სიმართლე რადგან არსებობს, ისტორიკოსიც მას უნდა ერთგულებდეს. ჩვენ დავკარგეთ ისტორიული ტერიტორიები, მაგრამ ჩვენს ისტორიას ვერ შეველევით.

2008 წლის იანვარში პელაქანსა და ზაქათალაში აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის იაგუბ მახმედოვის ხელმძღვანელობით ჩატარდა კონფერენცია საინგილოს შესახებ. ამ კონფერენციაზე გამომსვლელებმა საინგილოს

ისტორიის ახლებურად გააშუქეს. ახლებურად ჩვენთვის, თორემ აზერბაიჯანში დიდი ხანია მსგავსი დასკვნები გამოაქვთ, აზერბაიჯანი ისტორიკოსები, არქეოლოგები, ენათმეცნიერები და ეთნოლოგები ამ კუთხის ისტორიას ტენდენციურად აშუქებენ, მას სრული მომრები ქართულ სამყაროს. და ეს მაშინ, როდესაც ეს კუთხე იმულები დროიდან საქართველოს ისტორიული პროვინციას, რომელიც თავისი ტერიტორიით, მოსახლეობით, ენითა და კულტურით მიუღიანდა ქართულ სამყაროს ეკუთვნოდა ისტორიის გრძელ მანძილზე. აზერბაიჯანელ მეცნიერებს ბევრნაირი მოსაზრება აქვთ საინგილოს ისტორიაზე, რაც ადვილად ბათილდება არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიის მასალებით, არამედ უძველესი უცხოური წყაროებითაც. ანტიკური, სომხური, ბიზანტიური, არაბული, სპარსელი და სხვა, ასევე ქართული საისტორიო წყაროები (ლეონტი მოწველი, ჯუანშერი და სხვა), XVIII-XIX საუკუნეების ქართველის ისტორიოსები (ვახუშტი, დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროვაცა, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, დავით მესხებლიშვილი, თენგიზ პაპუაშვილი და სხვა), საინგილოში მცხოვრები მოღვაწეები (დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, რაფიელ ინგილო, ზაქარია ედილი და სხვა) დოკუმენტურად ამტკიცებენ, რომ ჰერიო საქართველოს განუყოფელი წანილი იყო, ჰერები კი - ქართული ტომი, რომელიც ისეთივე მონაწილეობას იღებდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, როგორსაც კახელები, მეგრელები, მესხები და სხვა. სიტყვა - ჰერი, ერი, - ქართული ენის საკვანძო სიტყვაა, არ შეიძლება კუთხე, რომლის სახელწოდებაც ამ საკვანძო სიტყვისგან იყო შემდგარი, ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი არ ყოფილიყო.

ძველი ჰერეთი უძველესი დროიდან მტკიცედ არის შემოსული ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში. I-IV საუკუნეებში ჰერეთი და ჰერები აქტიურად მონაწილეობდნენ იბერიის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საისტორიო წყაროების მიხედვით, წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ობიექტთა შორის, ერთერთი ძირითადი ჰერეთის ქვეყნა ყოფილა. ეს ფაქტი, თავის მხრივ დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საკითხთან. შუა საუკუნეებში რელიგიური ნიშანი, ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ინდივიდისა და კოლექტივის შესაბამის ეთნიკურ ერთობაში ჩაწერა. ჰერების ქრისტიანიზაციის საკითხის შესწავლა მეცნიერებს საშუალებას აძლევს იმსჯელონ არა მარტო მათ პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციაზე, არამედ ეთნიკურ კუთვნილებაზეც [1, 156].

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, ჰერეთი ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. ამ ჰერიოდში აშენდა ჰე-

რეთში ქალაქები, ეკლესიები, დაარსდა საეპისკოპოსო კათედრები (ბოდბე, ხორნაბუჯი, ბახალათი ანუ ბახთალო, გიში და სხვა). ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, ვახტანგ გორგასლის დროს, ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში – წუქეთში (კახის რაიონში) იჯდა მთავარი, რომლის სამფლობელოც, წუქეთს გარდა, მოიცავდა ხუნძეთს. ჰერეთი ამ დროს მთლიანად (ნუხის ოქტის, თანამედროვე შექი-ზაქათალის ჩათვლით) ქართლის სახელმწიფოს ორგანული ნაწილია, ჰერეთის საეპისკოპოსოები ქართლის კათალიკოსის იურისდიქციას ექვემდებარებიან, გაბატონებული ენა აქ ქართულია, კულტურაც ქართული და პოლიტიკურადაც ქართლშია. იგივე მდგომარეობა VIII საუკუნეში, როდესაც მეფე არჩილი აშენებს ციხე-ქალაქებს (ნუხპატი) და ეკლესიებს (კასრი, კახ-ბაშის ბაზილიკა, ყუმის სამნავიანი ბაზილიკა, ლექეთის მრგვალი ტაძარი და სხვა), მიმდინარეობს ინტენსური აღმშენებლობა, ხდება ქვეყნის ადმინისტრაციული მოწესრიგება. წყაროები არჩილ მეფეს მიაწერენ ნუხპატების გაქრისტიანებას.

VIII-IX საუკუნეებში, როდესაც საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშვა და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი ერთი ის ქართული პოლიტიკური ერთეული იყო, რომელიც ორგანულად მონანილეობდა ამ პროცესში. ეროვნულ-ეთნიკური შეგნებით, პოლიტიკური მისწრაფებებით ამ პერიოდში ჰერეთის სამეფო ქართული ქვეყნაა.

XI საუკუნის 20-იან წლებში, კახთა მეფის კვირიკე III დიდის (1009-1037) დროს დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შეწყვის პროცესი და წარმოიქმნა ე.წ. „რანთა და კახთა სამეფო“. მიუხედავად ამისა, ჰერეთის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახელნოდება ისტორიულ წყაროებში XV საუკუნის დასასრულამდე გვხვდება. რანთა და კახთა სამეფო დაყოფილი იყო შეიდინდებოდა: სამი კახეთში და ოთხი ჰერეთში. ჰერეთში შედიოდა ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჭის და შტორის საერისთავოები. საინგილოს ტერიტორია ექვემდებარებოდა მაჭის ერისთავს. ქართველი მემატიანის გადმოცემით, კვირიკე III-მ მაჭის ერისთავს მისცა: „მაჭის წყლის (თანამედროვე მაზმიჩა), ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთით მაკინირთურთ (მაქით) და ხუნზახითურთ“.

დავით აღმაშენებელმა განდგომილი და თურქ-სელჩუკების სათარეშოდ ქცეული კახეთ-ჰერეთი შემოიმტკიცა ისევე, როგორც სხვა განდგომილი ან დამპყრობლების ხელში მყოფი რეგიონები, ქალაქები თუ ციხეები.

საქართველოს ისტორიაში ცნობილი ერწუხის ბრძოლაც ჰერეთში, დღევანდელ საინგილოში მოხდა 1104 წელს. წერილობითი წყაროების გარდა, ყოველივე ამის უტყუარი დასტური ის ისტორიული ნაგებობები, ტოპონიმიკა და ქართული ეპიგრაფიკის ძეგლებია,

რაც ამ რეგიონში შეიქმნა და მეცნიერულად კარგადაა შესწავლი [1, 137-141; 176].

სიტყვა ჰერიც ქართულ ენობრივ და ეთნიკურ სამყაროს უკავშირება, - მის საფუძვლად აღიარებულია ქართული სოციალური ტერმინი ერი.

ინგილობის სახელი სპარსულ გელს რომ უკავშირდებოდეს, მეტელი ასახსნელი იქნებოდა მათი ქართულ ენაზე მეტყველება და უმეტესობის სარწმუნოებრივი კუთვნილებაც. იმ ჰერიოდში, როდესაც სიმარტიული მაზდეანობა ასე უტევდა კავკასიის მოსახლეობას, სპარსული წარმოშობის ხალხს გაუტირდებოდა ქრისტიანობის ამგვარი ერთგულება, ქართულ კულტურულ სამყაროში დარჩენა.

XV საუკუნეში, კახეთის სამეფოში (გიორგი VIII-ის დრო, 1466-1476 წ.). გაუქმდა საერისთავოები და სამოურავოები შეიქმნა. მაჭის საერისთავოს ნაცვლად, აქ დაარსდა წუქეთის, ელისენის და ჭიაურის სამოურავოები. ამავე დროიდან XVII საუკუნემდე პოლიტიკური კითხვება ამ რეგიონში დამტკიცდა დალესტანთან ურთიერთობის გასთავა, ამ უკანასკნელმა დაიწყო კაკ-ელისენის და ჭიაურის სამოურავოების აოხრება, ამას ერთვოდა ოსმალებისა და სპარსელების აგრძელია, ნადგურდებოდა ქართველი მოსახლეობა, დაიწყო წახურელ და ავარიელ ლეკა ჩამოსახლება, ქართველი მოსახლეობის დაყმენება-გამაჰადიანება.

1604 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1574-1605) შაპაბასმა გამოთხვევა კავის თემი და გამაჰადიანებულ ქართველ თაყადს – ვახვახიშვილს უწყალობა და სულთნობაც უბოძა. ამ კუთხეს ხან სპარსეთი და ხან ოსმალები აოხრებდა.

გარდა მონოგრაფიისა, რომელშიც ამ ქართული კუთხის ისტორიაა შესწავლილი, წუქეთის სიძველებზე მოგვითხრობს თენგიზ პაპუაშვილის ნაკვევნი. მასში საინგილოს ეტიმოლოგიაა ახსნილი.

სიტყვა „საინგილ“ XVIII-XIX საუკუნეებში დამკვიდრდა ბელაქანის, ზაქათალის და კახის რაიონების დღევანდელი ტერიტორიების მიმართ. ამ დროს ის ორი პოლიტიკური ერთეულისაგან შედგებოდა: ჭარ-ბელაქანის (ელისენი) და ელისეუს (კახის) სასულთნოსაგან. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ტერმინი ნიშნავს ახლადმოქცევას, რაც ქრისტიანი ხალხის მაჰადიანებად გახდომას გამოხატავდა. არსებობს თვალისაზრისიც, რომ ეს ტერმინი შეიქმნა ერთ-ერთი ქართული სოფლის „ჰენგიანის“ სახელწოდებისაგან, რომელმაც თანდათან ზოგადი მნიშვნელობის შინაარსი შეიძინა და ამ მხარის ქართველი მოსახლეობის სახელად, დამპყრობი ლეკებისაგან დაბეგრილი, დამორჩილებული ქართველების სახელწოდებად იქცა. თავდაპირველად, XIX საუკუნის დასაწყისში, აქაურ ქართველებს ქრისტიანულ რელიგიაზე დაბრუნებაში ხელი არ შეუშალა რუსეთმა, მაგრამ 60-იანი წლების ბოლოდან, კავკასიის

ომის დამთავრების შემდეგ, ხელახლა, ძალით დაპრუნა მაჰამდიანიბაზე, თუმცა მაშინდელ კამერალურ აღწერაში (1859, 1871, 1886) ინგილოების ეროვნება ქართველადაა მოხსენიებული [3].

ესაა სინგილოს მოკლე ისტორია, ვრცელი თანამედროვე ნარავები თუ ძელი ისტორიული ცნობები კი მრავალტომიან გამოკლევებს შეიძლება შეადგენდეს. ის, რომ ინგილო ლაპარაკობს ქართულად, ესმის ქართული, მაგრამ ზოგიერთი სიტყვა აქვს „თავისი“, როგორც ამას თანამედროვე აზერბაიჯანელი ავტორი გულზარ გარავა აღიარებს, სრულიად არაა უცხო ქართული ენისათვის: ასეთივე ნარმატებით, შესაძლოა ქართული ენის სხვა დიალექტებშიც დავინახოთ ლიტერატურული ქართულისგან განსხვავება, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დიალექტზე მოსაუბრის ქართველობა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

რუსეთის მიერ საქართველოს დაბყრობის შემდეგ, XIX საუკუნეში საინგილოსა და აქაური ქართველების ბედი დამტიმდა, რუსული იმპერიული პოლიტიკა ამ ხალხს თავისი ინტერესების შესაბამისად ექცევდა: ხან ქრისტიანობაზე დაპრუნების უფლებას აძლევდა (კავკასიის ომის დროს), ხანაც (ომის დამთავრების შემდეგ) კვლავ ძალით გადაპყავდა მაჰამადიანობაზე და ადმინისტრაციული მოწყობითაც დაღესტნის ოქეს უკავშირებდა, ამით რუსეთი ჩრდილო კავკასიის მთიელთა გულის მოგებას, საინგილოს შედარებით ადგილად მართვას და ამ ხალხის ასიმილაციას ერთდღოულად აკეთებდა. XX საუკუნის დასაწყისშიც არ შეცვლილა ვითარება საინგილოში, საოცარი იყო, რომ ამდენი ტანჯვის და ექსპერიმენტის შემდეგაც საინგილოს გარევეულმა ნაწილმა სრულად შეინარჩუნა ეროვნული სახე, ენა და ტრადიცია [4, 6-9].

10-იანი ნებების პრესა სავსეა ისეთი პუბლიკაციებით, სადაც საქართველოს მომავალი სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებზე საუბარი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა ისტორიულ მინებს, სამაჰამადიანო საქართველოს. სამაჰამადიანო საქართველოს დიდი ნაწილი თურქეთში იყო, ნაწილი კი რუსეთის იმპერიაში, თუმცა, ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილს, ტერიტორიულადაც ემუქრებოდა საქართველოდან მოკვეთა. ჯერ რუსეთის ადმინისტრაციული მოწყობით, შემდეგ კი ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნით, იგი საბოლოოდ მოწყდა სამშობლოს. ეს იყო ზაქათალას ოლქი, საინგილო, რომელიც აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა, რასაც ქართველი ინტელიგენცია ვერ ეგუებოდა.

I-მა მსოფლიო ომმა ქართული პოლიტიკური აზროვნება მრავალუროვანი გახადა, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი უფრო მწვავედ დასვა, რადგან ამში გამარჯვება ან დამარცხება მსოფლიოს ნამყანი ქვეყნებისგან შემდგარ პოლიტიკურ ბლოკს გაუსხიდა გზას ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისაკენ. ეროვნული ძალე-

ბის ერთი ნაწილი გერმანიის მხარეზე იყო, მეორე – ანტანტის. ეს უკანასკნელი უფრო მეტიც იყო და გავლენიანიც. როდესაც 1915-1916 ნებებში რუსეთის ჯარმა ახლო აღმოსავლეთის ფრონტზე გამოივიდა მიაღწია, ქართველი ეროვნულ-დემოკრატებიც თავიანთ შებლივაციებში მიესალმნენ ამ ფაქტს და იმედი გამოთქვეს, რომ რუსეთის დახმარებით აღადგენდნენ ისტორიულ სამართლიანობას და ძირდველ ქართულ მინებს – ტაო-კლარჯეთს, შავშეთს, იმერევს, ოლთისს, სპერს, არტაანს, ერუშეთსა და კოლას საქართველოს დაუბრუნებდნენ. ისევე, როგორც ეს გააკეთა რუსეთმა – სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის შემთხვევაში. ამასთანავე, ქვეყნდებოდა მასალები საინგილოს ბეზზე, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში აქაური ქართველობის დისკრიმინაციაზე. ამ მხრივ საინტერესო იყო ზაქარია ედილაშვილის მიერ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილები, რომელთა შეკრებით შემდეგში (1947 წელს) მან გამოაქვეყნა წიგნი - „საინგილ“. გერონტი ქიქოძის რედაქტორითა და წინასიტყვაობით გამოსული ეს წიგნი კარგად ასახავდა საინგილოს ბედს რუსეთის კოლონიური ულის ქვეშ.

თვით ზაქარია ედილაშვილმა, რომელმაც 10 წელი იცხოვრა საინგილოში (ის შიდა ქართლიდან იყო), დიდი ღვანლი დასდო ამ მხარის წინსვლასა და ეროვნულ გამოლვიძებას. მან, საკუთარი კომენტარებით, გაზეთ „საქართველოში“ გამოაქვეყნა დიმიტრი ჯანაშვილის ხელნაწერი რვეულები, სადაც თვითმხილველის თვალით, ამასთანავე უშუალოდ პირველწყაროების გამოყენებით, ჩანს რუსული პოლიტიკის დეტალები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის XIX-XX საუკუნეების ისტორიის შესნავლისთვის. გაზეთში მთლიანი მასალა არ დაბეჭდილა, ანუ რუსულ ენაზე დაწერილი დიმიტრი ჯანაშვილის რვეულების ნაწილობრივი თარგმანი გამოქვეყნდა, მაგრამ ესეც იძლევა სრულ შთაბეჭდილებას იმისას, თუ რა ტრაგიკული იყო ქართველ ინგილოთა ბედი არათუ მაჰამადიანური, არამედ ქრისტიანული იმპერიის ბატონობის დროსაც [5]. წერილში საუბარია იმაზე, თუ რა მტკიცებ იდგნენ კახის მცხოვრები ინგილოები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და როგორ აიძულეს ისინი გადასულიყვნენ მაჰამადიანობაზე. დიმიტრი ჯანაშვილის აზრით, ოლქის ახალ უფროოსს – სტოლეტოვს, გადაუწყვეტია, „რაღაც პოლიტიკურის მოსაზრებით“ ქართველ ქრისტიანთა გამაჰამადიანება. ეს მოსაზრება ჩვენთვის ცხადია, თუ ქართველები დაკარგავდნენ სარწმუნოებას, ადვილად მოხდებოდა მათი ასიმილაცია ადგილობრივ არაქართულ მოსახლეობაში და ისინი საბოლოოდ მოწყდებოდნენ მშობლიურ ქვეყანას, ამით რუსეთს გაუადვილდებოდა მხარის მართვაც და ადმინისტრაციული დაყოფის დროს თავისუფალი მოქმედებაც. სტოლეტოვს ქართველების გამაჰამადიანება ნაიბებისა და მოლებისათვის დაუვალებია, ჯანაშვილის მოწმობით, ქრისტიან

ქართველებს დაემუქრნენ, რომ მათ უფრო დასჯიდნენ, ვიდრე მაჰმადიანებს. ხალხმა, ვინც მტკიცედ ინარჩუნებდა რწმენას, იმედი დაკარგა, მიხვდა, რომ ხელისუფლება მას გადაუდვებოდა, არ დაიცავდა მის უფლებებს და გამუსულმანდა. დიმიტრი ჯანაშვილი აღნიშნავდა, რომ 1850-1863 წლებში ქართველმა ინგილოებმა აშკარად აღიარეს ქრისტიანობა, რუსეთიც ვერ იცლიდა მათთვის, რადგან კავკასიის ომით იყო დაკავებული და ანტიმაპმადიანური პოლიტიკაც ქვენდა, როგორც კი ომი დამთავრდა, იმპერიამ მაშინვე დაინიკოლიალური პოლიტიკის გატარება კავკასიის მაპმადიანური მოსახლეობისადმი, კერძოდ, ეს გამოიხატა ზაქათალის ოლქის ქართველი მოსახლეობის ძალით გამაპმადიანებაში, რაც მისცემდა რუსეთს მათი უკეთ მართვის საშუალებასაც.

„ამრიგად, 1863 წელს ბრძოლა ქრისტიანობისა მუსულმანობასთან, - იგონებდა დ. ჯანაშვილი, - დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით. სამის საუკუნის განმავლობაში, დაწყებული სპარსეთის მპრძანებლის შაჲ-აბასიდან, ინგილოები თავის თრთავ თვალსავით იცავდნენ ქრისტიანობას ოლქში, მიუხედავად სასტიკი დევნისა, ხოცა-ულეტვისა და ტყვევნა-ტაცებისა. კავკასიის რუსთავან დაბყრობის შემდეგ, ამ ძლიერი სახელმწიფოს გამგებლობის დროს, იმათ დაპკარებს თავის წინაპართა სარწმუნოება. აღიაპათის წანილის ინგილოებმა მიიღეს მუსულმანობა, ქრისტიანობა მხოლოდ კახნის საბოქაულოშილა დარჩა, რადგან აქ მტკად მტკიცედ იყვნენ სარწმუნოებაზე. ძვირად დაუჯდათ კახელებს ეს სიმტკიცე და შეურყევლობა. ადმინისტრაციამ შარი მოსდო, შეიძყრო მათგან 10 კაცი, ბრალი დასდეს, თითქოს მათ აქტიური მონანილეობა მიეღოთ ჰაჯიმურთუზას აჯანყებაში, აგრეთვე წინააღმდეგობა გაენიოთ მთავრობისათვის სულთანიერთან ალათემურის მინის დავაში და გადაასახლების 3 წლით რუსეთის შიდა გუბერნიებში, როგორც მუსულმანები. ნამდვილი მიზეზი კი მათი გადასახლებისა იყო ქრისტიანობის აღიარება და თანამემაბულეთა განმტკიცება ამ სარწმუნოებაში. ეს მტკიცდება იმითაც, რომ ოლქის უფროსმა სტოლეტოვმა, მათი სურვილის წინააღმდეგ, ისინი მუსულმანებად ჩანერა და გაუყენა რუსეთის გზას“. ჯანაშვილის ცნობით, შემდეგში ამ პატიმრებს ნათესავებისთვის შემოუთვლიათ, გაეგზავნათ მდგდლის ცნობა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, რათა რუსის მდგდელს მიეცა მათთვის ზიარებისა და აღსარების უფლება [6, 209-231].

პუბლიკაციაში მოტანილია საინტერესო ცნობები საინგილოს ყოფიდან, აღნერილია ის საგალალო შედეგები, რაც აქაური ქართველებისაგან ქრისტიანობის ერთგულებას მოჰყვა. „დაიკეტა შვიდი სამრევლო და განიდევნა მათი მოძღვარნი, მოხდა განზრახულ ეკლესიათა აშენების შეჩერება, მათთვის დამზადებული მასალები დალპა და გაოხრდა, ამას მოყვა გამუსულმანება 1200 ინგილოსი, მე-

შემოტის აშენება ადმინისტრაციის განკარგულებით იმ ინგილოთა სიცოდებში, სადაც 1864 წლამდე არასდროს ყოფილა მეჩეთი, მოლეჩის გამშესება ინგილოებში, რომელთაც თვალ-ყური უნდა ედევნებისთვის გამუსულმანებული ინგილოებისათვის, სასტიკი ბრძანება მიუქმოთ ხინბებს, რათა დაესაჯათ ყველა ის გამუსულმანებული ინგილო, რომელთაც ქრისტიანობისკენ ლტოლვას შეამჩნევდნენ. ქრისტიანები 1864 წლის ბოლომდე უნდა გადასულიყვნენ მუსულმანობაში, აერძალული იყო ქრისტიანობა ოლქში – თუკი ქრისტიანი აღმოჩეულებოდა, მასაც შარიათით ასამართლებდნენ.

„ინგილოები დარწმუნდნენ, რომ მთავრობა ხელს უშლიდა მთაში ქრისტიანობის გავრცელებას, ცდილობდა მათ ძალით გამაჰმადინებას, რის საბუთსაც ოლქის ახალი უფროსი – სტოლეტოვი თავისი მოქმედებით იძლეოდა. სტოლეტოვს ამით ლეკების დაწყნარება, მათი გულის მოგება და მათში რუსების პატივისცემისა და ერთეულების ჩანერგვა სურდა. იმას ეგონა, რომ სულერთია რანაირის სარწმუნოებისაც იქნებოდნენ კავკასიის ერები, ოღონდ რუსეთის სამდევილი და თავდადებული ქვეშევრდომნი ყოფილიყვნენ, მისი წევალობით მაპმადიანობა განმტკიცდა ოლქში და ბოლო მოელო ქრისტიანობის აღდევნა-გავრცელებას ინგილოთა შორის“.

დიმიტრი ჯანაშვილის რვეულის მიხედვით, 3-4 წელიწადში ყველა ქრისტიანი გამუსულიმანდა, ამას ხელს ბოქაულები, მუსლიმანი ხაიბებიც უწყობდნენ, რომლებიც ძალას ხმარობდნენ ქართულ მოსახლეობაზე. ის ჩამოთვლის სოფლებს, რომლებმაც ვერ გაუდეს ათასგარ ზენოლას, სამართლებრივ დევნას და მიიღეს მაპმადის რჯული. „გამუსულმანდა სოფელი თასმალო, სადაც კვირაცხოვლის დიდი დღესასწაული იცოდა და სოფელი ლალაფაშა, სადაც მუსულმანობა მიიღო იმ ინგილოს რჯახობამაც, რომელიც 7 დეკეტატმი ერია, რომელიც თავისი ნებით წავიდნენ თბილისში და მოინათლენ 1840 წელს. სოფელ ენგიაში გამუსულმანდა სოფლის მნათეც, რადგან ეკლესია დაიკეტა მთელი სოფლის გამუსულმანების გამო, მათ მაგალითს მიბაძეს რამდენიმე სიღნაღელმა დედაკაცმა, რომელიც გამოთხვილნი იყვნენ ინგილოებზე. ამგვარად გამუსულმანდა საინგილოს სოფლები, სადაც მთელი საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად ლეკათა და ყიზილბაშთა თარეშისა, ნათელი ქრისტიანობისა არ აღმოფხვრილა, ეხლა ისლამმა მოიცვა და მეჩეთ-მინარეთებით აავსო საინგილო“, - წერდა დიმიტრი ჯანაშვილი. ზაქარია ედილაშვილი დიმიტრი ჯანაშვილის ჩანაწერებს თავისებურ კომენტარებს უკეთებდა და საინგილოს ბედს საქართველოს მომავალს უკავშირებდა.

საინგილოს გადაგვარებას, მის მოწყვეტას ქართული სამყაროდან და დენაციონალიზაციას ეხებოდა მისი პუბლიკაცია - „საინ-

გილოს გადაგვარება”, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა [7].

პუბლიცისტი ნათლად ხედავდა, რომ გამაპმადიანებული ქართველები სულ უფრო შორდებოდნენ დედა-ენასა და სამშობლოს. იგივე ძეგი ელოდათ ქრისტიან ინგილოებსაც, რადგან ქართული ენა არ იცოდნენ ქარგად და ქართულ განათლებასაც ვერ იღებდნენ.

გამოსავალს პუბლიცისტი ქართული სკოლების დაარსებაში ხედავდა. ქართული სკოლები უნდა დახმარებოდა მაპმადიან ინგილოებსაც ეროვნული სულის გადარჩენაში.

ზაქარია ედილაშვილი, როგორც „საქართველოს“ კორესპონდენტი, საინგილოდან ხშირად აგზავნიდა წერილებს ამ კუთხეში არსებულ მდგომარეობაზე, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნინა საუკუნის საანგილოს ისტორიის შესასწავლად. ხშირად ამ პუბლიციებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

საინგილოს XX ს-ის 10-იან წლებში, გარდა ეროვნულ-პოლიტიკურისა, ჰქონდა ბევრი სოციალური პრობლემა, ეკონომიკური გაჭირვება და სავაჭრო სფეროში მოუგვარებელი საკითხი.

აქაური ეკოლოგიური მდგომარეობა მძიმე იყო. საინგილოს ხშირად ანადგურებდა მენეჯერი, რომელიც ჩამონებოდა ყანებსა და ვენახებზე, საკარმილამო მინებზე. რიყვებს, ანუ ჩეილადებს უწოდებდა ხალხი კლდე-ლრით სავსე ადგილებს, დიდდებოდნენ მდინარეები – მაჭისწყალი, ბელაქნის წყალი, კატეხი, თალი და ქურმუხი, რომელიც აოხრებდნენ სოფლებს. ამ საერთო უბედურებას ვერაფერს უპირისპირებდნენ. ხალხი ცდილობდა ჯებირების – ბენდების აგებას, მაგრამ ადიდებული წყალი ადგილად ანგრევდა მას. – პუბლიცისტი აღნიშნავდა ახალ ვითარებას, როდესაც მთავრობამ 40 დესეტინა ტყე დაუთმო ხალხს ჯებირების ასაგებად, ამ ტყეს მოსახლეობა გაანადგურებს, საქმეს კი არაფერი ეშველებაო, - წუხდა ედილი. ის ითხოვდა გამოცდილი ინუინრების მოწვევას, კლდოვანი კედლების ამოშენებას და არა ასეთ ხელოვნურ ღონისძიებას, რაც მარტო ტყეებს ანადგურებდა და არსებულ პრობლემას ვერ შეველოდა.

პუბლიცისტი სვამდა საინგილოსთვის აქტუალურ მეორე საკითხს – წესრიგის დამყარებას შაბიამნის შემოტანა-გაყიდვაში – ამას აკეთებდა ფრიდონოვის სომხური ფირმა და დიდალ ფულს არმევდა მოსახლეობას. ფრიდონოვმა ვენახების ცნობები მოთხოვა ხალს, ყალბად მოპოვებული ცნობები ადგილობრივმა ვაჭრებმა წარადგინეს, შაბიამნის დიდი პარტიაც მათ ჩაუვარდათ ხელში და ახლა ისინი ჰყიდნენ ძვირად გლეხებზე.

ზ. ედილი სვამდა საკითხს, რომ ფრიდონოვისთანა ხალხი, რომელთაც საქართველოში გამდიდრება სურდათ და არა ქართული საქმის სამსახური, ჩამოეშორებინათ შაბიამნის ფირმისათვის და ამ ნივთიერების შემოტანა პირდაპირ ინგლისელებისათვის ეთხოვათ.

სადაც ჩვენებური კაცი – ლამბაშიძე კომისიონერობს და პატიოსნა-დაც მოგვექცევათ.

პუბლიცისტი მეითხველს აცნობდა ხორბლით მოვაჭრეს, რომელმაც კაკის კოოპერატივიდან უფლება მიიღო ორი ვაგონი ხორბლის შემოტანის, ერთი შემოტანა, მეორე კი ძვირად გაყიდა. ეს მაშინ, როდესაც ოლქის მოსახლეობა შიმშილობდა. ოლქის უფროსმა – სემიონოვმა დასაჯა ვაჭარი, 3000 მანეთი ჯარიმა გადაახდევინა, თანაც სადგურ ევლახში შემოსული ორი ვაგონი მოხსნა და კაკის კოოპერატივს გადასცა – ასეთი მეკური უნდა იყოს ხელისუფლება ვაჭრების მიმართო, - წერდა ედილი.

„საქართველო“ ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს საინგილოდან, სადაც აბრეშუმით და კაკლით ვაჭრობაზე იყო საუბარი. ამ წერილების ავტორიც ედილი იყო. ის საუბრობდა ქართველთა ჩამორჩენაზე, მეაბრეშუმეობის დიდ პერსპექტივებზე საინგილოში, სიმინდის ფასზე, რომელსაც ხელოვნურად ზრდიდნენ და ამცირებდნენ ვაჭრები: „ჩვენ, ქართველები, - წერდა ავტორი, - ეკონომიკურ საკითხებში მეტ სიბეცესა და უცოდინრობას ვიჩენთ, ეს სიბეცე გახლავთ ბაზრის უცოდინრობა, მისი სიავგარებე, მისი მაზანდა და სხვა. აი, ავილოთ სიმინდი, რომელიც ეხლა იმერეთში მამა-სისხლად იყიდება და ამავე დროს, ჩვენს სიახლოეს, თერგის ოლქის ზოგიერთ ადგილებში 40-50 კაპიკად“.

სხვა მდგომარეობა იყო აბრეშუმის ფასებში. იმერეთში ის 20-25 მანეთი, საინგილოში 38-41, ნუხაში კი 40-50 მანეთი ლირდა. ედილის აზრით, ქუთაისის გუბერნიაში ვაჭრები ხელოვნურად სცემდნენ აბრეშუმის ფასს, იგი მოუნიდებდა კოოპერატივებს, ეხელმძღვანელათ აბრეშუმის გაყიდვისათვის და ხალხი ასეთ ზარალში არ ჩაედღოთ“ [8].

ზ. ედილი სხვა წერილშიც საუბრობდა აბრეშუმის მაღალ ფასზე საინგილოში, ვაჭრებისაგან გლეხთა ძარცვაზე, განსაკუთრებით სომეხ ვაჭრებს აკრიტიკებდა, მოჰყავდა მაგალითი, როგორ უჩიოდა სომეხი სტუდენტი აქაურ მცხოვრებს, აბრეშუმის თესლი მივეცი და მოწეული პარკის მესამედს არ მაღლევსო. ნაიბს უპასუხია: თესლი 1 კგ – 2 მანეთი ლირს, აბრეშუმის პარკი – 40 მანეთი, მოყვანილი 6 ფუთის მესამედს ვინ ჭკვიანი მოგცემსო და სტუდენტი გაუგდია.

ასეთი „ჭკვიანები“ არიან სომხის ვაჭრები, სტუდენტებიც კიო, - წერდა ედილი.

იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საინგილოში კოოპერატივის შექმნას, ამბობდა, რომ ეს საქმე შეასწავლა და აიძულა საინგილოში კოოპერატივების შექმნა მისმა თანასოფლეობა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ისტორიკოსმა – ალექსანდრე ყიფშიძემ [9, 83-84].

გაზეთ „საქართველოს“ და მისი პუბლიცისტის პოზიცია იმდენადა საინტერესო, რამდენადაც ამ რეგიონს ის საქართველოდ, მის მცხოვრებ ინგილოებს კი ქართველებად მიიჩნევს.

ზაქარია ედილაშვილი საინტერესოდ გადმოცემდა საინგილოშ შექმნილ ვითარებას 1917 წლის მარტში. როდესაც ამ კუთხეში ცნობა მოვიდა მეფის ხელისუფლების დამხობის და საქართველოს გათვალისუფლების, ხალხი დაინა, ვერ მიხვდა თავისუფლების მნიშვნელობას, დაარბიერ სოფელ კაკის კოოპერატივი, გარევეს მუშამოსამსახურები, თავისუფლება მოქმედების სრულ თავისუფლებად აღიქვესო. პუბლიცისტი ამგვარ ქმედებას ხალხის გაუცნობიერებას აბრალებდა, მათთან აგიტაციის ჩატარების საჭიროებაზე წერდა, რათა აეხსნათ თავისუფლების არსი.

პუბლიცისტი ასე აღნიშრდა 1917 წლის 25 მარტს: „25 მარტი მართლაც წარუშლელი იქნება საინგილოს ცხოვრებაში. იმ დღეს, ნირგის გამოსვლის შემდეგ, აუარებელი ხალხის თანდასწრებით, წითელი ბაირალებით გაემართა ხალხი ბაზრისაკენ. მეტად საყურადღებო იყო ზოგი ბაირალის წარწერა: „გაუმარჯოს ერთობას და პატარა საინგილოს“, „გაუმარჯოს ქალთა თავისუფლებას“. მარსელიოზას სიმღერით მიმავალ ხალხს ბაზარში ელოდა აუარებელი სომხობა და თათრობა. აქ თავიანთ ენაზე უმარტავდნენ ხალს თავისუფლებას, ქართულზე, სომხურზე, თათრულზე, ლეკურზე. მეტად ერთსულოვნება და აღფრთვოვანება იყო. ორატორები მოუწოდებდნენ ხალხს წარსულში არსებული ქიმპობისა და მტრობის დავინებას, ერთად მოქმედებას, ძმობას და მეგობრობას ურჩევდნენ. მოლამ შთამბეჭდავი სიტყვა თქვა ძმობაზე და ხალხი იქვე გადაეკიცნა. ერთმა პნელით მოცული საინგილოს წარსული გაიხსენა და თქვა: ამ პნელშიც იყვნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირებიონ და გაიხსენა კონსტანტინე ბაირამაშვილი, რომელიც ვერაგულად მოკლეს 1905 წელს კუსაში, სადაც ტუსალი იყო. ხალხმა მოისურვა ეკლესიაში წასვლა და ამ პიროვნების სულის მოსახენიებლად პანაშვიდის გადადა, წავიდა ეკლესიაში და ჩამოპლივა წარწერა, რომელიც ტაძარზე ეკიდა; „მათი იმპერატორობითის ხელმწიფის დაქორწინების აღსანიშნავად არის აგებული ეს ეკლესიაო“. გადაიხადეს პანაშვიდი და ხალხს მოუწოდეს ბაირამაშვილის სახელობის სკოლის აშენება. აქ ერთმა თათარმა თქვა მგრძნობიარე სიტყვაო, - ამბობს ედილი, - „ჩვენ, თათრებს, სომხებს და სხვათ თავიანთი საკუთარი ეროვნული სკოლები გვქონდაო, რომლებშიც ასე თუ ისე ჩვენი ენები ისნავლებოდა და ეროვნული სული ტრიალებდა, ქართველი ერი დიდ გამონაკლისს წარმოადგენდა ამაშიონ, მას სრულიად ჰქონდა დაბშული კარი ეროვნული სკოლისაკენ და დღეს დადგა მისთვის ის დრო, რომ მანაც ამგვარი სკოლა დაარსოსო და ყველანი, განუჩევლად ეროვნებისა, დავეხმაროთ მას ამაშიონ“. იქვე, ზ. ედილის ცნობით,

გამართულა ხელმოწერები და 275 მანეთიც შეკრებილა, რაც საკმაოდ კარგი თანხა ყოფილა საქმის დასანყებად, ხალხი ნასიამოგნები და გახარებული დაშლილა [10].

საინგილოს მდგომარეობას აღნერდა და აქაურ ქართველთა ინტერესების აქტიური დამცველი იყო ცნობილი ქართველი მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და ამ მიმართულების გაზეთების აქტიური პუბლიცისტი - რაფიელ ინგილო.

განსაკუთრებით მწვავე იყო მისი წერილები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აკრიტიკებდა ხელისუფლებას - აზერბაიჯანისადმი ლოიალური პოლიტიკის, საზღვრების დაუცველობის გამო. პუბლიცისტი მთავრობისაგან საზღვრების დადგენას ითხოვდა, ბამბაკ-ლორესთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზაქათალას - საინგილოს. მიიჩნევდა, რომ ზაქათალას საკითხში შესცოდა ამიერკავკასიის მთავრობამ, როდესაც ამ ტერიტორიის ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულად დაკანონება ნაადრევად ჩათვალა. ის თხოვდა მთავრობას ამ საკითხის გადაჭრას და წერდა: „ბამბაკისა და ლორისის საკითხმა აამოძრავა ქართველი საზოგადოება და აგრძობინა თბილისის და მთელი აღმოსავლეთ საქართველოსადმი მიმართული საფრთხე. მაგრამ ქართველობამ უნდა საბოლოოდ შეიგნოს, რომ შეუდარებლად დიდი საფრთხე ჩვენ მოგველის იმ შემთხვევაში, თუ ზაქათალის გასალები სხვის ხელში იქნება“ [11]. მისი აზრით, აზერბაიჯანი უფრო რეალურ პოლიტიკას ახორციელებდა, რომელმაც საქართველოს ეს უძველესი კუთხე მიითვისა და ჩვენი უმოქმედობით წაეჭებულმა „ბოლოს ალაზნის გამოლმა ნანილებზედაც“ დაიწყო დავა. რაფიელ ინგილოს წმენით, აღმოსავლეთ საქართველო მაშინ იქნებოდა დაცული, თუ ჩვენ ხელთ იქნებოდა ისეთი პუნქტები, როგორიც არის „სამხრეთი ბამბაკ-ლორისი, ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთით ზაქათალას ოლქი ნუხის მაზრის ადმინისტრაციულ მიჯნამდე“.

განსაკუთრებით მძიმე იყო საინგილოში მცხოვრები უდინების მდგომარეობა, რომლებიც ეთნიკურ-რელიგიურ დევნას განიცდიდნენ იქაური ხელისუფლებისაგან, რისთვისაც უდები თხოვდნენ ქართველ მოღვაწეებს - რაფიელ ინგილოს, დიმიტრი და მოსე ჯანაშვილებს - შველას და მხარდაჭერას. მათ სურდათ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლება, თავიანთ იდენტობას ქართველ ხალხს და ქრისტიანობას უკავშირებდნენ. ინგილო აკრიტიკებდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას და წერდა: „თბილისში ჩამოვიდნენ ნუხის მაზრის სოფ. ვართამნისა და ყიშლალის მართლმადიდებელ უდინთა წარმომადგენლები. მათ დავალებული აქვთ ყველა უდებისაგან იშუამდგომლონ საქართველოს მთვარობის წინაშე, რომ ისინი აზერბაიჯანიდან გადმოსახლებულნი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს

რომელიმე კუთხეში. ეს პირველი თხოვნა არ არის. წინა ნლეპშიაც უდები ყველასთვის გასაგებად და გაძეფულად აცხადებდნენ, რომ ამიერკავკასიაში მათ არავისთან საერთო არა აქვთ, გარდა ქართველებისა. ქართველებისადმი ერთგულება უდებმა ცხადად გამოააშკარავეს რევოლუციის პირველ დღეებშივე, როდესაც მათმა დელეგატებმა მხურვალე მონანილეობა მიიღეს საქართველოს კათალიკოსის არჩევაში და აღიარეს საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია. ამიერკავკასიის მთლიანი რესპუბლიკის დანანილების შემდეგ უდინები გეოგრაფიულად აზერბაიჯანის სამფლობელოში მოხვდნენ და ამ დღიდან იწყება მათი უაღრესი შევიწოდება და დარტევა. მიმდინარე წლის 27 მარტს გააფთხებული თათრის ბრძო მიესია სოფელ ვართაშენს და მინასთან გაასწორა ეს ოდესაც მდიდარი და მშვენიერი სოფელი. უდებმა მიმართეს თხოვნით ამ სტრიქონების დამწერს და ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს – ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე მათი გადმოსახლებისა და ნივთიერი დახმარებისათვის. პირველი ვერ მოხერხდა აზერბაიჯანთან გართულებული დამოკიდებულების და შემდგომ ომის გამო". საუბარი იყო 1920 წლის 30 აპრილს აზერბაიჯანის გასაბჭოებასა და 3 მაისს მომხდარი სასაზღვრო შეტაკების შესახებ – რაც აზერბაიჯანის მრიდან შემოსულმა რუსმა და აზერბაიჯანელმა ბოლშევიკებმა მოახდინეს. ამის შემდგომ გართულდა აზერბაიჯანთან საქართველოს დამოკიდებულება და უდების რეპრესიებიც ამ მოვლენებს მოჰყავა. შექმნილ მდგომარეობაში ვერც რაფიელ ინგილო და ვერც მოსე ჯანაშვილი ველარდახმარებოდნენ უდებს. რაფიელ ინგილო, უბრალოდ, ქართველი მკითხველის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა უდების საკითხისადმი, ვრცლად განიხილავდა ამ ეთნიკური ჯგუფის ნარსულს, უცხოელთა ცნობებს მათზე. კერძოდ, სტრაბონის, პლუტარქეს, ტაციტუსის ცნობებს, ამტკიცებდა, რომ ისინი იმ ჰერელ ეთნოსს ეკუთვნოდნენ, რომლებიც ვახტანგ გორგასლის დროიდან და უფრო ადრეც საქართველოს საკათალიკოსოს ექვემდებარებოდნენ.

პუბლიცისტი ამ ისტორიას აგრძელებდა სპარსელების შეტევის აღნერით, შაპ-ნადირის ლონისძიებების ჩავენებით, რამაც საბედისნერო დაღი დაასვა უდების მშვიდობიან ყოფას. ნადირ შაპმა უდების სამფლობელოში გადმოასახლა ებრაელები და სპარსელები, დაარბია ისინი, აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე ერთგული ელემენტი სავსებით მოხარა ნელშიო, – ნერდა ინგილო.

უამთა მსვლელობაში უდების დიდი ნაწილი გადავიდა სომეხ-გრიგორიანულ რჯულში და მცირედიც – მაპმადიანურში. ამ ფაქტს, გარდა ისტორიული გამოკვლევებისა, ამონმებს კიდევ გენერალ ლეიტენანტის ველიამინოვის წერილი მიტროპოლიტ თეოფილაკთან, 1819 წლის 16 გიორგობისთვით დათარილებული, და მიტროპოლიტის საპასუხო წერილი 1820 წლის 6 თებერვალს.

რაფიელ ინგილო ჩამოთვლიდა ნუხის მაზრაში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებს, ეკლესიებს, კოშკებს, ძველ ქართულ წარწერებს, ამავე ხაზით თამარის ხიდის გაგრძელებას, რომელსაც „ქაზილიარ ყალას“ უწოდებდნენ. ქართული ისტორიული ძეგლების სიუსვე იყო ვართაშენის აღმოსავლეთითაც სოფელ ბუნში, ხილხალში, ორობანლიში და სხვაგან.

„ამ საინტერესო ეთნიკურ ჯგუფს, – წერდა ინგილო, – დღეს შერჩა მხოლოდ რამდენიმე სოფელი მართლმადიდებელი და გრიგორიანი ისტორიულ უდებით დასახლებული. უდინი გრიგორიანები, სომებს კლერიკალების ზეგავლენით, უდებად აღარ სთვლიან თავს... შეგვრჩა მხოლოდ ორი სოფელი, ვართაშენი და ყიშლალი, ორი მართლაც სამუზეუმი სოფელი, რომლის მცხოვრები მართლმადიდებლობას იზიარებენ და თავის წინაპრებისამებრ ჭეშმარიტნი ერთგულნი არიან ქართველი ხალხისა, ისინი თავის თავს ქართველებში არ არჩევენ. მეზობელი სომხები და თათრებიც მათ „გურჯებს“ უწოდებენ.“

ბუნებრივი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ უდებმა საქართველოს ფარგლებში მოინადინეს შემოსვლა. მათ ხომ ეს სურვილი ყოველთვის ჰქონდათ. ის აკრიტიკებდა აზერბაიჯანის სახელმწიფოს უცხო ეთნიკური ჯგუფებისადმი სასტიკი პოლიტიკის გამო, მისი აზრით, ეს ქვეყანა არ იცავდა საერთაშორისო ნირმებს, ჩაგრავდა სხვა ხალხებს, ძალით ამუსულმანებდა მათ. ესენი ძირითადად უდები და სომხები იყვნენ.

პუბლიცისტი მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას თავისი მოძმე ხალხის შეველისაკენ, აკრიტიკებდა მას, მიაჩნდა, რომ აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, ქართული ხელისუფლება, ზედმეტად იყო გამოკიდებული დემოკრატიის დაცვას, დიპლომატიური ნოტებით დაუსრულებელ საუბარს, მაშინ, როდესაც ამას აზრი არ ჰქონდა მეზობელი სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის პირისპირ. პუბლიცისტის პოლოს, ინგილო ასე სვამდა საკითხს: „უდებს უნდა ვუშველოთ, მთელი ჩვენი ნარსული ისტორია, ჩვენი ტრადიციები და დამოკიდებულება იმ ხალხთან, რომლის მცირედი, მართლაც სამუზეუმი ნაწილი დღეს შერჩენილია ძეგლს აღბანეთში, ის ფილოლოგიური ნათესაობა, რომელსაც ქართველები და უდები მჯიდროდ დაუკავშირებიათ ერთმანეთთან, – ყველა ეს უნდა გვიკარნახებდეს დროზე მივხედოთ დაჩაგრულ ძებებს და ავაცდინოთ მათ ნამდვილი ფიზიკური განადგურება გამხეცებული თათრის ურდობისაგან“ [12].

მაგრამ ამ მონდებას, ქართველ პატრიოტთა სურვილს თანამოძმეთა დახმარებაზე, ასრულება აღარ ენერა.

ტრაგიკული იყო 1921 წლის აქტი საქართველოსთვის. რუსეთის მიერ ოკუპირებულმა ქვეყანამ დიდი ტერიტორიებიც დაკარგა.

მათ შორის იყო საინგილო, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში ცნო პარიზის კონფერენციამ დე-ფაქტოდ – 1920 წლის იანვარში, აგრეთვე რუსეთმა – 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. მაგრამ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველმა ბოლშევიკებმა იგი აზერბაიჯანს გადასცეს, ხელშეკრულებას – ამ ტერიტორიის აზერბაიჯანისადმი მიკუთვნებაზე ხელს აწერდნენ ფილიძე მახარეძე და ნარიმან ნარიმანოვი. ამ აქტს ვერ ეგუებოდნენ აქაური პატრიოტი ქართველები, ისინი მონანილეობდნენ 1924 წლის ანტირუსულ აჯანყებაში, იყვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლები, ბეკრმა მათვანმა გმირულად გასწირა თავი საქართველოსა და მისი ერთი თვალწარმტაცი ისტორიული კუთხის – საინგილოს ბედნიერი მომავლისათვის. ეს კი უნინარესად, ამ ხალხის ისტორიულ სამშობლოში დაპრუნებას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას გულისხმობდა.

ძნელია საინგილოს ქართველებისათვის XXI საუკუნეც. მათ არ აქვთ სრულყოფილი ეროვნული ინტერესების დაემაყოფილების საშუალება – საუთარი ენის, ისტორიის, კულტურის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პირობები. სახელმწიფო, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, მიზანმიმართულად ცდილობს ჩამოაშოროს ეს კუთხე ისტორიულ სამშობლოს, ამჯერად ცნობიერად, ახალი ისტორიის დაწერით.

ეთნოლოგი გულზარ გარაევა თავის გამოკვლევებში ცდილობს დაასაბუთოს, რომ ინგილოები არ არიან ქართველები, მათი დიალექტი სრულიად უცხოა ქართულისაგან, უფრო ახლოს აზერბაიჯანულ ენასთან დგას ეს დიალექტი. თუ ენის განვითარების ცოცხალ პროცესებს გავითვალისწინებთ, ამაში გასაკვირი არც არაფერი უნდა იყოს. გასაკვირი ის არის, რომ ინგილოური სოფლების – კავის, ალათემურის, მეშაბაშის, ალიძეგლოს, ქოთუქლოს, თასმალოს, ზაგამის და სხვათა მოსახლეობა დღემდე მშვინივრად მეტყველებს ქართულად. იმან, რომ საუკუნეების მანძილზე გრძელდება ქართული ენის „ინგილოური“ კილოს შეჯერება ჯერ ხუნძურ, შემდეგ აზერბაიჯანულ ენასთან, გარკვეულწილად დააშორა ინგილოური ქართულ სალიტერატურო ენას. ინგილოური ქართული დიალექტი თვით აქაურ ქართველთა ისტორიული ბედის ნანილია, ამ დიალექტზე მოსაზღვრა მერყევით თვითიდნენტიფიკაციაც (აზერბაიჯანელ მეცნიერთა მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში მათი ნანილი, თურმე, თავს არ აცხადებს ქართველად) ამ ისტორიის სამწუხარო შედეგია.

აზერბაიჯანელი ისტორიკოსები (ელდარ ისმაილოვი და სხვა) რუსეთის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკისას, ლაპარაკობენ კავკასიაში ქართველთა პრივილეგიებზე, თითქოს ერთმორნმუნების ნიშნით რუსეთისგან მიიღეს ქართველებმა გამორჩეული უფლებები,

რაც სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. მართლმადიდებლურმა ბლოგსარებლობამ ქართველებს წაართვა სულიერ-ეკლესიური დამოუკიდებლობაც, მოხდა ქართული ეკლესის რუსიფიკაცია და ქართველი მორნმუნების დაცილება ეკლესისაგან, ჩატარდა დიდი კოლონიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე, შეიქმნა არაქართული კომპაქტური დასახლებები და რუსიფიკაციის მეშვეობით მოხდა მათ მოწყვეტა ქართული სამყაროსაგან, შემდეგში ის სეპარატისტული რეჟიმების საფუძვლად უნდა ქცეულიყო. აზერბაიჯანელი მეცნიერები ინგილოების სპარსულ- აზერბაიჯანულ წარმოშობას იმით ხსინიან, რომ ეს მოსახლეობა მოსული არაა, მკვიდრია. ამაში ისინი მართალი არიან. ქართული სოფლის მოსახლეობა თითქმის ყოველთვის მკვიდრი იყო, თუ ძალით არ გაასახლებდნენ თავისი ისტორიული სამშობლოდან (ფერეიდნელი ქართველები, ასევე XIX-XX ს-ს-ში ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულ ქართველი მთიელები), ჰერეთის ეს ნანილი, რომელიც დღეს აზერბაიჯანში შედის, საქართველოს შემადგენელი ნანილია და იქ ქართველები ბუნებრივად ცხოვრობდნენ, განსხვავებით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული სოფლის მოსახლეობისა. აქედან, მათი წარმოშობაც ქართულია. სპარსული წარმოშობის ხალხი, მაზდებანური რელიგიის ექსპანსიის უამს, IV-V საუკუნეებში, ქრისტიანობას ვერ შეინარჩუნებდა და ვერც ისეთ კულტურულ მონაპოვარს შექმნიდა, როგორიც საინგილოს ისტორიული ძეგლებია. ქართველების პრივილეგირებას რუსეთის იმპერიაში აზერბაიჯანული ისტორიოგრაფია ასაბუთებს ქართველი ოფიცირების სიმრავლით რუსულ ჯარში, ქართველი მინისტრების სიმრავლით, აზერბაიჯანის „დაჩაგრულობას“ კი ქართველი სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) ბაქოში მოღვაწეობით, ბაქოს ქართული კოლონიის არსებობით. ასევე აღნიშნავენ, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა დიდი ნანილი იყო თავადაზნაურული წარმოშობის და რუსული კარგად იცოდნენ, განსხვავებით აზერბაიჯანელებისაგან.

არც ერთი ეს მოსაზრება მართალი არაა და აი, რატომ: ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები ბაქოში მართლაც მოღვაწეობდნენ, მაგრამ ამაში ქართველი ხალხი არაფერ შუაში იყო. ეს იდეოლოგია რუსეთის იმპერიაში ამ დროს ძლიერ გავრცელდა, მაგრამ საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი. ქართული ეროვნული ცნობიერება, რომელიც ძლიერი იყო XIX საუკუნის II ნახევრიდან, ამ იდეოლოგიას ებრძოდა, ქართველი ერის საუკეთესო შვილები ბოლშევიზმს დამტუბებელად მიიჩნევდნენ. ამ რუსული იდეოლოგიის წარმომადგენლები (ორჯონიქიძე, მახარაძე, ცხაკაია და სხვები) რუსეთში მოღვაწეობდნენ, ძირითადად სამრეწველო ქალაქებს ირჩევდნენ ასპარეზად და იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთი ძლიერი ამ ნიშნით ბაქო იყო. მიტომ, ბუნებრივი იყო მათი აქ მოღვაწეობა. ისინი ქართველი

ხალხის დასტურით არ მოღვაწეობდნენ ამ ქალაქში. ბაქოსთან ისე-თივე მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისის გუბერნიას, როგორც ქუ-თაისის ან იმპერიის სხვა ახლო გუბერნიებთან. სოციალისტური იდეოლოგია პოპულარული საქართველოშიც იყო, როგორც მთელს რუსეთში, მაგრამ ქართველი ბოლშევიკები ნაკლებად პოპულარულ-ნი იყვნენ მენშევიკებთან შედარებით.

იმპერიის სახელმწიფო სტრუქტურებში (სახელმწიფო საბჭო, სათათბირო) ქართველები იყვნენ იმ ოდენობის, რაც სხვა გუბერნიებიდან, რადგან აქ ისინი კანონით ირჩეოდნენ ან ინიშნებოდნენ (მოსახლეობის სულადობის, ან გუბერნიაზე არსებული კვოტით). ქართველი მინისტრები რუსეთს არ ჰყოლია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ დროებით მთავრობაში იყვნენ რამდენიმე მაღალი თანამდებობის ქართველი მოღვაწე (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი), ქართული ოფიცრობა კი ეროვნული ცნობიერებით არ გამოირჩება, თითქმის გარუსებული იყო და რუსეთის ინტერესებს ქართულზე მაღლა აყენებდა, ამიტომ მისი სიმრავლე რუსეთის არმიაში პეტრე ბაგრატიონიდან დაწყებული პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი სამხედრო ჩინოსნებით, საქართველოსთვის არაფერს ნიშნავდა.

ბაქოს ქართული კოლონია შედგებოდა იმ ქართველი ინტელიგენციისაგან, რომელიც ამ მეზობელ ქვეყანაში მოღვაწეობდა, ისინი კულტუროლოგიურ საქმიანობას ენეოდნენ და არავითარი ეროვნული ინტერესი, აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებთან დაპირისპირებული, მათ არ ჰქონიათ.

1917-1920 წლებში ეს კოლონია გაიზარდა იმ ქართველ სამხედროთა რიცხვით, რომლებიც აზერბაიჯანის ჯარში მსახურობდნენ. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მართლაც მრავალრიცხოვანი ქართული სამხედრო ოფიცრობა, რუსეთის ჯარში რომ მსახურობდა, საქართველოში დაბრუნდა, მათ აქ სამსახური ვერ იშოვეს, რადგან ქართული ჯარი არ იყო ისე მრავალრიცხოვანი და ძლიერი, რომ ყველა დაბრუნებულ მეთაურს აქ ეშოვა ადგილი. ვინაიდან საქართველო დანარჩენ სამ მეზობელთან საომარ მდგომარეობაში იყო, ისინი ბუნებრივად აზერბაიჯანში ნავიდნენ, დიდი მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში, ბევრმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო და ემსხვერპლა ბოლშევიკების წინააღმდეგ მოწყობილ ბრძოლას, მაგალითად განჯის აჯანყებაში მონაწილე ქართველი ოფიცრების დახვრეტაც ემარა.

აზერბაიჯანთან საქართველოს, დანარჩენ მეზობლებთან შედარებით, ყოველთვის კარგი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ამ ორი ქვეყნის ხალხი გაცილებით ნაკლებ პრეტენზიებს უყენებდა ერთმანეთს და თითქმის უკონფლიქტოდ ცხოვრობდა. საინგილოს ბეჭიც აზერბაიჯანელი ხალხის სურვილით არ გადაწყვეტი-

ლა, იგი ვერ იმპერიულმა რუსეთმა, შემდეგ კი საბჭოთა ტოტალისტარულმა რეჟიმმა დააკანონა. ამავე რეჟიმმა აზერბაიჯანს შეუქმნა საქართველოს მსგავსი პრობლემები. დღესაც ორივე ამ ქვეყანაში რუსეთი მათი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და სახელმიწოდებრიობის დანგრევას ცდილობს, საქართველოში უფრო მეტად აკეთებს ამას, რადგან საუკუნეების მანძილზე ასე აკეთებდა. მისთვის საქართველო კავკასიის ცენტრალური ქვეყანა იყო და ეკოლოგიურ-იმპერიულ ზრახვებს აქ მეტი სიმკაცრით ანხორციელებდა.

ჩვენ ტერიტორიაზე კი არ გამოვთქვამთ პრეტენზიას (ამას ამუშავდ აზრი არა აქვს), არამედ იმ მართალ ისტორიაზე, რომლითაც ინგილოები ეთნიკური ქართველები, ტრაგიკული ისტორიით დასჯილი ადამიანები არიან. ამ ჭეშმარიტების თქმისა და განმეორების უფლებას ნურც ნაგვარომევენ და ნურც გაიკვირვებენ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელი კოლეგები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. А. С. Хаханов – Экспедиции на Кавказ в 1892, 1893 и 1895 г.г., Материалы по археологии Кавказа, вып. VII, Москва, 1898.
2. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, გვ. 13, 130, 133, 226-228; ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წიგნი III (საინგილო), თბილისი, 1979.
3. თენგიზ პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, თბილისი, 1972.
4. თენგიზ პაპუაშვილი, ნუქეთის სიძველენი, თბილისი, 2002.
5. ზაქარია ედილი – საინგილო; თბილისი, რედაქტორი გ. ქიქოძე, 1947.
6. დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა, ზაქარია ედილაშვილი (1873-1956), თბილისი, 2008.
7. დიმიტრი ჯანაშვილი, ძველი რვეულიდან, გაზეთი „საქართველო“ №29, 1916.
8. ზაქარია ედილაშვილი, საინგილოს გადაგვარება, გაზეთი „საქართველო“ №14, 1916.
9. ნერილი საინგილოდან, გაზეთი „სამშობლო“, № 83-84, 1916.
10. ზ. ედილი, სანგილო, გაზეთი „საქართველო“, №73, 1917.
11. რაფიელ ინგილო, კიდევ ტერიტორიისთვის, გაზეთი „საქართველო“ №207, 1918.

ჩატურიძე და ტურიძე ან შოთავანიშვილი ამ ქადაგში ბაჟობის საკითხის
შესრულების შესახებ მომართებული მიზანის სასტური მიზანის შესახებ

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Chief Scientific Researcher of the modern and contemporary history of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

SAINGILO
(History and Contemporaneity)

Summary

Saingilo has been the part of Georgia from the oldest times, both by its territory, population, language and culture this region belonged to the Georgian world. Modern Azerbaijan scientists disregard old antic, Armenian, Byzantine, Arabic, Persian and other written sources, saying nothing about the Georgian sources themselves. According to this information the question of Saingilo and the Ingilos is beyond any doubt: – Herebi are the Georgian tribe and Hereti is integral part of Georgia. This region took the same part in political and cultural life of the Georgian people as the Kakhetians, Megrelians, Meskhiand ets.

An article studies in general Saingilo's history back from the oldest times till XIX century, shows details of anti-Georgian politics carried out by Russia's authority in XIX-XX centuries. The article criticizes and grounds wrong opinion of the Azerbaijan scientists about history and culture of Saingilo – old Hereti and Ingilo dialect.

მზია ტყავაშვილი
სატორის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სატორისა და ეთნოლოგის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ოსეპის 1810-11 წლების აჯანყება ლეონ გამონიშვილის ხელმძღვანელობით

„ლეონ იყო უფროსი შეფის ძის იულიონისი, მხნე,
გამბედავი და გულაძე; რომელიცაც დარჩა საქართველოს,
ებრძოდა რუსთა; ათსა ნელსა მდევნელი ბედისა და ვერ
დირსებული ბედისა მოღალატისა; მოიკლა ზაკვითა და
მოსყიდვით. ეს იყო 1810 ანუ 1811 ნელს (2, 159).“

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა. 1802 წლიდან ქართლ-კახეთში შეიქმნა რუსული მმართველობა, რომელმაც მოსპო ქედი ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და გაუქმა ბაგრა-ტიონთა სამეფო დინასტია.

რუსული მმართველობა ნარმოადგენდა მეფის რუსეთის მიერ სა-ქართველოში დამყარებულ კოლონიურ-პოლიტიკურ რეჟიმს, რომე-ლიც სოციალურ ჩაგრასთან ერთად, ქართველი ხალხის ეროვნულ ჩაგრასაც ახორციელებდა. [4, 398]. ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუქმება და უცხო რეჟიმის დამყარება საქართველოს სა-ზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში განცდილ დიდ მარცხს მოასწავებდა.

ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია ამ მოვლენას და შეუნე-ლებლად განაგრძობდა ბრძოლას რუსული მმართველობის წინააღ-მდეგ. [4, 387].

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოში დაიწყო ანტირუ-სული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც „გა-ფართვება-გაძლიერების ტენდენციას ამჟღავნებდა. ეროვნულ ძალ-თა მამობილიზირებლის როლს ასრულებდნენ ბაგრატიონი უფლისნუ-ლები. ძირითადად ისინი განსაზღვრავდნენ მშვიდობიანი და არამშვი-დობიანი ბრძოლის ფორმებს, მიმართულებასა და მიზანს.“ [3, 162].

მათი ხელმძღვანელობით ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლე-ბისა და ქართული თვითმმართველობის აღდგენის პირველი ცდები მარცხით დასრულდა (1802 წლის ქელმენჩურის შეთქმულება, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება და ა. შ.), მაგრამ სამეფო სახლის ნარმ-მადგენლები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და მოსახლეობას ანტირუსული

გამოსვლებისკენ მოუწოდებდნენ. რუსული ხელისუფლებისთვის ცხადი იყო, რომ ქართველი ხალხი მათ ნინააღმდეგ ბრძოლას არ შენ-ჟვეტდა.

შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ გენერალმა ლაზარევმა ჯერ კიდევ 1801 წლის მარტში გააფრთხილა იმპერიის უზენადესი მთავრობა, რომ თუ ქართული სამეფო სახლის ნარმომადგენლები საქართველოში დარჩებოდნენ, ქვეყანაში მშვიდობა და ნესრიგი არ დამყარდებოდა და მას ბაგრატიონი უფლისწულების რუსეთში გადასახლება ურჩია [3, 162].

მართლაც, 1803 წლიდან, დაიწყო ბაგრატიონთა ნარმომადგენლების რუსეთში გადასახლება. მათ უმეტესობას სამშობლო 1803-1805 წლებში დაატოვებინეს და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებში დაასახლეს.

რუსეთში გადასახლებას რამდენიმე ბატონიშვილი გადაურჩა.

რუსეთში არ გამგზავრებულა ალექსანდრე ერეკლეს ძე. იგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მებრძოლად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ მამის, ერეკლე II-ის, სიცოცხლეში გაიქცა სპარსეთში; 1800 წელს ალექსანდრე დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მაღლე ისევ დატოვა ქვეყანა და თავი სპარსეთს შეაფარა. როგორც პლატონ იოსელიანი წერდა: „ალექსანდრე, მამისავე თვისისა დროსა გაქცეული და ახალ მეფობაში უკუ მოქცეული თბილისად და მიღებული კეთილად მეფისა გიორგისაგან, შეშინდა (გიორგი XII-ის მიერ იულონის თბილისიდან გაძევების შემდეგ – ავტორის შენიშვნა) და კვალად გაიქცა სპარსეთად“ [2, 197]. ალექსანდრე ირანის შაპის, ოსმალეთის სულთნისა და ჩრდილო კავკასიელთა დახმარებით ფიქრობდა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისა და ქართული სამეფო სახლის უფლებების აღდგენას.

1803 წელს თბილისიდან გაიქცა და ირანს მიაშურა ალექსანდრეს ძმისშვილმა, თეიმურაზ გიორგის ძემ. თეიმურაზი თავის სპარსეთში გაქცევას საქართველოს მთავარმართებელ ციციანოვს მიანერს. იგი ისტორიულ თხზულებაში „ახალი ისტორია“ წერს: „კვალად სიფიცხითა და ბოროტებითა ციცისშვილითა ვნებულ იქმნენ უმრავლესნი თავადნი და აზნაურნი კახეთისანი და ნარივლებინან სპარსეთად. ეგრეთვე, მეფის გიორგის ძე თეიმურაზცა, ვნებულ ციცისშვილისაგან, ნარვიდა სპარსეთად“ [6, 69] პლატონ იოსელიანს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ცნობა მოეპოვება. ის თავის ისტორიულ თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ წერს: „დიდისა მეცადინებითა მეფის ძემან თეიმურაზ დაუახლოვა მემკვიდრესა დავითს სიმამრი თვისი სარდალი ოთარ ამილახვრიშვილი. ესე ოთარ, ადრითვე ემდუროდა მეფის ძესა დავითს, რომელიც იყო დანიშნული მისსა ქალზედ და არღა დაინერა მასზედ ჯვარი.

გარნა მისცა საპყრობილესა დროებით, სხვათა თანა, და ესრეთ იქ-მნა მიზეზად, რომელ მეფის ძე თეიმურაზ, სიძე ოთარისა, გაიქცა სპარსეთა და ეახლა ყენსა“ [2, 220]. შაპი მოხერხებულად იყენებდა ქართველ ბატონიშვილებს რუსების ნინააღმდეგ ბრძოლაში [7, 70-71].

ირანს შეაფარა თავი იულონ ერეკლეს ძის ვაჟმა-ლეონ ბატონიშვილმაც. რუსებმა იულონ ბატონიშვილი მთიულეთის აჯანყებისას შეკიდებული და 1804 წელს გადასახლეს რუსეთში, იმერეთს თავშეფარებული მისი ოჯახი კი 1805 წელს გადმოიყვანეს ქართლ-კახეთში და რუსეთში გაამგზავრეს. ლეონი მაშინ ოჯახს თან არ გაჰყვა. ამ დროს იგი არასრულწლოვანი იყო, თუმცა უკვე ამჟღავნებდა რუსეთის მიმართ შეურიგებელ განწყობილებას. მის რუსეთში ნაყანას უშედეგოდ ცდილობდა მამა-იულონ ერეკლეს ძე. (არსებობს იულონ ბატონიშვილის რუსეთის ხელისუფლებისადმი მიწერილი არაერთი წერილი, რომელშიც ითხოვს, მასთან გაამგზავრონ მისი ვაჟი-ლეონი. ძნელია იმის თქმა, ამ წერილებს იულონი თავისი ნებით წერდა, თუ რუსეთის მოხელეების ძალდატანებით-ავტორის შენიშვნა). ლეონის სპარსეთიდან გადმოყვანით სისხლხორცულად იყო დაინტერესებული რუსეთის ხელისუფლება. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია არც თუ უსაფუძვლოდ შემობდა, რომ სპარსეთი შეეცდებოდა ლეონი მის ნინააღმდეგ ქართველი ხალხის დასარაზმავად გამოეყენებინა.

ქართლ-კახეთშივე დარჩა იოანე ბატონიშვილის (გიორგი XII-ის ძე) ვაჟი გრიგოლი (1789-1830), რომელიც 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, კერძოდ კი თებერვალ-მარტში, საქართველოს ტერიტორიის გარევეულ ნაწილში მეფიობდა [8, 9].

რუსეთის ხელისუფლების მიერ ბაგრატიონების ნარმომადგენლების უმეტესობის რუსეთში გადასახლების (1803-1805 წლები) შეძლების უმეტესობის რუსეთში გადასახლების სა-დეგ, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სა-დეგ, საქართველოში განმათავისუფლებელ მოძრაობას სა-დეგში. სწორედ ზემოთ აღნიშნული ბაგრატიონები ჩაუდგნენ. თავეში და განვითარებული ბაგრატიონები ჩაუდგნენ. რა ქართლ-კახელთავის დიდი იმედისა და დასაყრდევნის ფუნქციას, რა თქმა უნდა, იმერეთის მეფე სოლომონ II-ც ასრულებდა, მისი დაულა-თვის 1810 წლამდე გაგრძელდა. რუსების მიერ იმერეთის სამეფოს გა-თვის 1810 წლამდე გაგრძელდა. რუსების მიერ იმერეთის სამეფოს გა-უქმების შემდეგ სოლომონ II დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ანტირუსულ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

ქართულ პოლიტიკურ წრეებში კარგად იცოდნენ, რომ ახალი კო-ლონიური დაპყრობებისთვის მომართული, მზარდი და ორგანიზებული რუსეთის სახელმწიფოს დამარცხება და ქართლ-კახეთის დამოულებების აღდგენილი საღარეო დახმარების გარეშე შეუძლებელი კიდებულობის აღდგენი საგარეო დახმარების გარეშე შეუძლებელი კიდებულობის მისაღწევად კი არამარტო საჭირო, არამედ აუცილებელი. ნარმატების მისაღწევად ნებისმიერ ძალასთან, ბელიც იყო რუსეთის ნინააღმდეგ განწყობილ ნებისმიერ ძალასთან, ერმათ შორის ტრადიციულ მტრებთანაც ირანთან და ოსმალეთთან, ერ-

თობლივი და შეთანხმებული მოქმედება. რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში არსებული საბრძოლო გამოცდილებიდან აშკარა იყო, რომ ქართველი ხალხის წინა ანტირუსულმა გამოსვლებმა არსებითი ცვლილებები ვერ მოახდინა რუსეთის ბატონობაზე საქართველოში. ქართველი ხალხის მიერ ამ დროს გაღებულმა მსხვერპლმა არა მარტო ვერ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა, არამედ ვერავითარი ზიანი ვერ მოუტანა რუსეთის ბატონობას საქართველოში. პირიქით, მათი აგრესია უფრო ორგანიზებული და მიზანმიმართული გახდა, რუსეთის სამფლობელოების რიცხვი ამიერკავკასიაში კი დღითიდლე იზრდებოდა.

არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, ახალი ანტირუსული გამოსვლებისთვის სერიოზული მზადება მიმდინარეობდა. ქართველი ბაგრატიონებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-ირანისა (1804-1813) და რუსეთ-ტურქეთის (1806-1812) ომებს. ბატონიშვილები ფიერობდნენ, რომ ეს პერიოდში შესაფერისი დრო იყო რუსების წინააღმდეგ ჯანყებისთვის. მაშინ, როდესაც ამიერკავკასიაში მყოფი რუსების მცირერიცხოვანი ჯარები ირანთან და ოსმალეთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული, ქართველებს მათთან შეთანხმებითა და ერთობლივი მოქმედებით შესაძლოა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და იმერეთის სამეფოს შენარჩუნებისთვის მიეღწიათ.

თავის მხრივ ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეებიც ხვდებოდნენ, რომ რუსები ამიერკავკასიაში თავის პოზიციებს ადვილად არ დათმობდნენ. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი იქნებოდა, თუ ვის მხარეს დაიკავებდა კავკასიის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც უკვე რუსეთის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდნენ. მათ შორის უდიდესი მნიშვნელობა ქართველი ხალხის პოზიციას ენიჭებოდა, კერძოდ კი იმას, ქართველები გააგრძელებდნენ რუს ოკუპაცითა წინააღმდეგ ბრძოლას, თუ დაყრიდნენ ფარ-ხმალს და შეებოდნენ ბედს. სერიოზული საკითხი იყო — მოისურვებდა თუ არ საუკუნეების განმავლობაში ირანისა და ოსმალეთის აგრესიით შეწუხებული საქართველოს მოსახლეობა მათთან გაერთიანებას და რუსების წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლების მოწყობას. მასლობელი აღმოსავლეთის ამ ორი უდიდესი სახელმწიფოს მესვეურებმა, რომელიცაც რუსეთთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, კარგად იცოდნენ, რომ რუსების წინააღმდეგ სპონტანური გამოსვლები მარცხისთვის იყო განწირული; წარმატების მისაღწევადკი აუცილებელი იყო, ირანისა და თურქეთის საომარი მოქმედებები ქართველთა და საერთოდ, მთელი კავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან შეთანხმებული და კოორდინირებული ყოფილიყო.

ამ საქმეში უდიდესი როლი ქართველ ბატონიშვილებს ეკისრებოდათ. ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეებისთვის ცხადზე ცხა-

დი იყო, რომ საუკუნოვანი მტრობის გამო ქართველი ხალხი მათ აღარ წეობოდა და მათი მხრიდან საომარი დაბმარების შემთხვევაშიც სამოთველის ტერიტორიაზე მათ შესვლას ქართულ მინებზე თავდასწავლა და მისი მიტაცების მცდელობად აღიძგავდა. ამ შემთხვევაში წაკუპ მოსალოდნელი იყო, რომ ქართველებს რუსული მმართველობის მიწული ან თურქული ბატონობით ჩანაცვლება მოენდომებინათ. მასმა და ოსმალეთმა კარგად იცოდნენ ისიც, რომ რუსების წინააღმდეგ მათ სამხედრო მოქმედებას მხოლოდ და მხოლოდ ბაგრატიონი ბატონიშვილების მონანილება შესძნდა ქართველების თვალში განმითავისუფლებელ ხასიათს და მხოლოდ ასე გახდებოდა შესაძლებელი ქართველი ხალხის ჩართვა ამ ბრძოლებში. ამის გამო სპარსეთსა და თურქეთში ქართველ ბატონიშვილებს კარგად იღებდნენ და საჭირო დახმარებასაც პირდებოდნენ.

რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრებას მტრულად შეხვდნენ ექიმური სახელმწიფოებიც. განსაკუთრებით კი, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები.

ორივე სახელმწიფოს დიპლომატიური სამსახურები აქტიურ მოხარისხით მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. XIX საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა მათი მცდელობა შეერიგებინათ ირანისა და ოსმალეთის საუკუნეების განმავლობაში დაპირისპირებული პოლიტიკური ინტერესები და ამ მიზნით აქტიურად გამოეყნებინათ საერთო მტრის — რუსეთის ფაქტორი. რუსეთის მიერ საქართველოს, შემდგომ ამიერკავკასიის და საერთოდ მთლიანი კავკასიის მიტაცების შიში იმდენად დიდი იყო, რომ ირანი და თურქეთი იძულებული გახდნენ დროებით გვერდზე გადაედოთ თავიანთი შეურიგებელი პოზიციები საზღვრების საკითხში და ერთმანეთისთვის მეგობრობის ხელი გაეწირდებინათ.

1810 წელს ირან-თურქეთს შორის დაიდო შეთანხმება რუსების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ამ საქმეში ჯერ საფრანგეთმა, შემდგომ კი ინგლისმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. [1, 753-54]. ამაზე მიუთითებს ირანის ვეზირის აბდორ რაზაყის 1810 წლის ცნობაც: „ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს მტკიცე პირობა ჰქონდათ დადებული ერთმანეთთან, რომ ომისა და მშვიდობის დროს მოკავშირები ყოფილიყვნენ და არც ერთ მხარეს არ დაედო ზავი სხვა სახელმწიფოსთან (იგულისხმებოდა რუსეთი — ავტორის შენიშვნა) მეორე მხარის თანხმობის გარეშე“ [7, 165].

ამ შეთანხმების თანახმად ირანს და თურქეთს უნდა შეეტიათ საქართველოსთვის ოთხივე მხრიდან. ყარაბაღისა და განჯის მხრიდან, აგრეთვე, ფამბაჯზე და შურაგელზე საომარი მოქმედება უნდა გაეჩაღებინათ ირანელებს; თურქებს კი ჯარები ერზერუმში, ბაიაზეთში და ყარსში უნდა შეეკრიბათ და იმერეთისკენ წასულიყვნენ. იმერეთისა-კენ სალამქროდ ემზადებოდა, აგრეთვე, ტრაპეზუნდის ჯარი, რომელ

საც ირანთან შეთანხმებით უნდა მიშველებოდა ახალციხის სერასქერი შერიფ-ფაშა [1, 76].

დიპლომატიურ მოლაპარაკებებთან ერთად ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურები ირანისა და თურქეთის არმიას უახლესი მიღწევების შესაბამისად წვრთნიდნენ და რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის ამზადებდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის ბიუჯეტებიდან ხდებოდა საკმაოდ სერიოზული ფულადი სახსრების გამოყოფა ირანისა და ოსმალეთის არმიების შესაირალებლად.

აღსანიშნავია, რომ ირანი და თურქეთი ერთობლივ მოქმედებებზე მოლაპარაკებებში იყენებდნენ ირანში გადახვენილ ალექსანდრე ბატონიშვილს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირან-თურქეთის ურთიერთკავშირი განსაკუთრებით გაძლიერდა 1809-1810 წლებში. სწორედ ამ დროს, ზამთრის პერიოდში, ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი და ოსმალეთის ფაშებს რაზმავდა გაზაფხულზე საქართველოში მყოფი რუსების წინააღმდეგ სალაშქროდ. როგორც ჩანს, ახალციხის საფაშოში მოხდა რუსეთის წინააღმდეგ ირან-თურქეთისა და კავკასიელი ხალხების, საქართველოში მოძრაობის დაგეგმვა-კომრდინაცია. სამხრეთიდან ირანისა და ოსმალეთის ერთობლივი შეტევის პარალელურად უნდა მომხდარიყო გამოსვლები იმერეთში სოლომონ II-ის ხელმძღვანელობით; აღმოსავლეთ საქართველოში ანტირუსული გამოსვლები უნდა დაწყებულიყო ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში, რომელიც ამავე დროს უნდა გამხდარიყო მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის რუსების წინააღმდეგ დამრაზმავი ცენტრი.

სპარსეთის, სოლომონ II-ისა და ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრები ოსების ერთობლივი მონაწილეობით ანტირუსული გამოსვლები ჯერ კიდევ 1808 წლის ზაფხულში იგეგმებოდა. თავადი ორბელიანი გენერალ მაიორ გუდოვის 1808 წლის 18 აგვისტოს წერდა: „იმერეთის მეფე და თავადი წერეთელი მიწვეული არიან სპარსეთში მომავალ აჯანყებაზე მოსალაპარაკებლად.... მათ ერთი იმერელი წერილით გაგზავნეს ჯავის ხეობის ოსებთან და მათ აჯანყებაში მონაწილეობისკენ მოუწოდეს. ამ უკანასკნელმა ეს წერილი გადასცა სოფელ სხლებში მცხოვრებ ოსს პიბო ცხოვრებაშვილს, რომელმაც ამის შესახებ აცნობა მთელ ხეობას. მათ პასუხი მისწერეს იმერეთის მეფეს, რომელშიც აჯანყებაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს... იმერეთის მეფემ პიბო დააჯილდოვა ფულით. 14 სექტემბერს აღნიშნულ საკითხზე ამ ხეობაში მოეწყობა ყრილობა“ [10, 163].

აღმოსავლეთ საქართველოს აჯანყების ცენტრად ამ ტერიტორიის შერჩევა შემთხვევით არ მომხდარა. ამ პერიოდში ამ მხარეში რუსები არა მარტო თავის იურისდიქციას ვერ ახორციელებდნენ, არამედ გამცილებლისა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დაცვითაც

კი ვერ ბედავდნენ შესვლას. ქართლის ჩრდილოეთი რაიონები იყო სწორედ ის უსაფრთხო ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იყო ფართომასშტაბიანი სააგიტაციო მუშაობის წარმოება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში. გარდა ამისა, იგი ესაზღვრებოდა იმერეთის რეგიონს, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და გეგმის მიხედვით უნდა აჯანყებულიყო; ამ რო აჯანყებული მხარის ურთიერთკავშირი და მათი შეთანხმებული მოქმედება ურთიერთმეზობლობის გამო ადვილად მოხერხდებოდა. ე. ი. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართებოდა, აჯანყება მოედებოდა და დასავლეთ საქართველოს და მის მოსაზღვრე ქართლის ჩრდილოეთი მდებარე ტერიტორიებს, აქედან გვარცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში; პირველა რიგის ამოცანა იყო მთიულების, გუდამაყრელებისა და საერთოდ, საქართველოს მთის მოსახლეობის აჯანყებაში ჩართვა, რომელიც ბაგრატიონთა მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. მათი საშუალებით წავარაუდევი იყო კავკასიონის გადასავლელების ჩაკეტვა, რაში დახმარება ჩრდილო კავკასიელებსაც უნდა გაეწიათ.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთისა და ირანის მმართველი წრები წარმატების მისაღწევად ჩრდილო კავკასიელების აჯანყებასაც გეგმავდნენ. ოსმალეთის სულთანი, ირანის შაჰი და აბას მირზა ფირმანებით აუწყებდნენ კავკასიის ხალხებს ოსმალეთისა და ირანის ჯარის ლაშქრობის შესახებ და ყველას რუსთა წინააღმდეგ გადამწყეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. იმის საილუსტრაციოდ თუ რა ხასიათის იყო ეს მოწოდებები, მოვიყვანთ ფათ ალი შაჰის ფირმანს, რომელიც საიდუმლოდ გაუგზავნეს ყაბარდის მმართველთა ფირმანს, მაგრამ რუსების ჩაუგარდათ ხელში: „მე, ირანის შაჰი, გიცოველებს, მაგრამ რუსების ჩაუგარდათ ხელში: „მე, ირანის შაჰი, გიცოველებს, მაგრამ რუსების გამოვლენა საქართველო ძალით დაიკავა. ამ წყეულმა რუსებმა ჩვენს მართლმორნმუნე ხალხს (იგულისხმება ჩრდილოეავგასიელები, რომელთა ნაწილი, განსაკუთრებით ზედა ფენები, მაკმადიანები იყვნენ – ავტორის შენიშვნა) ბევრი რბევა და გაჭირვება მოუტანა. ახლა, მე გამოვგზავნე ჩემი ვაჟიშვილი აბას-მირზა 50-ათასიანი მოწესრიგებული ჯარით; მალე მეც 100-ათასიანი ჯარით და 400 ზარბაზნით მის კვალს გამოვყები და ყველა რუსს გავყრი საქართველოდან, გავანადგურებ მათ და მოვსპონ უკანასკნელ კაცამდე; ხოლო თქვენ როგორც მართლმორნმუნებს, ამ ფირმანით გიბრძანებთ, როდესაც შეიტყობთ საქართველოში ჩემი მოსვლის შესახებ გააერთიანეთ თქვენი ძალები, თავს დაესხით რუსებს, გაანდგურეთ და გააცამტვერეთ ისინ“ [11, 435].

XIX საუკუნის დასაწყისში აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული მთელი ჩრდილო კავკასია. 1809-1811 წლებში ყაბარდოსა და ჩეჩი-

ნეთში რუსეთის საწინააღმდეგოდ დიდი აჯანყება მიმდინარეობდა. იგი რუსეთის მთავრობამ სისხლში ჩაახშო [9, 41].

კავკასიელთა აჯანყების ორგანიზებაში ოსმალები და ირანელები ყველაზე დიდ იმედს აღექსანდრე ბატონიშვილზე ამყარებდნენ. ამ უკანასკნელის პროელამაციებიდან ჩანს, რომ იგი დიდ მატერიალურ დახმარებას დებულობდა საქართველოს მოსახლეობის ასაჯანყებლად. ბატონიშვილი წერდა: „მე ხელთა მაქვს ძალი და ხაზინა სამი ძლიერი და დიდ სახელმწიფოსი – მთელი ირანის, ოსმალეთის და ინგლისის“ [1, 127]. ირანს საკუთარი თანხები არ გააჩნდა. როგორც ჩანს, ირანზე გაცემული ინგლისის სუბსიდიებიდან ხდებოდა საქართველოში აჯანყების მოსაწყობად აღექსანდრე ბატონიშვილის დაფინანსება.

აჯანყების ორგანიზატორებს სურდათ სამხრეთიდან ირანისა და ოსმალეთის მრავალრიცხოვანი არმიების შემოსვლით, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ერთობლივი მოქმედებით რუსთა ჯარების ალყაში მოქცევა. ამის შემდეგ მას განადგურებისგან ფაქტიურად ველარაფერი იხსნიდა.

რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, ირან-ოსმალეთ-ჩრდილო კავკასია-საქართველოს, ამ ერთობლივი ლაშქრობა-აჯანყების გეგმის შესახებ რუსეთის მთავრობას უკვე 1809 წელს ჰქონდა ინფორმაცია.

„1809 წლის სექტემბერში გენერალმა ტორმასოვმა (იგი 1809 წელს საქართველოს მთავარსარდლად გუდოვიჩის ნაცვლად დაინიშნა – ავტორის შენიშვნა) უზენაეს მთავრობას აცნობა, რომ იმერეთის მეფე შეხვდა მისი ქვეყნის საზღვართან მისულ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელმაც შაჰისაგან ნაბოძები ფული ჩამოიტანა და მიზნად აქვს დასახული რუსეთის წინააღმდეგ აამხედროს ერთდროულად ახალციხის ფაშა, იმერეთი და კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები“ [10, 163]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, აღექსანდრე ბატონიშვილი ამ შემთხვევაში ასრულებდა საქართველოში ანტირუსული გამოსვლების ორგანიზატორის როლს და ამ შეხვედრებში ქართული მხარის პოზიციების გამომხატველი იყო.

ამ პერიოდში ირან-თურქეთისა და კავკასიის ხალხების გაერთიანებული ლაშქრობის შემთხვევაში რუსეთის პოზიციებს კავკასიაში სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა.

რუსეთის მდგომარეობა კავკასიაში გაართულა 1809 წლის 12 მარტის ირან-ინგლისს შორის ე. წ. წინასწარი ხელშეკრულების დადებამ, რომელიც უნინარეს ყოვლისა, მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. [7, 164]. (საფრანგეთის წარმომადგენლების მსგავსად ახლა ინგლისის ელჩი ცდილობდა შეეკრა ირან-თურქეთის კავშირი რუსეთის წინააღმდეგ, რაც 1810 წელს მოახერხა კიდეც. აღსანიშნავია, რომ ირანისა და თურქეთის ინტერესთა შე-

რიგება კი მოხერხდა, მაგრამ ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობები უცვლელი დარჩა).

რუსეთმა კოალიციის დასაშლელად მოქმედება რამდენიმე მისართულებით დაიწყო. პირველი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის პოლიტიკურმა წრეებმა ამ მიმართულებით გადადგეს, ამ კოალიციიდან ირანის გამოოთიმება იყო.

რუსეთმა დიპლომატიური საშუალებებით სცადა ირანთან საქმეების მოვარება, – მან გაათკეცა ძალისხმევა ირანთან საზავო შეთანხმების მისაღწევად. ირანი არ თანხმდებოდა საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე. რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ შაჰის მთავრობა ელოდა დახმარებას თურქეთის მხრიდან – უკვე არსებობდა ირან-თურქეთის კავშირის ტრაქტატი [7, 167-168].

ინგლისის მხრიდან მთელი რიგი დახმარებების მიუხედავად (საბრძოლო აღჭურვილობა, ჯარის განვრთნა, დაფინანსება), ირანის ჯარი რუსებთან ბრძოლაში დამარცხებაზე განიცდიდა. ამის გამო, ირანის მხარე იძულებული გახდა, დროის მოგების მიზნით, დათანხმებოდა რუსეთს მოლაპარაკების დაწყებაზე. აბას მირზამ და ირანის ვეზირმა მირზა ბოზორგმა წერილები გაუგზავნეს რუსეთის მხედართმთავრებს, რომ მოლაპარაკება შემდგარიყო ჰეტერბურგში, სადაც ჩავიდოდა ირანის ელჩიც.

წინასწარი მოლაპარაკების მიზნით ტორმასოვმა ირანში ხელმეორედ გაგზავნა ვრცელდე, რომელიც თავრიზში 1810 წლის 5 თებერვალს ჩავიდა.

ირანის ვეზირმა მირზა ბოზორგმა აცნობა ირანში ინგლისის თვიციალური დიპლომატიური მისის ხელმძღვანელ ჯონსს, რომ ვინაიდან ინგლისიდან და თურქეთიდან არ ჩანდა ქმედითი დახმარება, შაჰი თანახმა იყო მოლაპარაკება დაეწყო რუსეთთან [1, 694; 7, 168].

ჯონსის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად 1810 წლის 20 აპრილს ყარაბაღში – ასქარანის ციხეში დაიწყო ირან-რუსეთის მოლაპარაკება, თუმცა მას არავითარი შედეგი არ გამოუღია. 18 დღის შემდეგ იგი შეწყდა და მირზა ბოზორგი უკან დაბრუნდა. ამ მოლაპარაკების შესახებ ცნობა მოეპოვება თეიმურაზ ბაგრატიონსაც: „ტორმაზოვი... წარსრულ იყო ყარაბაღად ზავ-ყოფისათვის სპარსთა გარნა სპარსეთისა კერძოთ მოვიდა მასთანა ყაენისაგან ნეთანა, გარნა სპარსეთისა კერძოთ მოვიდა მასთანა ყაენისაგან ნებითა სრულითა მირზა ბუზურგ, შეიმთხვენ მუნ, მაგრა არა მოუხდათ მათ ზავ-ყოფა, მირზა უკუნ იქცა სპარსეთადვე, ხოლო ტორმაზოვი მოვიდა ტფილისად“ [6, 74].

რუსეთი აღექსანდრე ბატონიშვილის გადმობირებასაც ცდილობდა და მას თავის პირობებს სთავაზობდა [7, 171-173], თუმცა ეს ვერ მოახერხა.

კოლიცის დაშლას თუ არა, შესუსტებას მაინც, რუსეთი სხვა ლონისძიებებითაც გეგმავდა. სოლომონ II-ის შეპყრობა და თავიდან მოშორება ერთ-ერთი ასეთი საშუალება იყო. ალექსანდრე ბენდიანიშვილი წერს: „ტორმასოვის მიზანი... გახდა არა სოლომონ მეორესთან ურთიერთობის დარეგულირება, არამედ ყველა პირობის მომზადება მეფის შეპყრობისა და იმერეთში რუსული მმართველობის გახსნისათვის“ [3, 193].

1810 წლის აპრილში ტორმასოვმა მართლაც შეიძყრო სოლომონ II. თუმცა იმერეთის მეფე 1810 წლის 10 მაისს ტყვეობიდან გაიქცა და ახალციხეს მიაშურა. ეს ფაქტი (სოლომონის დატყვევება-გაქცევა) სწორედ იმ დროის შუალედში მოხდა, როდესაც მიმდინარებდა ირან-რუსეთის მოლაპარაკებები. ტორმასოვი გააციფა სოლომონის ტყვეობიდან გაქცევამ. თბილისში დაბრუნების შემდეგ მან ოთხი გუშაგი დაახვრეტინა.

რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფო და აქ თავისი მმართველობა დაამყარა, რაც დიდი დატყმა იყო კოლიციისთვის. ის აუცილებლად მოახდენდა გარკვეულ კორექტირებას აჯანყების გემბაზე, თუმცა მან ვერ შეძლო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შეკვება. ვფიქრობთ, რომ ახალციხეში შემუშავებული გეგმა, სოლომონ II-ის დაპატიმრების მიუხედავად, ქართული მხარის მიერ არ დარღვეულა.

სოლომონის ტყვეობიდან გაქცევამ და ახალციხეში მისმა გადასვლამ იმერეთში მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „სცნეს რა იმერთა მეფისა აღსვლა ახალციხეს, შეიქმნა მათ შორის აღრეულობა და ადგილ-ადგილ ამბოხი, უმეტეს ზემო მხარსა შინა, რომლისა ამბოხისა თავ იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე“ [6, 78]. მეფის მომხრე აჯანყებულებმა ივნისის პირველი რიცხვებიდანვე მოწყვიტეს იმერეთი თბილისთან ყოველგვარ კავშირს და მრავალგზის დაამარცხეს რუსთა ჯარები [5, 865].

იმერეთის სამეფოში 1810 წლის მაის-ივნისში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა. აჯანყებულებმა სოლომონ II მოინვიეს და სახალხო ლაშქრის სარდლობა შესთავაზეს [3, 201-202].

1810 წლის ივლისში აჯანყებულ იმერეთში ახალციხიდან დაბრუნდა სოლომონ II და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას.

„რუსეთის ბატონობას საქართველოში კვლავაც საფრთხე შეექმნა. ირან-ოსმალებთან ომის ვითარებაში რუსეთის სარდლობას არ შეეძლო დამატებითი ჯარის ნაწილების გადაყვანა იმერეთში. აქ არსებული ძალებით კი სოლომონ მეფის დამარცხება შეუძლებელი იყო“ [5, 865]. რუსეთმა ნაცად ხერხს მიმართა. თავის მხარეს გადმოიბირა სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რომლებმაც დიდი დახ-

მირება გაუწიეს რუსთა ჯარებს იმერეთის დაპყრობაში, რუსები რაჭის საერისთავოს აღდგენაზეც ფიქრობდნენ.

1810 წლის ივლისში ანტირუსული გამოსვლები დაიწყო ქართლის ჩრდილოეთ რაიონებშიც. მას სათავეში ჩაუდგა ლეონ იულონის ქაბაგრატიონი, რომელიც ახალციხის საათაბაგოდან ჩამოსული სალომონ-II-მ თან მოიყვანა.

დოკუმენტებისა და ისტორიული თხზულებების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ ლეონი სოლომონ II-სთან ერთად 1810 წლის 10 ივნისი ახალციხის საათაბაგოში მიყოფებოდა. ამაზე მიუთითებს იულონ ბატონიშვილის ტორმასოვისადმი გაგზავნილი 1810 წლის 10 ივნისით დათარიღებული წერილიც, რომელშიც იულონი ითხოვს, რომ მასთან, რუსეთში, გააგზავნონ საათაბაგოში შეყვითავი მისი ვაჟი – ლეონი [1, 110].

1810 წლის 26 ივნისს ლეონი უკვე ქართლში, კერძოდ კი სოფელ კევშია. იგი ჩასვლისთანავე შეუდგა აჯანყების სამზადისს; შემდინარე პროელამაციების გავრცელება მოთხელ აღმოსავლეთ სამართველოში, რომლებითაც აჯანყებისკენ მოუწოდებდა მოსახლეობის ყველა ფეხის ნარმომადგენელს.

ლეონი 1810 წლის 27 ივნისს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის თავად ფალავანდშვილებს: „მე გუშინდლიდან ვიმყოფები გერებებში. ამ ხეობაში მცხოვრები მოსახლეობა მთლიანად შეგროვებული იყო. თავს იყრიან, აგრეთვე, თავადები, აზნაურები და გლეხობა. მელია. თავს იყრიან, აგრეთვე, თავადები, აზნაურები დაგნობებთ, რომ თუ არ დაგვიწყებიათ სიკეთე და დამსახურება შემკვიდრე ბატონის, ამ წუთშივე გვეახელით; ასეთ შემთხვევასა და დროს თქვენ ვერასდროს ველარ იპოვით. ქვემო მხრიდან მოდის შაპი დიდ ჯარით; ბატონიშვილი ალექსანდრე დღეს ან ხეალ მოვა 12000 ადამიანთან ერთად. იმერეთი ისე აღდგა, რომ სახალი კი შეხვდნენ რუსებს ერთიანად ამოულიტეს და დაამარცხეს ისინი, მთიელებიც ასევე აჯანყდნენ“ [1, 111]. სავარაუდოდ, ასეთივე შინაარსის იქნებოდა სხვა ქართველ თავადებთან გაგზავნილი წერილებიც.

1810 წლის 28 ივნისს საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი ატყობინებდა ქართლის გუბერნატორ ახვერდოვს, რომ ლეონი უკვე ლიახვის ხეობაში იყო და უბრძანებდა მას, რომ ყველა ლონი ეხმარა, რათა იგი როგორმე გამოიყვანა აღმიშვილი ტერიტორიიდან. ამ მიზნის მისაღწევად კი მას უგზავნის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოგზავნილ იულონის წერილის ასლს, რომელიც შვილის – ლეონის მასთან გაგზავნას ითხოვს [1, 111]. არ არის გამორიცხული, რომ ეს წერილი იულონს მოტყუებით, ან რუსი მოხელეების ზენოლის შედეგად დაწერა.

ტორმასოვი სთხოვს ქართლის გუბერნატორ ახვერდოვს, რომ ამ წერილით გაგზავნოს სანდო და ერთგული ადამიანი ლეონთან და

თანაც ეს მოხდეს, რაც შეიძლება საიდუმლოდ [1, 111]. მეფის ხელი-სუფლებას განზრახული ჰქონდა იულონის წერილით ლეონი ხეობი-დან მანამდე გამოეტყუებინა, სანამ შეიარაღებული გამოსვლების მოწყობას მოახერხებდა.

ლეონის მოწყობებას აქ მცხოვრები მოსახლეობის აჯანყება მოჰყევა. არა მარტო ლეონის ამ წერილიდან, არამედ სხვა დოკუმენტური მასალიდან და საისტორიო ნუაროებიდან ირკვევა, რომ აჯანყება მთლიანად მოედო ჯავის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს. ამ დროს ეს მხარე ძირითადად ოსებით იყო დასახლებული. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვინიშნოთ, რომ აქ ქართველებიც ცხოვრობდნენ და ამ მხარის ეთნიკური შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. მაგალითად, ენობინის 1803 წლის აღნერის მიხედვით, სოფელი კეხვა მთლიანად ქართული სოფელი იყო; ცხინვალში კი არა მარტო ამ პერიოდში, არამედ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა [12, 73]. აუცილებლად და თანაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღნიშნული მონაცემები რუსული ნუაროებიდანაა მოყვანილი.

ეს აჯანყება მრავალმხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას. აჯანყებას მხოლოდ და მხოლოდ მკეთრად გამოხატული პოლიტიკური მიზნები ჰქონდა: ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დამოუკიდებლობისა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა. ბაგრატიონთა დინასტიის ნარმომადგენლისა და ქართული სამეფოს მხარდაჭერა ოსებმა უყოყმანოდ გამოხატეს და მათ მიმართ თავიანთი ერთგულება დაადასტურეს.

აჯანყებულები ცხინვალისკენ დაიძრნენ, სადაც რუსები იყვნენ გამაგრებულნი.

ლეონის ლიახვის ხეობაში შესვლისა და ცხინვალში მდგომ რუსთა ჯარზე თავდასხმის ამბებს ასე აღნერს თეიმურაზ ბაგრატიონი: აჯანყებულ იმერეთში ახალციხიდან ჩასულმა სოლომონმა „თან შთაიყვანა მეფის ძის იულონის ძეი ლეონ, და შეგზავნა რაჭით მთათა ლიახვისათა, რათა მან აღძრას ოვსნი პირისპირ წერთა. ესე აღვიდა და შემოიყარნა ოვსნი და მოვიდა მახლობელ ცხინვალისა. სცნა რა ესე ახვერდოვმან, გუბერნატორმან ქართლისამან, აღვიდა ცხინვალს რუსთა მხედრებითა და ოდეს ვერ უძლო ბრძოლა ოვსთა, დამაგრდა ციხესა ცხინვალისასა; მაშინ ოვსთა მოწვეს და მოარბიეს გარემონი ცხინვალისანი და თვით ცხინვალი და უკუნ იქცნენ“.

რუსთის კავკასიური აღმინისტრაციის ოფიციალურ დოკუმენტებში ცხინვალთან მომხდარი მოვლენების შესახებ უფრო კონკრეტული ცნობები მოიპოვება, კერძოდ კი ირკვევა, რომ ლეონმა საკმაოდ სწრაფად მოახერხა აქ მცხოვრები ხალხის აჯანყება. ხეობაში შემოსვლიდან მეხუთე დღეს, კერძოდ კი, 1810 წლის 31 ივლისს, დაახლოებით 2000 აჯანყებული გაემართა ცხინვალისკენ, მათ დაი-

ქვეს მისი შემოგარენი, ოთხი დღის განმავლობაში უტევდნენ მას და ცდილობდნენ მის ალებას. ეს შეტევა მოგერიებულ იქნა იქ განლაგებული რუსული გარნიზონის მიერ. რუსთა ჯარებს მიუვიდათ დამხმარე ძალაც – ორი როტა. რუსთა ჯარი ვრონსკის ხელმძღვანელობით შეტევაზე გადავიდა. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხსიათ. რუსებმა სასტუკი ანგარიშსნორება მოაწყეს. მათ აჯანყებაში მონანილე ოსური სოფლები დანვეს, თუმცა, როგორც ვანეევი წერს, აჯანყებულები ეს შეაჩერეს [13, 154].

ცხინვალთან ბრძოლები იმერეთში იყლის-აგვისტოში მიმდინარე აჯანყების პარალელურად ხდებოდა.

ტორმასოვმა მთელი რიგი ლონისძიებები შეიმუშავა ლეონის შესაბყრობად და აჯანყების ჩასაქრობად და ისინი ახვერდოვისადმი 1810 წლის 2 აგვისტოს მიწერილ წერილში ჩამოაყალიბა: რუსეთი უოველთვის ცდილობდა თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა სასულიერო პირები და ხშირად ამას ნარმატებითაც ახერხებდა. უმეტეს შემთხვევაში ეს კეთილგანწყობით ინილებებოდა და რუსეთის ნამდვილი ზრახვების შესახებ თვით შემსრულებელმა არაფერი იცოდა. იგივე ხერხს მიმართა ტორმასოვმა ამ შემთხვევაშიც. იგი ლეონის ხელში ჩაგდებას მისივე გამზრდელის დეკანზი ქართველიშვილის გამოყენებით შეეცადა. ერთ-ერთ წერილში ტორმასოვი უბრძანებს ახვერდოვს, რომ „მისი სახელით გამოუცხადოს ქართველიშვილს, რომ თუკი ის შეძლებს თავისი გაზრდილის, ბატონიშვილ ლეონის დარწმუნებას, დაანებოს შფორთს თავი და ნებაყოფილობით გადმოვიდეს რუსეთის მხარეს, დაიმსახურებს იმპერატორის კეთილგანწყობას და უხვადაც დაჯილდოვდება“ [1, 112].

იმ შემთხვევებში, თუ ეს ხერხი არ გაამართლებდა, ტორმასოვს ლეონის შესაბყრობად სხვა საშუალებებიც ჰქონდა მოფიქრებული. როგორც ვიცით, რუსები ახალი ტერიტორიების დაპყრობისას ფართოდ იყენებდნენ კარგად ნაცად და საკმაოდ შედეგიან „გათიშე და იბატონებს“ ტაქტიკას. დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ახვერდოვს საკმაოდ სერიოზული მუშაობა ისთა შორის უკვე ჩაუტარებია და მათგან ზოგიერთი თავის მხარეზე გადმოუბირებია. ტორმასოვი სწორედ მათ გამოყენებას ურჩევს ახვერდოვს ამ საქმეში. ტორმასოვის წერილში ვკითხულობთ: „არ დააკლოთ არანაირი მცდელობა, რომ თქვენს მხარეს გადმობირებული ისების დახმარებით ხელში ჩაიგდოთ ლეონი, რომელსაც ან თქვენ მოგიყვანენ, ან სხვა საშუალებებით თავიდან მოიშორებთ. ამისთვის დაპირდით ისებს, რომ მათი თავდადება გულუხვად დაჯილდოვდება“ [1, 112]. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, ლეონის ლიკვიდაციაც არ გამოირიცხებოდა.

ტორმასოვი ასევე უბრძანებს ახვერდოვს: „ზემოთ აღნიშნულ მუშაობასთან ერთად არ დაკარგოთ დრო და შეაგროვეთ საკმარისი რაოდენობის ძალები, რათა მიაყენოთ დარტყმა და გაანადგუროთ, გაფანტოთ და სამაგალითოდ დასაჯოთ აჯანყებული ოსები, რაც ლეონთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უფრო ეფექტური საშუალებაა. ეს იძულებულს გახდის ოსებს ზურგიშეაციონ მას“ [1, 112].

ტორმასოვი ცდილობს დროულად აღვეთოს აჯანყების გავრცელება საქართველოს სხვა კუთხეებიც და ამისთვის ახვერდოვს უსაფრთხოების ყველანაირი ზომის მიღებას ურჩევს, კერძოდ კი ავალებს: „მისნეროს პოდპოლკოვნიკ ყაზბეგს და ანანურის ისპარავნიკს (სამაზრო პოლიციის უფროსს) დაიჭირონ ლეონის შიკრივები, თუკი მათ გაგზავნან მთიულებისა და გუდამაყრელების ასაჯანყებლად“. ამავე დროს მოუწოდებს ახვერდოვს, რომ გამოიძახოს 200 შეიარაღებული გუდამაყრელი და მთიული ლეონის მხარეზე გადასული ოსური სოფლების დასარბევად და სასტიკად დასასჯელათ“ [1, 112]. ამათ გარდა, ტორმასოვისავე დავალებით, ახვერდოვს „საქართველოში უნდა შეეკრიბა ყველა, ნებისმიერი ადამიანი, და გაეგზავნა შეიარაღებულ ქვეითებთან ერთად აჯანყებული ოსური სოფლების ნინააღმდეგ. მათ უნდა დაერბიათ აჯანყებაში მონანილე ყველა სოფელი, იმის მიუხედავად რომელი მემამულის კუთვნილიც უნდა ყოფილიყო ისინი. ნადავლი დარჩებოდა იმას, ვინც მას მოიპოვებდა; ტორმასოვის მითითებით, ლეონის ჯაშუშები და აჯანყებული ტყვეები სხვების დასაშინებლად უნდა ჩამოეხრჩოთ ცხინვალში ან სხვა ადგილებში“ [1, 112].

ტორმასოვი ეჭვობდა, რომ ლეონს მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ აქაური მემამულეები – მაჩაბლები. იგი ახვერდოვს უბრძანებს: იმ შემთხვევაში „თუ თავად მაჩაბლების ღალატი და აჯანყებაში მათი მონანილეობა აშკარად დადასტურდებოდა, დამნაშავეთა მამულები მათზე მცხოვრები გლეხებითურთ დაუყოვნებლად გადასცემოდა სახაზინო უწყებას. არსებული წესის მიხედვით, ეს გამოცხადებულიყო მთელ საქართველოში, რათა სხვა მემამულეების-თვის სამაგალითო ყოფილიყო“ [1, 112].

ტორმასოვი ახვერდოვს აძლევს მითითებას, რომ არ დაუშვას ძალების დაქაქსვა და ქართლში იმოქმედოს შეუპოვრად.....უფრო კონკრეტულად კი, „როგორც კი გაანადგურებს ერთ მონინააღმდეგებს, მაშინვე მიაშუროს მეორეს, რათა არ მისცეს მათ ამოსუნთქვისა და გონზე მოსვლის საშუალება“ [1, 112].

ახვერდოვი არ ეთანხმება ტორმასოვს და მიზანშუნლად მიიჩნევს აჯანყებულების ნინააღმდეგ რაიმე ექსპედიციის მოწყობას. მას აქვს ცნობები, რომ უახლოეს პერიოდში აღექსანდრე ბატონიშვილი აპირებს საქართველოზე გამოლაშქრებას. ამიტომ, მისი აზრით, უმჯობესია ჯარი იყოს ცხინვალში, რათა საჭიროების შემ-

თხვევაში შეძლოს სასწრაფოდ დაეხმაროს რუსთა ჯარებს ალექსანდრეს ნინააღმდეგ“ [1, 112]. ახვერდოვი ამ შემთხვევაში უფრო მართებულად მიიჩნევს, თავადების ფალავანდიშვილებისა და მაიორ როგო ამირეჯიბის საშუალებით ლეონთან მყოფ ოსების მამასახლის ბიბოსთან დაკავშირებას და მისი საშუალებით ლეონის შეპყრობასა და გადაცემას“ [1, 112].

17 აგვისტოს ლეონი უკვე ჯავის ხეობაში იყო. რუსები ისევ ცდილობდნენ ლეონის შეპყრობას ოსების დახმარებით. ამ საქმეში დახმარებისთვის კი სახაზინო ოსებს მიმართავდნენ. ახვერდოვი 17 აგვისტოს ნერილში აცნობებდა ტორმასოვს: „ჭრივის ხეობაში მცხოვრებმა რამდენიმე ოსმა სთხოვა ლეონს, რომ მათთან მისულიყო, მაგრამ სხლების ოსებმა მას ამის უფლება არ მისცეს“. ამ დროს ლეონთან ისევ იმყოფებოდნენ აჯანყებულები, თუმცა მათი რიგები უკვე საკმაოდ შეთხელებული იყო. როგორც ჩანს, ლეონი ალექსანრეს შემოსვლას და მოკავშირეთა მხრიდან აქტიურ მოქმედებას ელოდა [1, 112].

ამ მოვლენების პარალელურად ტორმასოვი ისევ გეგმავს ლაშერობას ლეონის ნინააღმდეგ და ამას პოლკოვნიკ სტალს ავალებს. ახვერდოვი მის ამ გადაწყვეტილებას ისევ ენინააღმდეგება. 27 აგვისტოს ნერილში ახვერდოვი ნერს ტორმასოვს: „თქვენი ნების თანახმად, თუკი ვუბრძანებ პოლკოვნიკ სტალს და ის ოსების ნინააღმდეგ გაგზავნის თუნდაც ორ როტას, ნერინადის ამ დროს, როდესაც მთები ტყეებით არის დაფარული, ისინი ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებენ. ლეონი და მისი თანამზრახველი ოსები, რომლებიც უსაფრთხოდ იქნებიან მთებში და ხეობებში, ჩასაფრდებიან გადასასვლელებში და ჩვენს ჯარებს დიდ ვნებას მიაყენებენ. ამიტომ მე უფრო მიზანშენონილად მივიჩნევ ექსპედიციის მოწყობას შემოდგომის პერიოდში, როდესაც ხეებიდან ფოთლები უკვე ჩამოცვენილია. უფრო შედეგიანი იქნება, თუ ჯარს შევიყვანთ უცეს, ორ ან სამ ხეობაში ერთდროულად. ამის გამო აჯანყებულები დაიბნევიან და მათი დასჯა ადვილად მოხერხდება“ [1, 113].

ახვერდოვი ისევ ურჩევს ტორმასოვს ლეონის გადმოსაბირებულად გამოიყენოს სანდო პიროვნება, ამჯერად დავით აბაზაძე, რომელიც ბატონიშვილ იულონთან ერთად ცხოვრობდა რუსეთში. მას ლეონი კარგად იცნობდა. იგი ამ პერიოდში თბილისში იყო ჩამოსული. „აბაზაძეს შეუძლია ლეონს მრავალი რამე უამბოს იულონის ცხოვრებასა და მისი სურვილის შესახებ. ის ასევე ურჩევს ლეონს, ან ჩაბარდეს რუსებს, ან მოშორდეს ოსებს“ [1, 113].

29 აგვისტოთი დათარილებულ ნერილში ტორმასოვი იწონებს ახვერდოვის რჩევას, აჯანყებული ოსების ნინააღმდეგ საომარი მოქმედებების შემოდგომით გადატანის თაობაზე, რომლის დროსაც „მათთვის ისევ უნდა გაეხსენებინათ ძველი დრო, რომელიც მათ რო-

გორც ჩანს, „უკვე დაავიწყდათ“. თუმცა მისი აზრით, იქამდე უმოქმედოდ ყოფნა არ იქნებოდა გამართლებული. იგი შიშობდა, რომ ლეონი შეუცდებოდა თავისი გავლენა მოხედინა არა მარტო იქაურ საებზე, არამედ სხვა მთიელებზეც. ამიტომ, მიზანშენონილად მიიჩნევდა, მის სასწრაფოდ შეცყრობას ან ლიკვიდაციას. ტორმასოვი თანხმდება ახვერდოვის რჩევასაც, რომ ლეონის გადმოსაბირებლად გააგზავნოს დავით აბაზაძე, თუმცა მიიჩნევს, რომ რაიმე შედეგს აქვდან არ ელის [1, 113].

ლეონი არ კარგავდა წარმატების იმედს. სექტემბრის დასაწყისში ის ისევ ავრცელებს აღმოსავლეთ საქართველოს (ქსნის, არაგვის ხეობის) მოსახლეობაში პროკლამაციებს. თუმცა ვერ ახერხებს მოსახლეობის აჯანყებას [1, 113].

ლეონი პროკლამაციებს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თავაურელ და ქურთათელ ოსებთანაც გზავნის. მათ რუსების სანინააღმდეგო მოქმედებისაკენ მოუწოდებს და აიმედებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ბაბა-ხანის შვილთან ერთად დიდი ჯარით მოემართება რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა საქართველოდან განდევნოს ისინი [1, 114]. თუმცა ეს ვერ ახდენს მათზე რაიმე გავლენას.

სოლომონ II-ეც და ლეონიც გამარჯვების იმედს ოსმალეთისა და ირანიდან მომდინარე დახმარებაზე ამყარებდნენ, მაგრამ მახლობელი აღმოსავლეთის ამ სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს სამხედრო ძალთა კოორდინაცია და წინასწარ დაგეგმილი ერთიანი საომარო ოპერაციები ვერ განახორციელეს.

მახლობელ აღმოსავლეთში მოვლენები სოლომონ II-სა და ლეონის საზიანოდ განვითარდა. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ფრონტებზე რუსეთმა მოიპოვა ნარმატება, რამაც უარყოფიდად იმოქმედა საქართველოში მიმდინარე ანტირუსულ აჯანყებაზე.

1810 წლის 5 სექტემბრს ახალქალაქთან მომხდარ ბრძოლაში რუსებმა სასტიკად დაამარცხეს თურქთა ჯარი. იმერეთის მეფისა და ხალხის განმათვისუფლებელი ბრძოლა უპერსპექტივო გახდა [3, 205].

ახალქალაქთან გამართული ბრძოლის დროს ალექსანდრე ბატონიშვილი თან ახლდა ერევნის მფლობელ ჰუსინი ყული-ხანს, რომელიც აქ 10-ათასიანი ლაშქრით მოვიდა ოსმალეთის ჯართან ერთად რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვე ელოდებოდნენ აბას მირზას და შერიფ ფაშა ახალციხელის ჯარებს. იმედი ჰქონდათ, რომ გაერთიანებული ძალებით რუსებს დაამარცხებდნენ, ახალქალაქიდან საქართველოში შეიქრებოდნენ, ქართლ-კახეთის ტახტზე ალექსანდრე ერეკლეს ძეს დასვამდნენ, იმერეთში კი კვლავ სოლომონ II-ეს გაამეფებდნენ. თუმცა ვერ მოხერხდა შეიარაღებულ

ძალთა კოორდინაცია-კონცენტრაცია. რუსეთის არც თუ მრავალ-რიცხვოვანმა ჯარმა გაიმარჯვა [3, 205].

1810 წლის სექტემბრში სოლომონ II 2-ათასიანი ლაშქრით ხანის წარმატება მარტო დაიდო. ბრძოლა 10 დღის განმავლობაში გაგრძელდა. სოლომონი დამარცხდა და სექტემბრის ბოლოს ახალციხეს შეაფარა თავი. იმერეთი რუსეთმა საბოლოოდ დაიძყორ.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ მეფის რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაბყრობა და იქ რუსული მმართველობის დამყარება მორიგი მარცხი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. „მოსაპო ეროვნული სახელმწიფოს ეს უკანასკნელ გადმონაშთი, რომელიც ჯერ კიდევ ასულდებულებდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ ძალებს და კვლავ აცოცხლებდა იმედს, რომ თვითმპყრობელური იმპერიის მიერ პატივაყრილი საქართველო თავის ძველ უფლებებს დაიბრუნებდა. 1810 წლის შემდეგ ქართველთა ბრძოლა თვითმყოფობისათვის შედარებით უფრო რთულ ფაზაში შევიდა“ [3, 866].

იმერეთის სამეფოს დაბყრობის შემდეგ ლეონ ბატონიშვილი ფატიურად მარტო აგრძელებდა ბრძოლას რუსების წინააღმდეგ. რუსებს ხელ-ფეხი გაეხსნათ ქართლის ჩრდილოეთ რაიონებზე შეტევისთვის.

1810 წლის სექტემბრის ბოლოს აჯანყებულთა დასასჯელად და ლეონის დასაჭერად ოსური სოფლების შუაღულში გაიგზავნა პოლკოვნიკი სტალი. სტალმა შეტევა ორი მიმართულებით განახორციელა-ლომსიანასხვისა და ჯავის ხეობებზე. 30 სექტემბრის სტალსა და პატარა ლიახვზე შეერებილ 2000 შეიარაღებულ ოსს შორის მოხდა და სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც დილის 7-იდან საღამოს 5 საათამდე გაგრძელდა. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. სტალმა სოფელი მარალეთი დაიკავა [1, 648]. შემდეგ აჯანყებულები სხვა სოფლებშიც დამარცხდნენ. ამ ბრძოლებში აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე დურმიშხან ტუსიშვილი იქნა მოკლული. იგი სოფელ მარმაზეთში არსებულ კოშკში იყო გამაგრებული და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა რუსებს. კოშკი აფეთქებულ იქნა და ტუსიშვილიც სხვა დამცველებთან ერთად დაიღუპა.

რუსებმა გაიმარჯვეს ჯავის ხეობაშიც. მაიორ პოტლოგის ხელმძღვანელობით მათ აჯანყებულთა 2000-იანი რაზმი დაამარცხეს.

რუსები სასტიკად გაუსწორდნენ დამარცხებულ აჯანყებულებს. დაწვევს ოცი სოფელი, დანგრიეს საგვარეულო კოშკები. ამ სოფლების მოსახლეობამ რუსების ანგარიშების შესაჩერებლად სტალთან გაგზავნა უხუცესები, რომელთაგან სტალმა 12 ამიორჩია და გაგზავნა თბილისში მთავარმართებელთან. როგორც ტორმასოვი წერდა, „უდიდესი დამცირებისა და მორჩილების ნიშნად მათ მეუსაჯათ თბილისის ქუჩებში ყელზე ხმალჩამოკიდებულებს გაევ-

ლოთ [1, 470]. ამის შემდეგ ტორმასოვმა შეინყალა ისინი, სტალს კი უბრძანა, რომ მოსახლეობა იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცებინა და ლეონის გადაცემის პირობა დაედებინებინა. ამ მხარის დასაწყნარებლად კი ჯავახა და მეხლებში დაეტოვებინა ჯარისკაცების ორი როტა და ოცი კაზაკი” [1, 470].

რუსებმა ქართველი თავადებიც დასაჯეს. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „შემდგომად შეეძყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტიშვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პყრობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა პყრობილად, და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ, ვითარცა ჯავახიშვილს და თარხნიშვილებს, ძეთა დემეტრესათა” [6, 77].

აჯანყების დამარცხების შემდეგ ლეონ ბატონიშვილი ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე გადავიდა. თეიმურაზ ბატონიშვილი ამ მოვლენების შესახებ წერს: „ტორმასოვმან შეგზავნა ჭვრივს ფრიადი მხედრობა რუსთა და მათ მოწვეს ჭვრივი და ვერლარა დადგა ლეონ კოშეს და აღვიდა ნარას. ნარელთა სცეს მათ პატივი, ვითარცა პატრონსა თვისსა” [6, 77].

1810 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში თეიმურაზ ბატონიშვილი რუსეთის მხარეს გადავიდა. თვით თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალ ისტორიაში წერს: „ძეი ყავნისა იდგა გარნისს, მუნიც განივლო მეფის ძეი თეიმურაზ, რომელიცა იმყოფებოდა ძესა ყევნისასა აპაზმირზასთანა დიდითა პატივითა, თავად რვა ათასითა მხედრობისა რეგულთა ზედან სპარსთასა და მივიდა ტორმასოვთან. რომელსაცა იდუმლად ტორმასოვი ეზრახვოდა (მან შეუჩინა გამზრდელი ლალა მისი პეტრე ლარაძე, აზნაური, რომელმანცა მოაცუნა და მოიყვანა მუნით), რათა დასტოვოს სპარსეთი და მივიდეს მასთანა და მივიდა რა ტფილისა წარგზავნა მან იგიცა როსიად” [6, 78].

პლატონ იოსელიანი თეიმურაზის რუსეთის მხარეზე გადმოსვლის მიზეზის შესახებ შემდეგს წერს: „მეფის ძემან თეიმურაზმან [მითხვა] შემდეგი: როდესაც მე თვით შემდგომად მეფის გარდაცვალებისა წარვედი სპარსეთა, მაშინ მეფის ძე ალექსანდრე დიდად მყვედრიდა მეფისა მამისა ჩემისა ესრეთ მოქცევასა. წერილთა შინა მისგან მოხერილთა მოიხსენებდა მეფესა უშვერად და უკადრისად და სწყევიდა მას. სიტყვანი ესე მოსწყლვიდენ ჩემსა გულსაო და მაშინ ვსცან მტერობა მისი მამისა ჩემისა სახლისათვის და ბოროტი განზრახვა მისი ძმათა ჩემთა. შემძაგდა მეფის ძე ალექსანდრე და ვნახე... სპარსელთა ქცევა, ბილნი აზრი მათი უსაფუძვლო განმგებლობისათვის და საომრად. ვსცან იგინი არა რაისა მცოდნენი, ყაენისაგან დაშორებული, ვერ გამძედავნი სიტყვისა თვისისა მეფესთან და სწორისაცა სასარგებლოისა ჰაზრისა არ გამომთქმელი. დიდად მიკვირდა მდგომარეობა ირანისა, მეფეთა კარისა, და მოვიხსენიებ-

დი პაპისა ჩემისა კარსა და თვით მამისა ჩემისა, ყოვლად მეფურისა, დიდებულისა, განცხრომითისა, მხიარულებითისა, სამართლიერისა და ეკარლია ტახტისა მდიდართა, მოკლებულთა, სნეულთა, მშიერთა, ობოლთა, ქვრივთა და პყრობილთათვის. ებლაც ვეკვირვი, მიხედვით სპარსეთისა და სხვათასა ევროპისა მეფეთა, ჩემგან ნახულთა ვით სპარსეთისა და სხვათასა ევროპისა მეფეთა, ჩემგან ნახულთა რეინისა პირამდინ, მამისა ჩემისა სიმაღლესა და ბრწყინვალებასა” [2, 175-176].

ლეონის ნარაში გადასვლის შესახებ იუნიყება პოლკოვნიკი სტალიც. იგი წერდა, რომ ლეონი გაიქცა თებეს ხეობაში (თებე ისტორიული დვალეთშია – ავტორის შენიშვნა) და მას აქედან რაჭის ან იმერეთის სხვა ადგილების გავლით ახალციხეში გადასვლა ჰქონდა განზრახული.

1810 წლის 11 ოქტომბერს ტორმასოვი უბრძანებს სიმონოვს, რომ შეერას იმერეთისა და ქართლის ჩრდილოეთ რაიონების დამაკავშირებელი გზები და მათზე დააყენოს დარაჯები. ამისთვის აარის ჩიოს ყველაზე ერთგული და სანდო ადამიანები და ლეონის დაჭერის შემთხვევაში მათ გულუხვად დაჯილდოვებას შეპირდეს. ტორმასოშემთხვევაში მათ გულუხვად დაჯილდოვებილი იმერეთის თავად-აზნაურთა ჩაბვი ამ საქმეში ახლად დაპყრობილი იმერეთის თავად-აზნაურთა ჩაბვი ახლად დაპყრობილი იმერეთის თავად-აზნაურთა ჩაბვი ამასაც გეგმავს. მათ პირდება, რომ თუ სურთ, თავიანთი ძველი საქმასაც გეგმავს. მათ პირდება, რომ თუ სურთ, თავიანთი ძველი საქმიელის გამოსწორება და იმპერატორის კეთილგანწყობის დამსახურება, გამოიჩინონ გულისხმიერება და დაეხმარონ ლეონის შეპყრობასა ან განადგურებაში [1, 114].

1810 წლის 11 ოქტომბერს კი ტორმასოვი დელპოცოს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის: „მომივიდა ცნობა, რომ იულონის ვაჟუ, ლეონი ჯაველი ოსების მამასახლის რაჯიბ თედო-შევილთან ერთად ნარის გავლით თებეს ხეობისკენ გაემართა. აქედან მას შეუძლია გადავიდეს და თავი შეაფაროს დიგორელ ოსებითან და მთის სხვა ხალხებთან. ამიტომ მივნერე პოდპოლკოვნიკ ყაზბეგს, რომ ლეონის შესაპყრობად ყველა ლონე იხმაროს. დასაჯილდოვებლად დაწესებულია 500 მანეთი და შესაძლოა უფრო მეტი თანხაც გამოიყოს [1, 115].

აჯანყების მთელ მანძილზე ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს, ახალციხის ფაშასა და ლეონ ბატონიშვილს შორის განუწყვეტილი კონტაქტები არსებობდა. 1810 წლის 24 ოქტომბერს ბატონიშვილ ლეონთან შიკრიკები გამოგზავნა ახალციხის შერიფ ფაშამ. მის წერილში ენერა: „თქვენი ბიძისიგან ჩემთან მოვიდა გლახა-ბეგი. მე ის არ გამოვუშვი. თქვენთან კი გამოვაგზავნე ოსპან ამირეჯიბი, ოსი ბოლა და სოლომონი. ესენი მოგიყვებიან აქაურ და იქაურ ამბებს. ახლა ზამთარია; ამ თვეების განმავლობაში შენ საკმაოდ იშროებს. ახლა ზამთარია; ამ თვეების განმავლობაში შენ საკმაოდ იშროებს. ახლა ზამთარია; ამ თვეების განმავლობაში შენ საკმაოდ იშროებს. ასედაც უნდა! აუცილებელია, რომ გაისარჯო შენი სახლისთვის. ვე-ასედაც უნდა! აუცილებელია, რომ გაისარჯო შენი სახლისთვის. ვე-ასედაც უნდა! აუცილებელია, შენი მოტყუება, შენ არ უნდა უდალატო შენ რავინ შეძლოს შენი მოტყუება, შენ არ უნდა უდალატო შენ

სახლს, შენ ბიძას და საკუთარ თავს. მაგ ხეობიდან გამოიყოლე 10-12 საუკეთესო ადამიანი და გამოემგზავრე ჩვენსკენ. შენი ბიძა (ალექსანდრე ბატონიშვილი – ავტორის შენიშვნა) აქ მოვა, მეფეც (სოლომონ II – ავტორის შენიშვნა) აქ არის. ამ ზამთრის განმავლობაში ჩვენ აქედან ვიმოქმედებთ, გაზაფხულზე კი ფულით, ჯარითა და იარაღით ისევ უკან გაგაგზავნით და ჩვენც მოგყვებით. ასეთია ჩემი რჩევა. კარგი იქნება, თუ შენც აქ მოხვალ. თუმცა შენი სურვილის მიხედვით იმოქმედე. შენს ერთგულ ყველა ოსა და ჩერქეზს გადაეცი ჩემი ღრმა პატივისცემა“ [1, 115].

ეს წერილი როგორც ჩანს, რუსებს ჩაუვარდათ ხელში. 1810 წლის 3 ნოემბერს ტორმასოვი სტალს შემდეგი შინაარსის წერილს წერს: „მოლალატები, თავადი ოსპან ამირეჯიბი და სოლომონ კოკოლა-შვილი, რომელიც თავის თავს აზნაურს უწოდებს, ჯერ კიდევ ამ ზაფხულს გაიქცენ მეამბოხე ლეონთან. ისინი იქიდან გააგზავნეს ბატონიშვილ ალექსანდრესთან. ამჟამად ისინი ალექსანდრესგან და ახალციხის შერიფ-ფაშასგან ისევ მოემგზავრებოდნენ უკან ლეონთან. თან მოჰკონდათ აჯანყების მომნოდებელი წერილები ოსებთან, რათა ისინი ისევ აელელვებინათ და გაეგრძელებინათ აჯანყება. ისინი დაიჭირეს პოდპოლკოვნიკ თავად შანშე ერისთავის ხელშვებით და მოყვანეს ჩემთან. მათ თან პეტონდათ წერილები. დაკითხვებიდან და წერილებიდან ირკვევა, რომ ბატონიშვილ ალექსანდრესა და შერიფ-ფაშას მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მეამბოხე ლეონი გადავიდეს ახალციხეში მათთან ჩემთან რჩევებისა და ოსებისა და მთის სხვა ხალხის ასაჯანყებლად შემდგომი მითითებულისა და სამოქმედო გეგმის მისაღებად“ [1, 115].

ტორმასოვი უბრძანებს სტალს, რომ მიიღოს ყველანაირი ზომები, რომ ლეონი არ გადავიდეს ახალციხეში. ამისთვის კი კიდევ ერთხელ სცადოს, რომ ფულით თუ სხვა ნებისმიერი საშუალებით მოისყიდოს ოსი მამასახლისები და მათი მეშვეობით სასწრაფოდ ჩაიგდოს ლეონი ხელში.

სპან ამირეჯიბი, სოლომონ კოკოლა-შვილი და მათთან ერთად მყოფი სხვა პირები დარაჯის თანხლებით გასასამართლებლად გაგზავნეს თბილისში. მათთან ერთად ლეონთან მიემგზავრებოდა თავად რევაზ ერისთავის ქვეშევრდომი ვინმე ბოლა საბანოშვილი, რომელმაც მოასწრო გასხლტომა და გადავიდა პატარა ლიახვზე. როგორც ტორმასოვი წერდა: „მას სურს გადასვლა ქსნისა და არაგვის ოსებთან. ტორმასოვმა რევაზ ერისთავს მისწერა წერილი, რომელშიც მკაცრად მოსთხოვა, რომ იქამდე შეეპყრო აღნიშნული პიროვნება, სანამ მოახერხებდა ამ წერილების დარიგებას“ [1, 115].

ტორმასოვი ასევე ბრძანებს უმკაცრესა მეთვალყურეობა დაანგესონ ჯავის ხეობის ოს მამასახლისებზე: ბიბო და თოხ სანაკოშვილებსა და გეორგულაშვილზე და პირველივე საეჭვო მოქმედების

შემჩნევისთანავე დააპატიმრონ ისინი. ამის მიზეზი კი გახდა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი, რომელშიც ის მადლობას უხდიდა ამ მამასახლისებს ერთგული სამსახურისთვის [1, 115].

1810 წლი ნოემბრიდან ლეონი იმყოფებოდა ნარელ ოსებთან. როგორც ჩანს, ის საკმაოდ მძიმე მატერიალურ პირობებში იყო-ვებებოდა მხოლოდ ჭვავის პურით. რუსების მომხრე პოლკოვნიკ თავად გაბრიელ ყაზბეგს სურდა იგი როგორმე გამოეტყუებინა იქიდან და თუნდაც თრუსოს ხეობაში გადმოეყვანა, სადაც შედარებით ადვილად შესძლებდა მის შეპყრობას. თუმცა ყაზბეგმა ეს ვერ მოახერხა [1, 115].

1811 წლის 18 იანვარს დელპოცო წერდა ტორმასოვს, რომ მან ნარაში მყოფ ლეონთან გაგზავნა ქურთათელი (ქურთათი ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ოსური ტომი) მამასახლისი პაპილ ჩალიკოვი, რომელსაც დააბარა ლეონთან, რომ ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში არ დაისჯებოდა და მის მიმართ იმპერატორი გულმონყალებას გამოიჩინდა [1, 117].

სავარაუდოდ, რუსეთის მთავრობისადმი დანებებას ურჩევდა ლეონს მისოსტ ჩალიკაშვილიც. მოგვეპოვება ლეონის საპასუხო წერილი ამ უკანასკნელისადმი, რომელიც მოკლეა და მკაცრი ტონით არის დაწერილი: „ჩალიკაშვილ მისოსტ! ამ ქოჩიაშვილმა გეთომ შენი გამოეზავნილი წიგნი მომიტანა და შენც შეგარცხვინა და ამ წიგნის მატანიცა“ [1, 117].

ლეონისა და საერთოდ ქართული სამეფო სახლის ერთგულება ძერად უჯდებოდათ ოსებს. რუსებმა შეძლეს ლეონის თანამზრაპელების თოხ და ბიბო სანაკოშვილებისა და კასიას შეპყრობა. ტორმასოვის ბრძანებით, ისინი 1811 წლის 7 თებერვალს ჩამოახრჩეს ვორში, მათი ოჯახები კი ციმბირში გადასახლდეს [13, 160].

უშედეგოდ დამთავრდა ნაცნობების დახმარებით ლეონის ხელში ჩაგდების კიდევ ერთი მცდელობა. რუსებმა ნარაში გაგზავნეს მისი ნათესავი, რუსეთიდან ახალი ჩამოსული იერემია ბაგრატიონი. მან ლეონს ნებაყოფლობით დანებება ურჩია. თავადებმა ფურცელაძემ და ჩერქეზიშვილმა ნინდანინ აცნობეს ლეონს, რომ იერემიას რუსეთის მთავრობისაგან მისი მონამვლა ჰქონდა დავალებული. ძნელია მსჯელობა იმაზე, თუ რას ეყრდნობოდნენ აღნიშნული თავადები და რამდენად შეეფერებოდა ეს ცნობა რეალობას. ლეონმა იერემია შეიპყრო, ანამა, გაძარცვა და ყაბარდომი გაგზავნა გასაყიდად. გზაში იგი იყიდა ერთმა ოსმა გვარად ეკვოშვილმა. მან რუსეთის ხელისულებებს იერემია გორში დატუსაღებულ თავის ახლობელზე გაუცვალა [1, 119-120].

კავკასიის რუსული აღმინისტრაცია დიდ მუშაობას ატარებდა ნარელ ოსებშიც. ცდილობდა მოენახა მოღალატე, რომელიც ქართველ ბატონიშვილს დიდი გასამრჯელოს ფასად ან მოკლავდა, ან

შეიპყრობდა და რუსებს გადასცემდა. მაგრამ ნარელები არანაირ შემოთავაზებაზე არ დათანხმდნენ. მათ ბოლომდე უერთგულეს ლე-ონს.

კავკასიის რუსული ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტები არსებობს ცნობა, რომ ნარის მამასახლისმა ასა გოჩიშვილმა, რომლის სახლშიც ცხოვრობდა ლეონი, დადო პირობა, რომ 2000 მანეთის სანაცვლოდ შეიპყრობდა მას და მიუყვანდა სოფელ სხლებში სამხედრო უფროსს შვეცოვს. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ასას შვილმა სოზრამ და მისმა ნათესავმა ხოსრო გაბომვილმა. თუმცა ეს მხოლოდ პირობა იყო და ნარელებმა იგი არ შეასრულეს [1, 121-122].

1811 წლის 28 აგვისტოს ტორმასოვი წერდა შვეცოვს, რომ ნარელი არქიტოკონი იაკობი 400 ვერცხლის მანეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის გამოყოფის სანაცვლოდ პირობას დებდა, რომ ლეონს შეიპყრობდა. თუმცა ესეც დაპირებად დარჩა.

ტორმასოვი უთვლიდა ნარის მამასახლისს მამუაშვილს, რომ მას გაანთავისუფლებდნენ საცხოვრობლედან, თუ მისი ძმა შეასრულებდა თავის დანაპირებს და შეიპყრობდა ლეონს [1, 124]. რუსი მოხელის ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

1811 წლის 4 სექტემბერს კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ უბრძანა ლეონთან მყოფ ის მამასახლისს რაჯაბს, შეეპყრო ლეონი. ამ უკანასკნელმა მართლაც მიიყვანა ლეონი სამხედრო ნაწილში, თუმცა ბოლო მომენტში მან მეტად საეჭვოდ შეძლო გაქცევა [1, 124].

ნარელების ნინააღმდეგ ტარდებოდა ეკონომიკური სანქციებიც. მაგალითად, მათ მოზღოვები ვაჭრობაში უქმნიდნენ სიძნელებს. დააპატიმრეს მოზღოვები სავაჭროდ ჩასული რამდენიმე ნარელი. ამათგან ერთი გაგზავნეს ნარაში ლეონის გადაცემის მოთხოვნით; ნინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებულების ციმბირში გაგზავნით იმუქრებოდნენ [4, 650]. ნარელები ვერც ამ მუქარამ შეაშინა.

როდესაც ოსების საშუალებით ლეონის შეპყრობა ვერ მოხერხდა, ტორმასოვმა ნარელების დასასჯელად და ლეონის შესაპყრობად გაგზავნა შანშე ერისთავი 200 ჯარისკაცთან ერთად, თუმცა უშედეგოდ.

1811 წლის ზაფხულში ლეონი გადავიდა სოფელ ზაკაში (ისტორიული დვალეთია, რომელიც ძირდველი ქართული სამფლობელო), სადაც ცდილობდა ადგილობრივი მცხოვრებლების აჯანყებას, თუმცა ვერ მოახერხა. რის შემდეგაც მან იმერეთის გავლით ახალციხეში, შერიფ-ფაშასთან, ნასვლა გადაწყვიტა. ეს საკმაოდ სახიფათო იყო მისთვის.

თუმცა იმისა განიახლებას წილიურით საკუთარი, მრავალმა ასაკმარის მას უსახელო მას გადაწყვიტონა სამოასალმა. ა. ს. რიც ასახისული ტრაგიკული იყო ქართველი ბატონიშვილის აღსასრული. სულ ასალგაზრდა ბატონიშვილი ქართლში სადაცლაოდ მიმავალი ლექის მსვერცლი გახდა. გოგიას-ციხესთან ის გადაწყვდა ლეკებს, რომელთაგან ერთ-ერთმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. თეიმურაზ ბაგრატიონი ამის შესახებ ნერს: „ხოლო ლეონ, ვინადგან ვერდა დადგა ოვეთს (იგულისხმება ზაკას ხეობა), ნარვიდა ახალციხეს. მიინია რა ხეობას, მოკლეს ლეკებთა მომავალთა ქართლს სადაცლაოდ, მინდობით“ [6, 77].

როდესაც ეს ამბავი შეიტყო, ახალციხის ფაშის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. მისი ბრძანებით, ლეონის მკვლელები დაახრივეს. თეიმურაზ ბაგრატიონი ამის შესახებ ნერს: „სცნა რა ფაშამან ახალციხისამან შარიფ, მოაშვონა ლეკენი იგი“ [6, 77].

ლეონი დაკრძალულია მძოვრეთის ხეობაში, ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

პლატონ იოსელიანის ცნობით, „დიონოსი იყო თავად ციცუანთა ყმა ხვედურეთიდამ. ახლდა მეფის ძეს იულონს: ამისვაკე თხოვნითა უბოძა ილუმენობა მას კათოლიკოსმან ანგონი. შემდგომად ნარსვლისა რუსეთად იულონისა, დაშთა უადგილოდ და იყოფოდა მეფის ასულთან მარიამთან სოფელ ქარელს) მეფის ასულისა მარიამისა თხოვითა დაასაფლავა ყინცვისის წმინდის ნიკოლოზის გაუქმებულსა მონასტერსა მძოვრეთისა ხეობაში მეფის ძის იულონისა ძე ლევან, რომელიცა დარჩა საქართველოს, ეპრძოდა რუსთა და მოიკლა ზაკვით და მოსყიდვით ოსისაგან (ასეთი განსხვავებული ცნობა აქვს პ. იოსელიანს ლეონის მკვლელზე), მისდა და მასთანა ყოფილისა. ესე იყო 1810 ანუ 1811 წელსა.

ესე ლეონ იყო უფროსი შვილი იულონისი; მხნე, გამბედავი და გულადი; ათსა წელსა მდევნებლი ბედისა და ვერ ღირსებული ბედისა მოღალატისა“ [2, 159].

მარცხით დასრულდა ქართული სახელმწიფოსა და ბაგრატიონების დინასტიის აღდგენის კიდევ ერთი ცდა. 1810-1811 წლების ანტირუსული აჯანყება დამატცდა. რუსებმა თავისი პოზიციები კავკასიაში გააფართოვეს, გავლენა კი განიმტკიცეს. გაუქმდა იმერეთის სამფლოც თეიმურაზ გიორგის ძემ სპარსეთი დატოვა და რუსეთის მხარეს გადავიდა, რითაც გამოაკლდა რუსების ნინააღმდეგ აქბის შემთხვევაში ბაგრატიონთა რიგებს. იგი ქართული სამეფო ტიურად მებრძოლ ბაგრატიონთა შემთხვევაში მსგავსად რუსეთში იქნა გადასახლების ლებული.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ნარუშლები კვალი დააჩინია და განუმეორებელი ელფერი შესძინა ლეონ იულონის ძე ბაგრატიონმა. მისი ტრაგიკული აღსასრული ბატონიშვილი შარიფი მატებს მის სახელს. ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლი ჭაბუკი ბატონიშვილი ლეკეს (თუ ოსის?)

ხელით გამოესალმა სიცოცხლეს. კავკასიაში დარჩნენ და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელეს გრიგოლ ბატონიშვილმა (ის 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს მცირე ხნით მეფედ იქნა არჩეული [8]) და ალექსანრე ერეკლეს ძემ. ეს უკანასკნელი ცხოვრების ბოლომდე პრ შერიგებია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. რაც შეეხება ქართლის ჩრდილოეთ რაიონებს (აქ ძირითადად ოსები ცხოვრიბდნენ), მისი დამორჩილება და აქ თავისი მმართველობის შემოღება რუსებმა მხოლოდ 1831 წელს, პასკევიჩის მიერ კარგად დაგეგმილი და გენერალ რენენკამფის ხელმძღვანელობით განხორციელებული სამხედრო ექსპედიციის შემდეგ შეძლეს [16].

დამონმებული ნყაროები და ლიტერატურა:

1. Акты собранные Кавказской археографической комиссией, под ред. Ад. Берже. Тифлис (შემდგომში АКАК), т. IV, 1870.
2. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, რედ. აკ. განერელია, თბ., 1978.
3. ალ. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006.
4. 6. ბერძენიშვილი, ვ. ლონდუა, მ. დუმბაძე ..., საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, რედ. მ. დუმბაძე, თბ., 1973.
6. თეომურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო ლ. მიქაელშვილმა, თბ., 1983.
7. ზ. ბარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX ს. დასაწყისში, თბ., 1984.
8. ნიკო ჯავახიშვილი, გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.
9. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. II, რედ. ზ. ანჩაბაძე, თბ., 1978.
10. АКАК , III , 1869.
11. Н. Дубровин, история воины и владычества русских на Кавказе, IV, Тифлис, 1868.
12. АКАК, II, 1868.
13. З. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинград, 1959.
14. АКАК, I, 1966.
15. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
16. მ. ტყავაშვილი, რუსეთის სამხედრო ექსპედიცია ქართლის ჩრდილოეთში მცხოვრები ოსების წინააღმდეგ და საქართვე-

ლოში ოსთა განსახლების ზოგიერთი საკითხი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტ. I, რედ. ვ სონღულაშვილი, თბ., 2007.

17. მ. გარეჩილაძე, სამართლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა: 1857-1905 წწ. ქართული პრესის მასალების მიხედვით, თბ., 1996.
18. „დროება“, 1883, XI, 20, №234.

Mzia Tkavashvili

*Doctor of History, Scientific Researcher,
Department of Modern and Contemporary
History, Ivane Javakhishvili Institute of History
and Ethnology*

REBELLION OF 1810 UNDER LEADERSHIP OF LEON BAGRATIONI

Summary

On 12th of September 1801 Kartli-Kakheti Kingdom was abolished. In 1802 Russian administration was established in Kartli-Kakheti region which destroyed old Georgian State structure and abolished the Bagrationis royal dynasty.

The Georgian people have never put up with this event and continued their fighting against the Russian management. They were led by Bagrationi Prices. Russia's government knew about this very well. In 1803-1805 they carried out massive resettlement of the Bagrationis to different Russian provinces, thus they were removed from national-liberation movement.

But Alexandre Erekles-dze, Teimuraz Giorgis-dze, Leon Iolonis-dze (all of them sheltered themselves at the court of Persian shah) and Grigor Ioanes-dze escaped resettlement. National-liberation movement in Georgia was just led by the above-mentioned Bagrationis. Of course, the Imeretian King Solomon II was serving as hope and support for all Georgians.

Anti-Russian movement in the Caucasus brought to evidence that spontaneous and unorganized actions were doomed to failure. That's why the Georgian Bagrationis were trying to arrange massive attacks in agreement with Iran, Turkey and Northern Caucasians against the Russians. In 1809-1810 joint anti-Russian action was planned. Ruling circles of England and France were also actively participating in it.

On July 1810 rebellion seized Imereti and northern part of Kartli. Imereti rebellion was led by Solomon II, and Kartli rebellion by 19-year-old Leon Iolonis-dze Bagrationi; anti-Russian movements took place in the

Northern Caucasus as well. At the same period Iran and Turkey began attacks; The Russians managed to stop them. Solomon II was also defeated. He had to shelter himself in Turkey.

Rebellion was still going on in northern regions of Kartli. At the end of July the rebels majority of which were represented by the Ossetians, attacked the Russian garrison in Tskhinvali, then they retreated and strengthen themselves in Kartli mountains. In October the Russians organized military expedition against them. The rebels were defeated. The Russians burnt villages of rebels and hung leaders of rebellion, their families were resettled to Siberia. At the same time the Russians were trying to capture Leon Bagrationi. The Ossetians showed unbelievable love and devotion to the young Bagrationi, and Leon was saved.

Leon moved to Dvaleti and tried to renew rebellion, though unsuccessfully. In summer of 1811 Leon left Dvaleti and made his way to Akhaltsikhe through Imereti. But on the way he was killed by a Lek who came to Kartli for robbery. Akhaltsikhe Pasha punished the murderer unmercifully.

Leon was buried in Kintsvisi, in St. Nikoloz monastery.

One more attempt of restoration of the Georgian State system and Bagrationis dynasty was ended by defeat. Anti-Russian rebellion of 1810-1811 was defeated. Russia enlarged its positions in the Caucasus and strengthened its influence there. Imereti Kingdom was abolished as well. Teimuraz Giorgis-dze left Persia and joined the Russians, and Leon Iulonisdze lost his life by a Lak's hand. Grigor Batonishvili (in 1812 he was elected as a King during Kakheti rebellion) and Alexandre Erekles-dze remained in the Caucasus and continued selfless fighting against Russia. The latter had never stopped fighting for Georgia's independence.

მისამართი აკადემიუმის ერთი ცალილი
საქართველოს საზღვრების გასახელ

„საქართველო მსოფლიო ძალთა გზა და ხიდია, რომლის ხელში ჩასაგდებად კიდევ მრავალი სისხლი დაიღვრება და მის ზურგზე მრავალჯერ დაეჯახებიან ერთმანეთს დიდი სახელმწიფონი“.

მიხეილ ჯავახიშვილი, 1919 ნოემბერი.

რუსეთის იმპერიის დაცვების შემდეგ მასში შემავალი ქვეყნების სახელმწიფო ბრივი მოწყობის საკითხი გააქტიურდა. ამიერკავკასიაში შექმნილი სახელმწიფო სამ ისტორიულ ერს და მათ ტერიტორიებს მოიცავდა. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მიწები რუსულ ადმინისტრაციულ მოწყობაში ისე იყო განაწილებული, რომ ხშირად ენინააღმდეგებოდა ამ მიწაზე მცხოვრები ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ხედოდა სხვადასხვა ერთა ასიმილაცია-რუსიფიკაცია. ამასთანავე, ქართული, სომხური თუ აზერბაიჯანის ისტორიული ტერიტორიების ნაწილი მეზობელ ქვეყნებს - თურქეთსა და ირანსაც ჰქონდა მისაუთორებული. ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა და რუსეთი მთელი XIX-XX საუკუნის დასაწყისში ეპროდა ამ ორ ქვეყნას, ართმევდა მათ ადრე მიტაცებულ ოლქებს და თავის იმპერიულ საზღვრებში აქცევდა. ამიერკავკასიის სახელმწიფოს დაარსებისთანავე გაცხოველდა ისტორიული საზღვრების შესახებ კამათი, 1918 წლის მაისში კი, მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საზღვრების მოხაზუა-დადგენა აუცილებელი გახდა. ეს ურთულესი საკითხი ასე ადვილად ვერ გა-დაიჭრებოდა, მას საერთაშორისო სამართლით შეიარაღებული პარიზის კონფერენციით თუ გადაჭრიდა, მაგრამ კველა ქვეყანა, მათ შორის ჩვენი მეზობელი ადგენდნენ თავიანთ პროექტებს სახელმწიფო ბრივი მოწყობისა და საზღვრების თაობაზე. საქართველოში ეს საკითხი დაისვა გერმანიის სამხედრო მისის მიერ, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. შეიქმნა კომისია და შედგა სახელმწიფო ბრივი საზღვრების გეგმაც პავლე ინგორიოვას ხელმძღვანელობით. ეს გეგმა-რუქა მსჯელობის საგანი იყო ქართველ ინტელიგენციაში, იხილებოდა მეზობელებთან ურთიერთობის და მათი სახელმწიფო ბრივი მოწყობის პერსპექტივებიც. ქართველი ერის მო-

ქინავე შვილები ეძებდნენ გზებს მომავალი საქართველოს უშიშროებისა და უსაფრთხო განვითარების მისაღწევად, რეგიონში მშვიდობის თანაარსებობისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

იმ თვალსაზრისთა შორის, რომელიც ქართველ ძაბულიდვილ-თა მიერ იქნა გაცხადებული, საინტერესოა მწერალ მიხეილ ჯავა-ხიშვილის მიერ გამოთქმული შეხედულებები საქართველოსა და მი-სი მეზობელი ქვეყნების შესაძლო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობაზე.

1919 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ობიექტი განიში - გაზეთ „საქართველოში“, მიხეილ ადამაშვილის ხელმოწერით გამოცემულია მწერლის ვრცელი პუბლიცისტური ნარკვევი „საქართველოს საზღვრები“, სადაც მთავრ იდეად ნამოყვენებული იქნა სამალეთის ტერიტორიაზე სომხეთისა და ტრაპეზუნდის ქართული ქვეყნების შექმნა. თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომელშიც ქირველი მსოფლიო მომით დაშლილი და ომში სასტიკად დამარცხე-ჟირველი მსოფლიო მომით დაშლილი და ომში სასტიკად დამარცხე-ბული სამალეთის იმპერია აღმოჩნდა, მწერლის თვალსაზრისი არც ისე რომანტიკულ-უნიადაგო მოგვერცვენება. ნილსონის 14 პუნქტია-ზე შეთანხმება და ევროპის ქვეყნების პოზიცია ნათელს ხდიდა, რომ სამალეთის იმპერიას დაჭრულმაცება ელოდა. აյ უნდა შექმნილიყო პატარა დამოუკიდებელი ქვეყნები. ეს იქნებოდა ბერძნების, სომხე-ბის, ქართველების, ქურთების აგტონომიური ერთეულები, რა თქმა-უნდა იმ შემთხვევაში, თუკი ეს ხალხები მოისურვებდნენ თვითგა-მორკვევას. მიხეილ ჯავახიშვილის ნერილიც ამ ისტორიულ ვითარე-ბაში დაიწერა და მასში ნარმოჩნდა მწერლის თვალსაზრისი სამა-ლეთის ტერიტორიაზე მაპმადიანი ქართველების და სომხების სა-ხელმწიფო მოწყობის შესახებ.

„ყოველი შეგნებული ქართველისათვის, - წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, - სომხეთისა და ბერძნული ტრაპეზუნდის აღდგენა უდრის საქართველოს აღდგენას და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება და მაკვიდრებას. მნერალი ამის საფუძვლად შემდეგ მიზეზებს ასახელებდა 1. საქართველოს საზღვრებს ჩამოეცლება და მეტად დასუსტდება ის ძალა - ოსმალეთი, რომელმაც დააქვეითა, დაასუსტა საქართველო და იქამდის მიიყვანა, რომ მან თვითონვე აიღო ხელი თავის სუვერენობაზე და თავისი თავი და ბედი უცხო ზახელმწიფოს გადასცა. 2. იმ დრომდის, სანამ საქართველოს მოსაზღვრედ ისმალეთი ეყოლება, ჩვენი სამშობლო ვერ მოისვენებს. 3. მნერლის ღრმერნებით, სომხეთისა და ტრაპეზუნდის აღდგენით, სამხრეთში მშეღონიანდნება და ძალა ნონასწორობა დამყარდებოდა.

რუსეთი და ოსმალეთი, მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, იბრძონენ კავკასიისა და ევროპა-აზიის ხიდისათვის. მნერალი ასეთ შემთხვევაში, საჭიროდ თვლიდა ევროპის ჩარევას. მოკავშირებს ხელი უნდა აეღებინებინათ რუსეთისა და ოსმალეთისათვის ამ ბრძოლაზე და ევროპა-აზიის კარების ხელში ჩაგდებაზე, უნდა ეცნობათ ნინა აზიაში მშვიდობის დამყარება. ამისთვის მათ ხელს შეუწყობდა და მათ ინტერესებშიც შევიდოდა დამოუკიდებელი, ან ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყნების - საქართველოს, სომხეთის, ტრაპეზუნდის, აზერბაიჯანის, სირიის, პალესტინის, ოსმალეთის, სპარსეთის და მესოპოტამიის ისეთ საზღვრებში აღდგენა, რომ ამ რეგიონში ძალა ნონასწორობა შექმნილიყო. მნერლის თვალსაზრისი იქიდანაც ამოღიოდა, რომ ამ დროს ევროპის დიდი ქვეყნების ინტერესები საოცრად გაზრდილი იყო პატარა ქვეყნებისადმი, განსაკუთრებით ნინა აზიასა და აღმოსავლეთში, თანაც - ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და იტალიის ინტერესები ეჯახებოდა ერთმანეთს ამ რეგიონში. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ სომხეთიც და სირიაც საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცეოდა, რადგან ამ დროს სომხეთის პოლიტიკური წრეების თანამშრომლობამ ინგლისიდან საფრანგეთზე გადაინაცვლა. სომხეთის ზეგანხე, მისი რწმენით, ერთმანეთს შეეყრდნობდა ინგლის-საფრანგეთის და ინგლის-ოსმალეთის ინტერესები, ნაცვლად რუსეთ-ოსმალეთისა და ოსმალეთ-ერმანიისა, რომლებიც ომში დამარცხდნენ. ამიერკავკასიის ნანილს, ეკრძოდ, ბათუმ-ბაქოს გზას სუეცის არხის მნიშვნელობა ექნებოდა ინგლისისათვის, რადგან ამ გზით იგი დაუკავშირდებოდა თავის აღმოსავლეთის მეტროპოლიას. ყარსის ციხე-სიმაგრე ინგლისისთვის აუცილებელი იყო. „სამხედრო მეცნიერებს უცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩინა, - წერდა მნერალი, - რომ ყარსის მფლობელს ერთი ფეხი კავკასიაში უდგას, მეორე კი - ოსმალეთში და ბატონ-პატრონია ორივე ქვეყნისა“. ინგლისი არ დათმობდა და აქ შეეჯახებოდა საფრანგეთს, რაც საქართველოს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყიდოდა და ეცადა „დამკვიდრება დიდი საქართველოსი“, რის შემდეგ უნდა ეძებნა მსოფლიო თანამეგობრობის დასტური სამუდამო ინტრალიტეტის სტატუსზე. ნეიტრალიტეტზე უარი საქართველოს შემთხვევაში უნდა ეთქვა, თუკი თანამედროვე საზღვრებში დარჩებოდა. სირიიდან ყარსისკენ მიმავალ საფრანგეთს ინგლისი აღუდბოდა წინ ყარსის სამხედრო თავით და ჭორობის სათავეში. რადგან საფრანგეთი სომხეთის დროშით და ნებით მოვიდოდა, ინგლისიც ძალა-ცემებურად საქართველოს დროშას ამოეფარებოდა და ყველანაირად დოფინიდა სამხრეთისაკენ წინნასვლისა და „ფრანგული სომხეთი-თორთუმის და ლაზისტანის მოქცევას. მაგრამ ეს იმ შემთხვევში მოხდებოდა, თუ საქართველო-ოსმალეთს შორის აშენდებოდა ერთი ან ორი ზღუდე: სომხეთი და ტრაპეზუნდი. ამ სახელმწიფოების შექმნას იგი საქართველოს აღდგენას ადარებდა. აქვე, მიხეილ კავკასიშვილს მოჰქონდა მისული, მომავალი დიდი სომხეთისა და ინგლის საქართველოს სავარაუდო სქემა.

მომავალი დიდი სომხეთი (დაახლოებით)

	სივრცე პგ-კმ-ში	მოსახლეობა	დასახლების მჭიდრობა
1. ერზუმის ვილაიეტი	75 ათასი	600 ათასი	8 სული
2. ქაინის ვილაიეტი	42 ათასი	450 ათასი	11 სული
3. ბილისის ვილაიეტი	27,1 ათასი	400 ათასი	15 სული
4. ტრაპეზუნს ვილაიეტი	32,4 ათასი	948 ათასი	30 სული
5. თარბექირის ვილაიეტი	37,5 ათასი	371 ათასი	10 სული
6. ხარპუთის ვილაიეტი	35 ათასი	500 ათასი	13 სული
7. კილიქის (ადანას) ვილაიეტი	40 ათასი	422 ათასი	10 სული
8. სარაშას რაიონი (ალე-ოს ვილაიეტი)	30 ათასი	300 ათასი	10 სული
9. ერევნის გუბერნია	24 ათასი	1.070 ათასი	46 სული
10. განჯა (ნახევარი)	19 ათასი	600 ათასი	29 სული
11. ყარსი და ყალიზმანი	9 ათასი	245 ათასი	26 სული
12. სომხეთში	372 ათასი	5906 ათასი	19 სული

დიდი საქართველო

ნაწილები: საქართველო დღევანდველ საზღვრებში	სივრცე კვ- კმ-ში	მოსახლეობა	დასახლების მჭიდროობა
1. თბილისის გუბერნია (ბორჩალოს მაზრით)	35 904	1 338 000	37, 3
2. ქუთაისის გუბერნია	18 535	989 000	53, 3
3. სოხუმის ოლქი	5 791	168 000	28, 9
სულ	59 230	2 495 000	40
საშ. საქართველო			
1. ბათუმის ოლქი	6 129	161 00	26, 3
2. საინგილო	3 502	81 000	23, 2
3. არტაანი და ოლთისი	7 540	127 000	17
სულ	76 401	2 864 000	37, 7
დიდი საქართველო			
1. ყაზახი	5 100	130 000	25, 5
2. ყარსი და ყალიზმანი	8 926	245 000	27, 3
3. გუმბრი (შურაველი)	3 400	218 000	64
4. ლაზისტანი, თორთუმი და ისპირი (დაახლოებით)	10 000	250 000	25
სულ	103 827	3 707 000	35, 6

ამ გეგმიდან მნერალი ასკენიდა, რომ თუკი იგი განხორციელდებოდა, თუ სომხები მოახერხებდნენ თავიანთი ინტერესების დაკამაყოფილებას, მომავალი დიდი სომხეთის სახელმწიფო დიდ საქართველოზედაც კი მეტი იქნებოდა სამანახევარჯერ (სომხეთი შეიცავდა 372 000 კვ. კმ-ს, საქართველო კი 104 000 – ვერსა ანუ 110 000 კვ. კმ-ს). ეს იყო საშუალო საქართველოზე ხუთჯერ მეტი, ხოლო იმდროინდელ, რეალურ საქართველოზე ექვსჯერ მეტი, იგი თითქმის ორჯერ გადააჭარბებდა ამიერკავკასიას და ერთნახევარჯერ – იტალიას. ასეთი დიდი სახელმწიფოს შექმნა დაარღვევდა წინა აზიაში ძალთა თანასწორ ბალანსს და დაემუქრებოდა საქართველოს. ამიტომ საქართველო უნდა შეთანხმებოდა დიდ ბრიტანეთს, რომლის ინტერესები ემთხვეოდა ჩვენი ქვეყნის ინტერესს და, წინააღმდეგ ფრანგული სომხეთ-ასურეთისა, შექმნილიყო ინგლისური დიდი საქართველო და ტრაპეზუნდი. 1. მომავალ პონტოს სახელმწიფოს გადასცემიდან ტრაპეზუნდის ვილაიეთი, ლაზისტანის გარდა, რომელიც საქართველოს უნდა შეერთებოდა. 2. სომხეთს უნდა ჩამოჭროდა და საქართველოს გადმოცემოდა არზრუმის ვილაიეთის ნანილი (ისპირი და თორთუმი). 3. მთელი ყარსის ოლქი შეერთებოდა საქართველოს. 4. რადგან ყარსის მართვა-გამგეობა და შენარჩუნება შეუძლებელი იყო ბორჯომ-ახალციხე-არტაანის გზით, ამიტომ საქართველოსვე უნდა გადასცემიდა თბილის-ყარსის გზა და ხიდი, გუმბრის მაზრა, წინანდელი შურაველი, რომელიც მრავალი საუკუნის მან-

ძილზე საქართველოს ეკუთვნოდა. 5. საქართველოსვე უნდა დაპრუნებოდა მისი ისტორიული კუთვნილება – ყაზახი და საინგილო.

ასეთ საზღვრებში მოქცეული საქართველო ტერიტორიით მარც ნაკლები იქნებოდა სომხეთზე (სამჯერ) და მცხოვრებთა მხრივ თითქმის გაუთანასწორდებოდა მას. სომხეთს რომ მოეხერხებინა და ყველა გაფანტული სომხები მოეგროვებინა თავის ტერიტორიაზე, იქ სომხები მაინც 30-35 % იქნებოდა, ხოლო ქართველები დიდ საქართველოში იქნებოდნენ 60 % -მდე, რაც მას გაძლიერებდა და თუმცა ტერიტორიით სომხეთზე 3-ჯერ ჰატარა იქნებოდა, მაინც გაძლიერდებოდა მასზე მეტად. აი, რა დასკვნას აკეთებდა მიხეილ ჯავახიშვილ:

„ამ ისტორიულას და უდიდეს საქმეს, – დიდი საქართველოს შექმნას, რა თქმა უნდა, დიდი ძალა სჭირდება. მოკლედ მოვტრი: ამ გეგმას საქართველო თავისი მცირე ძალებით ვერ განახორციელებს. გეგმას საქართველო არც სომხეთი, არც სირია და პონტო თავისი საკუთარი ძალებით ვერც შეიქმნებიან, ვერც შენარჩუნებენ დამოუკიდებლობას...“

საქართველო მსოფლიო ძალთა გზა და ხიდია, რომლის ხელში ჩასაგდებად კიდევ მრავალი სისხლი დაიღვრება და მის ზურგზე მრავალჯერ დაეჯახებიან ერთმანეთს დიდი სახელმწიფონ.

ჩვენი დამოუკიდებლობა ნაყოფია იმ ძალთა კომბინაციისა, რომელიც ჩვენს თვალწინი იცვლება. ჩვენი ვალია ამ კომბინაციის მიმღინარეობას გავყვეთ და არსებული პირობები გამოვიყენოთ – ჩვენი ხალხისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

დამყარება, დაცვა და განმტკიცება დიდი საქართველოსი ზე-გოხსენებულ საზღვრებში ისეთი განუზომელი და ისტორიული საქმეს შეინარჩუნებულ საზღვრებს დავზოგავთ. თუ უზრუნველი იქნება შეიციდობა და ეროვნულ ძალთა განვითარება, ველყოფილი იქნება შეიციდობა და მრავალჯერ იმატებს პროტესტი საქართველოს სულიერ-კულტურული გაერთიანებისა, ეკონომიკური განვითარებისა და საქართველო ნახევარი საუკუნის შემდეგ გადაიქცევა ცენტრად ევროპულ კულტურისა წინა აზიაში...“

ბოლოს, ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მის თანამედროვე თაობას მისია ეკისრა მომავლის წინაშე, მას უნდა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით და პირნათლად შეესრულებინა თავისი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე.

ასეთი იყო მიხეილ ჯავახიშვილის მოსაზრება დამოუკიდებელი საქართველოს განმტკიცების, მისი სამაპმადიანო. ნაწილის გაღმირჩინის, საზღვრების უშიშროებისა და მომავალი პერსპექტივების შესახებ. ეს შეხედულებები გაცლილი იყო იმ ეროვნული ნიპოლიზმისაგან, რომლის გაქართულება დამოუკიდებლობის მოპოვებამ და საგანი იმე-მსოფლიო თანამედრობის თანადგომამ გამოიწვია, და რისი იმე-დიდობის დიდი იყო 1919-1920 წლების ქართულ საზოგადოებაში.

ეს იმედები სრულიად გააქრო 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ახალმა ანექსია-ოკუპაციამ, ტერიტორიების დაკარგვამ, ტოტალიტარული რეჟიმის გაბატონებამ.

მართალია, 1 მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის იმპერიაც დაიშალა, მაგრამ თავად თურქული სახელმწიფო კიდევ უფრო განმტკიცდა, იქ მცხოვრები არათურქი ხალხები იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ ეთნიკური სახის დაკარგვას, თურქებთან ასიმილაციას. მათი იმედი ეროვნული თვითგამორკვევის თაობაზე გაჰქირდა „ახალგაზრდა თურქთა“ ორგანიზაციის ბელადმა ქემალ ათა-თურქმა საფუძველი ჩაუყარა თურქულ ეროვნულ სახელმწიფოს, ანტანტის ქვეყნების გეგმებიც თურქეთის მიმართ ვერ განხორციელდა ჯერ რუსეთ-თურქეთის შეთანხმების, შემდეგ კი თურქეთის მმართველი წრეების ეროვნული პოლიტიკის გამო. არათუ მიხეილ ჯავახიშვილის მოსაზრება, არამედ ქართველი ხალხის სურვილი – დაეძრუნებინა თურქეთში დარჩენილი ქართული ტერიტორები და ქართველები, ისტორიას ჩაბარდა. საქართველო ორად გაყოფილი დარჩა, თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

როდესაც XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო, რუსეთმა არ დაუშვა მისი გათავისუფლება, გააძლიერა ქართული სახელმწიფოს ნინააღმდეგ ბრძოლა, დახვენა მეთოდები და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერით კიდევ უფრო დიდი საფრთხე მოუტანა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფობრიობასა და სუვერენიტეტს.

ამჟამად ეს კონფლიქტი პიკშია. ამ წერილისათვის ეპიკორაფად ნამდვარებული სიტყვები კი იმდენად თანადროულია, თითქოს დიდ მნერალს ნინასნარ განეჭვრიტოს ჩვენი ქვეყნის მომავალი, ან დღევანდელი დღისთვის დაენეროს ეს ფრაზები. მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, ისე ჭირდება ქართველ კაცს მომავლის იმედი, იმ მსოფლიო ორგანიზაციების თანადგომა, რომელთა ვალი და დანიშნულება პატარა ქვეყნების აგრესისაგან დაცვასა, უსაფრთხოებასა და მათი მშვიდი მომავლის უზრუნველყოფაში მდგომარეობს და რისი რწმენაც დიდ ქართველ მნერალს – მიხეილ ჯავახიშვილს 1919 წელს გამოქვეყნებულ წერილში ჰქონდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად, თბ., 1920.
2. მიხეილ ადამაშვილი, „საქართველოს საზღვრები“, გაზეთი „საქართველო“, 1919 წელი, №38.

Doctor of Historical Sciences, Chief Scientific Researcher, Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

A Letter of Mikheil Javakhishvili about the Georgian Borders

Summary

Mikheil Javakhishvili's letter was published in the newspaper "Nakartvelo" in 1919. Just that time Paris Armistice Conference was carried out which were to establish borders of countries. New state-administrative arrangements were being conducted in the States which were defeated in the World War I, including Turkey. Mikheil Javakhishvili was considering that the Georgians and Armenians inhabiting this country had to found their autonomies what would enable Georgia to have firm and safe background in the South-West.

The letter is interesting by its table which shows number of the Georgians and Armenians in Turkey, territorial and demographic state of difference provinces.

ავთანდილ სონდულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყო-
ფილების გამგე

სომხური ეკლესიის პრეტენზიები საქართველოში

ცნობილია, რომ რელიგია კაცობრიობის ისტორიაში მრავალი
სისხლიანი კონფლიქტის საბაბად ქცეულა; ამიტომ კონფესიური
სიჭრელე პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხის ფაქტორად შე-
იძლება განვიხილოთ. მას ზედ ერთვის XX საუკუნის ბოლოს პოს-
ტსაბჭოურ სივრცეში ეთნორელიგიური პროცესების ინტენსიფიკა-
ცია.

საბჭოთა ათეიისტური სახელმწიფოს დანგრევამ მოსახლეობის
რელიგიურობის ზრდა განაპირობა. გაადვილდა უცხოეთიდან ახალი
მიმდინარეობების შემოსვლა. რელიგიური პროცესის ინტენსიფიკა-
ცია არა მარტო კონფესიური სტრუქტურის მნიშვნელოვან გართუ-
ლებას, არამედ ტრადიციული საზოგადოებრივი ურთიერთობების
რღვევას განაპირობებს და სოციუმის შიდა დაძაბულობის მიზეზი
ხდება [1, 234].

ქველთაგანვე გულდია მასპინძლად ხვდებოდნენ საქართვე-
ლოში უცხო ერის ნარმომადგენლებს და საჭირო პირობებს უქმნიდ-
ნენ მშვიდი ცხოვრებისათვის. მემატიანებმა შემოვგინახეს ცნობე-
ბი, რომ ჯერ კიდევ შორეულ ნარსულში მოეშურებოდნენ უცხოელე-
ბი საქართველოსაკენ და აქ ნახულობდნენ თავშესაფარის [2, 20].

საუკუნეთა სილრმიდან მოდის ქართველებისა და სომხების
ურთიერთობა. სომხეთი ხალხი გაფირვების უამს იძულებული ხდებო-
და თავისი მშობლიური ქვეყანა, საკუთარი სახლი და კარი მიეტოვე-
ბინა და თავშესაფარი უცხო ცის ქვეშ ეძებნა [3, 14]. საერთოდ, სომ-
ხები ისტორიულად ადვილად იტანდნენ სხვა ქვეყანაში დასახლებას.
მათი ცნობილი დევიზი იყო და ნაწილობრივ დღესაც რჩება: „ვორ-
დელ ჰაც ენდელ გნაც, ენდელ კაც“ (სადაც პურია იქ გაიქცი და
დასახლდი, დამაგრდი) [4, 14].

ასეთი ნავსაყუდელი კი სომხებისათვის ძირითადად საქართვე-
ლო იყო. უცხო მხარეში მოხვედრილი გარეშე კაცი ცდილობდა გა-
რემოს შენყობოდა და იგი თავისად ექცია. სხვადასხვა დროს ეს
სხვადასხვანაირად ხდებოდა. სათავისოდ გადაქცევის ერთ-ერთი
საშუალება იყო სომხეთი მიერ გრიგორიანული ეკლესიების მშენებ-
ლობა თბილისადა მის შემოგარენში [5, 127].

ეხებოდა რა სომხეთი ერის ხასიათს, ცნობილი მეცნიერი მიხაკო
წერეთელი იმასაც აღნიშნავდა, რომ „დაიბუდებენ ხოლმე მისუსტე-
ბული ერის ტერიტორიაზე და ხანმოკლე ფარული მდგომარეობისა
და სოლიდარობის შემდეგ, პირდაპირ ოშა უცხადებენ თავიანთ მას-
პინძლებს, – ადე შენი ტერიტორიიდან, მე უნდა დავიჭირო იგი, რო-
გორც უფრო ძლიერმა და ნიჭიერმა“ [6, 109].

სომხეთი სასულიერო პირების „შემოსევას“ ქართველი მოსახლე-
ობის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასაყვანად მასობრივი,
გეგმაზომიერი ხასიათი ჰქონდა და იმართებოდა ეჩმაინიდან. ასე-
თი ფაქტები უკვე XVII საუკუნიდან ფიქსირდება, რასაც ყურადღება
მიაქცია ზოგიერთმა ქართველმა მოღვაწემ. კერძოდ, XVII საუკუნის
30-იან წლებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ვითომიც
სარწმუნოების მტკიცედ დაცვის მიზნით, ატება ხმაური იმასთან
დაკავშირებით, რომ გორში ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ ვინმე
ნასყიდა ლოპამონიმ (ლომოური?) მიიღო კათოლიკური სარწმუნოე-
ბა. კათალიკოსი ნასყიდას სამაგალითოდ სიკედილით დასჯას მო-
ითხვდა, რისთვისაც თბილისში მოიწვია სპეციალური კრება. კრე-
ბას ესწრებოდა მეცე როსტომიც. საქმის გარჩევისას მდგომარეობა
უფრო და უფრო მძიმდებოდა; ბოლოს სიტყვა აიღო ცნობილმა მოძ-
ღვარმა და დიპლომატმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. ორატორი ჯერ
როსტომ მეფისაკენ მიბრუნდა და მოახსენა: ნასყიდა „სიკედილის
ლირსი არ არის, რადგან სარწმუნოება არ გამოუცვლია (იმ აზრით,
რომ კათოლიკობაც ქრისტიანობაა) და სპარსელების ნინააღმდეგ
არაფერი უმოქმედია“. მერე მიუტრიალდა კათალიკოსს და საყვე-
ლორის კილოთი უთხრა: „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ
მრავალნი ქართველნი სომხებიან, უფრო მომეტებული მათგანი კი
მაპმადის სარწმუნოებას ლებულობს, მაშ ვისაც უნდა გაფრანგება,
რალად უნდა დაემალოს“ [7, 126, 127]. ამით ჩოლოყაშვილი მიუთი-
თებდა, ქართველის გაფრანგებით (გაკათოლიკებთ) ერს არაფერი
ეკარგებოდა, იგი ქართველ კათოლიკედევე რჩებოდა, მაგრამ სომ-
ხურსა და მაპმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლით იგი ან სომ-
ხდებოდა, თურქედებოდა ან სპარსელდებოდა, და რომ მისახედავიც
ეს იყო [8, 41-42].

როგორც გერე შენიშნავდა „На чужбине армянин становится
рабочим, ремесленником, торговцем, банкиром... крупным помещиком,
но никогда он не становится тем, чем был дома – крестьянином.“

ამგვარად, საკუთარი თავისა და ვინაობის გადასარჩენად სოები გლეხი თავის თავში ნახულობდა ძალას. უცხო მინაზე ვაჭრობის „ორბიტაში“ ჩართული სომხები დიდძალ ქონებას აგროვებდნენ, რომლის გარკვეულ ნაწილს ეჩმიაძინში გზავნიდნენ.

სომხური ეკლესია თავისი სიმდიდრის წყალობით ადვილად ახერხებდა სპარსელთა ხელიდან დაეხსნა საკუთარი თვისტომნი, ქართველთა შორის კი ასეთი სახსრები ძნელად საშოვარი იყო, ჩვენს ქვეყანას დიდძალი ხალხი ეკარგებოდა. ეს ვითარება სომხურ სარნებუნოებას საქართველოში პოპულარულსა და მიმზიდველს ხდიდა [8, 40]. ჩვენის აზრით, სომხური ეკლესია იმ ქართველს, რომელიც სომხურ სარნებუნოებას მიიღებდა, პირდებოდა ტყვეობიდან ახლობლის გამოსყიდვას (ალბათ იმვიათი იყო ოჯახი, რომ უცხო მხარეში გაყიდული ან ტყვედ ჩაგარდნილი არა ყოლოდა). ასეთი აქტით სომხური ეკლესია საქართველოში პოზიციებს იმტკიცებდა. ამდენად, დროის ამ მონაცემთში ქართველის მიერ გრიგორიანული სარნებუნოების მიღება განპირობებული იყო ზემოაღნიშნული გარემოებით.

ქართველების გასომხება და ქართული ეკლესიების მითვისება XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. ამ მოვლენას გარკვეულნილად ხელს უწყობდა ერეკლე მეორის ერთგვარად გულგრილი დამოკიდებულება სარნებუნოებისადმი [9, 51]. აღსანიშნავია, რომ აღა-მაჟად ხანის მიერ თბილისის აღების დროს ირანელები სომხებს არ ხოცავდნენ. მაშინ, როდესაც ქართველების ოცხე მეტი ეკლესია დაანგრიეს, სომხური ეკლესიები უვნებელი გადარჩა. ქართველთაგან მტრის შემოსევას ვინც გადაურჩა სომხურ ეკლესიაში დაიწყო სიარული. დოსითეონს ფიცხელაურის გადმოცემით, ჩუღურეთში, კუკიაში, შავ სოფელში, ვერაზე და ავლაბარში ძალიან ბევრმა ქართველმა მიიღო სომხურ-გრიგორიანული სარნებუნოება. ყველა ქართველი ამას ამბობდა: „ოღონდ ქრისტიანები ვიყოთ და რჯული, რომელიც უნდა იყოსო.“ ზოგიერთ ადგილას მთელმა სოფლებმა იწყეს რჯულის შეცვლა. ამ დროს მოექცნენ სომხე-გრიგორიანელებად სოფელ თელეთის მცხოვრებლები, რადგან მტრის უკან მობრუნების შიში ძრიერი იყო. აღნიშნულ პერიოდში „გასომხენენ“ მაისურაძეები, ლაზარეშვილები, რამილიკულაშვილები და სხვები [9, 42, 43].

მოგვიანებით, ეჩმიაძინის გავლენით დამკვიდრდა ასეთი წესი: სომხები მდიდარი მოქალაქე ქართველი თავადის მამულს რომ შეიძენდა, ქართველი გლეხი თითქოს ვალდებული იყო ახალი მებატონის სარნებუნოებაზე გადასულიყო: სომხებ მლვდელ-მსახურთა ენერგიული ღონისძიებები („კრესტნი ხოდები“) ქართულ მოსახლეობაში, მათი მოსყიდვები, სხვადასხვა გზით გადაბირება აიოლებდა ქართული მოსახლეობის სომხური სამლენელოების ხელში ჩავარდნას [10, 67].

საერთოდ, სომხები ცდილობდნენ ქართული ეკლესიების გარშემო დასახლებულიყვნენ. ისინი ჯერ ფეხს მოიკიდებდნენ ვაჭრობით, აღეპ-მიცემობით, ხელოსნობით, ეკონომიკურად მოღონიერდებოდნენ და მათ საცხოვრებელ არეალში მოქცეულ ქართულ ეპლესიას გადაბირების გზით ნელ-ნელა ჩამოაშორებდნენ ხოლმე ქართულ მრეველს და ხელს მიჰყოფდნენ ეკლესიის გასომხურებას. ეს ხდებოდა პრაქტიკულად ნებისმიერი ხერხით: მოტყუებით, ძალადობით, მოსყიდვით და სხვ. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა თბილისში და არა მარტო აქ [10, 33-34].

ლიტერატურაში საკმაო დამაჯერებლობითაა აღნერილი ის, თუ რა ზომებს მიმართავდა სომხური ეკლესია ქართველთა გრიგორიანულ სარნებუნოებაზე მოქცევისათვის. აი ერთი მათგანი: „გრაკლიდან ბატონს გლეხი გამოექცა. ლტოლვილმა თბილისს შეაფარა თავი. ქუჩა-ქუჩა, ფოლორც-ფოლორც, ბანი-ბან დადის გამოქცეული გიორგი ზანდარაშვილი და ნვრილმანებით ვაჭრობს. ვაი-ვაგლასით იჩჩენს თავს. ერთხელ ხარფუხში, აბანოების აღმართზე გრაკლელ გიორგი ზანდარაშვილს სუბსარქესის ეკლესის მნათე შეხვდა. მნათემ ეშმაკურად გაიღიმა და გაკინტორებულ გლეხს ჰეთითა – გინდა და ფული იშოვნო? მენვრილმანეს ჯერ ეგონა მეხუმრებიანო, მერე თანდათან გამოერკა და დარნებუნდა, საოხუნჯოდ არაფერი უთქამას მნათეს. ფულს მართლა პირდებოდნენ, ოღონდ სამაგიეროდ მონათვლას სთხოვდნენ – ჩვენს ეკლესიაში მოინათლე და ქისას ფულით გაგივსებთ. გიორგი ზანდარაშვილი შეყოყანდა, რჯულის გამოცვლამ შეაშინა, მაგრამ ფლიც ძალიან უნდოდა. მნათემ ჭოჭმანი შეამჩნია და მტკიცედ უთხრა – რჯული გამოიცვალე, ისე ვაჭარი ვერ გახდები, ვერ გამდიდრდები (ხაზგასმა ჩემია ა. ს.). ნინადადება მაცდური იყო: თუ სომხურად მონათლევდა, ხუთ თუმანს პირდებოდნენ. ცოლსაც თუ მონათლევდა, კიდევ ხუთ თუმანს. ათი თუმანი გიორგი ზანდარაშვილისათვის უზარმაზარი თანხა იყო. ამაზე უარის თქმა უკვე აღარ შეეძლო. მნათეს თანხმობა მისცა და სომხურად მოინათლა“ [11, 46].

ასე იქცა ქართველი გლეხი გიორგი ზანდარაშვილი სომხებ ვაჭრად – ფირუზა ზანდაროვად.

ეს არ იყო უბრალო რელიგიური ან სავაჭრო კომბინაცია, რადგან მაშინ რელიგია და ეროვნება ჯერ კიდევ განუყოფელი მცნებები იყო. რომელ სარნებუნოებასაც აღიარებდი, იმ ერის კაციც იყავი, ასეთი მაგალითი მრავალი თბილისის ისტორიაში. სომხური ეკლესიის აქტიურობის წყალობით ბევრი მართლმადიდებელი ქართველი გახდა გრიგორიანი და სომხების ერს შეემატა [12, 11].

ცნობილია, რომ ქალაქში მცხოვრებ სომხეთა ძირითად სალაპარაკო ენას როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ ქართული ენა წარმოადგენდა, ხოლო სომხური ენა თვით სომხების უდიდეს ნაწილს არც

კი სცოდნია [12, 31]. ამდენად სოფლიდან ბატონს გამოქცეულ, თუ ვაჭრობის მიზნით სარწმუნოება გამოცვლილ ქართველ გლეხს სომხური ენის უცოდინარობა ხელს არ უშლიდა თბილისის სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობაში. იაკობ გოგებაშვილი 1897 წელს აღნიშნავდა, რომ თბილისში მცხოვრებ მდიდარ სოლოლაკელებს შორის შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი გვარი, რომელთა ნინაპარნიკ ქართველი მართლმადიდებლები იყვნენ [12, 48].

1822 წლისათვის საქართველოში იყო 145 გრიგორიანული ეკლესია. გრიგორიანულ სარწმუნოებას მისდევდა 325 სოფელი 12044 კომლით [9,74].

ქართული ეკლესიის ისტორიისა და თბილისის სიძველების
საუკეთესო მცოდნე პლ. ოსელიანი ქართული ეკლესიების შესახებ
გაოცებული კითხულობდა: “неизвестно, по какому случаю владеют
теперь армяне?!.”

ეს კითხა ანგალებს ქართველ ხალხსაც და კონკრეტულად პა-
სუხი ვერ მიუღია. ქართველი ერის და ეკლესიების თავზე დამტყდა-
რი ეს უბედურება ისტორიულმა მიზეზებმა განაპირობა. პერმანენ-
ტული შემოსევებისაგან გაპარტახებულ ქართულ ეკლესია-მონას-
ტრებს უცერემონიოდ დაეუფლენ ლტოლვილი თუ ჩამოსახლებული
სომხები. ეს ხდებოდა უმრავლეს შემთხვევაში არც თუ მისაღები
ხერხებით [10, 19-20].

ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1885 წელს გაზეთი „ივერია“ გულისტყოვილით წერდა: სომხები, „ვინც დვიძღლ ძმად მიგვაჩნია, ვინც – საქართველოს კალთის ქვეშ იპოვა რქა ცხოვრების ხსნისა, დღეს ისინი გამხდარან მოსისსხლე მტრად. ამ დიდებულთა ნარწერებით აღსავს ქვათა და უმსგავსოებათა სავსე ხელით ცდილობენ შემუსრონ და ამოამტვრიონ წერაქვით ქართული ნარწერები. . . არაბები ბატონობდნენ მათ 200 წელიწადი და ისინი არ სჩადიოდნენ ამ ამბებს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის. მისდგომიან და ანგრევენ ტაძრებს რკინის კეტებით და ნერაქვით, ანადგურებენ ნახატებს, თვალებს სჩიჩქნიან წმინდანებს და სხვ. სამარცხვინოა, რომ მამა-პაპათ სისხლით შერეული კირით აღშენებული ტაძარი დაისაკუთრონ გუშინდელ მოსულთა და მკვიდრი კი განდევნილ იყვნენ თავისსავე მამულში, მით უფრო სათაკილოა ამგვარი მოვლენა, რომ იქნებ ხარაჯაც დაადონ ჩვენს მლოცველებს ამ მამა-პაპათა სალოცავებში“ [13]. სიკეთის დაუნახაობით გულნატკენი ადამიანის სიტყვებია. სამწუხაოოდ, ეს ყველაფერი სიმართლეა, რაზეც ქართული ქანი მნარეთ მოთქვამან.

ათი ნლის შემდეგ იმავე „ივერიის“ ფურცლებზე ესტატე მირი-ანაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „სომხები სამცხე-ჯა-ვახეთში არსებულ ხელოვნებისა და განათლების ძეგლებს ისაკუთ-რებდნენ“. მის მაგალითად დასახელებულია კუმურდოს ეკლესია,

რომლის კედლებშიც შემდეგაა ჩატანებული ერთი ქვა სომხური ნარწერით. სომხები დავობდნენ მდინარე ფოცხვის მარჯვენა კი-დეზე გაშენებულ მოღნილის ეკლესიაზე, რომ თითქოს იგი მათ ეკუთვნილათ. ამის „დასამტკიცებლად“ იმოწმებდნენ ეკლესიასთან დაგდებულ სომხურ ნარწერიან ერთ საფლავის ქვას, რომელიც ნინათ არსად არ ჩანდა. სომხების თავაშებულობა იქამდე მივიდა, რომ სოფელ ბუნაშეთში თეთრი კირით შედგებს ეკლესიის ხუცური ნარწერა და დაისაკუთრეს. სოფელ ხორელიაში ძეველ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე სომხებმა ქართული ნარწერა ნაშალეს და სომხური დააწერეს. სომხები თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ ყურა-თუბნის, ბარალეთის, აზავრეთის და სხვა ეკლესიებს [14].

საქართველოში დასახლების შემდეგ, ი. გვარამაძის თქმით, სომხები „არ დასჯერდნენ ჩვენის მამაპაპების სისხლით დაცულს პოხიერს მიწანყალსა, მისგან მიღებულს მრავალნაირ სიკეთე სიმ-დიდრესა... გაიმაგრეს ურთიერთისაგან ზურგმხარი და უწყეს ნერევა ჩვენსა სათავეანო ეკლესია-მონასტრებსა. სადაც შეძლეს, დაისა-კუთრეს, ხუცური წარწერები წაშალეს და თავიანთებურს ჯლადნა დაუწყეს..., ბევრგან ქართულ წარწერიანი სასაფლაოები დალენეს..., კათოლიკეთ სასაფლაონი ეკლესიის გარშემო აღარ გააბოგინეს... დღემდის ქურთები, თურქმენები, მაჰმადიანები უფრო კრძალვით და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს ეკლესიებს და ზოგიერთი სო-მეხთავანი კი მტრულად გვეპყრობიან. თბილისსაც ისაკუთრებენ, ასპინძა და აბსულუმან რაოდ სახსენებლია.... [15,90].

გვარამაძე ამხელს, რომ ეს არ არის ადგილობრივ ცალკეული გამოვლინება, რომ ეს სომხური გლობალური ნაციონალური პოლიტიკის შედეგია, რომელიც გამომჟღავნებულია „მშაკის“ პუბლიცისტის მიერ გამოთქმულ თეორიაში „სადაც სომხები ცხოვრობენ, სომხეთი უნდა ვუწოდოთ, თბილისსაც კიო“. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ი. გვარამაძის რჩმუნებით, ქართველ კათოლიკებს სომხურ წირვა-ლოკაციას აიძულებდნენ [15, 90].

ჯერ კიდევ 1811 წლის შემდეგ, როცა რუსეთის მთავრობამ, სა-
კულებით სამართლის უხეში დარღვევით, ქართული ეკლესიის ა-
ტონეფალია გააუქმა და რუსული ნირვა-ლოცვა დაიწყო, ხალხი
პროტესტის ნიშნად ეკლესიებს სტოვებდა. ამით სარგებლობდნენ ს-
ომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მესვეურნი და უკანონოდ იკა-
ვებდნენ ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიებს. მათ ხელში ჩაიგ-
დეს ქართული ეკლესიები თბილისში, გორში, თელავში, დუშეთში.
სომხური წაციონალისტური ბურუჟაზია, რომელსაც დიდი ეკონო-
მიკური შესაძლებლობანი გააჩნდა ქართული ეკლესიების მიტაცე-
ბას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ცდილობდა
მოეძებნა არგუმენტაცია თავიანთი უკანონობის დასასაბუთებლად
[16, 11]. ეს პროცესი მთელი XIX საუკუნე გრძელდებოდა.

1897 წელს ცნობილი რუსი მოღვაწე ვასილ ველიჩკო აღნიშნავდა, რომ „ისტორიულ-არქეოლოგიურად სომხები ქართველებს უსინდისოდ ძარცვავდნენ – ისტორიული ძეგლებიდან ამოვანვრით შლიან ქართულ წარნერებს, იტაცებენ უძველეს მართმადიდებლურ სამრეკლოებს და დაცარიელებულ ეკლესიებს.“ ამის დასტურად ავტორს მოჰყავს ფაქტობრივი მასალა [17, 74].

სომხურ მოსახლეობას XX საუკუნის დასაწყისისათვის, მხოლოდ შეიძა ქართლში 133 ეკლესია და 137 მღვდელი ემსახურებოდა, მრევლი კი 100 ათას კაცს აღწევდა [18, 4].

1925 წელს სომხურ-გრიგორიანულ ეკლესის გამოეყო „თავისუფალი სომხური ეკლესის ძმობა“, რომელიც ითვლიდა ყველა სომხური ეკლესის 65%-ს.

1934 წლის 26 ივლისს ეჩმიაძინში ჩავიდა ახალციხის რაიონის სოფელ ჩალრაშენიდან ვინმე ტერ-აკოფოვი და უმაღლესი სასულიერო საბჭოსაგან მოითხოვდა დასახელებულ სოფელში მღვდლად დანიშვნას. ტერ-აკოფოვი წინასწარმეტყველებდა უახლოეს ხანში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას [19, ფურც. 23].

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა „იმერეთ-საქართველოს“ სომხური ეპარქია რეზიდენციით თბილისში, რომელიც აერთიანებდა 4 ეკლესის 14 მღვდელმსახურით. მათგან თბილისში – „სურპ გევორქის“ და „ეჩმიაძინის“, ახალციხეში „ლუსავოროჩის“ და ახალქალაქში „ხაჩი“-ს ეკლესიები.

XX საუკუნის შეუბანებში ეპარქიის ხელმძღვანელი იყო ეპისკოპოსი ტერ-სტეფანოვი. სტეფან შმავონის ძეს მღვდლად კურთხევის შემდეგ ენოდა ტერ-კომიტასი. ეპისკოპოსი უშუალოდ ემორჩილებოდა ყოველთა სომხეთა კათოლიკოსს ვაზგენ პირველს, რომლის რეზიდენციას წარმოადგენდა სომხეთში ეჩმიაძინის კათედრალური ტაძარი.

ეპარქიასთან არსებობდა ეპარქიული საბჭო, რომელშიც შედიოდა სამღვდელოების 3 ნეკრი და ბერებიდან 2 ნეკრი.

მღვდელმსახურებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობა რეპატრიანტები იყვნენ. მრავალი მათგანი თავის გარემოცვაში უკმაყოფილებას გამოთქვამდა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისა და ცხოვრების გამო.

ეპარქიის საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენდა 700 ათას მანეთს, აქედან 400 ათასამდე იგზავნებოდა ეჩმიაძინის სასულიერო ცენტრში, ხოლო დანარჩენი ნანილდებოდა საეკლესიო საჭიროებისათვის. ძირითადად საეკლესიო შემოსავალი შედგებოდა სანთლებისა და უურნალის – „ეჩმიაძინი“ გაყიდვით. უურნალი ეჩმიაძინში იბეჭდებოდა.

50-იანი წლების მეორე ნახევარში სომხურმა ეკლესიამ გააქტიურა თავისი რელიგიური მოღვაწეობა, რამაც მრევლის გაზრდა

მოიწვია. განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო „სურპ გევორქის“ სახელიში, რომელიც კრასილნის ქუჩა №5-ში მდებარეობდა. კვირა უკებში და რელიგიურ დღესასწაულებზე ზოგჯერ მიყავდათ ეპისკოპოსი სკოლამდელი და მონაფე ბავშვები.

საზემო და მიმზიდველი გარემოების შექმნის მიზნით სასულიერო წლებად პერიოდულად ინვევდა სახელმწიფო ფილარმონიის მსახურებს, რომლებიც ფულადი ანაზღაურებით საეკლესიო გუნდთან ერთად ასრულებდნენ რელიგიურ სიმღერებს [20, ფურც. 27-28].

აღდგომის დღეებში სომხურ ეკლესიებში ხალხმრავლობა იყო. განვითარდ თბილისის „სურპ გევორქის“ სომხურ ეკლესიაში 1954 წლის 18-25 აპრილს შეიდი ათასზე მეტი მორჩმუნე მივიდა. ეჩმიაძინის სახელობის ეკლესიაში 3800 მორჩმუნე ლოცულობდა. დიდი ნაციონალი ხალხმრავლობის გამო ეკლესის გარეთ იმყოფებოდა. განსაკუთრებით მრავლად იყო ახალგაზრდობა. ნებაყოფლიბითმა შემორიულობამ ორ სომხურ ეკლესიაში შეადგინა 22 139 მანეთი [21, 6].

სომები – გრიგორიანების გაექტიურებას ხელი შეუწყო 1957 წლის ყოველთა სომხეთა კათალიკოსის ვაზგენ პირველის სტუმრობის. საქართველოს პატრიარქთან მელქისედეკ მესამესთან შეხვედრის შემდეგ, მისივე თხოვნით ის მიიღო საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავჯდომარებ მ. ჩუბინიძემ. ვაზგენმა მოითხოვა, რომ სამოქალაქო წლების შემდეგ სომხეთა საეპარქიო საბჭოსთვის გამოეყოთ 4 ოთახი საცხოვრებელი სახლიდან, რომელიც მდებარეობდა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში და გაენთავისუფლებინათ ეს შენის მცხოვრებლებისაგან. თხოვნის თუ მოთხოვნის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით აღნიშნული ეკლესის ეზოდან უნდა გაეტანათ ტრანსფორმატორის პუნქტი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე შეკრანს კათალიკოსს ბოლო ორი პუნქტის შესრულებას. თუმცა ეს კირდა კათალიკოსს ნერილობა რიცხოვდა, რის გამოც სომხეთის კათალიკოს წერილობით მიართავდა საქართველოს ხელისუფლებას შეესრულებინათ დანაპირები.

ვაზგენის მეორე თხოვნა ითვალისწინებდა საქართველოში 18 ახალი სომხური ეკლესის გახსნას. მათ შორის თბილისში, შულავაში, თელავში, ბათუმში, სოხუმში, ველისციხეში და ბოლნისში [22, ფურც. 5-6].

მას შემდეგ, რაც ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა მღვდელმსახურები თვითნებურად მიემგზავრებიან სომხებით დასახლებულ სოფლებში – ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში, ასევე ბათუმშა და სოხუმში მორჩმუნეთა გრძნობების გასაღვივებლად. ადგენენ კოლექტიურ წერილებს ეკლესიების გახსნასთან დაკავშირებით.

ეჩმიაძინის სასულიერო ცენტრი, კერძოდ, კათალიკოსი ვაზგენ პირველი, დიდ იმედებს ამყარებდა საქართველოში სომხურ-გრიგო-

რიანული ეპარქიის საქმიანობაზე. რელიგიურ დღესასწაულებზე თბილისში გზავნიდა შედარებით მომზადებულ და ცნობილ ავტორი ტეტებს, რომლებიც თავის ქადაგებებში აღვივებდნენ რელიგიურ გრძნობებს მორწმუნებებში.

როგორც აღვნიშნეთ, „სურბ გევორქის“ ეკლესია დიდი რაოდ დენობით იღებდა რელიგიურ უსურნალ „ეჩმიაძინს“ და „საეკლესიო კალენდარს“, რომლებსაც მღვდელმსახურები ავრცელებდნენ თბილისის მოსახლეობაში, ასევე საქართველოს სომხებით დასახლებულ რაიონებში და ყიდვნენ სპეციულაციურ ფასებში [20, 28-29].

ამჟამად მსოფლიოში სომხურ-გრიგორიანული ეკლესის ოთხი საპატრიარქოა: ეჩმიაძინში, ალექსანდრიაში, კონსტანტინოპოლიში და კუნძულ კვიპროსზე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამავე ეკლესის 32 საეპისკოპოსო მოქმედებს [9, 43].

თანამედროვე სომეხი ფალისფიკატორი მეცნიერის პარუი მურადიანის „მტკიცებით“ მცხეთის ჯვარი სომეხი თედოსაკის ამენებული ყოფილა. რასაც თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცემართველმა მეცნიერებმა [10, 4-5]

1995 წელს ერევანში გამოქვეყნდა სამველ კარაპეტიანის რუე-ცნობარი – „სომხური ეკლესიები საქართველოში“, რომლის მიხედვით საქართველოში 650 სომხური ეკლესიაა.

კარაპეტიანის კიდევ ერთი ახალი „აღმოჩენის“ მიხედვით ქვემო ქართლი და ჯავახეთი „ისტორიული სომხეთი“ ყოფილა და სომხური ტოპონიმები-ბოლნოფორ, ქვემაფორ, კანგარექ, მანგლესაც-ფორ, თრედქ და ჯავაღქს თითქოს შეესატყვისება დღევანდელი მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრი-წყარო, წალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ასპინძა.

კარაპეტიანს უნდა მოეხსენებოდეს, ქვემო ქართლი ანუ გოგარანი (სომხები, რომ გუგარქად მოიხსენიებენ) არის ძირძველი ქართული მინა, ისე როგორც სამცხე- ჯავახეთი. ქართულსა და უცხოურ წყაროებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, აღნიშნული ტერიტორიის ქართულობა დადასტურებულია თვით ქველი სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებში: აგათანგელოსი, მოცესეს ხორენაცი, ჰოვანეს დრასხანაკერტელი, უხტანესი, VII საუკუნის სომხური გეოგრაფია „აშხარაციული“ და სხვა [10, 9-10].

საუკუნეების მანძილზე ქართული ტერიტორიების სომხურაც გამოცხადებს პროპაგანდის შედეგი იყო, რომ 1881 წელს თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობაზე ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, პროფესორმა დ. ხვოლსონმა თავის გამოსვლაში განაცხადა: „მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სომხეთის დედაქალაქ თბილიში“ [23, 273]. მოგვიანებით გაზეთმა „ნოვოსტიმ“ ქართული მართლმადიდებლობის უდიდესი ძეგლი - მცხეთა და ვერ-

ეხლისფერი არაგვის ხეობა წარმოადგინა, როგორც „მგზნებარე სომხეთი“ [17, 119].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1885 წლამდე არსებული საქართველოს სომხური ეპარქიის სინოდალური ჩანაწერები დაცული იყო საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში. 1965 წელს საქართველოს საარქივო სამართველოს უნიათო ხელმძღვანელობამ იგი გადასცა სომხეთის სახელმწიფო არქივს. ეს კანონის დარღვევა კი არ იყო მარტო, არამედ ეროვნული დანამატებიც. მათი უფიციონის გამო დღეს საქართველოს მკვლევარები იძულებულები არიან ერევანში წავიდნენ და იქ იმუშაონ.

პლ. იოსელიანი პირდაპირ მიუთითებს თბილისის სომხური ეკლესის სურბ – შანის (წმ. ჯვარი) მართლმადიდებლობის, ე. ი. ქართულობის შესახებ. ძველი ქართული ტრადიციით, წმ. ნიკოლოზის სახელი ფუძექართულ ეკლესიაზე აგებულ, სომხურად ქცეულ სურბ-ნშანის ეკლესიას სახელწოდებაში შემორჩა. ამ ეკლესის ცენტრალური საკურთხეველი წმ. ნიკოლოზ სასნაულმოქმედის სახელისაა.

XVIII საუკუნის დასაწყისამდე ეს ეკლესია ქართული სალოცავი იყო, მაგრამ 1703 წლის სომხური ქტიტორული წარწერის მიხედვით, მის ახლად აშენებას, შესდგომია ვინმე მელიქ კიორკი. ადრე კი, მელიქ კიორკის მამა – ასლამაზას და პაპას ამირას გარკვეული სამუშაო შეუსრულებიათ. მათ თავიანთი თანამდებობის წყალობით (მამასახლისები ყოფილან) არ გაუჭირდებოდათ უპატრონო ქართული ეკლესის ხელში ჩაგდება. თუმცა გამორიცხული არ არის კიდევ უფრო ადრე მომხდარიყო მითვისება [10, 15-16].

საქართველოს სომეხთა საეპარქიო კათედრალური ტაძარი – სურბ გევორგი ოდითგან ქართული ეკლესია ყოფილა. რა მიზეზით გახდა სომხური გრიგორიანული ეკლესია გაუგებარია [10, 31]. ქართველთა სატახტო ქალაქში, მის ციხე სიმაგრესთან მიმდებარე ეკლესია, ბუნებრივია იქნებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და არა გრიგორიანული. თუ გავითვალისწინებთ „ტრადიციას“ სომეხთა მიერ ქართველთა ეკლესიების დაუფლების დაუცხოობელი ლოგოლებისა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველი ეკლესია იყო ქართული, რომლის რესტავრაცია მოახდინეს სომხებმა და აქციეს თავიანთ ტაძრად.

ძნელია თქმა როდის აშენდა თბილისში პირველი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, მაგრამ ფაქტი ერთია – ქართული და სომხური ეკლესიების დაშორების (608 წ.) შემდეგ ქართული დიოციზიტური ეკლესია გულმოწყვალე ვერ იქნებოდა სომეხი მონოფიზიტური ეკლესია გულმოწყვალე ვერ იქნებოდა სომხეთის დედაქალაქის მიმართ. ამგვარ ისტორიულ ფონზე ძნელი წარმოსადგენია სომხური ეკლესია ქართული ციხე-სიმაგრის ეზოში ან, მასთან მიმდევ-

ბარე ტერიტორიაზე აშენებულიყო. ბუნებრივია ეს იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია [10,32-33].

თანამედროვე შახატუნიანების, ტერ-აბრამიანების, ნახაპეტი-ანების, ერიცოვების, არწრუნების, ვერმიშევების, ბაბახანინების ანტიქართული მიმართულების პუბლიკაციები დღესაც გრძელდება.

სომებს ავტორს ლევონ ისახანიანს მიაჩნია, რომ „სომხური მოსახლეობა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოში საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ადეკვატურად პასუხობდა სხვადასხვა სახის გამოწვევებს“ (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) [24, 49].

იგივე ავტორი თვლის, რომ სომხური სამოციქულო ეკლესია ცალკე ეპარქიით არის წარმოადგენილი საქართველოში V საუკუნიდან. საუკუნების განმავლობაში სომხურ ეპარქიას საქართველოს ტერიტორიაზე აუშენება „600-ზე მეტი სასულიერო დაწიშნულების შენობა = ნაგებობა, კერძოდ კი ეკლესიები, სალოცავები, სასულიერო სასწავლებლები და სხვა“.

ისახანიანი ბუნებრივია წყაროებს არ ასახელებს. ამავე დროს უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ თურმე „საქართველოში აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფას რამდენიმე პრობლემა ახასიათებს, რომელთაგან კველაზე მნიშვნელოვანი არის რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობა და ზოგადი საკანონმდებლო ვაკუუმი ხსენებულ სფეროში“ [24, 49].

მაგრამ შატრონი ლევონის პრეტენზიები ამით არ მთავრდება. მას მოუგვარებლად მიაჩნია ზოგიერთი ტაძრის მდგომარეობა და მიკუთვნების საკითხი. სხვა მოთხოვნებთან ერთად, მისი აზრით, უნდა განისაზღვროს „საქართველოში სომხეთა სამოციქულო წმიდა ეკლესიის სათანადო სამართლებრივი სტატუსი“ [24, 50].

და ბოლოს, მინდა შევახსენო სომებს მეცნიერებს და საქართველოს სომხურ მოსახლეობას, 1996 წლის ივნისში სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის ოფიციალური ვიზიტის დროს, თბილისში, სომხურ დიასპორასთან შეხვედრისას წარმოთქმული სიტყვები: „რა სირთულეებსაც უნდა განიცდიდეთ, მოდით ვიყოთ გულახდილი: დამისახელეთ მსოფლიოში თუნდაც ერთი სახელმწიფო, იქნება ეს ამერიკას შეერთებული შტატები, სადაც მილიონი სომხები ცხოვრობს, საფრანგეთი, იქ მცხოვრები 400 ათასი სომხეთ, სირია, ირანი, ერაყი, ლიბანი, არგენტინა, ან თუნდაც რუსეთი. შუა აზია... დამისახელეთ საქართველოს მსგავსი სხვა ქვეყანა, სადაც სომხურ თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა, და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დე-

პუტატები. ასეთი ქვეყანა არ რსებობს... ჩვენმა ხალხებმა უნდა შეძლონ, რომ საკადრისი პასუხი გასცენ უპასუხისმგებლო ადამიანებს, რადგან ნებისმიერი სომები, რომელიც საქართველოს წინააღმდეგია, უნინარეს ყოვლისა, არის არა ქართველთა, არამედ სომებთა მტერი, და ანალოგიურად – სომხეთის მონინააღმდეგე ნებისმიერი ქართველი, უნინარეს ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის მტერია“ [25].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ი. ჯუკაშვილი, მრავალცოდიანობა და დროებითი ქორწინება, კრ. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, თბ., 2005.
2. რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პორტა, თბ., 1971.
3. ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მნერლობაში, თბ., 1959.
4. ჯ. ბაქრაძე, ორი წერილი მესხების შესახებ, თბ., 1995.
5. თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977.
6. მ. ნერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.
7. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.
8. შ. ლომასაძე, გვიანი შუასაუკუნეების ისტორიიდან, თბ., 1979.
9. შ. თეთვაძე, თ. თეთვაძე, სომხები საქართველოში, თბ., 1998.
10. ბ. არველაძე, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?! თბ., 1996.
11. ა. ბაქრაძე, და დამრჩა... სევდა წარუბაძველი, „კრიტიკა“, 1978, №1.
12. შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970, თბ., 1979.
13. გაზეთი „ივერია“, №159, 1885.
14. გაზეთი „ივერია“, 1895, 6 იანვარი.
15. მ. სამსონაძე, მგზებარე პატრიოტი, მეისტორიე და მოაზროვნე, ურნალი „ანალები“, 2001, №1.
16. ს. ვარდოსანიძე, კირიონ II, ოზურგეთი, 1993.
17. ვ. ვალიჩევი, კავკასია რუსული საქმე და ტომთაშორისი საკითხები, მთარგმნელი – რ. ჯალალანია, თბ., 2007.
18. თ. ოჩიაური, დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა, თბ., 1987.
19. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდეგში სუიცსა, ფ. 1547, ანან. 1, საქ. 37.
20. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, შემდეგში სპა, ფ. 14, ანან. 34, საქ. 438.
21. სუიცსა, ფ. 600, ანან. 16, საქ. 262.
22. სუიცსა, ფ. 1880, ანან. 3, საქ. 36.

23. ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1 თბ., 1968.
24. ლევონ ისახანიანი, სომხური ეპარქია საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, II საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 2005.
25. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 7 ივნისი.

Avtandil Songulashvili

Doctor of History, Professor Head of Department, of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

CLAIMS OF THE ARMENIAN CHURCH IN GEORGIA

Summary

The Armenians living in Georgia have been making attempts of appropriation of the Georgian churches within the centuries, for this they were using different ways. Armenian falsifier scientists of the last years Paruir Muradyan, Samvel Karapetyan, Levon Isakhanyan etc. think that there are over 600 Armenian churches in Georgia and that the Armenian eparchy has been existing since V century.

Their judgments are devoid of any kind of scientific values what is clearly proved by both the Georgian and Armenian written sources. Incorrect position of some Armenians was fairly assessed by former President of Armenia Ter-Petrosyan. The Armenians' tendentious publications reveal even more their falsehood and prejudice truth of their own past.

ელდარ ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ეგზარქოსობის პარიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები

(ზოგადი დახასიათება)

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა საეგზარქოსოსადმი დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლები. სწავლების მეთოდებით, მიზნებითა და ამოცანებით საქართველოში დაარსებული სასულიერო სასწავლებლები დიდად განსხვავდებოდა ანალოგიური ტიპის რუსეთში არსებული სასწავლებლებისაგან. რუსეთში მოქმედი სასულიერო სასწავლებლების მიზანი იყო ახალგაზრდების სულიერი განვითარება, საქართველოში დაარსებულ სასწავლებლებს კი გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. სასწავლებლების მეშვეობით, რუს მოხელეებს სურდათ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაცია და იმპერიის ერთგული ქვეშვრდომების აღზრდა. ასეთი დიდი დატვირთვის გამო ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სასულიერო სასწავლებლებს და ფინანსებს არ იშურებდნენ მათ გასაფაროთოებლად.

კერ კიდევ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე, საქართველოში უძველესი დროიდან ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა სკოლები, ხოლო XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეცე ერეკლე II-ისა და კათოლიკოს ანტონ I-ის ინიციატივით თელავსა და თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარიები. რუსული მმართველობის დამყარებისთანავე საქართველოში გაუქმდა სასულიერო განათლების სისტემა და დაიწყო რუსული ტიპის სასწავლებლების გახსნა [1, 37]. რუსეთში სასულიერო განათლებას განვითარების გარკვეული გზა ჰქონდა განვლილი, დასრულებული სახე მან 1814 წლის 30 აგვისტოს დებულებით მიიღო. ამ დებულებით სასულიერო განათლების სისტემა 4 საფეხურისაგან შედგებოდა: სასულიერო აკადემია, სასულიერო სემინარია, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები. აქედან სასულიერო აკადემიები მხოლოდ რუსეთის დიდ ქალაქებში – მოსკოვში, კიევში, პეტერბურგშა და ყაზანში არსებობდა [2, 162]. რუ-

სეთის ხელისუფლების მიერ სასულიერო განათლების სისტემაში განახორციელდა გარდა მართვის შედეგად საქართველოში დაარსდა სასულიერო სემინარია, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები. რუსეთის ყველა ეპარქიაში არსებობდა სასულიერო სემინარიები, საეგზარქოს და გენერალული 4 ეპარქიის სასულიერო კადრების მომზადებას XIX ს-ის 90-იან წლებამდე ემსახურებოდა თბილისის სასულიერო სემინარია, 1894 წელს კი ასეთი სემინარია გაიხსნა ქუთაისში, რომელმაც 1904 წლამდე იარსება [3, 16].

ჯერ კიდევ ავტოკეფალიის გაუქმებამდე, მთავარმართებელი ტორმასოვს სურდა თბილისში სემინარიის დაარსება, მაგრამ უსახსრობის მომზეზებით მიზანი ვერ შესრულდა [4, 20]. ჩვენი აზრით, ხელისუფლების მიერ უსახსრობის მომზეზება გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, რადგან მთავრობას, რა თქმა უნდა, არ აწყობდა – ავტოკეფალიის არსებობის პირობებში – თბილისში გახსნილიყო სემინარია, რომელიც კათოლიკოს ანტონ II კონტროლქვეშ იქნებოდა. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1817 წლის ოქტომბერში, ეგზარქოს თეოფილაქტეს დროს, თბილისში გაისნა რუსული სასულიერო სემინარია.

1830 წელს დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ ეგზარქოს თხოვნით მიმართა, ქუთაისში გახსნილიყო ანალიგიური სემინარია ან ლიტურგიკული კლასი. მიზეზად დასახელებული იყო ის ფაქტი, რომ სიღარიბისა და სიშორის გამო დასავლეთ საქართველოს მევიდრთ უჭირდათ თბილისში ცხოვრება. მართალია, ეგზარქოსმა ქუთაისში სემინარიის შესახებ სათანადო შუამდგომლობა აღძრა სინოდის ნინაშე, მაგრამ იმ დროისათვის ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა ეგზარქოსის მოთხოვნა კადრების ნაკლებობისა და სახსრების უქონლობის მომზეზებით [5, 182]. მოგვიანებით, 1894 წლის 19 ივნისში, გაბრიელ ეპისკოპოსის ძალისხმევით ქუთაისში გაიხსნა სემინარია. თბილისის სემინარიისაგან განსხვავებით, ქუთაისში სემინარიაში არ ასწავლიდნენ გერმანულს, ლათინურსა და ფრანგულ ენებს. თბილისის სემინარიის მსგავსად, აქაც იდევნებოდა ეართული ენა. გაბრიელ ეპისკოპოსის დაუინბული მოთხოვნით ქუთაისის სემინარიაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ქართული საეკლესიო გალობის სწავლებას [6, 124]. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სასულიერო სემინარიებში საერთოდ არ ისწავლებოდა ასევე ტიკა, ქრისტიანული ფილოსოფია, პატრისტიკა, მაშინ როცა ჩამოთვლილი საგნების სწავლებას რუსეთის შიგა გუბერნიების ეპარქიის სემინარიებში დიდი ადგილი ეთმობოდა.

ხელისუფლებამ გაუქმებული ქართული სასულიერო სკოლების ნაცვლად სამაზრო სასწავლებლები დაარსა თბილისში, თელავში, სიღნაღმი, დუშეთში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდში, სენაკში. სამაზრო სასწავლებლები იყო ერთობლივი, ორნლიანი

სისით. დაბალ განყოფილებაში ისწავლებოდა რუსული და სლავური გრამატიკა, საეკლესიო გალობა, ბერძნული და ლათინური ენები, მაგრამ განყოფილებაში კი – ვრცელი კატეხიზმო, საღვთო ისტორია, ციფრაფია და რუსეთის ისტორია [2, 162]. გარდა ზემოჩამოთვლით სასულიერო სასწავლებლებისა, XIX ს-ის 30 წლებიდან მთელი საკრთველოს მასშტაბით არსებობდა სამრევლო სკოლები. ასეთ კოლებს, ხშირად სასუტარი შემოსავლების ხარჯზე, ხსნიდნენ სამრევლოს მღვდლები. სამრევლო სკოლა ორკლასიანი იყო, სადაც სასავლება თრი წლის მანძილზე ხდებოდა. პირველ კლასში ასწავლიდნენ რუსულ და სლავურ კითხვას, სუფთა წერას, გალობას. მეორე კლასში – არითმეტიკას, რუსული ენის გრამატიკის სანცისებსა და მოკლე კატეხიზმოს [2, 162]. დაბალი სოციალური ფენისათვის განკუთვნილ უფასო სამრევლო სკოლები, პირველდაწყებითი განათლების მიღებასთან ერთად, მოსწავლებს განუმტკიცებდა რელიგიურ რწმენას. 1869 წელს სინოდმა არარუს მღვდლმთავართა ერილობაზე მიიღო გადაწვეტილება, რომ საეკლესიო-სამრევლო კოლათა რიცხვი გაფართოებულიყო [7, 31]. რუსეთის რეაციულ რეებს სურდათ სამრევლო სკოლები რუსიფიკაციის მიზნით გამოეწეონათ. აღნიშნული განზრახვა მათ სისრულეში ვერ მოიყვანეს. სამრევლო სკოლების პატრიოტულად განწყობილი მასწავლებლები და სასულიერო პირები ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ემსახურებოდნენ მოზარდ თაობაში ქრისტიანული რწმენისა და ეროვნული ცრძნობების განმტკიცებას, თითოეულ სასწავლებელთან არსებოდა მოსამზადებელი კლასები, რომელთა დამთავრების შემდეგ სწავლის აგრძელებდნენ სასულიერო სასწავლებლებში. სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა მისაღები გამოცდები ჩაებარებინა სასულიერო სემინარიაში. სასულიერო სემინარიაში სწავლის უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ სასულიერო პირთა შვილები. მათ გარდა, განათლებას იღებდნენ სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები. ქრელი იყო მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობაც. ქართველების გარდა, სემინარიაში სწავლობდნენ რუსები, ოსები, ასირიელები და სხვ. სემინარია ძირითადად ამზადებდა სასულიერო კადრებს საქართველოს საეგზარქოს სავაჭროსათვის. ნარჩინებული კურსდამთავრებულები სწავლის გასაგრძელებლად, სახელმწიფო ხარჯით იგზავნებოდნენ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ყაზანის სასულიერო აკადემიებში.

სასულიერო სასწავლებელთა ხელმძღვანელებად და მასწავლებლებად რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს რუსი მოხელეები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნის განხორციელებისათვის იზრუნებდნენ. სასულიერო სასწავლებლებში თავდაპირველად გარკვეული ყურადღება ექცევდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლას. მაისთვის, სასწავლებელში მიინვიეს

თალია, ხელოვნურად, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო ქართველთა სიმილირება.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთის ხელისუფლებამ აშკარად გამოხატა თავისი პოლიტიკა სასულიერო სასწავლებლების მიმართ. მთავრობის მიზანი იყო თვითმპყრობელობის ერთგულების დანერგვა-განმატკიცება და ქართველი ახალგაზრდობის გარუსება. ამ პოლიტიკის შესატყვისად შემუშავდა სასულიერო სასწავლებლების პროგრამები. გაძლიერებული კურსით ხდებოდა რუსული ენის სწავლება. ამავე ენაზე ასწავლიდნენ ძირითად საღვთისმეტყველო საგლება. სალავურ საეკლესიო გალობას, რუსეთის ეკლესისა და რუსენებს, სამოქალაქო ისტორიას, კლასიურ ენებს. რაც შეეხება მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლებას, რუსი მოხელეები მას XIX საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეულ ყურადღებას აქციებდნენ. უფრო მეტიც, რუსი პედაგოგებისათვის სავალდებულო აქციები უხდებოდათ მუშაობა. რუსი მოხელეები თითოეულ მათ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. სამსახურში ქართველი პედაგოგების უფლებები საგრძნობლად იყო შეზღუდული. რუსი პედაგოგები, როგორც გაბატონებული ერის ნარმომადგენლები, ქედმალობდნენ, ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ მათ. ამ ნიადაგზე ქართველ და რუს პედაგოგებს შორის შინაგანი დაძაბულობა მუდამ იგრძნობოდა [8, 113].

მძიმე იყო სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობა. მხოლოდ თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებობდა მოსწავლეთა პანსიონი, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი სემინარისტები ცხოვრობდნენ. დანარჩენ სასულიერო სასწავლებლებს ასეთი პანსიონი არ გააჩნდა. სემინარიასთან არსებული პანსიონი გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. სემინარიის კურსდამთავრებული რუსული პოლიტიკის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. აქედან გამომდინარე, კაკასიის რუსული ადმინისტრაციის სურვილი იყო, სასულიერო სასწავლებლის შეგირდები მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ყოფილი ყვნენ. პანსიონში მცხოვრები მოსწავლეები მოწყვეტილი იყვნენ მშობლიურ გარემოს. პანსიონის რუსი ხელმძღვანელები, მკაცრი შინაგანანესით, სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ კვლავ აგრძელებდნენ მათთან აღმზრდელობით მუშაობას. შინაგანანესით, სემინარიელებს ეკრძალებოდათ პანსიონიდან უნდართვოდ გასვლა. აკრძალული იყო, სასულიერო ლიტერატურის გარდა, სხვა ნანარმოებების კითხვა და სხვა.

სასულიერო სასწავლებელთა ხელმძღვანელობამ, მოსწავლეთა რუსიფიკაციის მიზნით, დაიწყო ქართული გვარების რუსულად გადაეკეთება. ამ ფაქტის მიზანშენონილობას იმით ხსნიდნენ, რომ თითქოს მათ უძნელდებოდათ ქართული გვარების ნარმოქმა. ასეთი ღონისძიებების გატარებით ისინი შორსმიმავალ მიზნებს ისახავდნენ. რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილი გვარების დაკანონებით, მარ-

ლოტიკის საწინააღმდეგოდ, იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა პროგრესული პედაგოგიური აზროვნების განვითარებას. 1865 წელს მან გამოსცა ქართული ანბანის სახელმძღვანელო „დედა-ენა“, ხოლო 1868 წელს – „ბუნების კარი“. აღნიშნული წიგნების გამოყენებით იგი, სასწავლებლის ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშე, ასწავლი და შეგირდებს.

1871 წლის 14 მაისს გამოიცა საიმპერატორო კარის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქართული ენა უქმდებოდა ყველა ტიპის სასწავლებელში. დიდაქტიკური მოსაზრებით, ქართული ენა მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე დატოვეს. მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ქართველი საზოგადოების დიდი აღმფოთება გამოიწვია. ქართულ პრესაში იმპერატორის დადგენილების საწინააღმდეგო არაერთი ჟუბლიკაცია გამოქვეყნდა, რამაც ხელისუფლება აიძულა, დროებით უკან დაეხია. რუსეთის სინოდმა, ქართველებისთვის თვალის ახვევის მიზნით, საიმპერატორო გადაწყვეტილება ოდნავ სახელმძღვანელო ფორმით ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვითაც სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება დაშვებულ იქნა, როგორც დამხმარე საშუალება რუსული ენის შესასწავლად, ქართული ენისა და ლიტერატურისათვის ცალკე საათები არ გამოყოფილა. იგი სხვა საგნებთან გააერთიანებს. დადგენილების შესაბამისად, სასულიერო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა რუსეთის ლიტერატურისა და ისტორიის კურსთან ერთად [10, 66]. შეზღუდვის მიუხედავად, ი. გოგებაშვილი და სხვა ქართველი პედაგოგები კვლავ ძველებურად აგრძელებდნენ მოღვანეობას. სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან მათზე მეცრი ზედამხედველობა იყო დაწესებული. 1873 წელს რუსეთის სინოდმა ი. გოგებაშვილისა და სხვა ქართველი პედაგოგების საქმიანობის შესასწავლად გამოგზავნა სპეციალური კომისია. ხელისუფლებისთვის ნარდგენილ მოხსენებაში კომისიის წევრები მოითხოვდნენ სასწავლებლებიდან ქართველი პედაგოგების დათხოვნას, რადგანაც ისინი ხელს უშლიდნენ რუსული პოლიტიკის გატარებას.

კომისიის მოხსენების საფუძველზე ი. გოგებაშვილი და სხვა ქართველი პედაგოგები გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში არასოდეს ჩამდგარა და მთელი თავისი მოღვანეობა პედაგოგიური მეცნიერების განვითარებას მოახმარა. ი. გოგებაშვილი სასულიერო განათლების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არა მარტო იმის გამო, რომ იგი „სპეტაკი ზნის“ ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, არამედ „ამდიდრებდა მოსწავლეთა გონებას მრავალმხრივი ცოდნით“ [11, 132].

დაქანონის დამტკიცების დაქათხვით, თავის

ი. გოგებაშვილის აზრით, თუკი რომელიმე ქვეყანაში წირვა-ლოცვა უცხო ენაზე ტარდება და საღმრთო რჯულიც ამავე ენაზე ისწავლება, მაშინ „იქ ყოვლად შეუძლებელია ლვითისმსახურება და სარწმუნოება არ გაცივდეს, არ დატკინეს, არ გათასირდეს. ამისთანა ქვეყნებში სამღვდელოება მექანიკურად, უსულგულოდ ასრულებს საეკლესიო წესებს... ლვითისმსახურება აბურად არის აგდებული, ეკლესიები და მონასტრები ცარიელი არიან და მთელი ერი უღმერთობის გზაზეა დაყენებული“ [12, 17]. ი. გოგებაშვილი ასეთი შეხედულებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართველი საზოგადოების გულისადებს გამოხატავდა.

ქართველი პედაგოგების გაძვევების შემდეგ სასულიერო სასწავლებლებში კიდევ უფრო გამეცრდა რეაქიმი. მოსწავლებს დასვენების დროსაც კი ეკრძალებოდათ ქართულ ენაზე საუბარი. სემინარიის ბიბლიოთეკიდან გატანილ იქნა პროგრესულად მოაზროვნე მწერალთა ნაწარმოებები. მოსწავლებს, სემინარიის ხელმძღვანელთა კატეგორიული მითითებით, აკრძალათ სასულიერო თხზულებათა გარდა საერო ნაწარმოებების კითხვა. მათ არ შეეძლოთ გასცნობოდნენ იმ დროს გამომავალ ქართულ გაზითებსაც კი. პანსიონში მცხოვრებ მონაცემებზე მეცრი მეთვალყურეობა დაწესდა. მოსწავლეთა შორის უნდობლობამ იჩინა თავი. ბეზობა-დასმენები ჩვეულებრივ ამბად იქცა. აკრძალული ლიტერატურის გაცნობის გამ სემინარიელებს რიცხავდნენ სასწავლებლებიდან. მეცრი რეაქიმში მყოფი სემინარიელები სულიერ საზრდოს სასწავლებლის გარეთ ეძებდნენ. ისინი არ შეუშინდნენ ადმინისტრაციის სიმკაცრეს და ფარულად დაარსეს საიდუმლო წრე, დაიწყეს ხელანერი უზრნალის გამოცემა. ცოდნის გაფართოების მიზნით, მოსწავლეები აკრძალული ლიტერატურას ეცნობოდნენ თბილისში არსებულ „ივანოვის ბიბლიოთეკაში“. ზოგიერთი სემინარიელი ხალხოსნურ მოძრაობაშიც ჩაება. უადარმერიის ჩარევის შედეგად დაიხურა სემინარიელთა წრე, მისი წევრები კი პასუხისმგებაში მისცეს.

XIX ს-ის 80-იანი წლებში საეგზავნერქოსომ იერიში მიიტანა სასულიერო სასწავლებლებზე, კერძოდ კი, სამრევლო სკოლებზე. მრავალრიცხვანი სამრევლო სკოლები, რომლებშიც მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლობდა ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა ხელისუფლების კონტროლს. ცარიზმი შეცდადა ეს სკოლები რუსიფიკაციის მიზნით გამოეყენებინა. ახლად დანიშნული კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. იანოვსკის 1881 წლის გადაწყვეტილებით, სასულიერო სასწავლებლების დაწყებით კლასებში აიკრძალა ქართული ენა. მისივე 1885 წლის განკარგულებით, ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე უნდა ნარმართულიყო. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეკრძალებოდათ მშობლიური ენის გამოყენება რუსული სიტყვების ასახსნელად. კ. იანოვ-

სკის სანინააღმდეგოდ, ქართულ პერიოდულ პრესაში რამდენიმე
მამხილებელი წერილი გამოქვეყნდა [13, 84]. კ. იანვოვსკიმ ქართველი
ხალხის ერთიანობის დაშლის მიზნით გადაწყვიტა, რომ სამეცნი-
ლოს სკოლებში რუსული ენის სწავლება მეგრული ენის მეშვეობის
მომხდარიყო, რასაც იმით „ამართლებდა“, რომ თითქოს, მეგრულების
ქართველები არ იყვნენ. მისივე აზრით, სვანებსაც არაფერი აკავში-
რებდათ ქართველებთან. ხელისუფლებას ასეთი პოლიტიკური ნაბი-
ჯით სურდა ქართველი ხალხის გათიშვა და ერთმანეთისადმი დაპი-
რისპირება. ამ საქმეში კ. იანვოვსკის დიდ დახმარებას უნდესდა ქუთა-
ისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ლევიცკი. მათ ამ
მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს და დაიწყეს
„ზრუნვა“ იმისათვის, რომ მეგრულებისა და სვანებისათვის საკუთხ-
რი დამნერლობა შეექმნათ და მათ ენებზე წიგნები გამოეცათ. ცნო-
ბილია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ამ მხრივ ჯერ კიდევ აღწე-
„იზრუნვა“ აფხაზებისათვის, როდესაც ბარტოლომეისა და პ. უსლე-
რის მეშვეობით აფხაზური ანბანი შექმნეს. მათ მიერ გამოვიზოლი
ასოების გამოყენებით ობილისში ჯერ კიდევ 1864 წელს ქრისტიანო-
ბის აღმდგენელი საზოგადოების შეკვეთით შედგენილი და გამოცე-
მულ იქნა სვანური ანბანის „ლუშნუ ანბანის“ სახელწოდებით. აღნიშ-
ნული ანბანის საფუძველზე სვანურ ენაზე შედგენილ იქნა სახელ-
მძღვანელო, რომლითაც სვანეთის სამრევლო სკოლებში სწავლა უნ-
და წარმართულიყო. სვანური ანბანის შექმნა და მის საფუძველზე იქ-
ნავლება მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, სვანების ქართველებისა-
გან ჩამოშორებას, მეორე მხრივ, მათ გარუსებას, რადგანაც განათ-
ლების დებულების მიხედვით, სვანური ენა მხოლოდ დაწყებით კლა-
სებში ისწავლებოდა, ზედა კლასებში კი სწავლება რუსულ ენაზე უნ-
და წარმართულიყო. ამავე პერიოდში სვანურად ითარგმნა და გამო-
იცა ლოცვათა ზოგიერთი კრებულიც, მაგრამ რეაქციული ძალების
ჩანაფიქრმა არ გაამართლა, სვანური „ლუშნუ ანბანი“ არ მიიღო
თვით სვანებისათვის გამოყენებამ [14, 347].

XIX ს-ის 80-იანი წლებში კ. იანოვსკი და ლევიცკი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მეგრელებისათვის რუსული ანბანის საფუძველზე შექმნილიყო მეგრული ანბანი. ამ მიზნით ისინი ჯერ კიდევ ანბანის შექმნამდე მასნავლებლებს ავალებდნენ, რომ მეგრული სიტყვები რუსული ანბანით ენერათ, მაგრამ, როგორც იმდროინდელი პრესიდან ჩანს, შეუძლებელი აღმოჩნდა მეგრული სიტყვების გადმოცემა რუსული ანბანით [13, 103]. კ. იანოვსკის მოთხოვნით, მეგრული ანბანის შესაქმნელად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიიდან საქართველოში საგანგებოდ 1886 წ. მოვლინებულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის თანამშრომელი ა. გრენი. მასვე დავალებული პქონდა, მეგრულ ენაზე შეედგინა პატარა წიგნები. ა. გრენს მეგრული ანბანის შექმნაში კონკურენტი გამოუჩნდა. ზუგდიდელი თა-

ეფოზ აშორდია, რომელიც ლევიცეკის გერი იყო, კარგა ხნის მანძილ-
ზე მუშაობდა მეგრული ანბანის შექმნაზე. მას უშუალოდ ლევიცეკი
მშენებლობდა. ხშირად პეტერბურგიდან მოვლინებული გრენის ნი-
შაბარველობდა. წინააღმდეგობის მიუხედავად ა. გრენმა
დაბეჭდა მეგრული ანბანი, მაგრამ მან სასურველ მიზანს ვერ მიაღ-
ნია. 1889 წელს თადა აშორდიამ „რუსული“ აღფაბეტის საფუძველ-
ზე მეგრული ანბანი შეთხზა. მანვე მეგრულად თარგმნა „მამა ჩვე-
ნი“ და სხვა ლოცვები, სასურველი შედეგი ვერც თ. აშორდიას „ნაღ-
ენმა“ გამოიღო. ქართველმა საზოგადოებამ და უპირატესად სამეგ-
რიოოს მოსახლეობამ იყი არ მიიღო [15, 264].

მოსწავლეთა გამოსვლით შეშინებულმა ეგზარქოსმა სასულიერო სემინარიაში სწავლა ერთი წლით შეწყვიტა, აქტივისტი სემინარიელები კი გარიცხეს [17, 48]. კავკასიის უანდარმერიის სამმართველო და საეგზარქოსო ფარულ მეთვალყურეობას ანარმოებდა სემინარიდან დათხოვილ სტუდენტებზე. სწავლის განახლების შემდეგ სემინარიელთა მდგომარეობა არ შეცვლილა. სასწავლებლის ადმინისტრაცია მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმის გამოყენებით ახერხებდა სასწავლო პროცესის ნარმართვას.

XX ს-დან საეგზარქოსო დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა გართულდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ამ სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა რეაქციონიროდეკანოზი ივ. ვოსტორგოვი, რომელმაც 1902 წელს შემუშავებული სასწავლო გეგმით მოითხოვა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის სწავლების ამოღება. ქართველი საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო აღნიშნული მოთხოვნა რეაქციულმა ძალებმა ვერ განახორციელეს [18, 209].

რევოლუციური მოძრაობის შიშით, 1904 წელს გაუქმდებულ იქნა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1905-1907 წლებში მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა სასულიერო სასწავლებლებში მიმდინარე პროცესებზე. XX ს-ის პირველ ათეულში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარა სასულიერო განათლების სისტემაში. 1916 წ. თბილისის სემინარის რექტორად დეკანოზ კორნელი კეკელიძის დანიშნით ერთგვარად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, მაგრამ ავტოკეფალიის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია მდიმე მდგომარეობაში ჩავარდა. უსახსროდ დარჩენილი სასწავლებელი 1918 წელს დაიხურა.

ჩვენ მიერ გადმოცემული ფაქტების ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში ცარიზმის მიერ დაარსებული სასულიერო სასწავლებლები რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე II-ის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ I, თბ., 1951.
2. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951.
3. ხელნაწერთა ეროვნული ფონდი, მ. კელენჯერიძის პირადი საარქივო ფონდი, 102.
4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ფ. 440, ანან. 1, საქმე 5.

5. ი. ბასილაძე, სასულიერო განათლება მე-19 საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, სადისერტაციო ნაშრომი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია ინახება თსუ ბიბლიოთეკაში, თბ., 1992.
6. ლ. გაბუნია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული XI, ქუთაისი, 1999.
7. მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, მეცნიერება, თბ., 1987.
8. ი. ბაქურაძე, თბილისის სასულიერო სემინარია, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, თბ., 1937.
9. E. Bubulashvili, A History of the Orthodox Church of Georgia 1811 to the Present, London, 2006.
10. ტ. ხუნდაძე, გაზიეთი „დროება“ და თბილისის სასულიერო სემინარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. II, თბ., 1953.
11. ი. გოგებაშვილი, თბზულებანი, ტ. II, თბ., 1954.
12. ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 1903.
13. ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939.
14. ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003.
15. გრ. გიორგაძე, სახოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, თბ., 1928.
16. ზ. ჩიქვილაძე, ტფილისის სასულიერო სემინარია გასული საუკუნის 80-იან წლებში, კრებული „რევოლუციის მაცნე“, 2-3, თბ., 1924.
17. გ. გაბუნია, „სემინარიელები ამბოხებულები არიან. საქართველო ფეხზე დგას“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 43-44, თბ., 1983.
18. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, თბ., 1993.

Doctor of Historical Sciences Chief Scientific Researcher, Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

RELIGIOUS SCHOOLS IN THE PERIOD OF EXARCHATE (General description)

Summary

After liquidation of self-government of the Georgian church, religious schools under subordination of exarchate were open for purposes of carrying out of the policy of Russia's czarism. Religious schools established in Georgia greatly differed from similar schools existing in Russia by methods, goals and purposes of teaching. Goals of religious schools existing in Russia were spiritual development of the youth, and religious schools opened in Georgia had certain political load. Through religious schools the Russian officials were trying to carry out population's russification and up-bringing of devoted servants for Empire. Because of such big load they paid significant attention to development and financing of religious schools.

In Georgia russification was supported by Russian theological seminary founded in Tbilisi in 1817 which was preparing religious staff for eparchies related to exarchate. The same type of seminary was open in Kutaisi in 1894 which was then closed in 1904. Besides the seminary, district and parochial schools were functioning as well.

Factual materials described in the work prove that activity of the Georgian teachers employed by religious schools were under strict control. Teaching of the Georgian literature and Georgian history was restricted and even persecuted.

Georgian public figures were actively fighting against czarism's russification policy; they were disclosing their anti-Georgian policy through the press.

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი,
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილე-
ბის უფროსი მეცნიერი

საქართველოს ისტორიის პროგლემატიკა პათოლიკოს-პატრიარქის პირიონ II-ის ნაზრევები

საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში სასულიერო წოდებამ უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული თვით-მყოფადობის შენარჩუნების, კულტურისა და ჰუმანიტარული მეც-ნიერების განვითარებაში.

ამ მხრივ, გამორჩეულია 1917 წელს ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქის კირი-ონ II-ის (გიორგი საძაგლიშვილის (1855-1918)) ღვანლი და ნაამაგა-რი. მისი უაღრესად საინტერესო მემკვიდრეობის შესწავლასა და ობიექტურ გაშუქებას დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს. მღვდელმთავრის თეორიული ნააზრევი თუ პრაქტიკული ნამუშავე-ვი ის საგულისხმო ფეხომენია, რომლის გაცნობა და გათვალისწინე-ბა სასიკეთოდ ნაადგება დღევანდელ ჰუმანიტარულ მეცნიერებას.

კირიონ II-მ მეტად საინტერესო საისტორიო მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც წმინდა სამეცნიერო ღირებულების გარდა, ეროვნული თვითშეგნების გაღვივების, კულტურული ტრადიციების აღდგენა-განმტკიცების, ისტორიის დღევანდელობასთან კავშირის ფუნქციასაც იძენს.

კირიონ (გიორგი) საძაგლიშვილის სამეცნიერო და საისტორიო ნააზრევის წარმოსაჩენად, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ არაერთ ნაშ-რომში, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მისი საისტორიო კვლევის მეთოდი [28, 47-55], არქეოგრაფიული მოღვაწეობა და წყაროთ-მცოდნეობითი შეხედულებები [30, 54-98]; უზრუნველყოფილ მღვდელმთავ-რის, როგორც თავისი დროის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მკვლევრის მოღვაწე-ობა [29, 306-331]. შევისწავლეთ მისი ძალისხმევა სიძველეთა მოძიე-ბის, დაცვის და კვლევის სფეროში, აგრეთვე საეკლესიო ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრებისა და მეთოდური დამუ-შავების საკითხში. თუმცა კირიონ II-ის, როგორც ისტორიკოსის, სრულყოფილი პორტრეტის ჩვენებისათვის აუცილებლად ვთვლით,

საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემების შესახებ მისი თვალსაზრისისა და კონცეფციების განხილვას.

საქართველოს ძევლი და შეუსაუკუნების ისტორიის პრობლემატიკას კირიონ II-ის საისტორიო შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ისინი ძირითადად საქართველოს ისტორიის პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს ასახავენ. ჩვენს მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანი სწორედ საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ კათოლიკოს-პატრიარქის ნააზრევის ჩვენებაა.

XIX ს-ის II ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა ეთნოგენეზის კვლევის საკითხი უფრო მეტად მიუახლოვდა მეცნიერულ დონეს. მეცნიერთა ნანილმა ქართველები დაუკავშირა ინდოევროპულ ხალხთა ოჯახს (სულხან ბარათაშვილი) [1, 74]. ამ თვალსაზრისს დაუპირისპირდა დავით ჩუბინაშვილ-ალექსანდრე ხახანაშვილის კონცეფცია, რომლის მიხედვით ქართველ ტომთა წარმოშობისა და განსახლების არეალად აზია-კაპადოკია-კოლხეთის ვრცელი ტერიტორია დასახელდა [1, 74]. დიმიტრი ბაქრაძემ კი, გაიზიარა რა მიგრაციის თეორია, ქართველი ტომების ეთნოგენეზი დაუკავშირა ძველადმოსავლურ ხალხებს და ქართველთა პრეისტორიაში თურანული ელემენტი დაინახა [1, 64-65].

კირიონ II აღნიშნულ საკითხში დიმიტრი ბაქრაძის სექმას ემხრობა, მაგრამ აღიარებს ქართველი ტომების ქალდეურ წარმოშობას [2, ფურც. 1-4]. კირიონ საძაგლიშვილი ეთნოგენეზის საკითხის კვლევისას ხაზს უსვამს ტოპონიმიურ მონაცემებს: „რომელიმე ერი გადასახლდება სხვა ქვეყანაში, ...ახალ საცხოვრებელ ადგილას იქმნება იგივე გეოგრაფიული ნომენკლატურა, რომელიც დამოკიდებულებაშია უწინდელ სახელებთან“ [2, ფურც. 3]. მეცნიერი ეთნოგენეტიკის საკითხების გარკვევისას უდიდეს როლს ანიჭებს არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის ანალიზს [2, ფურც. 2]. იგი გარკვეულ ენობრივ მსგავსებას ხედავს მეგრულ ენაში „ქართველის“ აღმიშვნელ სიტყვას – „ქართუსა“ და „ქალდუს“ ანუ ქალდეელს შორის; ასეთსავე კავშირს პოულობს სიტყვებში – „ქართლი“ და „ქალდი“ [2, ფურც. 3-4]. როგორც ცნობილია, ქართველთა ნათესაობა ქალდეელებთან არ დასტურდება. კირიონ საძაგლიშვილმა ქართველთა ნინაპრებად ქალდეელების აღიარების თავალსაზრისი ბოლომდე არ გაიზიარა და უფრო მოგვიანებით ერთ-ერთ სტატიაში ქართველურ ტომთა წინაპრად – ურურტულები დასახელდა [31, 6].

თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ უარყო მიგრაციის თეორია და ქართველ ტომთა აბორიგენობის თვალსაზრისი აღიარა. კირიონ II-ის კონცეფცია ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ XIX ს-ის II ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ტიპიურ დონეს ასახავს. ამ პერიოდში ყურადღებას იპყრობს აღნიშნული პრობლემის

შესწავლისას ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის, ტოპონიმიკის, არქეოლოგიური მონაცემების გამოყენების მცდელობა, მაგრამ მეთოდოლოგიური შეზღუდულობისა და ზედაპირული, გარეგნული იდენტიფიკაციის შედეგად გაკეთებული დასკვნები ჭეშმარიტებისაგან ჯერ კიდევ შორს დგას, ხოლო მეცნიერული ანალიზი არადამაჯერებელ ხასიათს ატარებს.

საინტერესო კირიონ II-ის შეხედულებანი ქართული ანბანის შესახებ. მისი საისტორიო თვალსაზრისი ქართული ანბანის უძველესი ნარმოშობის თეორიას იზიარებს. იგი მკაცრად აკრიტიკებს რუსი მეცნიერის ბოლოტოვის აზრს, რომელიც ამტკიცებდა ქართულ და სომხურ ანბანთა მსგავსებას და „მხედრული“ ანბანის შექმნას მესრობ მაშტოცს უკავშირებდა: „ვ. მიულერის შემდეგ ეჭვი აღარ უნდა იყოს, რომ მესრობს ვერ შეეძლო ქართული ანბანის შედგენა, რადგანაც ქართულ ანბანს სულ სხვა სისტემა აქვს მიღებული: არამეული და არა ბერძნული, როგორც სომხურ ანბანს“ [4, ფურც. 2]. მეცნიერის აზრით, ქართული ანბანის სრულყოფა მოხდა თანდათან, მისი განვითარება მოიცავს სხვადასხვა სტადიებს. კირიონ II-მ მხედველობაში მიიღო რა ქართული ანბანის სისრულე და სრულყოფილება, აღიარა მისი არსებობა ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში [4, ფურც. 2; 32, 312-315].

ქართული ანბანის წინაქრისტიანულ ხანაში არსებობის ჰიპოთეზას თანამედროვე ქართველ მკვლევართა ერთი ნანილი აქტიურად უჭერს მხარს; მეორე ნანილი მის ნარმოშობას საქართველოს გაქრისტიანებას უკავშირებს. თანამედროვე პირობებში ნეკრესის ნაქალაქარის გათხრებზე აღმოჩენილმა მასალამ გარკვეული სიახლე შეიტანა ქართული ანბანის წინაქრისტიანულ ხანაში არსებობის ჰიპოთეზის სასარგებლოდ: ნაპოვნი იქნა ქვის ფილები ქართული უძველესი წარწერებით. ეს წარწერები, რომელიც დღეისათვის ცნობილ ქართულ წარწერებს შორის ყველაზე ადრიცელია, მეცნიერებმა ას. წ. I-II საუკუნეებით დაათარიღეს და საქართველოს წინაქრისტიანულ ხანას მიაკუთვნეს [10, 20-24]. რაც შეეხება ქართული ანბანის აგებულებასა და სისტემას, დღევანდელ ისტორიოგრაფიაში არსებული ერთ-ერთი გავრცელებული თვალსაზრისი ამ ანბანის წყაროდ არამეულს ასახელებს [13, 235-236]. იგანე ჯავახისებილის პალეოგრაფიულმა ძიებებმა კი დაადასტურა, რომ ქართული ანბანის სამი ძირითადი სახეობა მისი განვითარების სტადიებს ასახავს და ამ ანბანის სრულყოფის ხანგრძლივ პროცესზე მიუთითებს [19, 184-185]. ამდენად, კირიონ საძაგლიშვილის შეხედულებები და თვალსაზრისი ქართული ანბანის წარმოშობა-განვითარების შესახებ ძირითადად ეხმიანება თანამედროვე საისტორიო აზრს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის პიროვნება მუდამ უდიდეს ყურადღებას იქცევდა. XIX ს-ის II ნახევარში საისტო-

რიო აზროვნებამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა დავით აღმაშენებელის მმართვლოების მნიუყობრი კურსი, ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული წარმატებები, სხვა სარწმუნოების ხალხებთან ჰარმონიული თანაცხოვრების პოლიტიკა – ერთგვარ იდელადაც წარმოადგინეს [11, 120-124].

კირიონ საძაგლიშვილმა დავით აღმაშენებელს სპეციალური წარმომი უძლენა. მან განსაკუთრებულად გამოყო ქართველი მეფის დამასახურება ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისა და მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეში; აგრეთვე, წარმოაჩინა კავკასიელი ხალხებისათვის დავით IV-ის პოლიტიკის განმათავისუფლებელი მისია, სხვა კონფესიებთან მიმართებაში ტოლერანტული სარწმუნოებრივი პოლიტიკის მნიშვნელობა მთელი კავკასიისათვის [12, 5-14].

კირიონ II-მ თავისი აზრი დავით აღმაშენებლის კულტურულ-საგანმანათლებლო როლზე საუკეთესოდ გამოხატა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში: „მან აღადგინა ეკონომიკურად საქართველო, გააძლიერა და დანერგა კულტურაც. განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, იგი მფარველობას უზევდა მეცნიერებას. აავსო მეცნიერი ხალხით თავისი სასახლე, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიას და მან პირველმა ქართველ გვირგვინოსნებს შორის ჩაჰყარა მევიდრი საძირკველი აკადემიისა იყალთოს მონასტერში“ [24, 47].

ცნობილია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით IV-ის ტოლერანტული სარწმუნოებრივი პოლიტიკის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების შეფასება და აქცენტირება, სწორედ, XIX ს-ის II ნახევარში იწყება. მასზე თავისი თვალსაზრისი დიმიტრი ბაქრაძემ და ილია ჭავჭავაძემ გამოხატეს. ეს საკითხი კირიონ საძაგლიშვილის საისტორიო შეხედულებებშიც აისახა. ქართული ისტორიოგრაფია დღესაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ამ ნიუანსს, რომლითაც საქართველოს კავკასიელი ხალხების მფარველობისა და კონსოლიდაციის მისია მიენიჭა [14, 249-253]. დღესაც, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში დავით აღმაშენებლის საშინაო, საგარეო, აგრეთვე, მოქნილი ეროვნებათაშორისი პოლიტიკა, მისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საუკუნეების გადასახედიდან მრავალ საინტერესო და საგულისხმო მაგალითს იძლევა.

თამარ მეფეს ეძღვნება გიორგი (კირიონ) საძაგლიშვილის წერილი „თამარ დიდი და მისი სახელწოდება“. ეს არის პასუხი დეკანოზ გიორგი ხელიდის სტატიაზე, რომელშიც ამ უკანასკნელმა თამარ მეფის წმინდანობის კანონიკური ჭეშმარიტება საეჭვოდ მიიჩნია [33, 6-10]. აღნიშნულ წერილს თავდაპირველად ალექსანდრე ხახაშვილი გამოეხმაურა. მან განმარტა საქართველოში საეკლესიო

კანონიკის მიხედვით დადგენილი წმინდანთა შერაცხვების წესი და წარმოაჩინა გიორგი ხელიდის თვალსაზრისის უსაფუძვლობა [16, 3]. გიორგი საძაგლიშვილის მიერ გამოქვეყნებულმა ზემოთდასახელებულმა პუბლიკაციამ ალექსანდრე ხახანაშვილის არგუმენტებს მეტი სისრულე და დამაჯერებლობა შესძინა [17, 1-2].

გიორგი (კირიონ) საძაგლიშვილი მოუხმობს XII ს-ის დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს, რომლებშიც თამარისავე თანამედროვენი დედოფალს „ლვთისა სწორად“ მოიხსენიებენ. „თვალი გადავავლოთ ჩვენს ჯერეთ შეუსწავლელ და გამოუქვეყნებელ მწერლობას, ცხადად დავინახავთ, რომ თამარ ბრწყინვალე ჩვენთა წინაპართა სიცოცხლეშივე ცნეს წმინდანად“ [17, 2], – აღნიშნავს მეცნიერი. თამარის წმინდანობაზე, კირიონის აზრით, მეტყველებს ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიცია, აგრეთვე, ტაძრებში თუ ეკლესიებში შარავანდით გამოხატული მისი ფრესკები; ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში თამარის სახელზე სამლოცველოებისა და საგანგებო დღესასწაულების არსებობა და ა.შ. გიორგი (კირიონ) საძაგლიშვილი ეხება, აგრეთვე, თამარ მეფის დასაფლავების ადგილს: იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ თვალსაზრისს და საქართველოს ეკლესიის გარდამოცემას მისი გელათში დაერძალვის შესახებ. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია და სამომავლო კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს.

კირიონ ეპრისკოპოსის მეტად საყურადღებო ნაშრომია „Двенадцативековая религиозная борьба Грузии с исламом“ [34, 12-13]. მასში საქართველოს ისტორიის უდიდესი მონაცემი, შუასაუკუნეების ისტორიული წარსული დანახულია მართლმადლიდებლური საქართველოს ისლამურ სამყაროსთან ბრძოლის ფონზე; ხაზგასმულია ამ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთფიდილის სარწმუნოებრივი ხასიათი; ნაჩვენებია საქართველოს მიერ თვითგადარჩენისათვის გაკეთებული ისტორიული არჩევანი – ევროპის სახელმწიფოებისაგან დახმარების უმედო ძიებისა და მართლმადიდებლურ რუსეთზე ორიენტაციის გზა.

XIX ს-ის II ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შეხედულებებს ფეოდალური საქართველოს ერთიანობისა თუ დაშლა დაქცემაცების შესახებ (სულხან ბარათაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვა.) ამ პერიოდის საისტორიო აზროვნებამ ვერ მოახერხა საქართველოს პოლიტიკური დაქცემაცების გამომნევევი მიზეზების მეცნიერული ახსნა, მაგრამ მართებულად მიუთითა მის პოლიტიკურ შედეგებზე. კირიონ ეპისკოპოსის საისტორიო შეხედულებებშიც ქვეყნის გაერთიანებისა თუ დაშლის პრობლემის სწორედ ეს კუთხეა ხაზგასმული.

გარეშე მტერთან ბრძოლაში საქართველოს პოლიტიკური წარმატებებისა თუ წარუმატებლობის განმათლვრელ ფაქტორს მეცნი-

ერთობლივ ერთიანობის პრობლემაში ხედავს. „ქართველები არაბებს გაუზევდნენ ძლიერ ნინააღმდეგობას, სომხების მსგავსად, რომ არ განანილებულიყვნენ ორ ნაწილად..., რის შედეგადაც საქართველოს სამეფოს აღმოსავლეთ პროვინციები სარაცინების ხელში გადავიდა, დასავლეთისა კი ბიზანტიის“ [34, 13], – აღნიშნავს მეცნიერი. ქვეყნის გაერთიანების ფაქტორით ხსნის კირიონ ეპისკოპოსი უცხოელ დამპყრობელთა – არაბთა, თურქ-სელჩუკთა, თათარ-მონლოლთა – ულლის გადაგდებას, ირანისა და ოსმალეთის მოგერიებას, ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ნარმატებებს. მკვლევარმა დაინახა ის კანონზომიერება, რომ ცენტრალიზებული ხელისუფლების შესუსტება მყისვე ქვეყნის დაცემასა და განადგურებას ინვეზდა. ცენტრალიზაცია და ერთიანობა, მისი აზრით, ის ფაქტორები იყო, „რის გარეშეც ერი ანარქიული ყოფისაგან გამოსავლის პოვნას ვერ შესძლებს“ [34, 34]. მკვლევარი ინტუიციურად გრძნობს, რომ ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების მიზეზი არ ამოიწურება პოლიტიკური ფაქტორით, მას გაცილებით ღრმა შინაარსი აქვს. კირიონ საძაგლიშვილი ვერ ხსნის ბოლომდე ამ მოვლენას, თუმცა მიუთითებს, რომ: „საგარეო უსაფრთხოების ხარისხი ამ პროცესების (დაშლა-დაქუცმაცების) განვითარებისათვის არ იყო საკმარისი აუცილებლობა“ [34, 34]. XIII-XV ს-ებში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგს ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს ყოველმხრივ დაცემასა და დაქვეითებაში ხედავს.

ფეოდალური საქართველოს დაშლის გამომწვევი მიზეზების მეცნიერულად დასაბუთება მხოლოდ უახლესი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში მოხერხდა და ეს პროცესი სოციალურ-ეკონომიკური, საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მოვლენათა კომპლექსური განხილვის ფონზე შეფასდა [18, 55-70, 75-87].

კირიონ II-ის მიერ ფეოდალური საქართველოს დაშლის მიზეზები მეცნიერულად ვერ აიხსნა, მაგრამ მღვდელმთავრის თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ არსებითად დაუკავშირდა მის ეროვნულ შეხედულებებს. კირიონ საძაგლიშვილი, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობაში ეროვნულ ძალთა ერთიანობისა და კონსოლიდაციის იდეის მომხრე, შეეცად განემარტა ერის მთლიანობის დაკარგვის, დაშლა-დაქუცმაცების სავალალო შედეგები, წარსულში მოეძებნა ისტორიის გაკვეთილები.

კირიონ ეპისკოპოსი უდიდეს როლს ანიჭებს XIII-XV ს-ებში შექმნილ საგარეო-საერთაშორისო ვითარებას, როდესაც მონძოლთა მიერ რუსეთის, ბიზანტიის იმპერიის, დუნაის მართლმადიდებლურ სახელმწიფოთა დაპყრობის შემდეგ, საქართველო, როგორც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ქვეყანა, მარტოდ-მარტო აღმოჩნდა ისლამური სამყაროს ოკეანეში. მეცნიერი მიუთითებს შექმნილი მდგომარეობიდან თავდასაღწევად ქართულ საზოგადოებაში წარმოშობილ

განსხვავებულ ტენდენციებზე: ერთნი ხსნას-კათოლიკური უნიის მიღებასა და საქართველოთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დაინტერესებაში აღიარებდნენ, მეორენი-ირანის ან თურქეთის პროტექტორატის აუცილებლობაში, ხოლო მესამენი-მართლმადიდებლური რუსეთის მფარველობაში ხედავდნენ [35, 2-3].

კირიონ ეპისკოპოსი ისტორიული პროცესის ლოგიკურ განვითარებად მიიჩნევს, ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში დაბადებულ საქართველოს ისტორიულ აზრებანს – მის პოლიტიკურ ორიენტაციას რუსეთისაკენ [34, 81-83]. ერთმორნმუნებობა, მეცნიერის აზრით, ის იდეოლოგიური საფუძველი იყო, რომელმაც გამოუვალ პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველო რუსეთთან ურთიერთობის გზაზე გაიყვანა [34, 113; 37, 4-26].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ერთმორნმუნებობის ფაქტორს შემდგომში ივ. ჯავახიშვილიც შეხს. მან უჩვენა, რომ სარწმუნოებრივ მოტივს რუსეთის ხელისუფალნი და დიპლომატიური სამსახურები ყოველთვის თავისი პოლიტიკური მიზნების სასარგებლდ იყენებდნენ. მისი მფარველობის მომედე საქართველო კითამაშში ყოველთვის წაგებული რჩებოდა [20, 49-57].

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხს კირიონ II-ის შემოქმედებაში არც თუ მცირე ადგილი უჭირავს. პირველი კონტაქტების სათავეს მღვდელმთავარი ღრმა წარსულში ხედავს. ეს კავშირები განსაკუთრებული ინტენსიურობით XVI ს-ის II წახევრიდან გამოირჩევა, ხოლო XVII-XVIII ს-ებში აქტიურდება საქართველოში შექმნილი უმატმესი ვითარების, აგრეთვე, ამ რეგიონში რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გაძლიერების შედეგად. აღსანიშნავია, რომ კირიონ საძაგლიშვილი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს იმ დროს შეხს, როდესაც მყაცრი ცენზურა არ იძლეოდა საშუალებას ისტორიული სიმართლე სრული სიცხადით თქმულიყო. თუმცა მყვლევრის ნამდვილი თვალსაზრისი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის მართების, ამ ორი სახელმწიფოს შეერთების შესახებ სტრიქონებს შორის, სათქმელის საერთო კონტექსტში, ზოგჯერ ცხადად, ზოგჯერ ფარულად მაინც იკითხება.

ცხადად არის გამოხატული კირიონის თვალსაზრისი იმაზე, რომ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი ცარისტული ხელისუფლების მხრივ ძირითადად რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით განისაზღვრებოდა. მეცნიერი შეეცადა ხაზი გაესვა და ეჩვენებინა, რომ რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ჩვეულებრივ მიმართავდა რელიგიის, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობას, ინსტრუმენტად გამოყენების ფაქტორს. რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველი-დან მოყოლებული, ეს ფაქტორი საქართველოს მიმართ არაერთხელ

ამოქმედებულა [21, 116-127]. კირიონ ეპისკოპოსი რუსეთის მხრივ საქართველოს მიმართ რეალურ დაინტერესებას შეოღუდ XVIII-ს-ის II ნახევრიდან ხედავს. მაშინ, როდესაც რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში განსაკუთრებული აქტუალობით დაისვა აღმოსავლეთის საკითხი და იმპერატორმა ეკატერინე II-მ ისლამური სახელმწიფოების შემოტევისაგან გათავისუფლების მოტივით ანტიოსმალური კამპანია წამოინყო (1768-1774). იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ ამ „განმათავისუფლებელ“ მისიაში წინა პლაზე წამონია რელიგიური მომენტი და ქრისტიანული აღმსარებლობის ხალხებს, მათ შორის ქართველებს, მოუწოდა ჩაბმულიყნენ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ფაქტებისა და შეფასებების გადმოცემისას, ნათლად იკვეთება კირიონ საძაგლიშვილის თვალსაზრისი: რუსეთის პოლიტიკურ თვალსაწინერში საქართველოს მოხვედრო განაპირობა არა ამ პატარა ქრისტიანული ქვეყნის ისლამური გარემოცვისაგან დახსნის სურვილმა, არამედ იმპერიის საგარეო პოლიტიკურ სცენარში და დაგეგმილ კურსში საქართველოსათვის განსაზღვრული მისიისა და როლის მინიჭებამ. მეცნიერი აქვე მიუთითებს საქართველოსათვის XVIII ს-ის II ნახევრის ანტიოსმალური ექსპედიციის დადებით შედეგებზეც. 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის ზავის თანახმად, ხარკისა და გადასახადებისაგან საქართველოს გათავისუფლებას, ოსმალეთისათვის ქართველი ტყვევებით ვაჭრობის აკრძალვას კირიონ საძაგლიშვილი ქართული-რუსული ურთიერთობების პირველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ წარმატებად თვლის [37, 19].

საისტორიო აზრი მუდამ დიდ ინტერესს იჩინდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მიმართ. სამეცნირო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ამ ხელშეკრულების ხასიათისა და იურიდიული ბუნების შესახებ. მკვლევართა ნანილს (ს. ხელთუფლიშვილი, ხ. კორნუუკოვი, ნ. ბოლდე, ვ. ვეშაპელი) იგი მიაჩინდა საქართველოში რუსეთის „პროტექტორატის“ დამყარებად. ზურაბ ავალიშვილი ხაზს უსვამდა „ტრაქტატის“ წინააღმდეგობრიობას და მას განიხილავდა, როგორც „პროტექტორატისაც და ვასალიტესაც“. სხვადასხვა ავტორები მას „პროტექტორატ-სიუზერნიტეტის“, აგრეთვე „პროტექტორატს ვასალიტეტის ფორმით“ უწოდებნ [15, 691-693]. ივანე ჯავახიშვილი ამ ხელშეკრულებას „მფარველობითი მოკავშირობის“ ტრაქტატად მიიჩნევს [20, 31-32]. ამით ხაზს უსვამს ტრაქტატის ძალით ორი სახელმწიფოს უფლებრივი დამოკიდებულების თანასწორობას. დღევანდელი ისტორიოგრაფიაც ძირითადად ამ აზრს ემხრობა.

ეპისკოპოსი კირიონი გეორგიევსკის ტრაქტატს, საქართველოს მიერ რუსეთის „პროტექტორატის“ აღიარებად თვლის. მას აფასებს, როგორც საქართველოს მხრივ საგარეო უსაფრთხოების გარანტიების მოპოვების პოლიტიკურ აქტს. მეცნიერი ხაზს უსვამს,

ამ ხელშეკრულების ძალით, საქართველოში არსებული სამეფო დინასტიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, აგრეთვე, საქართველოს საშინაო მართვა-გამგეობაში ჩაურჩევლობის უფლების შენარჩუნებას [37, 20]. კირიონ საძაგლიშვილი აღიარებს საქართველოსათვის გეორგიევსკის ხელშეკრულების უარყოფით შედეგებს, რასაც მოჰყვა აღა-მაჲმად ხანის დამსჯელი ლაშქრობა, რომელმაც საბოლოოდ დაამხო საქართველოს სასიცოცხლო ძალები [37, 20-21; 35, 9].

საქართველოს უმძიმესი საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება, კირიონის აზრით, ლოგიკურად უბიძგებდა, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის მომავალ ხელისუფალს – გიორგი XII, რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთმიმართების გზები მოეძია [37, 22]. 1901 წლს დაწერილ წერილში კირიონ საძაგლიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებას, აღბათ „ცენტურის“ გამო, ნებაყოფლობით აქტს უწოდებს. ეპისკოპოსი კირიონი რუსეთ-საქართველოს შეერთებას „პოლიტიკურ-რელიგიურ აქტს“ უწოდებს, ამით ხაზს უსვამს იმ იდეოლოგიურ სარწმუნოებრივ საფუძველს, რაც ამ აქტში უდავოდ არსებობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მკვლევრის პროტესტი თავსმოხვეული გაერთიანების გამო, მის სამეცნიერო შემოქმედებაში აშეარად იგრძნობა. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გიორგი XII-მ ხელი მოაწერა რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტს (1800 წ. 22 დეკემბერი). შეერთების ხელშეკრულების პირობების დამტკიცება თავისი ხელმოწერით საქართველოს ხელისუფალმა, გარდაცვალების გამო, ვერ მოასწრო. ამგვარად, 1801 წლის 16 თებერვალს საქართველოს რუსეთთან გაერთიანება მხოლოდ მანიფესტის ძალით გამოცხადდა [37, 23]. ბუნებრივია, ორი სახელმწიფოს ურთიერთმიმართების ამ უმნიშვნელოვანესი აქტის განსახორციელებლად ეს დოკუმენტი არასაკმარისი იყო. ამ საკითხის წინ ნამოწვევით მღვდელმთავარს სურდა საზოგადოებისათვის ერვენებინა, რომ აღნიშნული პოლიტიკური აქტი საერთაშორისო ნორმებისა და საჭირო დიპლომატიური პროცედურების დარღვევით განხორციელდა. რუსული მხარე საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფლობითი შეერთების“ ამსახველ და დამადასტუცებელ საერთაშორისო დიპლომატიის აღიარებული ნორმებით გაფორმებულ საჭირო იურიდიულ-პოლიტიკურ დოკუმენტს არ ფლობდა [37, 25].

ივანე ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა უარყო საქართველო-რუსეთის შეერთების აქტის ნაბაყოფლობითობა და აღიარა მისი ანექსიური ხასიათი [20, 57-64]. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიაც ამ თვალსაზრისის აქტიური მხარდამჭერია [15, 802-824; 22, 8].

საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობის ანალიზი მუდამ აქტუალური იყო ქართული საზოგადოების სხვადასხვა თაო-

ბებისათვის. მღვდელმთავარი გამოყოფს ამ მოვლენის შემდეგ პოზიტურ მხარეებს: საქართველოს მიეცა პოლიტიკური სიმშვიდის პირობებში ცხოვრების შესაძლებლობა, რამაც განაპირობა წინსვლა კულტურული პროგრესისაკენ [37, 26]. რუსული ძალის ჩარევით საქართველოს დაუბრუნდა ძირძველი მიწები, სამცხე-ჯავახეთი [5, ფურც. 3].

კირიონ საძაგლიშვილი რუსეთ-საქართველოს შეერთების უარყოფით შედეგად მიიჩნევდა ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, ქართული ენის შევიწროებას, ერის სულიერ და ზნეობრივ დაკინებას და სხვა. ცარიშმის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლამ ის ეროვნულ მოღვაწედ აცია. კირიონ II-ის პოზიცია რუსული კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მუდამ მებრძოლი იყო და ემსახურებოდა ქართველი ხალხის შელახული უფლებების დაცვისა და აღდგენის საქმეს.

კირიონ II-ის საისტორიო შეხედულებებში საინტერესოა რუსეთ-საქართველოს კულტურულ-რელიგიური ურთიერთმიმართების კონცეფცია, რომელიც გადმოცემულია მის ნაშრომში – „Культурная роль Иверии в истории Руси“. მღვდელმთავრის თვალსაზრისით, მდიდარი მართლმადიდებლური ტრადიცების მქონე საქართველოს ეკლესიას მნიშვნელოვანი კულტურული ზეგავლენა უნდა მოეხდინა ახლადგაქრისტიანულ რუსეთზე: „ქართული ეკლესია ქრისტიანულ სამყაროში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სლავი ხალხი მოიკცეოდა“ [32, 7]. მისი ავტორიტეტი განსაკუთრებით ამაღლდა VIII-IX საუკუნეებში ბიზანტიაში გაჩაღებული ხატმებრძოლების დროს, ხოლო IX-XII ს-ები ქართული ეკლესიის ისტორიაში ითვლება ოქროს ხანად. ამ ეკლესიის ძლიერებაზე კირიონ ეპისკოპოსის აზრით, მიუთითებს VIII ს-ში საქართველოს ეკლესიის მიერ (მცხეთაში), გუთების საეპისკოპოსო კათედრის ეპისკოპოსის, იოანეს კურთხევის და ხელდასხმის ფაქტი, რაც „... საეკლესიო იურიდიულ ენაზე ნიშნავდა, რომ გუთების ეპისკოპოსმა იოანემ თავისი თავი და ეპარქია ცნო მცხეთის კათალიკოსთან გარკვეულ დამოკიდებულებაში“ [32, 5].

საქართველოს რელიგიური და კულტურული გავლენა რუსეთზე მეცნიერის აზრით, ერთ მხრივ ვრცელდებოდა შავიზღვისპირეთის მიწებიდან, მეორე მხრივ კულტობრივი ქართული სავანეებიდან. განსაკუთრებით კი, ათონის ივერთა და პეტრიწონის მონასტრებიდან [32, 8].

კირიონ II-ის შეხედულება XI ს-ში რუსულ კულტურაზე ათონის ივერთა მონასტრის საგანმანათლებლო-რელიგიური გავლენის შესახებ, გააკრიტიკა და მცდარად მიიჩნია ისტორიკოსმა იასე ცინცაძემ [25, 45-46]. ამ უკანასკნელის აზრის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ XI-XII ს-ებში საქართველომ თითქმის მთლიანად აითვისა

ბერძნულ-ქრისტიანული სიბრძნე და კულტურული განვითარებით ბიზანტიის ღირსეულად გაუსწორა თვალი. ამდენად, უცხოეთში, წმინდა მიწებზე მდებარე ქართული სავანეების კულტურული გავლენები ახლადგაქრისტიანებულ ხალხებზე სრულიადაც არ იყო გასაკირი.

საქართველოს კულტურულ გავლენას რუსულ სამთავროებზე არ უარყოფს თანამედროვე საისტორიო აზრი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ აღნიშნულია, რომ XI-XIII ს-ის „ქართული ხელოვნების კეთილი ზემოქმედება ვრცელდებოდა ძველ რუსეთის სამთავროებზეც“ [13, 496]. იოანე გუთების ივერიაში ეპისკოპოსად ხელდასხმის ფაქტს და საქართველო-რუსეთს შორის კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების წარმოებას შავი ზღვის სანაპიროს გზით, არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ [23, 178-184].

გავრცელებულ თვალსაზრისს, XV საუკუნეში ერნსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ქრისტიანული აღმოსავლეთის რელიგიურ-კულტურულ ცენტრად მოსკოვის აღიარებას, კირიონ საძაგლიშვილი რუსი ისტორიკოსების პატრიოტულ გაზვიადებად მიიჩნევს. მღვდელმთავრის თვალსაზრისით, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლობის დაცვის ფუნქცია რეალურად საქართველომ შეასრულა [32, 77]. მუსლიმანურ გარემოცვაში მარტოდ დარჩენილმა სასიცოცხლო ენერგია შეაღია ისლამურ სახელმწიფოებთან ბრძოლას. აღმოსავლეთ ევროპისთვის საქართველომ ერთგვარი ბუფერის როლი შეასრულა. კირიონის აზრით, რუსეთის შემდგომი პოლიტიკური წარმატებები გარკვეულიად განპირობა ქრისტიანული აღმოსავლეთის, მათ შორის საქართველოს, პოლიტიკურმა უპედესებამ [32, 82].

საქართველო-რუსეთის კულტურული ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ყურადღებას ისყრობს, კირიონ ეპისკოპოსის მიერ სხვადასხვა პრობლემური საკითხის თავისებური გაზრება და დასაბუთება, მაგ.: რუსული მატიანის „გარდასულ დღეთა ამბავის“ პირველწყაროდ „ქართლის ცხოვრების“ აღიარება, რუსული მონაზვნობის ფუძემდებლის წმ. ანტონ პეჩორელის ბერად კურთხევა ათონის ივერთა მონასტრებში, ქართული ანბანის გარკვეულინილადი გავლენის შესახებ რუსულ ანბანზე, ქართული სიმღერის პოლიფონიურობის გავლენა სლავური საეკლესიო სიმღერის სამხმოვანებაზე, ქართული ხატნერის გავლენა რუსულზე, აგრეთვე ქართული საკანონმდებლო წყაროების ასახვა რუსულ კანონმდებლობაში, ქართული და რუსულ ლექსიკონში შესული სიტყვები და სხვა. საქართველოში რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში ამ პრობლემების წინ წამონება, ქართული კულტურის გავლენის ჩვენება რუსულ კულტურაზე, მღვდელმთავრის სამეცნიერო შეხედულებებისა და ძიებების მეტად გაბედული სიტყვა იყო [32, 83-117]. თუმცა უნდა აღინიშნოს,

რომ კირიონ საძაგლიშვილის შეხედულებანი ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მომავალში საგანგებო სამეცნიერო შეფასებასა თუ სათანადო კრიტიკას მოითხოვს.

ერთი რამ კი ცხადია, რომ ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთმიმართების კირიონისეული გააზრება წმინდა საისტორიო და სამეცნიერო მნიშვნელობის გარდა ემსახურება ქართული ეროვნული ცნობიერების, ლირსების, შელახული სიამაყის ალდეგენის იდეას. პროფესორი რევაზ ბარამიძე კირიონ ეპისკოპოსის შემოქმედების ამ მხარეს ამგვარად აფასებს: „... დამარწმუნებლადად გამოკვეთილი და არგუმენტირებული თემა, რომ მცირერიცხოვან ერს შეუძლია დიდი და არსებითი წვლილი შეიტანოს მრავალრიცხოვანი ერის კულტურაში, რომ ქართული კულტურა შთამბეჭდავად სცილდება ეროვნულ ზღურბლს და ანგარიშგასანევი წვლილი შეაქვს დიდი ერის კულტურულ ცხოვრებაში ... ეს მეცნიერულად და პოლიტიკურად შორსგამიზნული და მრავლისმეტყველი დებულებაა, რომელიც ერის თვითმყოფადი კულტურის აღიარების იდეას ამკვიდრებს“ [26, 12-13].

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ კირიონ II-ის სამეცნიერო შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც რუსეთის ისტორიას შეეხება. რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოდან რუსეთში მისი მიზანმიმართულად გადაყანის შემდეგ, მოღვაწეობის 15 წელი მღვდელმთავარმა პერიფერიულ ქალაქებსა თუ მონასტრებში დაჰკყო, სადაც არ გააჩნდა სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის შესაფერისი პირობები. მიუხედავად ამისა მას სამეცნიერო მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. რუსეთში მოღვაწეობისას შესრულებული კირიონის ნაშრომები სხვადასხვა საეპარქიო გამოცემებსა და გამომცემლობებია გამოქვეყნებული [38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47].

ამ სტატიებიდან და წიგნებიდან ჩანს, რომ რუსულ-ისტორიოგრაფიაში კირიონ ეპისკოპოსი სხვადასხვა თემატიკასა და პრობლემატიკას შეხებია. მის აზრს პატივისცემით ეპყრობოდა არაერთი რუსი მეცნიერი და ისტორიკოსი. თუმცა ამ სფეროში მღვდელმთავრის კვლევა-ძიება თანმიმდევრულ ხასიათს არ ატარებდა. ამიტომ შეუძლებელია არ დაეთანხმო ისტორიკოსის ლეონ მელიქესთ-ბეგის თვალსაზრისს, რომ ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი მართალია „არ იყო გამოჩენილი მუშაკი რუსულ ისტორიოგრაფიის ასპარეზზე... რაც კი მას დაუწერია რუსეთის და რუსების შესახებ, სულ ყველას შემთხვევით ხასიათი აქვს. მაგრამ... რაც კი კირიონს გაუკეთებით ამ სფეროში... მაინც ლირსია მოხსენებისა, როგორც დამახასიათებელი მისი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის სიფართოვისა“ [8, 4].

კირიონ II-ს ნარსულის კვლევისათვის მნიშვნელოვან მასალად არქეოლოგიური ძეგლები ესახებოდა: „არქეოლოგია... საფუძვლია-

ნად საუბრობს.. ისტორიისათვის უცნობ ფაქტებზე. მას ისტორია გამოყავს სწორ და ფართო გზაზე“ [45, 21], „მიწა ... საიმედო მცველია ძეგლებისა. მან უკვდავპყო ოდესლაც სახელგანთქმული ხალხების სახელი და მოღვაწეობა“ [2, ფურც. 6].

დღიდია კირიონ საძაგლიშვილის ღვაწლი არქეოლოგიური ძეგლების მოძიების საქმეში. თანამშრომლობდა რა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ და „საისტორიო-საეთნოგრაფიო“ საზოგადოებრთან თბილისის საეკლესიო მუზეუმთან, მათ საცავებს სხვადასხვა ექსპონატი, არქეოლოგიური მასალა და შესანიშნავი ნუმიზმატიკური კოლექცია უსახსოვრა.

კირიონ საძგლიშვილი, როგორც საეკლესიო ისტორიის სპეციალისტი, საგანგებოდ მიუთითებდა ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში საეკლესიო არქეოლოგიის მნიშვნელობაზე. მღვდელმთავარმა ერთ-ერთ ნაშრომში უმაღლესი სასულიერო ინსტანციების წინაშე წამოჭრა საკითხი, სასულიერო სასწალებლების, სემინარიებისა და აკადემიების პროგრამაში საეკლესიო არქეოლოგიის კურსის შეტანის შესახებ: „ეკლესიის მომავალმა მოღვაწრმა უნდა იცოდეს საეკლესიო არქიტექტურის, ხატწერის, ჩუქურთმის სული და ხასიათი. მან უნდა ისწავლოს ძველისა და ახლის, ლირებულის ნაკლებადლირებულისაგან განსხვავება...“ [45, 19]. თავად კირიონის მიერ, ერისკაცობასა თუ ბერობაში, აღნერილია მეტების, ნოქოზის, ანანურის, ახტალის, ვალეს, შუამთის, სვეტიცხოვლის და სხვა ტაძრები, მათი სიძველები და ლირსშესანიშნაობები.

არქეოლოგიური ძეგლის საინტერესო გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს კირიონ II-ის ნაშრომი „VI საუკუნის კათედრალური ქართული მონასტერი ტავრიდის ხერსონში“ [6, ფურც. 1-17; 7, 185-204]. ქ. ხერსონში 1897 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი მონასტერი, მაშინდელ მეცნიერთა დიდმა ნაწილმა ქართულ მონასტრად მიიჩნია და იგი VI ს-ით დაათარილა. ეპისკოპოსმა კირიონმა ხერსონში ყოფნის დროს ადგილზე შეისწავლა არქეოლოგიური მასალა, გაეცნო ხელმისაწვდომ წყაროებს და ლიტერატურას. მათზე დაყრდნობით გამოთქვა თვალსაზრისი ქართული ქრისტიანული თემისა და საკათედრო ტაძრის უტყუარი არსებობის შესახებ ტავრიდის ნახევარკუნძულზე. მიუთითა, ჯერ კიდევ, VI საუკუნეში ქართველ მართლმადიდებელთა სამისიონერო საქმის ნარმატებაზე ამ რეგიონში და ქართულ-რუსული რელიგიურ-კულტურული ურთიერთობების ინტენსიურ ნამოებაზე შავი ზღვის სანაპიროს გზით. ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი არაბთა მიერ განდევნილი, ხაზარეთს თავშეფარებული ხერსე ერისთავის ამ მონასტერში სტუმრობის შესახებ, ხერსონის ქართული საკათედრო ტაძრის საკურთხეველში აღმოჩენილი წმინდა ნაწილების იოანე ზედაზნელი-საღმი კუთვნილების შესახებ და სხვა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანე

ბით ისტორიული ვახტანგ გურგენიძე კირიონ საძაგლიშვილის ამ წერილში გამოთქმულ ძირითად თვალსაზრისს იზიარებს და დამატებით არგუმენტებით განამტკიცებს მას [9, 178-184].

კირიონ II-ის საისტორიო შეხედულებებში განსაზღვრული ადგილი ეთმობა ეთნოგრაფიულ ძიებებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილი ლაზების შესახებ, სადაც ავტორი ტრადიციების, ჩაცმის კულტურის და ფოლკლორის მოშეველიებით ცდილობს მიუთითოს ლაზების ქართველური წარმომავლობის შესახებ [3, ფურც. 1-2].

„ჩვეულებრივ ერი ანთროპოლოგიურ ელემენტებთან ერთად შეიცნობა, როგორც ადათების, ტრადიციების, რწმენის, ისტორიული სვე-ბედის, კანონმდებლობის, ნეს-წყობილების, ჩვეულებების, ენის ... ერთობლიობა...“ [48, 48] –აღნიშნავს კირიონ საძაგლიშვილი. მისი აზრით, ეროვნული ტრადიციები ხშირად ერის ინდივიდუალურ განსაკუთრებულობებს განსაზღვრავს. ამიტომ მათი შეცვლის მიზნით ხელოვნური ჩარევით „ნადგურდება... ფიზიონომია ხალხისა, მისი ეთნიკური იერსახე“ [48, 48].

კირიონ II თვლის, რომ ზოგიერთი რელიგიურ-ხალხური ტრადიცია, რომელსაც წარმართულ გადმონაშთად მიიჩნევენ, ხშირად პირველყოფილი ქრისტიანობის საფუძვლებს შეიცავს, ამიტომ ამ ხალხის მიერ ქრისტიანული ყოფა-ცხოვრების ორგანულ ნაწილად აღიქმება. მეცნიერი, ამ მხრივ, გამოყოფს მთის ხალხის რელიგიურ-სარიტუალო ადათებსა და ტრადიციებს, მაგალითად: ხატში ღამის თევასა და ცხვრის მსხვერპლად შეწირვას, მთიულებში ე.ნ. დეკანოზობის ინსტიტუტს და სხვა. ეს ტრადიციები ეკლესიური თვალსაზრისით ფასდება, როგორც ქრისტიანობის პაგანიზაცია, არაცივილი-ზებული გადმონაშთი. სასულიერო ხელისუფლება, ამ ტრადიციათა აღკვეთის მცდელობით, ხშირად ადგილობრივ მოსახლეობას უპირისპირდება. კირიონ II მომხრეა იმისა, რომ რელიგიურ-ხალხურ ტრადიციებს ეკლესია ზომიერი კეთილგონიერებით მოეკიდოს: „მანამდე სანამ აღმოითხვერება რომელიმე ადგილობრივი წეს-ჩვეულება, უნდა ვეცალოთ გავიგოთ მისი წარმოშობის მიზეზები და არსი... ამყოს გაგებისათვის აუცილებელია წარსულის შესწავლა, – ეს აქ-სიონმაა. ამიტომ მოქმედებებში უნდა შემოვისაზღვროთ სულიერი საშუალებებით და არ მივმართოთ პოლიციურს. საერთოდ მკვეთრი გარდატეხა არსებული საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო წყობისა ძალიან სახითათოა. მოსალოდნელი კარგი შედეგების ნაცვლად მან შეიძლება სრულიად სანინააღმდეგო რამ მოგვცეს“ [48, 51].

კირიონ საძაგლიშვილის საისტორიო შეხედულებების გაცნობა ადასტურებს, რომ იგი თავისი დროის თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და ისტორიკოსია. მთელი რიგი სამეცნიერო-საისტორიო პრობლემები ეპისკოპოს კირიონს თავისი ეპოქის მიღწევების დონეზე ესმოდა. საკმაოდ დიდი იყო კირიონ საძაგლიშვილის სამეცნიერო

ავტორიტეტი. ფართო იყო მისი სამეცნიერო კონტაქტები არა მხოლოდ რუსეთში, მის ფარგლებს გარეთაც. მასთან თანამშრომლობ-დნენ როგორც ქართველი და რუსი, ასევე ევროპელი [27, 126-139] ცნობილი მეცნიერები – ა. პალმიერი, გ. ბერმანი, ა. ჰარნაკი, ი. პალმივი, ი. სოკოლოვი, ნ. გლუბოკოვსკი, ნ. ზაოზერსკი, ალ. ხახანაშვილი, ალ. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე და ა.შ.

ამგვარად, კირიონ II-ის სამეცნიერო შემოქმედებაში აისახა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემები: ქართველთა ნათესაობის ასპექტი ქალდეულ თუ ურუტულ სამყაროსთან; ქართული ანბანის არამეული სისტემა და მისი წინაქრისტიანული წარმომავლობა; დავით აღმაშენებლის დამსახურება ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის, მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეში; კავკასიელ ხალხებთან მიმართებაში მისივე პოლიტიკის განმათავისუფლებელი მისია, ტოლერანტული სარწმუნოებრივი პოლიტიკა და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა; თამარ მეფის წმინდანად აღიარების საისტორიო-ლიტერატურული ტრადიცია, მისი გელათის მონასტერში დაკრძალვის თვალსაზრისი და სხვა. კირიონ საძაგლიშვილმა თუმცა ვერ ახსნა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დამლის ისტორიული მიზეზები, მაგრამ მართებულად მიუთითა მის პოლიტიკურ შედეგებზე და ეს პროცესი რეგრესის წყაროდ, ისტორიული ცხოვრების დიდ უბედურებად წარმოადგინა; ქვეყნის წარმატებისა თუ წინსვლის უმნიშვნელოვანესი გარანტი მან საქართველოს ერთიანობაში დაინახა.

შეეხო რა საქართველო-რუსეთის კულტურულ ურთიერთობებს, მღვდელმთავარმა აღიარა საქართველოს მხრივ ახლად გაქრისტიანებულ რუსეთზე რელიგიური და კულტურული გავლენების არსებობა უცხოეთის ქართული სავანებისა და შავიზღვისპირეთის გზით. მისი საისტორიო კონცეფციით, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლობის დაცვის ფუნცია XVI-XVII ს-მდე, რეალურად საქართველომ იტვირთა, რასაც კიდევ შეალია თავისი სასიცოცხლო ენერგია.

მეცნიერმა გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოს მიერ რუსეთის „პროტექტორატის“ აღიარებად ჩათვალა, შეაფასა ის, როგორც საქართველოს მხრივ საგარეო უსაფრთხოების გარანტიების მოპოვების პოლიტიკური აქტი; ამასთან, მიუთითა საქართველო-სათვის გეორგიევსკის ხელშეკრულების უარყოფით შედეგებზე, რასაც მოჰყევა აღა-მაჰად ხანის გამანადგურებელი ლაშქრობა.

რუსეთის მიერ საქართველოს ინკორპორაცია, კირიონ საძაგლიშვილმა ცენტრულის გამო, ვერ შეაფასა როგორც ანექსია; უწოდა

მას „პოლიტიკურ-რელიგიური აქტი“, ამით ხაზი გაუსვა იმ იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივ საფუძველს, რაც ამ აქტში უდავოდ არსებობს. ამასთან გამოყო ამ მოვლენის უარყოფითი შედეგები: ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ქართული ენის შევიწროება, ერის სულიერი და ზნეობრივი დაკნინება და სხვა; ხოლო პოზიტიურად ჩათვალა: რუსული ძალის ჩარევით საქართველოს ძირძევლი მიწების, სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება, პოლიტიკური სიმშვიდის პირობებში ქვეყნის ცხოვრების შესაძლებლობა, რამაც გზა მისცა ერს კულტურული წინსვლისკენ.

რუსეთის ისტორიის კვლევის სფეროში კირიონ საძაგლიშვილის მიერ განეული მუშაობა რუსული ისტორიოგაფიის შუქწე ვერ შეფასდება, როგორც სისტემური მიდგომა გარკვეული პრობლემისადმი. თუმცა, მისი შეხედულებები და ნააზრევი რუსეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე საყურადღებოა, მისი ნიჭისა და შრომის გამოვლინება.

მისი ზოგიერთი დაკვირვება და საისტორიო თვალსაზრისი დღესაც გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას. ფასდაუდებელია კირიონ საძაგლიშვილის დვანლი ქართული კულტურის ისტორიაში, ხოლო მისი პიროვნული თვისებები სანიმუშოა და თამამად შეიძლება ითქვას, ქართული ხასიათისა და ეროვნული ცნობიერების იდეალური გამოხატულებაა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. ბარამიძე, ნარკვევები XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბილისი, 1979.
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1458, საქ. 10 – ქალდეს გათხრების მნიშვნელობა ქართველთა საწყისი ისტორიისათვის (Значение раскопок в Халдее для начальной истории картов), უთარილო.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1458, საქ. 23 – ნერილი ლაზების ჩამომავლობის შესახებ, უთარილო.
4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1458, საქ. 29 – ეპისკოპოსი კირიონი, მიხეილ თამარაშვილის წიგნის „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, კრიტიკული შენიშვნები.
5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1458, საქ. 9 – ჩეკიტი ინ ახალციხском Пашалбъ, უთარილო.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1458, საქ. 5 – ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), VI საუკუნის კათედრალური ქართული მონასტერი ტავრიდის ხერსონესში, 1911 წელი.
7. ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), VI საუკუნის კათედრალური ქართული მონასტერი ტავრიდის ხერსონესში, (1911 წ.) (რუსულიდან თარგმანი ნ. ნათაძისა), საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12.
8. ლ. მელიქესტე-ბეგი, კირიონი რუსული ისტორიოგრაფიის ასპარეზზე, გაზ. „საქართველო“, 1919, 29 თიბათვე.
9. ვ. გურგენიძე, ხერსონესის ქართველთა მონასტერი, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12.
10. ლ. ჭილაშვილი, წინაქრისტიანული ხანის ნარნერა ნეკრესიდან, The Kartvelologist, bulletin of Georgian studies, 2000, 7.
11. შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც ისტორიოგოსი, თბილისი, 1987.
12. ე.კ., წმინდა დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1899.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1979.
14. მ. ლორთექიანიძე, თურქ-სელჩუკების განდევნა, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1979.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
16. ალ. ხახანაშვილი, თამარის სახელის შესახებ, ივერია, 1895, 12 აპრილი.
17. გ. საძაგლოვ-ივერიელი, თამარ დიდი და მისი სახელწოდება, ივერია, 1895, 6 ივნისი.
18. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. II, თბილისი, 1965.
19. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949.
20. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, 1919.
21. გ. რცხილაძე, „სახელმწიფო რელიგია“ და მისი როლი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1999.
22. ალ. ბენდანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1917 წნ., თბილისი, 1980.
23. ვ. გურგენიძე, ხერსონის ქართველთა მონასტერი, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12.
24. სიტყვა თქმული კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს, „ჯვარი ვაზისა“, 1988, №3.

25. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისი, 1956.
26. რ. ბარამიძე, კირიონ II და ქართული პუმანიტარული მეცნიერება, შურნალში: „რანი ვართ ქართველნი“, 1998, № 7-8.
27. ვ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეობთან, საისტორიო შტუდიები, (ი. ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის შრომათა კრებული), III, თბ., 2002.
28. ხ. ქოქრაშვილი, კირიონ II საისტორიო კვლევის მეთოდი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის კათედრის შრომათა კრებულში: „საისტორიო შტუდიები“, 2001, II.
29. ხ. ქოქრაშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II – საეკლესიო ისტორიის მკვლევარი, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 2001, V.
30. ხ. ქოქრაშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, როგორც არქეოგრაფი და ზეაროთმცოდნე, ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები, 2008, I.
31. Е. К., Характерная система и ее влияние на церковно-поместельные отношения в древней Грузии, "Вес Кавказ", 1903, №1, Социально-экономический отдел.
32. Е.К., Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910.
33. Г. Хелидзе, О женском имени „Тамара“, „Духовный Вестник Грузинского Экзархата“, 1895, №3.
34. Епископ Кирион, Двенадцативековая религиозная борьба Грузии с исламом, Тифлис, 1899.
35. Г. Садзагелов-Ивериeli, Последний эпизод из вековой борьбы Православной Грузии с мусульманами – шиитами, "Пастырь", 1895, №23-24.
36. Г. Садзагелов-Ивериeli, Последний эпизод из вековой борьбы Православной Грузии с мусульманами – шиитами, "Пастырь", 1896, №1-2.
37. Е. К., Церковно-политическое сношение Грузии с единоверной Россией, "Духовный вестник Грузинского Экзархата", 1901, прибавление к №17 и 18.

38. Епископ Кирион, Замечательная короловская плащеница 1756 года, „Херсонская епархиальная ведомости“, 1904, №10.
39. Епископ Кирион, Сборник церковных поучений на Украинском языке, „Херсонская епархиальная ведомости“, 1904, №10.
40. Епископ Кирион, Страницы из истории Одесской духовной семинарии, Херсонская епархиальная ведомости, 1905, №2.
41. Епископ Кирион, Материалы для истории армяно-григорианских церквей в России, „Закавказская речь“, 1914, №17.
42. Епископ Кирион, Колонизация армян в юго-западной России, Каменец-подольск, 1903.
43. Епископ Кирион, Свенский Колокол в плену Камалдулов, Ковно, 1908.
44. Епископ Кирион, Литературный первоисточник Киево-печерского патерика, Одесса, 190.
45. Епископ Кирион, Санаксарские Этюды, Витебск, 1916.
46. Епископ Кирион, Знаменитый историограф Р.Н. Карапетян, „Полоцкая епархиальная ведомости“, 1917, №2.
47. Епископ Кирион, Первый русский ученый борец В. Ломоносов, Полоцкая епархиальная ведомости, 1917, №26.
48. Е.К., Народные обычай и их значение, „Вес Кавказ“, 1903, №1, ч. II.

Khatuna Kokrashvili
Doctor of History, Senior Researcher, Department of Modern and Contemporary
History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Problems of Georgian History in the Thoughts of Catholicos-Patriarch Kirion II

Summary

Catholicos-Patriarch Kirion II (Giorgi Sadzaglishvili (1855-1918)) appeared at the stage of his activity in the second half of XIX century, in the period of sharpening of the Czarism colonial regime in Georgia, and till the end of his life (1918) he played the greatest place in preservation of national originality and development of national culture and humanitarian sciences. Investigation of his extremely interesting heritage and its unbiased interpretation has great scientific value.

Problems of old and medieval history of Georgia were expressed in Kirion II's scientific activity: Georgians kindred aspects with Kaldea or Ururtu word; Aramaic system of the Georgian alphabet and its pre-Christian origination; David Agmashenebeli's merit in establishment of centralized State and strengthening of orthodoxy; Liberation mission of his politics in relation to the Caucasian peoples, condescending religious policy and cultural-educational activity; Historical-literary traditions of recognition of Queen Tamar holiness, his idea about burying in the Gelati monastery etc. Though Kirion Sadzaglishvili was not able to explain historical reasons of political dissolution of feudal Georgia, he indicated quite correctly to its political consequences and presented this process as source of regression, great misfortune of historical life.; he saw the most significant warranty of the country's success and progress in unity of Georgia.

Concerning the issues of Georgian-Russian cultural relations, the Patriarch recognized presence of religious-spiritual and cultural influence of Georgia on newly christened Russia. According to his historical concept, after fall of Byzantine Empire, actually it was Georgia who until XVI-XVII centuries took upon itself the function of protection of Orthodoxy, and really put its life energy to it.

In the sphere of study of Russia's history his efforts in the light of the Russian historiography cannot be valued as systemic approach to certain problems. Nevertheless, his views and ideas about certain issues of Russia's history deserve attention and indicate to revelation of his talent and diligence.

Some of his considerations and historical views would enrich the Georgian historiography even today. Kirion Sadzaglishvili's contribution in the history of Georgian culture is invaluable, and his personal qualities are exemplary and one can easily say that they are ideal expression of the Georgian character and national awareness.

შორენა მურუსიძე

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის გან-
ყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ქართული ეპიგრაფის ეროვნულ-განეათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პროგლოგი

რუსეთის პოლშევიკური ჯარების მიერ საქართველოს დემოკ-
რატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს დემოკ-
რატიული სახელმწიფოს ლეგიტიმურა მთავრობამ, პოლიტიკური
პარტიების ნარმობადენლებმა, პოლშევიკურ მსოფლმხედველო-
ბასთან შეურიგებელი ქართველების ნაწილმა ქვეყანა დატოვა და
ემიგრაციაში წავიდა. „სუვერენობა ერისა, ბატონობა დემოკრატიი-
სა“ [21, 39] – იყო მიზანი, რისთვისაც იბრძოდნენ სახელმწიფოებრი-
ობანართმეული, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და ეროვნულ-
განმანთავისუფლებელ ორგანიზაციებად გათაშულ-დაქაქაქული
ქართველი ემიგრანტები. მათი მიზანი ლირსეული, პატივსაცემი და
საერთო იყო, თუმცა პიროვნული და პარტიული დაპირისპირება
უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მომხდარ უბედურებაში (1921
წლის 25 თებერვალი) დამაშავის ძიებამ, ერთმანეთზე შეცდომების
გადაბრალებამ ქართველი ემიგრანტები კიდევ უფრო დააშორა ერ-
თმანეთს და დაუძინებელ პოლიტიკურ პორნენტებად აქცია. მსოფ-
ლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე (I მსოფლიო ომის შემდეგ, II
მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ცივი ომის პერიოდში, როცა
მსოფლიო დიდი სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტით იყო
მოცული) მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა ერთიანი ძალებითაც
ძნელი იქნებოდა, გათაშულობისა და დაქაქაქულობის პირობებში კი
ეს შესაძლებლობა უტობისა ემსგავსებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოკვლეულია ემიგრაციაში
მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობისა თუ ლეგაციის, ასევე
ცალკეული პოლიტიკური პარტიების თუ ჯგუფების განმათავისუფ-
ლებელი ბრძოლა, მაგრამ ერთიან კონტექსტში ქართული ემიგრა-
ციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია არ გა-
აზრებულა. შესწავლას და ანალიზს მოითხოვს არა ერთი ფაქტი თუ
საკითხი. არადა სადლეისოდ არსებობს არაერთი წყარო და საყუ-
რადლებო მასალა ამ პრობლემის საკვლევად. ჩვენი პუბლიკაციის
მიზანი მკითხველთათვის ამ წყაროების ნარმოჩნაა. საჭიროდ მი-

ვიჩნიეთ ვუჩვენოთ აგრეთვე ქართული ემიგრაციის ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელი მოძრაობის უკვეგამოკვლეული და, აგრეთვე
ჯერ შესწავლელი ასპექტები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების
შემდეგ დაკარგული სუვერენიტეტის აღსადგენად დაწყებულ ბრძო-
ლას წარმართავდნენ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობა
და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო, ნოე უორ-
დანიას და აკაკი ჩხენევლის მეთაურობით, აგრეთვე ქართული პო-
ლიტიკური პარტიები და სხვადასხვა დროს ევროპაში შექმნილი გან-
მათავისუფლებელი ორგანიზაციები. დღეისათვის საზღვარგარეთ
მათი ბრძოლისა და მოლვანეობის ისტორია მეტნაკლებადაა შესწავ-
ლილი, დანერილია არა ერთი მონოგრაფია თუ სტატია, ხელმისაწ-
ვდომია მრავალი ემიგრანტული პერიოდული გამოცემები, თუმცა
საკვლევი კვლავ ბევრია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის
დაპლომატიური ბრძოლა ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენისათვის,
მათი ოფიციალური დოკუმენტაციური და უშუალო ურთიერთობები
მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა მთავრობებთან, მათ წარმომადგენ-
ლებთან და ერთა ლიგის ორგანიზაციასთან, ასევე საერთაშორისო
მდგომარეობა, ევროპის სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური ინ-
ტერესები, მათი დამოკიდებულება დევნილი მთავრობის ნევრობთან
და საქართველოს საკითხთან ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავ-
ლილია. ამ საკითხების კვლევისადმი მიძღვნილია არა ერთი ნაშრო-
მი. მათგან აღსანიშნავია გ. ცხოვრებაძის [37; 36; 35], ნ. კირთაძის
[13; 14], ავ. მენთეშაშვილის [19], ი. ჩიქავას [33], ნ. ჯიქიას [42], ვ. ბე-
ნიძის [2] მონოგრაფიები და წიგნები. ემიგრაციაში საქართველოს
მთავრობის საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს,
დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩართული, ქართვე-
ლი ემიგრანტების მიერ დაწერილი წიგნები, მათგან ერთ-ერთია
კონსტანტინე გვარჯალაძის „საქართველოს მთავრობა ემიგრაცია-
ში“ [6] და „ანგარიში საქართველოს დემოკრატიული მთავრობისად-
მი“ [5]. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჰერსპექტივების განსა-
საზღვრად საყურადღებოა ქართველი ემიგრანტის ივანე ზურაბიშ-
ვილის ნაშრომი „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“ [12].
მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას და დოკუმენტებს შეიცავს რე-
მონ დიუგეს წიგნი „მოსკოვი და ნამებული საქართველო“ [10]. დიპ-
ლომატიურ ბრძოლასთან ერთად ემიგრანტულ მთავრობას მცდე-
ლობა ჰქონდა ძალისმიერი მეთოდით დაპირისპირებოდა საქართვე-
ლოში გაბატონებულ ბოლშევიკურ ხელისუფლებას. ამ მხრივ აღსა-
ნიშნავია 1924 წლის აჯანყების დაგეგმვასა და განხორციელებასთან
ეროვნულ მთავრობის კავშირი. ამ საკითხის შესწავლის თვალსაზ-
რისით, ჩვენს ხელთ არსებული გამოქვეყნებული მასალებიდან უნდა

გამოვყოთ გ. მაზნიაშვილისა [16] და ს. ზალდასტანიშვილის [11] მო-
გონებები და რ. გრძელიძის „1924 წლის სახალხო აჯანყება საქარ-
თველოში“ [8].

საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ერთად დამოუკიდებ-
ლობის აღდგენისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა დემოკრატი-
ული რესპუბლიკის საელჩო, რომელმაც პარიზში აკრედიტაცია 1921
წლის 25 თებერვალს მიიღო, ანუ როცა ბოლშევიკები თბილის იპ-
ყორძნენ. ქართული ლეგაცია საფრანგეთის დიპლომატიური კორ-
პუსის სრულუფლებიანი წევრი 1933 წლამდე, ლეგაციის გაუქმებამ-
დე იყო. საელჩოს მუშაობას ელჩი აკაკი ჩხენევლი წარმართავდა,
რომელიც ემიგრაციაში მყოფ მთავრობასთან შეთანხმებით მოქმე-
დებდა. ქართული ლეგაციის ისტორიის შესწავლის მიზნით საყუ-
რადლებოა აკაკი ჩხენევლის მემუარი დიპლომატიური მუშაობის შე-
სახებ [26] და საელჩოს თანამშრომლის სოსიპატრე ასათიანის მოგო-
ნება [1], ასევე 1921-1922 წლებში ჯერ სტამბოლსა და შემდეგ პა-
რიზში გამომავალი პირველი ემიგრანტული გაზეთი „თავისუფალი
საქართველო“. აქ დაბეჭდილია ვრცელი ინტერვიუ აკაკი ჩხენევლ-
თან, სადაც ის აყალიბებს თავის შეხედულებებს თუ რამდენად შეე-
საბამებოდა საერთაშორისო მდგომარეობა და ინტერესები საქარ-
თველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნას. აქვეა დაბეჭდი-
ლი ელჩის არაერთი რეზოლუციის, მიმართვის და დეპეშის ტექსტი
საერთაშორისო კონფერენციებისა და სახელმწიფოთა წარმომად-
გენლობებისადმი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში
საზღვარგარეთ წასვლისთანავე ჩაეპნენ ქართული პოლიტიკური
პარტიები. მათ ჩვეულებას არც უცხოეთში უღალატეს და ერთმა-
ნეთს დაუპირისიპირდნენ. ურთიერთშეუთანხმებლობა იყო ერთი და
იგივე პარტიის წევრებს შორისაც. ემიგრაციაში წასული ქართული
პოლიტიკური პარტიების ისტორია სრულად არ არის შესწავლილი.

საქართველოს მთავრობის პარალელურად ბოლშევიკური
ოკუპაციის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგე-
ნის მოთხოვნით გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებელი რეს-
პუბლიკის მმართველი – სოციალ-დემოკრატიული პარტია. ემიგრა-
ციაში მათი ბრძოლის ასპარეზი იყო სოციალისტური ინტერნაციო-
ნალი. უცხოელი სოციალისტების მხრიდან მათ აბსოლუტური მხარ-
დაჭერა ჰქონდათ. თუმცა, სამნუხაროდ, სოციალისტური სოლიდა-
რობა მხოლოდ მორალურად თუ გაამნევებდათ ქართველ სოციალ-
დემოკრატებს, სხვა მხრივ მათ სიტყვიერ მხარდაჭერას და საპარ-
ტისტო რეზოლუციებს არანაირი ქმედითი, რეალური შედეგის მო-
ტიანა არ შეეძლო. ემიგრაციაში წასული ქართული სოციალ-დემოკ-
რატიული პარტიის ისტორიისა და ეროვნულ-განმანთავისუფლე-
ბელ მოძრაობაში მისი წევრების მონაწილეობის შესწავლა, ასევე სა-

ქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მეთოდების შესახებ მათი ნააზრებისა და შეხედულებების კვლევა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში და გურამ შარაძის კერძო კოლექციაში დაცული, ევროპაში გამომავალი ქართული სოციალისტური პრესის შესწავლის საფუძველზე ესენი გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ (გამოიცემოდა სტამბოლსა და პარიზში, 1921-1922 წლებში), უურნალი „ბრძოლა“ (პარიზი, 1925-1928 წწ.), უურნალი „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“ (პარიზი, 1927-1931 წწ.), გაზეთი „ბრძოლის ხმა“ (პარიზი, 1929-1940 წწ.), სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორაკლი წერეთლის ოპოზიციური ფრთის უურნალი „სოციალისტური აზრი“ (პარიზი, 1934-1939 წწ.). პერიოდული გამოცემების გარდა დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და პარტიის შეგნით არსებული წინააღმდეგობების შესახებ საინტერესო მასალას გვანვდის ნოვ უორდანის [21, 22], ორაკლი წერეთლის [40], კოტე რაზმაძის [23], ნოვ რამიშვილის [24], გრიგოლ წერეთლის [39] და ი. სიხარულიძის [29] ნიგნები.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მსგავსად ემიგრაციაში არსებობა და მოღვაწეობა გააგრძელა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. დაქაქსულობის თვალსაზრისით ისინი ყველაზე მორს წავიდნენ. სპირიდონ კედიას ხელმძღვანელობით მოქმედ ერთიან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჯერ რეზონ გაბამვილის ფრთა გამოეყო, 1929 წელს ალექსანდრე ასათიანის და ცალკე გვაზავა-ზურაბიშვილის ჯგუფები, იმავე წელს პარტია შექმნეს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებმა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ამ პარტიის როლისა და ადგილის კვლევა, პირველ რიგში, თავად ასე დანაწევრებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცალკეული ჯგუფების ისტორიის შესწავლის საჭიროებს. ამ მხრივ ოთარ ჯანელიძის მონოგრაფია [41] მნიშვნელოვან ფაქტობრივ ცნობებს და მათ ანალიზს შეიცავს. პირველწყაროებიდან უნდა გამოიყოს სპირიდონ კედიას მეუღლის, სოფიო ჩიჯავაძე-კედიას, მოგონებათა ნიგნი [33], გარდა ამისა, 1925 წელს, პარიზში გამოსული ამ პარტიის უურნალი „სამშობლო“, რეზონ გაბამვილის ჯგუფის გაზეთი „მამულიშვილი“ (გამოდიოდა პარიზში, 1926-1928 წწ.), ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების პარიზის კომიტეტის უურნალი „ახალი ივერია“ (პარიზი, 1927-1929 წწ.), ზურაბიშვილ - გვაზავას ფრთის გაზეთი „საქართველო“ (პარიზი, 1928-1938 წწ.), ალექსანდრე ასათიანის უურნალი „სამშობლო“ (პარიზი, 1929-1938 წწ.), სპირიდონ კედიას ჯგუფის გაზეთი „საქართველოს გუშაგი“ (1932-1936 წწ.) (ჩამოთვლილი პერიოდიკა ინახება თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმსა და გ. შარაძის კერძო კოლექციაში). გურამ შარაძის მიერ ნიგნად გამოცემული ეროვნულ-დემოკრატის ალექ-

სანდრე ცომაიას „რჩეული თხზულებანი“ [34]. ზემოთჩამოთვლილ გამოცემებში ნათლად არის ჩამოყალიბებული, როგორ ნარმოედგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თითოეულ ჯგუფს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცალკეულ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობების მიზეზი პიროვნულთან ერთად, სწორედ ამ ძირითად საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო.

პოლიტიკური პარტიებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩართული იყვნენ ქართველი სოციალ-ფედერალისტები. მისი წევრები 1926-1935 წწ. პარიზში გამოსცემდნენ უურნალს „სახალხო საქმე“ (ინახება თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმსა და გ. შარაძის კერძო კოლექციაში).

ემიგრაციაში მოღვაწე ქართული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ერთი საერთო მიზანი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქონდათ, ზოგჯერ გაერთიანებასაც აღნევდნენ. ამის დასტურია 1926-1939 წწ. პარიზში გამომავალი გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ (ინახება თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმსა და გ. შარაძის კერძო კოლექციაში), რომელიც სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების, სოციალ-რევოლუციონერების და ეროვნულ-დემოკრატების გარეთიანებული ფრონტის ორგანო იყო. ეს გაზეთი პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების და მათი საქმიანობის შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

ეროვნული მთავრობის, მისი საელჩოს და პოლიტიკური პარტიების გარდა ემიგრაციაში საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას სხვა გაერთიანებებიც ანარმოებდნენ. ქართველი ემიგრანტები, რომლებიც ემიჯნებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს ეძიებდნენ გზებს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ მიზნით შეიქმნა არა ერთი ორგანიზაცია. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო ახალგაზრდა ემიგრანტთა პოძრაობა „თეთრი გიორგი“, რომელიც თავიდან „მომავლის“ სახელით დაფუძნდა. მისი წესდება მუსოლინის „10 მცნების“ საფუძველზე დაინერა. მოძრაობის იდეური მოქმედების ცენტრში იდგა – ერის არსებობა, როგორც მიზანი. „თეთრი გიორგის“ ემსრობოდნენ ინტეგრირებულ ნაციონალიზმს, „რაც ნიშნავდა ყოველთვის საზომადერისა და მისი კეთილდღეობის პირველობის აღიარებას“ [17, 45]. ორგანიზაცია მთელ თავის იმედებს ახალგაზრდობაზე ამყარებდა, ყველა მათგანს მოუნოდებდა გაერთიანებულიყვნენ „თეთრი გიორგის“ ერთობასთან და ჩამოეყალიბებინათ მებრძოლი რაზმები [31, 7]. ამ მოძრაობის მოღვაწეობის შესწავლა შესაძლებელია შალვა ბერეჟიანის [3], ალექსანდრე მანველიშვილის [17] მოგონებიდან, ასევე ამ ორგანიზაციის გაზეთების „თეთრი გიორგისა“ და „მომავლის“ დამუშავებით (ინახება თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმ-

სა და გ. შარაძის კერძო კოლექციაში). „თეთრი გოირგის“ მოძრაობის შესახებ დაწერილია სტატიები (რ. დაუშვილის [9], ნ. საგინაშვილის [25], გ. შარაძის მიერ [31]). თუმცა ამ ორგანიზაციის ისტორიის ზოგი საკითხი კვლავ გამოსაკვლევია, დასაზუსტებელია ფაქტები.

„თეთრი გოირგის“ ორგანიზაცია, რომელიც გმობდა პარტიული და პირადი დაპირისპირების გამო ძალთა ურთიერთდაპირისპირებას და დაქართულობას თავადვე იქცა ინდივიდუალიზმის ხორცისშემსხმელად. 1937 წელს ორგანიზაციას გამოეყო ერთი ჯგუფი და „ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა“ დააარსა, მათი უზენაესი იდეალი საქართველოში ფაშისტური სამეფოს შექმნა იყო. ისინი გამოსცემდნენ უურნალს – „ქართლოსი“, რომელიც მკვლევართათვის ხელმისაწვდომია და დარაზმულობის საქმიანობასა და მიზნებთან დაკავშირებულ სტატიებს შეიცავს. ამ ორგანიზაციის დებულებები ჩამოყალიბებულია 1937 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა, დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის“ [28]. ცალკე მონოგრაფია ქართული მონარქოფაშისტური დარაზმულობის შესახებ არ დაწერილა, თუმცა მისი შესწავლა დაწყებულია ო. ნიკოლეიშვილისა [20] და რ. დაუშვილის [9] ნაშრომებში. „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“ 1939 წელს დაიშალა, ამის მიზეზი გახდა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილი თავდაუსხმელობის პაქტი. ქართველმა „ფაშისტებმა“ გერმანიის დახმარებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის იმედი დაკარგეს.

„თეთრი გოირგისა“ და „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ წევრებმა ინდივიდუალურად მიიღეს მონაწილეობა II მსოფლიო ომში, ისინი ბრძოლაში გერმანიის მხარეს ჩაეძნენ. ეს ფაქტიც გამონვეული იყო საქართველოს განთავისუფლების სურვილით. პრინციპმა „ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია“ ბევრი ქართველი ემიგრანტი ამ ომში გერმანიის თანამებრძოლად ან უნებლივ მოკავშირედ აქცია, მიუხედავად იმისა, რომ პიტლერი უგულვებელყოფდა საქართველოს საკითხს და მხარს არ უჭერდა საქართველოს დამოუკიდებელობის აღდგენას, რაც ცნობილი იყო გერმანიის მხარეს მებრძოლი ემიგრანტებისთვის. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ემიგრანტებმა შექმნეს ქართული ლეგიონები, რომელშიც ევროპაში მყოფ ქართველებთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა კავშირის მხარეს მებრძოლი მათი თანამემამულებიც ერთიანდებოდნენ. ამით არაერთი ქართველი გადაურჩა ტყვეობის მძიმე პირობებს, ამ პერიოდს უკავშირდება ქართველი ემიგრანტების ახალი ტალღის გაჩენა ევროპაში და მათი ჩართვა საქართველოს ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობაში. II მსოფლიო ომში ემიგრანტების მონაწილეობას, ქართული ლეგიონების შექმნას, მათ მიზნებსა და

მოღვაწეობას ეხება გ. გაბლიანის [4], გ. წერეთლის [38], გ. მორალიშვილის, შ. მალლაკელიძის [18] მოგონებები.

ომის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არა-ერთი წლის უშედეგო მოღვაწეობისა და ბრძოლის მნარე გამოცდილება ჰქონდა ქართული ემიგრაციის ძველ და ახალ თაობას, საქართველოს განთავისუფლების იდეა კვლავ ცოცხალი და აქტუალური იყო. II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი, მოხდა მსოფლიოს ძალთა ბიპოლარიზაცია, დაიწყო ცივი ომი. შექმნილი საერთაშორისო ვითარება ქართველმა ემიგრანტებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელსაყრელ პირობად მიიჩნიეს. ქართველი ემიგრანტების მიერ წარმოებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. შექმნა ახალი ორგანიზაციები: ლევან ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ზეპარტიული ორგანო „თავისუფალ ქართველთა კავშირი“, „ქართული ეროვნული პოლიტიკური ცენტრი“ და „ქართული ეროვნული საბჭო“ [38, 114], ამ ორგანიზაციების დარსების შესახებ ვიგებთ გ. წერეთლის წიგნიდან „ერთი ცხოვრება-ემიგრანტის თავგადასავალი 1917-1993 წწ.“ [38]. თუმცა მისი ინფორმაცია მნირია და ანალიზისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა, ის კი ჩანს, რომ კვლავ საუბარია ემიგრაციის გაერთიანებაზე, რაც კვლავ მიუღწეველი რჩება. ასე, რომ ამ ორგანიზაციების ისტორიაც შესასწავლია.

ემიგრაციაში არსებული პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძოდნენ, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ამ მიზნის მიღწევის მეთოდებითა და ტაქტიკით. მათ შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე პროგრესული იყო ის გზა, რომელიც მიუხედავად პარტიული თუ ორგანიზაციული კუთვნილებისა ემიგრაციის გაერთიანებას და საერთო ძალებით მიზნის მიღწევისათვის ბრძოლას გულისხმობა და და მეორე, რომელიც ბევრისათვის შეიძლება მიუღწეველი იყოს, მაგრამ მას რეალურად უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ძლიერ და გავლენან ძალად ქცეულიყო, ესაა კავკასიის ერთა გაერთიანებით ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის იდეა, კავკასია ერთი ხელისუფლებით, საერთო თავდაცვითი ორგანიზაციით, საერთო საგარეო პოლიტიკით და ერთა კულტურული თავისებურებების შენარჩუნებით. კავკასიის ძალთა გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ ემიგრაციაში წასვლის პირველ წლებში გაჩნდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის ემიგრანტული მთავრობის წევრებს შორის. მოვარანებით ამ მიზნის გარშემო არა ერთი ემიგრანტი გაერთიანდა. ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ინიციატივით გამოდიოდნენ ის ჯგუფები, რომლებიც 1937-1938 წლებში პარიზში გამოსცემდნენ პერიოდულ გამოცემებს, კონ-

კრეტულად უურნალებს „ადამიანოსანს“, „ეროვნულ გაერთიანებას“, „ივერიას“ და გაზეთ „მუზარადს“ (ინახება თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმსა და გ. შარაძის კერძო კოლექციაში). ემიგრაციაში კავკასიის ძალთა გაერთიანების იდეის საკითხიც გამოსაკვლევია.

XX ს-ის 50-იან წლებში ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ახალი ტენდენცია შეინიშნება. ეს არის საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრაციის წევრთა გაერთიანებით საერთო „ფრონტის“ ჩამოყალიბება. ასეთი გაერთიანება დაარსდა და მას „პარიზის ბლოკი“ უწოდეს, მასში შედიოდნენ უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო კავკასიელები და ქართველები. „პარიზის ბლოკმა“ შეიმუშავა მემორანდუმი და აქტიურ ქმედებებზე გადავიდა [7, 11]. ამ თემას ეხება, დამკამის ერთ-ერთი დაამარსებელი, ვერსალის საზაფო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი იოსებ გობეჩია თავის დოკუმენტურ წიგნში „პატარა ერების საერთაშორისო სოლიდარობა და ემიგრაციის მოვალეობანი“ [7], რომელიც 1953 წელს პარიზში გამოიცა. აქ ვხდებით საინტერსო ფაქტს: 1951 წლის 26 ივნისს აშშ-ის იუციცალური პირი – საგარეო საქმეთა მინისტრი აჩესონი სენატში სიტყვით გამოვიდა და „რუსეთის აგრესია“ გააკრიტიკა. მანვე 26 მაისს ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობილი მიმართვა გააკეთა, რასაც რუსი ემიგრანტების გაღიზიანება და ქართველი ემიგრანტების ოპტიმიზმი გამოუწვევია [7, 18]. საქართველოს საკითხებს უკვე ზესახელმწიფოდ ქცეული აშშ-ის – ოფიციალური პირი ეხებოდა, თუნდაც არაოფიციალურ შეხვედრაზე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვიდან გასულია უკვე 30 წელი. 1951 წელს ნიუ-იორკში დაარსდა „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდენა. მათ უპირველეს ამოცანად დასახული ჰქონდათ „ამერიკაში საზოგადოებრივი აზრის მომზადება და კავშირის დამყარება ამერიკულ მთავრობასთან“. ქართველ ემიგრანტებს ზუსტათ ქპინდათ გააზრებული იმდროინდელ საერთაშორისო პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი პოზიცია და გეზი აიღეს ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობების დამყარებისაკენ. დაინტერესება შეიმჩნევა ამერიკული მთავრობის მხრიდანაც. ამ პერიოდის ემიგრანტილ პრესაში ჩანს, რომ ევროპაში მოქმედი „ამერიკული კომიტეტი“ ცდილობს ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნას საბჭოთ კავშირის ქვეყნების ემიგრანტთა გაერთიანების გზით.

ემიგრაციაში წარმოებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო საკითხია ქართველი ემიგრანტების რუს ემიგრანტებთან ურთი-

ერთობა. მათ შორის არსებობდა დიდი წინააღმდეგობები. ამ ფაქტს ქართულ ემიგრაციაში დაძაბულობა შეჟქონდა. ევროპაში მყოფი რუსი ემიგრანტები მეფის რუსეთის აღდგენისათვის იძრძოდნენ და არ სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩართული ქართული გაერთიანებები რუს ემიგრანტებთან კავშირის წინააღმდეგ გამოიღოდნენ, განსხვავებული პოზიცია ეკავათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივის ლიტერატურის განყოფილებაში ინახება 1951 წლის 5 დეკემბერს პარიზში შექმნილი „თავისუფალ ქართველთა კავშირის“ ცნობის ფურცელი [27], სადაც გაკრიტიკებული არიან ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რუსი ემიგრანტების მიერ თრგანიზებულ ვისბადენის კონფერენციაში (მიმდინარეობდა 1951 წ. 3-7 ნოემბერს), სადაც პოლონეთისა და ბალტისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები არ მიუწვევიათ, რადგან რუსი ემიგრანტები მათ დამოუკიდებლობას აღიარებენ. ვისბადენის კონფერენციაში მონაწილე ქართველმა სოციალისტებმა ხელი მოაწერეს დებულებას, რომლის მიხედვითაც ქართველებს მომავალში მიეცემოდათ თვითგამორკვევის უფლება. „თავისუფალ ქართველთა კავშირი“ ამას მიიჩნევდა წარსულში (1917 წ.) დაბრუნებად, მათი თქმით „გამოდის, რომ საქართველო დღემდე თვითგამორკვეული არ არის“ [27, 6]. რუს და ქართველ ემიგრანტთა ურთიერთობებიც სამომავლო კვლევას საჭიროებს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ევროპელების მონაწილეობა ასევე შესწავლელი თემაა. ამ მხრივ პირველ რიგში გამოყოფთ, 1923 წელს უნენებაში დაარსებულ „საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტს“, რომელიც ერთა ლიგაში ეროვნული მთავრობის დელეგატმა ხარიტონ შავიშვილმა და შვეიცარიული უურნალის „journal de jeneve“-ს რედაქტორმა უან მარტენმა დაფუძნეს. მისი თავმჯდომარე იყო უან მარტენი, ვიცე პრეზიდენტები: უნენების უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მოღვაწე – ალბერ მალში და ასევე უნენების უნივერსიტეტის პროფესორი – ედგარ მილო. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ებრძოლათ საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვის მიერ გავრცელებული სიცრუის წინააღმდეგ. კომიტეტი ევროპას აცნობდა საქართველოს კულტურას, ისტორიას, ცდილობდა დაეცვა საქართველოს საერთაშორისო უფლებები და მოეპოვებინა დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება [30].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ ცალკეული ქართველი ემიგრანტებიც, რომლებიც არ ერთიანდებოდნენ არც ერთ პარტიასა და ორგანიზაციაში. მათგან აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის პოლ-

კოვნიერი ქართველი ემიგრანტი მერაბ კვიტაიშვილი (ინგლისელები მას მერაბ კეთი მიმართავდნენ). მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანელები კავკასიას უახლოვდებოდნენ, დიდი ბრიტანეთი და ინტერესდა ამ რეგიონის მოსახლეობით, კერძოდ, რას მოიმოქმედებდნენ ისინი იმ შემთხვევაში თუ გერმანია შეძლებდა კავკასიის დაცურობას. ამის დასადგენად მათ შეადგინეს კითხვარები და ბრიტანეთის ჯარში მყოფ კავკასიური წარმოშობის სამხედროებს დაურიგეს. მათ შორის იყო მერაბ კვიტაიშვილიც, რომელსაც კითხვარის პასუხად საკმაოდ ვრცელი მემორანდუმი შეუდგენია, სადაც ის ხაზგას-მით აღნიშნავდა, რომ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები იღენიან სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ამიტომ ისინი იბრძოლებენ იმათთან ერთად, ვინც მხარს დაუჭერს ამ მიზნის მიღწევაში. კვიტაიშვილის ეს მემორანდუმი ცნობილი გახდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის თვის, რომელმაც თეირანის კონფერენციაზე კვიტაიშვილთან პირისპირ შეხვედრის დროს ეს ფაქტი გაიხსენა [15, 27]. საინტერესო კვიტაიშვილის, როგორც ბრიტანეთის დაზვერვაში წამსახურები, ბევრი საიდუმლოს მცოდნე პირის შეხედულებები ამიერკავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პერსპექტივების შესახებ, რომელიც მან XX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს დაწერა. მისი თქმით საქართველო-სათვის არც ერთი ქვეყანა არ გაირჯება, რადგან ეს მათ ინტერესებში არ შედის, დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა აქვთ სომხებს, მათ მდიდარი დიასპორა ჰყავთ, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიცირებული ძლიერი ჯარის შექმნა, სომხებს აშშ-ში პოლიტიკური გავლენა აქვთ, ამ ქვეყნის რამდენიმე გუბერნატორი სომებია. აზერბაიჯანელების ბრძოლაც საიმედოა, მათ დაეხმარება მუსლიმანური სამყარო. რაც შეხება საქართველოს, მისი აზრით, ქართული ემიგრაცია, რომელიც მცირერიცხვანია, ფინანსურადაც სუსტია და არანაირი პოლიტიკური გავლენა არ გააჩნია, ვერ შეძლებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ეფექტურ ბრძოლას. კვიტაიშვილი არა მარტო აფასებს მდგრმარეობას და აკეთებს დასკვნებს, არამედ მომავალზეც საუბრობს და ასკვნის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ორი გზა არსებობს: ერთი ეს არის საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაცია, რომელიც მოიცავს ერთა უფლებას გამოყოფის შესახებ, ხოლო მეორე – გაეროზე უფრო ქმედითი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა. მერაბ კვიტაიშვილის ლიკვიდაცია უცდია ლავრენტი ბერიას [15,], როგორც ჩანს მასში გარკვეულ საფრთხეს ხედავდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხებიც შესასწავლია, ხელმისაწვდომი მასალები ძალზე მნირია, სამომავლოდ საჭიროებს ახალი დოკუმენტების მოძიებას.

ქართველი ემიგრანტების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპერსპექტივობას საერთაშორისო მდგრმარეობა გან-

პირობებდა. შეფასების სახით შეიძლება ისიც ითქვას, რომ მათ ვერ დასძლიეს ინდივიდუალიზმი, გათიშულობა, ურთიერთქიშპი, რაც ასე მცირერიცხვან ემიგრანტებში წარმოუდგენელ მასშტაბებს აღნევდა. ამის შესახებ წერდნენ და მსჯელობდნენ თავადაც. პარტიებისა თუ ორგანიზაციების შეკრებებს ლაიტმოტივად გასდევდა ქართული ემიგრაციის გაერთიანების და ერთობი ფრონტით ბრძოლის წარმოების საკითხი, მაგრამ ეს მიზანი ყოველთვის მიუღწეველი რჩებოდა, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. როგორც მასალების შესწავლისას ირკვევა ქართველი ემიგრანტების დაქსაქსვა ხელოვნურადაც ხდებოდა. საუბარია საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ევროპაში გაგზავნილი აგენტურის შესახებ, მათ ევალებოდათ ემიგრაციის დასუსტება, რასაც ისინი წარმატებით ახორციელებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა ემიგრანტების წინააღმდეგ აგენტურული ქსელის გამოყენებით საკმაოდ საინტერესო, მაგრამ გამოუკვლეველი საკითხია.

ემიგრაციის ისტორიის, მისი ნებისმიერი თემის შესწავლა არასრულყოფილი და სუსტია საარქივო დოკუმენტების გამოყენების გარეშე, ამ მხრივ კი არსებობს გარკვეული დაბრკოლებები. ცნობილია ქართული ემიგრანტული არქივების სხვადასხვა დროს საქართველოში ჩამოტანის ისტორია, სახელმწიფო საისტორიო არქივში ინახება ქართული ემიგრაციის მასალები პარვარდის უნივერსიტეტში დაცული დოკუმენტების მიკროფირების სახით, ასევე ამავე უნივერსიტეტისა და ლევილის ორიგინალური დოკუმენტები, რომლებიც საკმაოდ მდიდარ და საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას შეიცავს. მათი შესწავლა ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს და საქართველოს უახლოეს ისტორიასაც სრულყოფილს გახდიდა, ისტორიოგრაფიაც ბევრს დაწერდა და აღნერდა, თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული ტექნიკური, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო ემიგრაციის პერიოდის დოკუმენტები მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, რაც თავიდანვე ხარვეზიანს ხდის ნაშრომსა თუ სტატიას. ზემოთ შევეხეთ არა ერთ საკითხს, რომელიც შეუსწავლელია, მაგრამ ამ თემების კვლევა საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის გარეშე რთული და თითქმის შეუძლებელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოქცეულ საქართველოს „რეინის ფარდის“ არსებობის პირობებში მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საშუალება არ ეძლეოდა. ამ დანაკლისს ევროპასა და ამერიკაში ემიგრირებული ქართველები ავსებდნენ; საქართველოში წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არსებული მძიმე რეუმის გამო ფრაგმენტული, სუსტი და პასიური იყო. განსხვავებით ქართველი ემიგრანტების მიერ დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც ყოველთვის აქტიური და ცოც-

ხალია არა მარტო ქართველ ემიგრანტთა უფროს თაობაში, არამედ ახალგაზრდებშიც. ქართული ემიგრაცია სულდგმულობს და თაობებს ზრდის საქართველოს განთავისუფლების იდეით; საქართველოში საბჭოთა დიქტატურამ მოაზროვნე ინტელიგენციას ფრთხები შეაკვეცა ან მოსპო, იკრძალებოდა თავისუფალი აზროვნება, ამ დანაკლისსაც ემიგრანტი ქართველები ავსებენ, საინტერესოა და ცალკე შევნავლას საჭიროებს მათი ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომები, მათ შორის ეროვნულ საკითხებზე ქართველი ემიგრანტების ნააზრევი.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალ. ასათიანი, მცირე მოგონებანი, კავკასიონი, 1968, XIII.
2. ვ. ბერიძე, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა 1920–1925 წწ., თბ., 1999.
3. შ. ბერეჯიანი, თეთრი გიორგი II მსოფლიო ომში (მოგონება), ომება, 2000, №3.
4. გ. გაბლიანი, ჩემი მოგონებანი (II მსოფლიო ომი), თბ., 1998.
5. ვ. გვარჯალაძე, ანგარიში საქართველოს დემოკრატიული მთავრობისადმი, სტამბოლი, 1923.
6. ვ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1938.
7. ი. გობეჩია, პატარა ერების საერთაშორისო მდგომარეობა და ემიგრაციის მოვალეობანი, პარიზი, 1953.
8. რ. გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.
9. რ. დაუშვილი, ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები XX ს-ის 20-30-იან წლებში, ქართული დიპლომატია, XI, 2004.
10. დიუგე რემონ, მოსკოვი და ნამებული საქართველო, თბ., 1994
11. ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება (მოგონებები), პარიზი-თბილისი, 1989.
12. ივ. ზურაბიშვილი, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936.
13. ს. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბ., 1997.
14. ს. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია (XX ს. 20-იანი წლების პირველი ნახევარი), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

15. მ. კვიტაიშვილი, თეირანის კონფერენცია, ფიქრები საქართველოს მომავალზე, თბ., 1991.
16. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, თბ., 1927.
17. ალ. მანველიშვილი, წერილები და ნარკვევები, სან-ფრანცისკო, 1990.
18. შ. მალლაკელიძე, მოგონებები, წენში: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბ., 1994.
19. ა. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ლონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, წენ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1998.
20. ო. ნიკოლეიშვილი, საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა (1937–1939 წწ.), წენში: მისივე ნარკვევები მსოფლიოს ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005.
21. ნ. ჟორდანია, რჩეული ნანერები, თბ., 1990.
22. ნ. ჟორდანია, ჩვენი ტაქტიკა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროსი, პარიზი, 1926.
23. ვ. რაზმაძე, ის რაც პარტიამ არ იცის, პარიზი, 1931.
24. ნ. რამიშვილი, დემოკრატიული სოციალიზმი, პარიზი, 1931.
25. ნ. საგინაშვილი, თეთრი გიორგი და ქართული ეროვნული მოძრაობა, წენ.: მისივე, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, თბ., 2003.
26. საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის მემუარი დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921 და 1922 წლებში, წენში: ნ. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობანი, თბ., 1997.
27. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ლიტერატურის განყოფილება, ფონდი 278, აღნ. 1, საქმე 127.
28. საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა, დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის, პარიზი, 1937.
29. ი. სიხარულიძე, ნოე რამიშვილი, თბ., 2006.
30. გ. შარაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასავალეთევრობული ცენტრი ქენევაში და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში, თბ., 2006.
31. გ. შარაძე, უცხოეთს ცის ქვეშ, III, თბ., 1993.

32. ი. ჩიჯავა, ემიგრაციაში მყოფი უორდანია-გეგეტქორის მთავრობის პროლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამერიკასთან, 1996, III.
33. ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ., 2001.
34. ალ. ცომაი, რჩეული თხზულებანი, თბ., 2000.
35. გ. ცხოვრებაძე, გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი, ქართული დიპლომატია, III, თბ., 1996.
36. გ. ცხოვრებაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წწ., ქართული დიპლომატია, II, თბ., 1995.
37. გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წწ., თბ., 1996.
38. გ. წერეთელი, ერთი ცხოვრება – ემიგრანტის თავგადასავალი 1917-1993 წწ., თბ., 2004.
39. გრ. წერეთელი, ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971.
40. ი. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები, პარიზი, 1927.
41. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია – პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.
42. ნ. ჯიქია, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან, საქართველო-ევროპა-ამერიკა, 1992, №2.

Shorena Murusidze

*Scientist-researcher, Department of
Modern and Contemporary History, Ivane
Javakhishvili Institute of History and
Ethnology*

FROM THE HISTORY OF NATIONAL-LIBERATION MOVEMENT OF THE GEORGIAN EMIGRATION

Summary

After occupation of Georgia by Russia's Bolshevik army, the Georgian emigrants began their fighting abroad for restoration of lost sovereignty. This fighting was actively supported by the Georgian government in emigration and embassy of Democratic Republic of Georgia as well as the Georgian political parties (social-democrats, social-federalists, national-democrats, social-revolutionists) and other national and political organizations founded

in Europe in different periods. They all had general purpose of fighting though differing by methods and tactics of achievement of goals.

The Georgian emigrants were not able to overcome disunity what achieved such incredible scale with so small number of emigrants. Study of materials proved that their separation was carried out artificially. We mean secret agents sent by government of Soviet Union to Europe. They were commissioned with weakening of emigration and they succeeded in this.

The Soviet Georgia was disabled to communicate with other countries of the World, this shortage was filled by emigrant Georgians. National-liberation movement conducted in Georgia was rather weak and passive because of existing heavy regime and differed from liberation movement carried out by the Georgian emigrants which was always active. The Georgian emigration survived and has always been upbringing new generation with ideas of Georgia's liberation. The Soviet dictatorship made progressive intelligentsia fold their "wings", this shortage was enriched by the Georgian emigration as well. Their literary and scientific works are rather interesting and require separate study, also there are many articles on national questions and ideas of the Georgian emigration which should be studied.

10. კ ანთონი სამორიშვილის ცხოვნების და მოდენიზმის თაონი 1903 წელი თათებულებების გადაწყვეტილება

წელი თათებულებების გადაწყვეტილება

ლელა მიქეაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

იოანე ქართველიშვილის „გემუარების“ მიღვენელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში

იოანე ქართველიშვილის „მემუარები“ („ვითარებათა აღნერა“) ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. იგი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი და სტრუქტურულად განეკუთვნება იმ ლიტერატურულ უანრს, რომელიც XVIII ს. მეორე ნახევარში დაამკვიდრა იქ्स ასეს ძე ბარათაშვილმა თავისი „ცხოვრება-ანდერძით“ [1]. ნიშანდობლივია, რომ ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურად 1768-1785 წლებს მოიცავს (1786 წ. იქ्स ბარათაშვილი ლეკებმა მოკლეს), იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ კი სწორედ ამის მომდევნო ხანის ისტორიული ვითარებაა ასახული 1802 წლამდე – საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარებამდე. აქედან გამომდინარე, უანრობრივი თავისებურების მიუხედავად, თხზულებაში საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ.

„მემუარების“ ტექსტი ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1) „მოსაგონებელნი რიცხვნი“ ანუ – ღირსშესანიშნავი თარიღები, ქრონოლოგიურად 1772-დან 1812 წლამდე; 2) შემოსავლის ნუსხა, ანუ „სია შემოსავლისა“ – 1797-1804 წლები; 3) საკუთრივ „მემუარები“ – 1772-1802 წლები; 4) შესანდობელი, რომელიც მოგვიანებით მიუნერიი იოანეს შვილს (სავარაუდო – გაბრიელს) და რომელიც დაუსრულებელია. ამრიგად, თხზულების ძირითად ნაწილთან შედარებით მის ე.წ. დანართებს უფრო კოცელი ქრონოლოგიური ჩარჩოები გააჩნიათ (1804 და 1812 წლებამდე).

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაწარმოები თავადვე შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს ავტორის შესახებ: იოანე ოთარის ძე ქართველიშვილი (1772-1816 წ.). ქართლის სოფელ ფხვენისში დაბადებულა. სოციალური მდგომარეობით მისი ნინაპრები ბატონიშვილებთან ყმურ დამოკიდებულებაში მყოფი დარიბი გლეხები იყვნენ: „ნიადაგ საკუთარითა ყმობითა ყოფილიყვნენ ნინაპარნი ჩვენი საქარ-

თველოს უფლისწულთა ამათ ძლით მორჩილ ქმნილი“ [2, 71]. იოანეს მამა ოთარი, ყმობიდან გათავისუფლებული, სოფ. გომიჯვარში ბინადრობდა, აქედან ძმასთან ერთად სამშვილდეს – აბდულა-ბეგთან გადასულა, ხოლო სამშვილდის აკლების შემდეგ შიდა ქართლში გადმოვიდა და სოფ. ფხვენისში დასახლდა [3, 200-202]. მდაბიური წარმომავლობის მიუხედავად, იოანე ქართველიშვილმა მოახერხა საფუძვლიანი განათლების მიღება და იმ ეპოქის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე საკუთარი თავის დამკვიდრება. როგორც თავად ავტორი გვამცნობს, სანუისი განათლება მიულია ფხვენისში, შინდისში, ცხინვალში „და სხვაგანაც“. იოანეს მამა აღრე გარდაეცვალა და მის აღზრდა-განათლებაზე დედამ – თამარმა „მხნედ, მამაკაცებრ“ იზრუნა, რის შესახებაც ავტორი არაერთხელ აღნიშნავს თავის თხზულებაში. 12 წლის ასაკში იოანე დედას თბილისში ჩამოუყვანია და 1784-1787 წნ. იგი კალოუბნის ეკლესიაში განაცრობდა სწავლას, ამის შემდეგ ერთი წელი საპატრიარქოს ეკლესიაში „სტიხარცმული იპოდიაკონის“ წოდებით მსახურობდა და პარალელურად განაგრძობდა საერო და სასულიერო ლიტერატურის შესწავლას. 1788-1794 წნ. ჯერ მთავარ დიაკვნად, შემდეგ კი – მღვდლად ხელდასხმული იოანე მსახურებას წეოდა ჯერ თბილისის სიონის ტაძარში, შემდეგ კი – ქრისტეშმობის ეკლესიაში. ამავე დროს, მას არ შეუწყვეტია ზრუნვა სამეცნიერო განათლების გაღრმავებაზეც: 1791-1792 წნ. მისივე თხოვნის საფუძველზე ანტონ კათალიკოსს იგი ჩაუბარებია არქიმანდრიტ ვარლამისათვის, რომელსაც ავტორი მოიხსენიებს, როგორც „კაცა ფრიად მეცნიერსა“ და აღნიშნავს, რომ „მისგან ახსნით ვისწავლე ნიგნი ეს: ღრამატიკა, რიტორიკა, კატილორია, ლოლიკა და მეტაფისიკა“ [2, 70]. ვარლამ ერისთავი (1762-1830 წნ.) ქსნის უკანასკნელი ერისთავის – დავითის ვაჟი იყო. საერო და სასულიერო მწერლობაში იგი პირადად ანტონ კათალიკოსის ზედამხედველობით გაიწაფა, გარდა ამისა, სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენასაც. მოგვიანებით იგი იყო ახტალის ეპისკოპოსი, ხოლო 1811-1817 წნ. საქართველოს ეგზარქოსი [4, 41-45]. 1794 წლიდან იოანე ქართველიშვილმა ფიზიკისა და ფილოსოფიის შესწავლა დაიწყო იმ დროისათვის ცნობილ სწავლულთან იოანე ასეს ძე მიქაელესთან – იქ्स ბარათაშვილის ძმასთან, რომელიც მკვლევარ ა. იოსელიანის ცნობით, 1780-იანი წლებიდან აღა-მაჟმად-ხანის შემოსევამდე თბილისის სემინარიის რექტორი იყო [2, 9].

1794 წ. იოანე ქართველიშვილი, როგორც საუფლისწულო ყმა, იულონ ბატონიშვილმა მიინვია თავის ოჯახში. აღა-მაჟმად-ხანის შემოსევისას იოანე თავისი ცოლ-შვილით სამეფო ოჯახთან ერთად თბილისიდან ჯერ დუშეთს, შემდეგ კი მთიულეთს გაიხიზნა. იმავე წლის ოქტომბერში იულონი ოჯახით ქართლში (გორში) გადადის; ამ დღიდან მოყოლებული ვიდრე 1801 წლამდე იოანე თითქმის განუყოფელი და მას ასეთი დანართების გადაღები მოიხსენიება.

რელად თან ახლდა მას: გარდა იმისა, რომ იგი ბატონიშვილის კარის მღვდელი იყო და მისივე შეიღების (მათ შორის – ლეონის) მოძღვარ-მასწავლებელი, პერიოდულად იგი იულონის მდივნადაც მსახურობდა, რადგან, მისივე სიტყვებით უფლისხულს „სხვა მწერალი არავინა ჰყოლია“ ამ სამსახურის წყალობით ითანეს ხან გორში უხდებოდა ყოფნა, ხან ბელოთში, ხან – ცხინვალში და ა.შ., რის გამოც იგი ერთგვარად ჩამოშორდა სამეცნიერო მოღვაწეობას და უფლისნულის კარის მოხელედ გადაიქცა.

გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ოჯახის წევრთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, როგორც ცნობილია, მნვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა. სამეფო ტახტის მოსაპოვებლად იულონის საკმაოდ სერიოზული მცდელობა მარცხით დასრულდა (მუხრანიდან კახეთს, კერძოდ – ქიზიყს ჩასულ იულონს ქიზიყელებმა „მეფობაზე შემოჰყიცეს“). ასეთ ვითარებაში იულონის თანამოაზრეთა ნინაალმდეგ ამოქმედდა მკაცრი რეპრესიული ზომები, რომლებსაც არა მარტო საერო, არამედ სამღვდელოების წარმომადგენლებიც ემსხვერპლნენ: „ჩამოართვეს მღვდელმთავრობა ამბორის ნეკრესელსა, დასტუქსეს ნიკოლოზ ხარჭაშნელი. მასვე დროსა შეიძყრეს და მისცეს პყრობილებას ოთარ ამილახვარი..., არქიმანდრიტი ბარსანოფე ავალიშვილი, ელევთერ მღვდელი, იოსებ ჭავჭავაძე და თვით დავით ალექსიშვილი – რეეტორი თელავის სემინარიისა“ [5, 222]. მათ შორის დაკავებული იქნა ითანე ქართველიშვილის მოძღვარი ითანე თესეს ძეც [5, 221]. შესაბამისად, 1801 წ. აპრილში იულონი ოჯახითა და ამალით იმერეთში გაიხიზნა და ქუთაისში დაიდო ბინა. ითანე ქართველიშვილი, როგორც მისი ერთგული ყმა, ლტოლვილ ბატონიშვილს ჩაჲყავა, საკუთარი ცოლ-შვილი კი ცხინვალში დატოვა. იმერეთში მყოფი ითანე, იულონის ნებართვით, სოლომონ II-საც უწევდა მდივნობას, მაგალითად, 1801 წ. დეკემბერში სოლომონ მეფისა და იულონის სახელით რუსეთში გაგზავნილ იქნა ითანეს ხელით დაწერილი არზები [6, 124-125].

ოჯახსა და სამკვიდროს მოწყვეტილი ითანე იმერეთში ცხოვრებისას მწუხარებას შეუპყრია და მისივე სიტყვებით, „მოწყინებასა შინა მყოფი“, 1801 წლის სექტემბერში „მემუარების“ წერას შესდგომია, რომელსაც ანდერძად უტოვებდა საკუთარ შვილებს. 1802 წ. იანვარში იულონის თანხმობით ითანე იმერეთიდან ქართლში გამოეგზავრა და იმავე წლის მარტში ცოლ-შვილთან ჩავიდა. ამის შემდეგ იგი თბილისში ჩამოდის და დარეჯან დედოფლის კარზე იწყებს სამსახურს: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ადვილი შესაძლებელია, ეს ნაბიჯი იულონ ბატონიშვილის ინტერესებში შედიოდა და ამ შემთხვევაში ითანე მასთან ნინას-ნარი შეთანხმების საფუძველზე მოქმედდა [2, 16-17]. საგულისხმოა, რომ იმავე წლის აპრილის თვეში ითანეს კვლავ აუღია „ბილე-

თი“ იმერეთში წასასვლელად, მაგრამ როგორც ჩანს, პოლიტიკური მოსაზრებით, რუს მოხელეებს მისთვის წასვლის ნება აღარ მიუკითა. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია ზემოთ აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ.

ამრიგად, 1802 წლის მარტიდან ითანე ქართველიშვილი მუდმივად თბილისშია და დარეჯან დედოფლის ახლავს ავლაბრის სასახლეში. სწორედ აյ წყდება „მემუარების“ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ავტორის განვლილ ცხოვრებაზე მოგვითხოვთ. მისი შემდგომი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალები თავის დროზე ა. იოსელიანმა მოიძია სხვადასხვა წყაროებში, თუმცა საგულისხმოა იოსელიანმა „მემუარების“ ისიც, რომ ამ მხრივ გარკვეულ ცნობებს გვანვდიან „მემუარების“ დანართებიც, (განსაკუთრებით „მოსაგონებელი რიცხვი“); როგორც ირკვევა, 1803 წლიდან დარეჯან დედოფლის რუსეთში გამგზავრების შემდეგ, ითანე ქართველიშვილი რუსული მმართველობის სამსახურში შევიდა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა. სამეფო ოჯახის იძულებითი გასახლების შემდეგ ითანეს თხოვნით მიუმართავს ანტონ კათალიკოსისათვის, ამ უკანასკნელის მზრუნველობით კი იგი ოჯახით თბილისიდან ჯერ მუხრანში, შემდეგ კი მცხეთაში გადასულა, სადაც ფრიად საპატიო საეკლესიო თანამდებობაც მიუღია; კერძოდ, იგი იხსენიება საქართველოს საკათალიკოსს დიკასტერიის წევრად და მცხეთის „დიდი ეკლესის პროტოიერეად“ [2, 18; 6, 105]. თუმცა აქაც მოკლე ხანს უმლესის პროტოიერეად [6, 105]. თუმცა აქაც მოკლე ხანს უმსახურია: 1804 წ. იანვარში თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნით დაინტერესებულ ციციანოვს ანტონ კათალიკოსისათვის პირადად უთხოვია ითანე ქართველიშვილის, როგორც ლირსული პედაგოგის, დათმობა: როგორც ირკვევა, ითანეს, როგორც კვალიფიციური პედაგოგის შესახებ, ციციანოვს ადრევე პქონდა ინფორმაცია დეკანზე ალექსი პეტრიკივისაგან, რასაც მოწმობს ამუკანასკნელის წერილი სასწავლებლის გახსნის სამზადისის თაობაზე: „Для вспомоществования же мне в сем деле считаю нужным учителя 1-го класса священника Иоанна Картвелова – в грузинском языке довольно хорошо сведущего“ (6, 270). შესაბამისად, ციციანოვმა შემდეგი თხოვნით მიმართა კათალიკოსს: «В оном училище должны быть 2 учителя грузинского языка... а как я способнейшим к таковой должности нахожу священника Иоанна Картвелова и иеромонаха Неофита, то прошу покорнейше, В. святейшество, уволив их от должностей, ... приказать им прибыть ко мне в Тифлис. Я уверен, что В. Святейшество по известному мне усердию Вашему к пользе Грузии ... не откажете в сем моем к вам соотношении, хотя бы вы их находили и не безнужными для вас» [5, 198]. თავის მხრივ, ანტონ კათალიკოსს შეუსრულებია ციციანოვის თხოვნა და 1804 წ. 21 მაისიდან ითანე ქართველიშვილი აღნიშნული სასწავლებლის ქართული

ენის პედაგოგად დაინიშნა. ალსანიშნავია, რომ „მოსაგონებელნი რიცხვნის“ ერთ-ერთი ჩანაწერის ცნობით, ამ სასწავლებელში ნარ-მატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის 1806 წ. დეკემბერში ითანებ ქართველიშვილი ოქროს ჯვრით დაუჯილდოებიათ [2, 96], რაც სხვა ოფიციალური დოკუმენტებითაც დასტურდება [6, 198].

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ითანებ ქართველიშვილი მღვდელმსახურებასაც განაგრძობდა: 1806 წ. მას კათალიკოსის მიერ ახალი საეკლესიო ხარისხი მიენიჭა – „პროტოპოპატ კურთხეულ ვიქტერ მარტის 25-სა კათალიკოზის ანტონისაგან“ [2, 94].

1812 წ. უფროსი ვაჟის – შიოს გარდაცვალების შემდეგ ითანებ ქართველიშვილმა „მოსაგონებელნი რიცხვნი“-ს წერაც შეწყვიტა, თუმცა ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წელს იცოცხლა: სავარაუდოდ, იგი 1816 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა [2, 26].

სპეციფიური ხასიათის მიუხედავად, ითანებ ქართველიშვილის თხზულებას მკაფიოდ გამოხატული ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია: მასში ავტორის პირადი ცხოვრება იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან შერწყმით არის აღნერილი, რაც გარევეულ ნარმოდგენას ქმნის საქართველოს ისტორიის ერთი მთლიანი მონაკვეთის შესახებ. თხზულებაში საყურადღებო ცნობებია დაცული ერეკლე II-ის გარდაცვალებისა და გიორგი XII-ს გამეფების შესახებ, ამ უკანასკნელის მეფობისას მომხდარი ზოგიერთი ისტორიული მოვლენის შესახებ; აღნერილია აგრეთვე გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ უფლისნულთა შორის ნარმოებული ბრძოლა ტახტისათვის; ასევე მნიშვნელოვანია ცნობები აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა და მის მიერ თბილისის აოხრების შესახებ. ამრიგად, „მემუარებში“ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და იქ რუსული მმართველობის დამყარების უაღრესად დაძაბული ისტორიული რეალობაა ნარმოდგენილი. მიზეზი, რომელმაც ამ თხზულების შექმნა განაპირობა, ერთი შეხედვით ვიწრო-ოჯახური ხასიათისაა: ითანებ ქართველიშვილი მას შეიღებისათვის სახსოვრად წერდა, შესაბამისად – მემუარებს ბოლომდე გასდევს თხრობის მამა-შვილური კილო, ავტორის მიზანია, შთამომავლობას გააცნოს ნინაპართა ვინაობა, საკუთარი თავგადასავალი, ქონებრივ-საოჯახო ინტერესები. იმერეთში იძულებით გადახვენილი ითანებ იმასაც ითვალისწინებდა, რომ იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გამო, შესაძლოა ვეღარც ლირსებოდა შვილებთან შეხვედრა, ამიტომ „მემუარებში“ მათ რამდენიმე მუხლისაგან შემდგარ რჩევა-დარიგებას უტოვებს ანდერძის სახით, იმის იმედით, რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში ეს „დანერილი“ მაინც მიაღწევდა შვილებამდე და „სისრულეს მიეცემოდა“.

ქართულ მნერლობაში აღნიშნული უანრის (ანდერძ-თავგადა-სავლის) შესანიშნავი ნიმუში XVIII ს. მოღვანის იესე ოსეს ძე ბარა-

თავილის „ცხოვრება-ანდერძი“ [1]. სრულიად ბუნებრივია, რომ ითანებ ქართველიშვილის „მემუარებში“ შესამჩნევია ამ თხზულების გავლენა: ორივე ავტორი დაახლოებით ერთ ეპოქაში ცხოვრობდა (იესე ბარათაშვილის გარდაცვალებისას ითანებ 16 წლისა იქნებოდა), შესაბამისად, იესე ბარათაშვილის თხზულება მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო საგულისხმოა ისიც, რომ ითანებ ქართველიშვილის მოღვარი და მასწავლებელი იყო ითანებ ოსეს ძე მიქაელი – იესე ბარათაშვილის დვიძლი ძმა; ითანებ ასევე ახლო ურთიერთობა პქონდა იესე ბარათაშვილის ვაჟთან – დავითთან (მან დავითს მოანათვდინა 1798 წ. დაბადებული თავისი ასული სოფიო). ქრონოლოგიური დერძის“ გაგრძელებაა, აეგდან გამომდინარე, ამ ორ თხზულებაში არსებითად საქართველოს ისტორიის ორი განსხვავებული ეპოქაა აღწერილი. შესაბამისად, განსხვავებულია ამ ორი ავტორის მსოფლმხედველობაც: თავისი სოციალური მდგომარეობით იესე ბარათაშვილი ერეკლე II-ის კარის მოხელე იყო და მისი მსჯელობაც ფეოდალურ-ბატონებური ეპოქის შესაფერისა (მის მფლობელობაშია ორი სათავადო მამული მრავალრიცხვანი ყმებით), ხოლო ითანებ ქართველიშვილის მსოფლმხედველობა უფრო წვრილბურუჟუაზიულ-ქართველიშვილი ხასიათისაა: საქართველოში რუსეთის მმართველობის მოქალაქეური ბარის მიზანი საარსებო წყაროა პედაგოგიური კი ახალი ვითარების ფონზე მისი საარსებო წყაროა პედაგოგიური მოღვაწეობა და საეკლესიო მსახურება [2, 49-50]. ბუნებრივია, ამან შესაბამისი ასახვა პოვა ამ ორი ავტორის შემოქმედებაში – იესე ბარათაშვილის თხზულება ზოგჯერ გადატვირთულია წვრილმანი საოჯახო მნიშვნელობის მოვლენებით, თარიღებით, შემოსავლისა თუ ხარჯის აღმნიშვნელი ციფრებით; ამის გათვალისწინებით ითანებ ქართველიშვილმა თავისი თხზულება სამ ნანილად დაჰყო და საკუთრივ „მემუარებში“ ტექსტი ამგვარი მომაპეზრებული და უმნიშვნელო წვრილმანებისაგან გაათავისუფლა, მიუჩინა რა მათ ადგილი დანართებში (შემოსავლის ნუსხა და ა.შ.). შედეგად, „მემუარები“ გაცილებით უფრო მსუბუქდ იყითხება, ამავე დროს, ამ გზით შენარჩუნებულია „შემოსავლის ნუსხა“, რომელიც მნიშვნელოვან მასალას იძლევა იმ პერიოდის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესანავლად.

ითანებ ქართველიშვილი თავადვე აღნიშნავს, თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა თხზულების წერისას: „რომელიცა არს მეხსიერებასა შინა ჩემსა, ანუ ხილული ჩემგან და ანუ მოთხოვნილი წინაპართა ჩემგან დღითგან შობისა ჩემისა ვიდრე აქამომდე“ [2, 65]. ალსანიშნავი მოღვანის ამსახველ ინფორმაციაზე, რაც ადვილად აიხ-

სნება სამეფო ოჯახის წევრებთან მისი მჭიდრო ურთიერთობებით: როგორც ცნობილია, მას დიდად სწყალობდა დარეჯან დედოფალი, ალექსანდრე ბატონიშვილს მისი უფროსი ვაჟი შიო მოუნათლავს, იულონის ვაჟს – ლეონს კი მისი მეორე ვაჟი გაბრიელი, ამასთანავე, ითანე იყო ლეონის აღმზრდელი და მასნავლებელი [7, 134, 229].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი ბიოგრაფიული ცნობების გარდა იოანე ქართველიშვილის თხზულებაში ასახულია იმ ეპოქის პოლიტიკური და სოციალური მოვლენებიც, როგორიც არის 1785 წ. ომარ-ხანის მიერ ახტალისა და ვაპანის დარბევა, 1786 წ. ერეკლეს ლაშქრობა განჯაზე, ომარ-ხანთან დაზავება, აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აღება, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი შემდგომი მოვლენები და ა.შ. „მემუარებში“ შემონახული ცნობების ნაწილი ავსებს დანარჩენი ქართული წყაროების მონაცემებს. ამ მხრივ თხზულებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მასალები აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის შესახებ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ 1795 წ. თავდასხმის დროს თბილისის მოსახლეობის ევაკუაციის დეტალები ასე დაწვრილებით არც ერთ სხვა წყაროში არ არის აღნერილი. იოანე ქართველიშვილი, როგორც სასულიერო პირი, უშუალოდ არ მონაილეობდა კრწანისის ბრძოლაში, შესაბამისად, იგი არ აშუქებს ამ ბრძოლის ეპიზოდებს, სამაგიეროდ დაწვრილებით აღნერსამ პრობლემებს, რომელთა ნინაშეც აღმოჩნდა თბილისიდან გახიზული მოსახლეობის ყველა ფენა, მათ შორის – ნარჩინებულთა ოჯახებიც. იოანე ქართველიშვილი მიუკერძოებლად გადმოგვცემს ქართველთა ლაშქრისა და სამეფო იასაულების მიერ ჩადენილი ძალადობისა და დაყაჩალების ფაქტებს; ასე მაგალითად, აღნერს რა მტრის მიერ მიყენებულ ზარალს („... შემოვიდა აღა-მაჰმად-ხან ტფილისა შინა, ტყვე ჰყო მუნებურნი, ალიღო ალაფი... ხაზინა სამეფო, ნიგონი ეკლესიისანი და სიმდიდრე სხვათა სახლთა და მოქალაქეთა აურაცხელი. მონვა ცეცხლითა პალატნი და სახლნი სამეფონი და სრულიად ტფილისი ... ვაი, ვაი, ცოდვათა ჩვენთა სიმრავლესა! რაოდენი ქალნულნი განიხრწნეს, რაოდენი ტყვე იქმნეს...“ შემდეგ ჩამოთვლილია დანაკარგები – სინმინდები და საეკლესიო ძვირფასეულობა, სამეფო გვირგვინი, სკიპტრი და სხ.), იქვე დასძენს: „უკვეთუ რაი გადარჩათ აუკლებელ და ნაულებელ ყიზილბაშთა და გამოეტანათ ვისმე რამე, იგიცა აიკლეს გამოქცეულთა იმერთა და სხვათა აგრეთვე მეკობრეთა ქართველთა და მთის კაცთა, რამეთუ უამსა მას, ვიდრემდი სცნობდნენ ნარსელასა აღა-მაჰმად-ხანისასა, ქართლს და კახეთსა შინა თვით იკლებდნენ ურთიერთთა, ვინ ვისცა მოერის, არარას სინიდისის მგრძნობელი“ [2, 73]. იმერელი მებრძოლების მიერ ხიზანთა დაყაჩალების ფაქტები იმ პერიოდის სხვა ავტორთა თხზულებებშიც არის შემონახული. მაგალითად, თეიმურაზ ბატონიშვილი ნერდა: „ხოლო ოდეს განვიდოდა

მეცე ტფილისით, განუტევა მეფე იმერეთისა სოლომონ ... სამეფოდ თვისად, რამეთუ ბრძვეს მხედრობათაცა მისთა მტერთა მიმართ სახელოვნად. არამედ ... ოდეს იგი მეფე სოლომონ ნარემართა გზასა თვისისა, მაშინ უცნობელად მისა განეცვნეს მას მხედრობისა მისიაგან კაცნი რაოდენიმე. ჰემონებდა მეფე ნინარე ნარსელასა მათსა, გარნა დაადგრნენ იგინი ადგილსა დაფარულსა უკანით, რათა არა იხილნეს იგინი მეფემან მათმან და ოდეს განეშორა მათ მეფე, ინყეს ავაზაკებრივ მოქმედება, რამეთუ სადაცა ჰპოვნეს გზათა ზე-და სახლეულებანი ტფილისელთა მცხოვრებთაგან აყრილნი და მლტოლვარენი, განძარცვად მათდა ხელყვეს და რომელნიმე მათგანი განძარცვეს, ხოლო სხვანი ხიზანი სიმხნითა თვისითა ჰფარვიდეს თავსა თვისისა“ [8, 38]. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია „რაოდენის თავსა თვისისა“ [8, 38]. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია „რაოდენიმე“ (სავარაუდოდ – რამდენიმე ათეულ) მეომარზე, რომელნიც მეფისაგან მალულად გამოეცვნენ ჯარს, თუმცა ამას ფართო ხასიათი არ ჰქონია. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ფაქტები ნახსენები არ არის დავით და ბაგრატ ბატონიშვილების თხზულებები, ხოლო რაც შეეხება უცხოელ ავტორთა ცნობებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბუტკოვისა და არტემ არარატელის ცნობები იმდენად ტენდენციურია, რომ მათ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვთ; ამასთან დაეხვირებით ი. ცინცაძე, რომელიც თავის მონოგრაფიაში საგანგებოდ შეეხო მათ ნაშრომებს, ნერდა: „პ. ბუტკოვის მიერ აღნერილი კრწანისის ბრძოლის სურათი ყალბია და სინამდვილესთან ამ სუკრწანის მხრივ ის აკავშირებს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ამ ბრძოლაში მართლაც დაამარცხა აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხვანამა ლაშქარმა, დანარჩენი ყოველივე არარატელის მიერ გამოგონილი ამბების ისტორიულ ცნობებთან შერწყმაა და სხვა არაფერი“.... ამბების ისტორიულ ცნობებთან შედება ჯარების მოძრაობის დროს... გარენრებისა და ავაზაკების უმნიშვნელო პროცენტი უნებლივედ ყოველი ლაშქრობისათვის არის დამახასიათებელი და არც იმერეთის რაზმი შეადგენდა გამონაკლის... თითო-ოროლა ავაზაკის მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც ჩანს, შემდეგ გააზიადეს და XIX ს. ქართულსა და რუსულ პრესაშიც საკამათო საკითხად გადააკციეს“ [9, 12; 208-210].

იოანე ქართველიშვილის, როგორც თვითმხილველის მიერ აღნერილი ამგვარი ფაქტები გაცილებით უფრო სანდოდ და სრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ. მისა გადმოცემით, თბილისელ ლტოლვილებს არც დუშეთის მხარეში დაჲკლებიათ დარბევა; იგი იულონის ლებას არც დუშეთის მხარეში და შემდეგნაირად აღნერს იმ გასაჭირს, ოჯახთან ერთად გაიხიზნა და შემდეგნაირად აღნერანის მინდვრამდე ვერსადა იხილავდი გზასა ცალიერსა, რომელსა ზედა არა ვიდოდნენ უმეტეს ქვეითი, ქალნი მორთულნი და ცოლნი ნარჩინებულთანი ... მიველ რა დუშეთს, ვერდარა რა ვიხილე ბარგითა ჩემთაგანი, რამეთუ

აეკლოთ და წაელოთ ყოველივე არა თუ მარტო ჩემი, მეფის ძის იულონისა, ყოველივე რაცა აქვნდა, კათალიკოზისა ყოვლის შესამოსლით და სვეტიცხოვლის სამკაულით, – ღუშეთს შინა ერთა – უმეტეს სომებთა და სხვათა გარემოს მყოფთა მახლობელთა დაბათაგანთა” [2, 74-75]. იქვე ვკითხულობთ, რომ ერეკლეს განკარგულებით რამდენიმე ავაზაკი შეიძყრეს და ნაძარცვი დააბრუნებინეს, უმეტესად ეს იყო სვეტიცხოვლის ძვირფასეულობა, თუმცა იქვე იოანე ქართველიშვილი აღნიშნავს: „უკეთუ მოჰკონდათ ქურდთა და ავაზაკთა რაიმე, თვინიერ ეკლესისა ნივთისა, ან იქლებდნენ იასაულნი, დაყენებულნი მეფისაგან და არა ანებებდნენ პატრონთა თვისთა, უკანონობის ძლით ქვეყანისა ჩვენისა“ [2, 76].

რაც შეეხება ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როგორც მოსალოდნელი იყო, იოანე ქართველიშვილი იულონ ბატონიშვილის ინტერესებიდან გამომდინარე აღნერს ფაქტებს. იგი მოურიდებლად ადანაშაულებს გიორგი XII-ს, იქამდეც კი მიდის, რომ იმ პერიოდში ქართლში გავრცელებულ ჭირის ეპიდემიას უფრო ნაკლებ უბედურებად მიიჩნევს მეფის ქმედებებთან შედარებით: „მოეფინა სენი იგი მომსრველი ქართლსა შინა, მაგრა უმეტეს გამრავლდა და გარდაემატა სენსა მას შური მეფისა გიორგისა ძმათა თვისთა ზედა“ [2, 79]. ასეთივე პოზიციიდან აღნერს იგი გიორგი XII-სა და მის ძმებს შორის 1799-1800 წლებში არსებულ დაპირისპირებას, მეფის მიერ მცველად დაქირავებულ ლეპთა რაზმების თარეშს, მათი კუთვნილი ჯამაგირის გასასტუმრებლად მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადების სიმძიმეს (იგივე ფაქტის შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვს პლ. იოსელიანს, რომელიც ლეკების წაქეზებაში დარეჯან დედოფალს, იულონსა და ალექსანდრეს ადანაშაულებს [5, 198-199]).

იოანე ქართველიშვილი თვითმხილველი და თანამონაწილეა გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ იულონ ბატონიშვილის მიერ ტახტისათვის წამოწყებული ბრძოლისა, ერძოდ, 1801 წ. იანვარში იგი თან ახლდა იულონს ქიზიში, როცა ქიზიყელებმა ეს უკანასკნელი მეფედ გამოაცხადეს და ერთგულება შეცვიცეს. დავით ბატონიშვილის მიერ იულონის წინააღმდეგ მიღებული ზომების შემდეგ კი იოანე ქართველიშვილი, როგორც უკვე ითქვა, თან გაცყვა იმერეთში გადახვენილ იულონს. შესაბამისად, მემუარების ძირითადი ტექსტიც ქრონოლოგიურად 1802 წლისთვის წყდება. ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარია, თუკი იოანემ 1816 წლამდე იცოცხლა, რატომ აღარ გააგრძელა თხზულების წერა, მით უფრო, რომ ერთ-ერთი დანართი – „შემოსავლის წუსხა“ მას 1812 წლამდე მოჰყავს? მკვლევართა ვარაუდით, ამის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ცარიზმის რეუმისათვის დამახასიათებელი ცენზურა. ამის არგუმენტად გამოდგება თუნდაც იოანე ქართველიშვილის შენიშვნა 1801 წ. აპ-

რილში იმერეთში დაბრუნების თაობაზე: „აპრილის 1 ავილე ბილეთი იმერეთს წასასვლელად, მაგრა ვერლარაშევიძელი წასვლა მიზეზთა რომელთამე ძლით, ვინათვან მოვიდნენცა ქნორინგი და კოვალენსკი აპრილის 9. წარკითხვა მანიფესტისა და დაფიცება თფილის სავსებისა აღსრულდა აპრილის 12, ეკლესიასა შინა სიონისასა, ნინას ჯვარსა ზედა, რომელთა თანა ვიყავი მეცა“ [2, 91]. ამრიგად, როგორც თვითმხილველი, იოანე ქართველიშვილი მონმე იყო მიმისა, რომ სიონის ტაძარში შეკრებილნი ალყაში მოაქცია რუსეთის ჯარმა და ეს ფიციც ძალის გამოყენებით იქნა მიღებული, მაგრამ სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო ჩვენი ავტორი ამის შესახებ ვერაფერს ამბობს. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის წინააღმდეგ 1802 წლის აჯანყების თაობაზეც, რომელსაც იგი შეგნებულად გვერდს უვლის და წერს: „(1812 წ. აგვისტოს) შინა მოხდა სხვა და სხვა რიგად აღეულობითი დრონი კახეთსა და ქართლსა შინა, რომელსაცა ვინცა წაიკითხავ, მაშინდელ დროს მოგაგონებს“; ეს ფრაზა ხელნაწერში თვით ავტორის მიერ არის გადახაზული (თუმცა თავისუფლად იკითხება). აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რუსეთის მმართველობის დაკვიდრებით საქართველოში თითქოს დასრულდა და დიდი ბრძოლებისა და ლირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენების ეპოქა. იოანე ქართველიშვილი და მის მსგავსად – სხვა ავტორებიც (მაგალითად, იგივე ბატონიშვილები) ამჯობინებენ ასეთ საკითხებზე მსჯელობისაგან თავი შეიკავონ [10]. ალბათ ამიტომაც, „მემუარების“ ტექსტი 1802 წლით სრულდება და მას საოჯახო წვრილმანი ამბებით დატვირთული უწყინარი „შემოსავლის წუსხა“ აგვირგვინებს დანართის სახით (1812 წლამდე).

იოანე ქართველიშვილის თხზულების ბოლო ფრაზა („გარნა შემდგომი უწყის მხოლოდ განგებამან საღმომან“) სწორედ არსებული მდგომარეობის გამო ავტორის „დადუმების“ მიზეზზე და ბუნდოვანი და გაურკვეველი მომავლის მიმართ მის შეშფოთებულ განცყდაზე მიანიშნებს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა ა. იოსელიანმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, წაკვ. 28, თბ., 1950.
2. იოანე ქართველიშვილის მემუარები, ტექსტი გამოსცა ა. იოსელიანმა, თბ., 1952.
3. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი წახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980.

4. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი, კრებ. „ანალები“, 2002, 2.
5. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტექსტი გამოსცა ა. განერელიამ, თბ., 1936.
6. Акты Кавказской Археографической Комиссии, под редакцией А. Берже, т. II, Тифлис, 1868.
7. Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, Тифлис, 1902.
8. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1972.
9. ი. ცინცაძე, აღა-მამად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969.
10. ლ. მიქიაშვილი, XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ, აღმანახი „კლიო“, № 21, 2004.

Lela Mikashvili

Doctor of history, chief scientific researcher, Department of Modern and Contemporary History,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

“MEMOIRS” OF IOANE KARTVELISHVILI AS HISTORICAL SOURCES

Summary

Ioane Kartvelishvili's work was created at the points of XVIII-XIX centuries and belongs to the literary genre which was established by Iese Baratashvili in the Georgian historiography by his “Life-Testament”. The main text of “Memoirs” chronologically comprises period between 1772-1802, and its additions refer to 1804 and 1812. In parallel with the author's biography the story tells about significant social and political events of his contemporary epoch including death of Erekle II, raising of Giorgi XII to the throne and the fight between the princes in connection with this event for the throne, abolishment of Kartli-Kakheti Kingdom by Russia and establishment of Russian government there, etc. Part of information saved in “Memoirs” fill in information of other Georgian sources. Special interest should be paid to materials about invasion of Aga-Mahmad-Khan which describe in details events which developed during evacuation of Tbilisi population. Besides, additions to this story keep significant material of Georgia's economic history of the mentioned period.

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ინგლისელი უზრნალისტი პარი ნევინსონი საქართველოს შესახებ (1906)

შესავლის მაგიერ

ჯერ კიდევ 1902 წელს გურიაში გაფართოვდა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა, რაც გამოწვეული იყო მცირემინიანობით, მაღალი გადასახადებით და მოხელეთა ძალადობით. 1903-04 წლებში გურია-სამეგრელოსა და სხვა რაიონებში ჩამოყალიბდა გლეხთა და სოფლის მუშათა კომიტეტები. სოციალ-დემოკრატების აგიტაციის შედეგად მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობდა ცარიზმის დამხობაზე, ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებაზე დემოკრატიული მართვა-გამგეობის შემოღებაზე. განმათავისუფლებელ მოძრაობას ტონს გლეხობა აძლევდა. 1904 წელს მრავალი სოფლის გლეხობამ შექმნა თვითმმართველობის ორგანოები; სახალხო კრებებზე ირჩევ-დნენ სოფლის მეთაურებსა და მოსამართლეებს.

ჩამოყალიბდა რევოლუციური სიტუაცია, რითაც საქართველომ რუსეთსაც გაუსწრო. რუსეთში დაწყებულმა რევოლუციამ კი უფრო გაამძაფრა განაპირა მხარეთა ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისთვის. განსაკუთრებით გაძლიერდა გამოსვლები მეფის 17 ოქტომბრის მანიუდესტის “გამოქვეყნების შემდეგ. 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ბევრგან ხელისუფლებას რევოლუციური კომიტეტები დაეუფლნენ. ისინი ასრულებდნენ მართვა-გამგეობის ფუნქციას ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, გორისა და სხვა მაზრებში. გლეხთა რევოლუციები აწარმოებდნენ მინების გლეხებისთვის დარიგებას, ხელმძღვანელობდნენ გზების შეკეთება-სა და გაყვანას; ასრულებდნენ სასამართლო ფუნქციებს – საჯაროდ ასამართლებდნენ ქურდებს, კაცის მკვლელებს, ჯაშუშებს. თითქმის სრულად აღიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულებანი. გლეხები განაგებდნენ თავიანთი სოფლის სამეურნეო-ეკონომიკურსა და კულტურულ ცხოვრებას. 1905 წლის დეკემბერში გაფიცვა-აჯანყებებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. კარგად იყო ორგანიზებული აჯანყებები დასავლეთ საქართველოში. ხალხმა თითქმის ყველა სა-მაზრო სამმართველო დამხობა. შეიარაღებული გლეხობა ერეკებოდა

ხელისუფლების ნარმომადგენლებს. ძალა-უფლება ფაქტიურად ხალხის ხელში გადავიდა.

როგორც მეფის იმდროინდელი ერთ-ერთი მოხელე წერდა, „უცხოელები საგანგებოდ ჩამოდიან კავკასიაში, რათა ადგილზე გაცნონ რუსეთის სახელმწიფო ბრიობის ახალ ფორმებსო“. ასე მაგალითად, 1905 წლის შემოდგომაზე ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა“ საკუთარი კორესპონდენტი ლუიჯი ვილლარი მოავლინა საქართველოში. ვილლარმა ლონდონში ვარლამ ჩერქეზიშვილისგან წამოილო სარეკომენდაციო წერილები ილია ჭავჭავაძესთან, გიორგი ზდანოვიჩთან [1] და მიხაკო წერეთელთან [2]. სამშობლოში დაბრუნებისას გამოსცა წიგნი „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ (Villari Luigi, Fire and Sword in the Caucasus, London, 1906. ამ წიგნს მივაკვლიეთ ქ. ოქსფორდის ბოდლეინის ბიბლიოთეკაში უორდროპის კოლექციაში – 24429.34 შიცრით – გ.გ.). ეს წიგნი ეხებოდა 1905 წლის შემოდგომის პერიოდს. მთავარი რეპრესიები კი 1906 წლის გაზაფხულ-ზაფხულში განვითარდა.

რევოლუციასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით მეფის ხელისუფლებამ აღადგინა მეფისნაცვლობა და გოლიცინის მაგიერ კავკასიაში გამოგზავნა გრაფი ვორონცოვ-დაშვილი. ამან დააწესა კავკასიის პოლიციის უფროსის თანამდებობა და მიანდო რევოლუციასთან ბრძოლა. დაწყო დამსჯელი ექსპედიციების განუკითხავი თარეში.

1906 წლის 8 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოქმედი, ე.წ. „რიონის საქასპედიციო დამსჯელი რაზმის“ უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი. იგი გუბერნიის დროებითი მმართველიც იყო; 10 მარტს შევიდა ოზურგეთში და დარჩა ივლისის ბოლომდე. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ამ რაზმების ველური მოქმედება გურიაში. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა (ნასაკირალთან და სხვა), მათ გადაწევს ქალაქები, სოფლები; ნაცარტუტად აქციეს მებრძოლ გლეხთა კარმიდამოები. ბევრი გლეხი დახოცეს, დაპატიმრეს; ნანილმა ტყეებსა და მთებს შეაფარა თავი. გარდა ნგრევა-გადაწვისა, სალდათებმა ურმებით გაიტანეს ყველა-ფერი – ავეჯი, ჭურჭელი, იარაღი, პროდუქტი, საქონელი. [ხომ არ გვაგონებს მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩადენილი ბარბაროსობა მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში რუსების მიერ საქართველოში განმეორებულ მაროდერობას? ეტყობა რუსის სურვილები და ბუნება არ იცვლება!]

სოციალისტ-ფედერალისტების ორგანომ „ცნობის ფურცელმა“ აღწერა ალიხანოვ-ავარსკის მიერ დატრიალებული საშინელებანი (სამსონ ფირცხალავა). ეს ცნობები ვარლამ ჩერქეზიშვილმა, რომელიც იმხანად საქართველოში იმყოფებოდა, რამდენიმე სტატიის

სახით გაგზავნა აშშ-სა და ინგლისში („ჩიკაგო დეილი ნიუსი“ და „დეილი ქრონიკლი“).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა ქართველი სამღვდელოების ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. 1905 წლის თებერვალში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ „პეტიცია“ გაუგზავნა რუსეთის მინისტრთა კომიტეტს. იგივე გაიმტორეს აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიებმაც. 1905 წლის 11 ოქტომბერს ქართველმა თავადაზნურობამ, თბილისისა და ქუთაისის ქალაქისთავებმა, საეგზარქოსოს ოთხივე ეპისკოპოსმა ეგზარქოს ნიკოლოზს მიართვეს საერთო თხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. მათ ჩამოაყალიბეს „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“, რომელმაც თავისი მოთხოვნები გააძლიერა რუსიფიკატორი ეგზარქოსნის ნიკონის გამოგზავნის შემდეგ. რუსული ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ავტოკეფალისტთა მოქმედება იყო ეროვნულ-პოლიტიკური და არა მხოლოდ საეკლესიო მოძრაობა, რომლის ხელმძღვანელობასაც ასრულებდნენ ეპისკოპოსები ლეონიდე [3], კირიონი [4], პეტრე, დავითი. ცხადია, მათი მისამართით მთავრობამ რეპრესიებს მიმართა.

რაც შეეხება ქართული სახელმწიფო ბრიობის აღდგენას, მოწინავე ინტელიგენციაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. როგორც ცნობილია, სოციალისტ-ფედერალისტები და მისი ეროვნულ-დემოკრატიული ფრთა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მომხრე იყო; წინა პლაზე ეროვნულ საკითხს აყენებდნენ – ყველა ერს უნდა ჰქონდეს თავისი საკანონმდებლო პარლამენტი და ჰყავდეს ავტონომიური მთავრობა. ვარლამ ჩერქეზიშვილი რუსეთს ადანაშაულებდა 1783 წლის ტრაქტატის პირობათა ძალადობრივ დარღვევაში, რასაც ის ევროპულ კონფერენციებზე თუ პრესისა და მეგობარ-მობრეთა საშუალებით აცნობებდა ევროპის ქვეყნების მთავრობებს. მისი ეს გავლენა იგრძნობა ჩვენი მოგზაურის სტატიაშიც.

ასეთი იყო ზოგადად ვითარება საქართველოში ჰენრი ვუუდ ნევინსონის პირველი მოგზაურობის დროს, რაც აისახა „ჰარპერის“ ყოველთვიურ ჟურნალში გამოქვეყნებულ მის სტატიაში – „კავკასიის ტვირთი“ („The Burden of the Caucasus“). 1908 წლის მაისში. ამავე პერიოდს მიუძღვნა მან სხვა სტატიებიც: „A valley of Caucasus“ (იანვ. 1908); „The fire of the Caucasus“ (მარტი. 1908); „Through the gate of the Caucasus“ (ყოველკვირეული, სექტ. 1907) და სხვ.

სანამ მოვიტანთ ტექსტის ქართულ თარგმანს, მოკლედ წარმოვაჩენთ თვით მოგზაურის ბიოგრაფიას და მის ურთიერთობას საქართველოსთან.

ჰენრი ვუუდ ნევინსონი დაიბადა ლესესტერში 1856 წელს. ის სნავლობდა შრიუსბერის სკოლასა და ოქსფორდის ქრისტეს ეკლე

სის (იესუს – გ.გ.) კოლეჯში, სადაც მოექცა ქრისტიან-სოციალისტების გავლენის ქვეშ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნევინსონი გადავიდა ლონდონში. აქ ის მსახურობდა ტოინბი პოლში და ბრეფორმდის კოლეჯში კითხულობდა ლექციებს ისტორიაში.

1897 წელს ნევინსონი „დეილი ქრონიკლის“ თანამშრომელია. თავისი რეპორტაჟებით ბურების ომის შესახებ ნევინსონმა სახელი გაითქვა როგორც შესანიშნავმა უურნალისტმა. ამავე დროს ის იყო მებრძოლი ბუნების – ამზილებდა მონობას პორტუგალიის ანგოლაში და ნიგნიც გამოაქვეყნა 1906 წელს – „თანამედროვე მონობა“ („A Modern Slavery“). ნევინსონი 1905-06 წლებში მსახურობდა რუსეთში, 1907-08 წლებში ინდოეთში „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტად. ის ასევე გადმოსცემდა რეპორტაჟებს ბალკანეთის ომის შესახებ „დეილი ქრონიკლისთვის“.

ჰენრი და მისი მეუღლე მარგარეტ ნევინსონი ორივენი თანამშრომლობდნენ „ქალთა სოციალურ და პოლიტიკურ კავშირთან“ (Women's Social and Political Union)... 1907 წელს მარგარეტი შეუერთდა „ქალთა თავისუფლების ლიგას“ (Women's Freedom League). მოგვიანებით იმავე წელს ჰენრი ნევინსონმა და კიდევ 39-მა პირვენებამ ჩამოაყალიბეს „მამაკაცთა ლიგა ქალთა საარჩევნო ხმის უფლებისთვის“ (Men's League for Women's Suffrage)....

მიუხედავად მთავრობის უარისა, რომ ის ყოფილიყო იმის ოფიციალურ ექვს კორესპონდენტთაგან ერთ-ერთი, ნევინსონი მაინც ნავიდა დასავლეთის ფრონტზე რეპორტაჟებისთვის. ის გაჰყვა ექსპედიციას დარდანელისკენ, სადაც დაიჭრა დესანტის გადმოსხმისას... ნევინსონმა დანერა 30-ზე მეტი წიგნი, რომელთა შორისაა „ქალთა საარჩევნო ხმის უფლება და მამაკაცები“ (Women's Vote and Men, 1913), „ესეები თავისუფლებასა და აჯანყებებზე“ (Essays in Freedom and Rebellion, 1921), სამი ტომი ავტობიოგრაფიისა – „ცვლილებები და შესაძლებლობები“ (Changes and Chances, 1925-28).

1932 წელს ჰენრის გარდაეცვალა მეუღლე. შემდეგ წელს კი ცოლად შეირთო ეველინ შარპი, რომელიც ნარმოადგენდა ოჯახის მეგობარს 1901 წლიდან. ჰენრი ნევინსონი 1939 წელს გახდა „სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის საბჭოს“ (Council for the Defence of Civil Liberties) პრეზიდენტი. იგი გარდაიცვალა 1941 წელს.

ამ მოელე ბიოგრაფიული ცნობების გარდა, ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე მისი ურთიერთდამოკიდებულება ქართველებთან და საქართველოსთან.

1906 წელს ცნობილი ინგლისელი უურნალისტი ჰენრი ნევინსონი, რომელიც ინგლისა და შეერთებულ შტატებში მიღებული იყო კარგ მწერლად და რადიკალურ უურნალისტად, პეტერბურგიდან დარიალის გზით ჩამოვიდა თბილისში. იგი ლონდონშივე მეგობრობ-

და ვარლამ და ფრედა ჩერქეზიშვილების ოჯახთან. მისი ჩამოსულის დროისათვის ჩერქეზიშვილები იმყოფებოდნენ საქართველოში. მათ ნევინსონი ნარუდგინეს ილია ჭავჭავაძეს.

ვარლამ ჩერქეზიშვილის რჩევით მონინავე ქართველმა საზოგადო მოღვაწე ქალებმა გაუგზავნეს „საპროტესტო მიმართვა“ ცნობილ ინგლისელ ქალებს იმ საშინელი რეპრესიების გამო, რაც ხდებოდა საქართველოს სხვა და სხვა მხარეებში და სთხოვეს თანადგომა და დახმარება. ლონდონში შეიქმნა საქართველოს მხარდამჭერი კომიტეტი, რომელის მოქმედების შედეგიც გამოიხატა ათასობით ინგლისელი ქალის ხელმოწერით, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ინგლისის მთავრობაზე. ზემოაღნიშნულ კომიტეტს ფულადი შენირულობებიც შემოუვიდა. შემონირული თანხის („პირველი ათასი ჩენითის“) ჩამოსატანად საქართველოში გამოემგზავრა ვარლამ ჩერქეზის“) ჩამოსატანად საქართველოში გამოემგზავრა ვარლამ ჩერქეზის“) ჩამოსატანად სეგან დრაიპორსტი. ეს თანხა გურია-ქეზიშვილის მეგობარი ქალი – ნენი დრაიპორსტი. ამ ქალბატონს 1906 წლის ნოემბრიერთისთვის იყო განკუთვნილი. ამ ქალბატონს 1906 წლის ნოემბრისთვის შეხვდნენ ჩერქეზიშვილები. ამავე დროს საქართველოში თბილისში შეხვდნენ ჩერქეზისტის ავტორიც. ცოლ-ქმარმა ჩერქეზიშვილებთველოშია ჩვენი სტატიის ავტორიც. ცოლ-ქმარმა ჩერქეზიშვილების უწყობდნენ შეხვედრებსა და კრებებს.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა პირველად ჯერ მხოლოდ ქ-ნი დრაიპორსტი ამგზავრა ქუთაისში, სადაც შეახვედრა იქაურ ინტელიგენციის ციას, რომელთა შორის იყვნენ გიორგი ზდანვიჩი, ეპისკოპოსი ლეონიდე, დეკანზი დავით ლამბაშიძე. აქედან ქ-ნი დრაიპორსტი გურიის გავლით ჩავიდა ბათუმში, ხოლო იქიდან ინგლისს გაპრუნდა. ნანახისა და განცდილის შემდეგ შთაბეჭდილებით სავსე იგი საქართველოს მეგობრად იქცა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ქ-ნ დრაიპორსტს ქუთაისში დაემშვიდება დაბრუნდა თბილისში და ჰ.ნევინსონთან ერთად გაემგზავრა დამკახეთსა და გურიაში სათანადო მასალის შესაგროვებლად და დამკახელი ექსპედიციებისაგან გაჩანაგებული სოფლებისა და ქალაქების გადასალებად და ჩასახატად.

კახეთში ნევინსონი გაოცებული იყო იქაური ინტელიგენციის განსწავლულობით, ნაკითხობით, დემოკრატიზმით, სოციალური საკუთხევლით გატაცებით, გლეხობის სტუმართმოყვარეობით (შევსწრო ქორწილს, იყო სტუმრად ოჯახებში). ნევინსონი აღფრთოვანებული დარჩა ალაზნის ველის სილამაზით. ნევინსონმა ჩაიხატა ცხენისანი დარჩა ალაზნის ველის სილამაზით, გადაუღლ სურათი მასპინძლის დედას შვილიშდრაგუნის სალდათი, გადაუღლ სურათი მასპინძლის დედას შვილიშდრაგუნის სტატიებს, რომლებიც გამოაქვეყნა „პარპერის უურნალებში“.

სამაგიეროდ, გაოგნებული დარჩა გურიაში ნანა-გაგონილით. განსაკუთრებით დაამახსოვრდა გადამწვარ სოფელ ნაგომარში გლეხებთან გატარებული ლამე. გლეხებმა დაწვრილებით დაუხატეს

გურიის ამბები ბოლო ორი წლის მანძილზე – გამოსვლების დაწყება, თვითმმართველობა, კრებები, სამართალნარმოება და ბოლოს სამინელი რეპრესიები. ნევინსონი გაოცებულია გურული გლეხების მტკიცე ხასიათით. გურიის მონახულების შემდეგ ღრმა შთაბეჭდი-ლებით დატვირთული ნევინსონი დაბრუნდა ინგლისში. მას მერე იგი ნამდვილად გახდა საქართველოსა და ქართველობის მეგობარი.

ნევინსონმა პირუთვნელად აღწერა რუსული ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი საქართველოში და არა ერთი ნერილი გამოძველება ინგლისურ და ამერიკულ პრესაში; ამის ნათელი ნიმუშია ჩვენ მიერ თარგმნილი მისი სტატია „კავკასიის ტვირთი“.

როდესაც ნევინსონი მსჯელობს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზე, საქართველოს სამომავლო მდგომარეობაზე, რა თქმა უნდა, იგრძნობა ვარლამ ჩერქეზიშვილის შეულებების გავლენა. ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ 1906 წლის ნოემბერში ქ-ნ დრაიჭორსტისა და ჰენრი ნევინსონის საქართველოში ყოფნის დროსვე ჰენრი და გადაწყვეტილი ქართველთა საპროტესტო ნერილის (ჰეტიციის) გაგზავნა ჰააგის მომავალი სამშეიდობო კონფერენციისთვის. ამ ნერილში იქნებოდა ნარმოჩენილი რუსეთის მიერ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევა და დასმული იქნებოდა სახელმწიფობრიობის აღდგენის უფლების საკითხი საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. ეს იდეა მან ქ-ნ დრაიჭორსტის ქუთაისში გააცნო, შემდეგ კი ნევინსონს. ორივემ მხარდაჭერა აღუთქვა, რაც შეასრულეს კიდეც.

როგორც სტატიიდანაც ჩანს, ნევინსონი კარგად გაეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროგრამას უშუალოდ ზოგიერთი მოთავისაგან. მართალია, ნევინსონი კონსპირაციის მიზნით არ გვაწვდის მათ სახელებს, მაგრამ ესენი არიან ეპისკოპოსი ლეონიდე და არქიმანდრიტ-ყოფილი ნიკოლოზ ნამორაძე. ნევინსონი უთანაგრძნობს მათ მოთხოვნებს რუსული დესპოტიზმის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელია თუნდაც მისი შემდგომი საქმიანობა: 1908 წელს, როცა ხელისუფლებამ და სინოდმა ეპისკოპოსი კირიონი გაასახლა შორეულ გუბერნიაში, ვარლამ ჩერქეზიშვილმა დავით ლამბაშიძეს ინგლისურად ათარგმნინა ქართული გაზეთების მასალები, რაც კირიონისა და ლეონიდეს მიმართ რეპრესიებს შეეხებოდა და გადასცა ნევინსონს. ამან თავის მხრივ სთხოვა გიბრალტარის ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსს, რომ ყოველივე ეცნობებინა და მხარდაჭერა მოეპოვებინა ანგლიკანური ეკლესიის მეთაურისა და მაღალი წრეებისა.

1910 წლის ივნისში ლონდონში ჩატარდა „დაჩაგრულ ერთა და ხალხთა დამცველი კონფერენცია“, რომელსაც ესწრებოდნენ ვარლამ ჩერქეზიშვილი და მიხაელ ნერეთელი (როგორც „სახალხო გაზეთის“ საკუთარი კორესპონდენტი). ამ კონფერენციას უძლევებოდა

და, როგორც მ.ნერეთელი ამბობს, მისი „სული და გული“ იყო ქართველთა გულითადი მეგობარი ჰენრი ნევინსონი.

ასეთია ზოგადად ჰენრი ვუუდ ნევინსონის ბიოგრაფიული მონაცემები. უელსის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორმა ანჯელა ვ. ჯონმა 2006 წელს გამოსცა წიგნი: „ომი, უურნალისტიკა და ვითარება მეოცე საუკუნეში: ჰენრი ვ. ნევინსონის ცხოვრება და დროება“ (Angela V. John, “War, Journalism and the Shaping of the Twentieth Century: the Life and Times of Henry W. Nevinsen”). ამ წიგნიდან ჩვენთვის საინტერესოა მეოთხე თავი: „ბრძოლა თავისუფლებისთვის: რუსეთი, რევოლუცია და იმპერია“; რუკა – „ნევინსონი კავკასიაში“ და დამატებები, სადაც ჩამოთვლილია ნევინსონის წიგნი და პამფლეტები.

მეოთხეული შეამჩნევდა, რომ ესირადა ნახსენები ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925), ცნობილი ქართველი მამულიშვილი, დიდად განათლებული პიროვნება, საქართველოს დიდი მოამაგე, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნანილი ემიგრაციაში (ძირითადად ინგლისში) გაატარა. ფაქტია, რომ არ დარჩენილა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი, რომელსაც იგი არ გამოხმაურებოდა. იგი ყველანაირად ცდილობდა დახმარებოდა საქართველოს ევროპის მთავრობების საშუალებით, რისთვისაც არ იშურებდა ძალ-ღონეს და სადაც არ უნდა ყოფილიყო (ემიგრაციაში თუ სამშობლოში), მზად იყო საქართველოსა და მისი ხალხის უფლებების დასაცავად. ამდენად არაა გასაკვირი მისი ასეთი ხშირი და საქმიანი ურთიერთობა ჰენრი ნევინსონთან.

ნევინსონის ნანახისა და განცდილის შედეგია ქვემოთ ნარმოდგენილი მისი სტატია „კავკასიის ტვირთი“, გამოქვეყნებული 1908 წელს ზემოაღნიშნულ „ჰარპერის“ ყოველთვიურ უურნალში, რომლის თარგმანს ვთავისწინებთ საზოგადოებას, რათა სათანადო სპეციალისტებმა და მკითხველმა თავად განსაჯონ მასში გადმოცემული ამბების ავ-კარგიანობა.

ჰენრი ვ. ნევინსონი კავკასიის ტვირთი

ქარხანაში სხვა მუშების გვერდით იჯდა ფერმკრთალი, შავ-წვეროსანი მამაკაცი, რომელიც დღიურ გარვაში ხედავდა მოსვენებას. ლურჯი ჰერანგი და ხავერდის შარვალი არ განასხვავებდა მას სხვებისგან; არც მისი ნათელი სახის ნაკვთები და ცოცხალი, გამსჭვალავი, გულისხმიერი თვალები. ქართველთა უმეტესობას აქვს არნივისებური მზერა. იგი გასვრილი იყო ქარხნის ზეთით და ჭვარტლით. მე, ისევე როგორც ალბათ ქარხანაში ყველაზ, ვიცოდი, რომ ის არ იყო მუშა. მაგრამ არავინ არც კითხულობდა ამას და არც ლა-

პარაკობდა ამის შესახებ, რადგან პატრიოტები არ საუბრობენ და არასოდეს გამოხატავენ გაკვირვებას.

ის განვითარებული ეკლესიის მაღალი მოხელე, ქართული აზრის მოთავეთაგანი. რუსულ მთავრობას სურდა მისი გადასახლება, სადაც იგი ან სამუდამოდ დაიკარგებოდა შორეულ მონასტერში, ანდა გზაში გაიგზებოდა. სტ-პეტერბურგის წმინდა სინოდმა მსჯავრი დასდო მას საკუთარი ეკლესიის უფლებების დაცვისა და პოპულარული რეფორმის გატარების სურვილის გამო. რწმენით ორთოდოქსულ ქართულ ეკლესიას მართავს სინოდი, რომელიც თითქოს უდავოდ უჭერდა მხარს მის ორთოდოქსულობას, მაგრამ გაძარცვა მისი სიმღერი, გაუყიდა მიწები და აავსო მისი სამსახურები უგუნური რუსი მღვდლებით. რადგან არ ჰქონდა გაგუდვის ან ცოცხლად დამარცვის სურვილი, არქიმანდრიტი, აბატი, ეპისკოპოსი თუ არქიეპისკოპოსი (მე ვიცი მისი ნამდვილი თანამდებობა, მაგრამ ვერ გაგიმხელო) ფარულად გაქრა საკუთარ ხალხში და საქართველოს სამ დიდ ქალაქთაგან ერთერთში გახდა ფაბრიკის მუშა [1]. თუ-კი ინგლისელ არქიდიაკონს, წინამდღვარს, ეპისკოპოსს ან არქიეპისკოპოსს აიძულებდნენ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩაედინათ იგივე, ვინ იცის, რა მომავალ სულიერ წყალობას, მმართველობის რა სა-განგებო ძალას არ მოიპოვებენ?

როცა მე შემდეგში ფარულად შეეხვდი მღვდელმსახურს, ჯერ კიდევ თავის მუშის სამოსში, მან ამისსნა ქართული ეკლესიის ვითარება და რეფორმის მიზნები – ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოს-გან, სამღვდელოთა არჩევა მრევლის მიერ, სასულიეროთა შენახვა ხებაყოფლობით შემონირულობით გადასახადების ნაცვლად, ქართველი ხალხისთვის საეკლესიო მინების დაბრუნება, რაც ამჟამად სინოდს უკავია. ყოველივესთან ერთად ნება მიეცეს ქართველ სამღვდელოებას ასნავლოს, ილოცოს და მოისმინოს აღსარება ქართულ ენაზე. იგივე პუნქტებს კატეგორიულად მოითხოვს მშვენიერი ქართული ქალაქის ქუთაისის ეპისკოპოსი [2]. მე ვესტურე მას სადა „სასახლეში“, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთში ძალზე ცნობილი კათედრალის შემორჩენილი ნანგრევების გვერდით. ეს კათედრალი რუსებმა ერთი საუკუნის წინ ქვემეხებით დაანგრიეს, რადგან მათ მეთაურს ეგონა, რომ ოუზები იყვნენ იქ თავშეარებული.

ძველი ქართული მონასტრის გელათის ხილვამ, რომელიც კავკასიონის მთისნინეთზეა აღმართული, მე უფრო მეტი მითხვა საქართველოსა და მის ეკლესიაზე, ვიდრე შესაძლო განსჯა-კამათმა. ის ქუთაისს ზემოდან გადმოჰყურებს და კარგად ჩანს ზემოთაბაზული დანგრეული კათედრალიდან. ის ყველაზე ძველია ამჟამად იქ შემორჩენილი სხვა შენობებიდან. თუმცა ქუთაისის ისტორია ჩადის გრძენულ მედეამდე, რომელმაც კოლხური ფაზისის ნაპირებთან თავის საყვარელს ოქროს სანმისი მოაგებინა, ხოლო თავისითვის ქალო-

რო ტანჯვესი მუდმივობა ირგვნა. გელათის ეკლესია ააგო ქართველ-
მა მეფემ დავითმა, აღმაშენებლად წოდებულმა, რომელმაც თავისი
ქვეყანა გაანთავისუფლა თურქებისა და სპარსელებისაგან. ეს იმ
დროს, როცა ვილჰელმ (ვილიამ) დამპყრობელი [3] სწავლობდა ინ-
გლისურ მანერებს. დავითის საფლავი ახლაც ჩანს ცალკე მდგომ ეგ-
ვტერში, მონასტრის გალავანს შეინით. მაგრამ მან აღბათ უფრო
ადრინდელი შენობა იპოვა ფერდზე – ნაშთი წმ. ნინოს დღებისა
(რომლის წმინდა ძვლები ჩვენ ვნახეთ სიღნაღში); ეს იყო ადრეული
ქართული თუ იბერიული ეკლესია, რომელიც იმპერატორმა იუსტი-
ნიანემ [4] ცნო – ეკლესია, რომელმაც მხარი დაუჭირა ქრისტიანო-
ბის ნათელს ამ მთებში. ეს იყო ოთხი საუკუნით ადრე, ვიდრე რუსე-
თი გაიგებდა, რომ ქრისტე იშვა ან გარდაიცვალა. იგივე ეკლესიამ
ახლო აღმოსავლეთს მისცა იბერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელ-
საც ამჟამად თაყვანს სცემნ ათონის მთის ბერძენი ბერები. ის ისე-
თი წმინდაა, რომ მის ერთადერთ ასლს რუსი ხალხი, მდიდარი თუ
ლარიბი, ანყდება, რათა მოსკოვის კრემლის იბერიის კარის სალო-
დარიბი, შესწირონ. ქუთაისის ეპისკოპოსმა მითხრა, რომ თვით
შეამონმა წმ. ორიგინალი და მასზე ქართული წარწერა ნახა, რომე-
ლიც ამცნობდა, რომ ის დახატული იყო მერვე საუკუნეში; ეს ის
დროა, როცა ჩვენი მერსიელი ოფა [5] აგებდა თხრილებს უელსის სა-
წინააღმდეგოდ.

„თამარი ნაზი, სიამოვებების ძოძგვოული,
ტებილმოუბარი, კეთილად მოლიმარი,
მზესავით მანათობელი, დიდებული,
მშვიდად მავალი, საგსე მდინარის მსგავსად“ (თარ-
გმანი ოლივერ უორდროპის [7] „საქართველოს სამეფოდან“, გვ.
145).

მაგრამ ჩემთვის ყველა ამ საგანძურზე უფრო მნიშვნელოვანი იყო რუსი ოფიცრისა და სალდათების რაზმის ყოფნა, რომელიც მოვიდა, რათა მონასტერში „დაენიშნა“ ახალი აპატი. მე მჯერა, რომ „დანიშნა“ არის ნამდვილი ეკლესიური სიტყვა, მაგრამ ინგლისში სამხედრო რაზმს არ ავალებენ ამის ჩადენას. ამ ცოტა ხნის წინ გადააყენეს გელათის მღვდელმთავარი [8] ქართული უფლებების დაცვის გამო; და, როგორც ვამბობდი, იმალებოდა როგორც ნამდვილი მუშა. ასე რომ გადაწყვიტეს მის მონაცემებს საეკლესიო თანამდებობის დასაკავებლად დახმარებოდნენ თოფებითა და ხიშტებით. ოფიცერმა ეჭვით შემომხედა...იგი ერთხელ გაათავისუფლეს სამსახურიდან ენთ უთქმელი ბოროტმოქმედების გამო, მაგრამ აპატის და, როცა ალიხანოვი [9] დანიშნეს სამხედრო მეთაურად ქუთაისში, დაანინაურეს როგორც რუსული საქმისთვის სასარგებლო აგენტი. ალიხანოვს უნდა დაესაჯა შავი ზღვისკენ მდებარე დასავლეთის ქართული პროვინციები.

გელათში გატარებულმა დღემ საქართველოს მთელი ისტორია ზოგადად გადამიშალა. მონასტრის გალავნიდან დავინახე მდინარე, რომელზეც იაზონმა შემოაცურა თავისი არგო. ასევე დავინახე მსუბუქი ბურუსი, რომელიც შავ ზღვას დაჭიენოდა; ამ ზღვით მოვიდა ის საბერძნებიდან. აქ ალექსანდრე მაკედონელმა სცადა მართვა და აჯანყებულმა ფარნავაზმა დააარსა პირველი ქართული დინასტია. აქ წმინდა ნინომ შემოიტანა ქრისტიანობის პირველი ცნობები. აქ იოანე ნათლისმცემელია დასაფლავებული და იმპერატორმა დედოფალმა, რომელიც მბრძანებლობდა ზღვიდან ზღვამდე, დატოვა თავისი ნაქარგი. მონღლოლებმა, სპარსელებმა და თურქებმა რამდენჯერმე გადაუქროლეს ამ ქვეყანას. მე შემეძლო გავყოლოდი თხრობას, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველო დაიყო სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის სამეფო-სამთავროებად. ახლა კი ჩემს ირგვლივ იდგნენ რუსი სალდათები, საბუთი საბედისწერო ხელშეკრულებისა [10], რომლის მიხედვითაც საქართველოს კავკასია შევიდა რუსეთის ხელმიწის მფარველობაში. იმ ხელშეკრულებით ქართველებს მეფე უნდა ჰყოლოდათ, მაგრამ მას შემდეგ იგი აღარასოდეს უნახავთ. მათ მხოლოდ ეროვნულ მილიციაში უნდა ემსახურათ; ახლა კი ეროვნული ჯარიც არ ჰყავთ. სამაგიეროდ იწვევენ სამხედრო სამსახურში, რათა დახმარებული არქტიკულ პროვინციებში. მათ არ უნდა დაეშვათ რუსების 6000-იან ჯარზე მეტის ყოფნა თავის ქვეყანაში, თუმცა ამჟამად იქ სულ ცოტა 180000-ია განლაგებული. ქართული ეკლესია უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, მაგრამ ახლა დამონებული ჰყავს რუსულ სინოდს. მათი ენა უნდა დარჩენილიყო სკოლებში და ოფიციალურ ცხოვრებაში, მაგრამ ამჟამად ორივეგან აკრძალულია. ასეთია ისტორია ამ საოცარი და მომხიბლავი ხალხისა, რომელიც დიდი ხანია ევროპის ყურადღებას

იქცევს როგორც საუკეთესო ნიმუში კაცობრიობისა და ასეთად რჩება ახლაც.

ტანადი და საოცრად ლამაზი ხალხია, ძლიერი ხასიათით და დიდებული თავის დაჭერით – როგორც ვთქვი, არწივისებურად. სალი გონებით და ცოდნისადმი სწრაფვით, ვფიქრობ, ისინი შეუდარებელი არიან. თითქმის ყველა ეკრობულ ქვეყანაში, როგორც ინგლისში, ისე რუსეთში, ფართო უფსკრულია განათლებულ და გაუნათლებელ ფენებს შორის. ეს სამარცხვინოა მთელი ჩვენი ცივილიზაციისთვის. საქართველოში კი არ არსებობს ასეთი უფსკრული. რათქმა უნდა, იქ არის უცოდინარობა. თვით ინგლისში ზოგი განათლებული ფენია არ წარმოადგენს განსწავლულობის საოცრებას და ჩვენ არ უნდა ველოდოთ უფრო მაღალ დონეს კავკასიაში. რაც შეეხება ქართველ გლეხებს, ყვებიან ასეთ ამბავს ახალგაზრდა ენთუზიასტის შესახებ, რომელიც პირველად დაესწრო კარლ მარქესის მიმდევრის მიერ წაკითხულ სოციალ-დემოკრატიული ხასიათის ლექციას. ამის შემდეგ იგი ნახეს, რომ წმინდა ხატს ევედრებოდა: „ო, წმინდა ლეონისმშობელო, მაქციე მე პროლეტარად! მალე მაქციე პროლეტარად!“

გლეხებსა და წარჩინებულებს შორის შევამჩნიე ერთნაირი გონების საზრიანობა, ასევე აზრის თავისუფლება და ცოდნის წყურვილი. პოეტები საერთო ჰყავთ; ჯერაც არიან ორი-სამი სახელგანთქმული, მაგალითად ისეთი, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე, მოხუცი კაცი, რომელიც ქართველმა თავად-აზნაურობამ აირჩია სტ.-პეტერბურგში იმპერიის საბჭოს დეპუტატად. ქართველი უურნალისტები, რომლებიც ყოველდღიურად აღნერენ მათ ცხოვრებას და თავისუფლებას, არიან გულადები აზრითაც და ქმედებითაც. რუსული რაზმების ახალ შემოსევამდე ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი საჯარო ბიბლიოთეკა, რაც ითვლებოდა ადგილის გულად. ახლაც კი, როცა შიმშილი და ნგრევაა დასაგურებული პროვინციებში, წიგნები ფარულად გადადის გლეხების ხელიდან ხელში ეფექტური სისტემით, როგორიც არის მიუდიზ-ში [11].

გონების ამ სიფხოზლეს ბუნებრივად თან სდევს თანასწორობის წყურვილი და თავისებური მზადყოფნა, მოიცილონ მოსაბეზრებელი სოციალური და პოლიტიკური ტრადიციები, რაც ასე დიდი ხანია დასაგურებული. „შენი გვარი ამტკიცებს თქვენ წარჩინებულობას“, უთხრა ჩემმა თანამგზავრმა განუნულ ბიჭს, რომელმაც რამდენიმე მილი იარა ძლიერ ქარიშაბლში, რათა გადაეცა ნათხოვარი წიგნი; ახლა კი თავის ბამბის ტანსაცმელს აშრობდა ჩვენ ცეცხლზე. „მე უნდა გამოვიცვალო ის“, უპასუხა ბიჭმა, „არ მინდა ვიყო წარჩინებული“. მან უარი თქვა ღვინოზეც, რადგან მასზე განერილია გადასახადი რუსული მთავრობის სასარგებლოდ. ბევრმა სოფელმა იგივე მიზეზით უარი თქვა ყურძნის სპირტის დამზადებაზე. ჩემს იქ

ყოფილისას კაზაკები ცდილობდნენ აეჭულებინათ ისინი არა მარტო დაემზადებინათ ის, არამედ შეესვათ ხიშტის წვერით – უხერხული საშუალება მოლხენის.

ეს მოხდა გურიაში და ხდება იგივე პროვინციაში, სუფის ნაპირებზე, ბათუმისა და შავი ზღვის მახლობლად, სადაც საუკეთესო ქართული ლირსებები უმაღლეს დონეზეა ასული. ეს არის მთიანი მხარე იმ ქედებს შორის, რომლებიც აღმართულია ანტი-კავკასიისა და თურქეთის საზღვრებისებრ. ვაზი იქ არ არის მიჩვეული სარს, როგორც ეს დანარჩენ ქვეყანაშია, იზრდება ხეთა რიგებზე, როგორც ჩრდილო იტალიაში თელას საყრდენზე. სიმინდი, რაც ძირითადი მარცვლეულია, ასევე ზევინადა ხის ტოტებს შორის სანამ დაიმარცვლება და შეინახება ხის პატარა ქოხებში, ან ბეღლში /=ნალია, გ.გ./, რომელიც ხის მაღალ საყრდენზე შედგმული ვირთხებისა და ნესტისგან დასაცავად. გლეხის სახლები გაფანტულად დგანან დამუშავებულ მინაზე დაბლობში, ან მთის ფერდზე; მხოლოდ ე.წ. ქალაქებში გვხვდება დუქნები ერთმანეთის გვერდით, როგორც „ბაზარში“. მინას ძირითადად ფლობს მცირე თავად-აზნაურობა, რომელთა მამულები საშუალოდ არ აღემატება 30 აკრს, ხოლო გადასახადს უხდიდნენ მოსავლის დიდი რაოდენობით. გლეხის ნაკვეთი, როგორც წესი, მერყეობს ორიგან ხუთ აკრამდე; 1901 და 1902 წლებში მოსავალი ჩავარდა. ახალგაზრდა კაცები, რომლებიც წავიდნენ ბათუმში სამუშაოდ, უკან გამოაპოუნა მთავრობამ, მაგრამ ისინი ჩამოვიდნენ გაფიცვებისა და სოციალისტური თეორიების ცოდნით. გლეხთა დეპუტაცია, რომელმაც უჩივლა რუსულ ხელისუფლებას, მასიურად გაასახლეს ციმბირში, გადასახადები ძალით აკრიფეს. 1903 წელს კაზაკები დაუბრუნდნენ ქვეყანას. გურულებმა მათ ძალა დაუპირისპირეს; ხალხმა კრება მოიწია და საკუთარი ნაციონალური ძალები შექმნეს. იაპონიასთან ომის დროს რუსეთი ძალზე დაკავებული იყო, რომ მათთვის ყურადღება მიექცია. 1905 წლის დასასწისში გაუბედავი ოპერაცია მოიგერიეს და თითქმის ორი წელი (1906 წლის თებერვლამდე) საქართველო ხარობდა დამოუკიდლობით და ბეგნიერებით. ასეთი სიხარული სხვა ხალხს იმპერიაში არ განუცდია მას შემდეგ, რაც რუსული მთავრობის წყევლა დაიწყო.

მართლაც აღსანიშნავი დრო იყო – ეპოქა ისტორიაში, რომელიც მთავრობისა და ეკონომიკის ყველა შემსწავლელმა უნდა გამოიკვლიოს. რუსულ ხელისუფლებას, წარმოდგენილს გუბერნატორით, პოლიციით, მაგისტრატით, ჯარისკაცებით, არ შეუტიეს; ისინი მხოლოდ არად ჩააგდეს. მათ აგენტებს ნებას აძლევდნენ თავი გამოეკვებათ; სხვა მხრივ კი რუსების ყოფნა არაფრით შეინიშნებოდა. არავითარი განცხადება არ შესულა სასამართლოში, არცერთი საქმე არ გატანილა განსასჯელად, არცერთი გადასახადი არ გადახდილა.

ყველა საჯარო სამუშაო პროვინციაში – გზის შეკეთება, დრენაჟი, ხიდების აგება – წყდებოდა სოფლელების შეკრებებზე და სრულდებოდა ყოველ სოფელში არჩეული ჯგუფების მიერ; მდიდარიც და ლარიბიც თანაბრად მონაწილეობდა ამ შრომაში. დამნაშავეებს ასამართლებდა მთელი სასოფლო თემი, რომელიც იკრიბებოდა სოფლის მოედანზე კვირა დღეს. დააშაულიცა და განაჩენიც წყდებოდა ხმის უმრავლესობით. სასჯელს ყოველთვის ეძლეოდა ბოიკოტის სამართლმა გარკვეული დღეებით, კვირაობით ან თვეობით. უფრო არარეალური სასჯელი ხანდახან იყო ბეგარა, განსაკუთრებით დაუდევრობისა და ძლიერი ამორალურობისას; მაგრამ ეს საბაბი იშვიათი იყო. ყოველგვარი შეურაცხყოფის რაოდენობის შემცირება იყო საბუთი, თუ როგორ საუცხოოდ მოქმედებდა ყველასთვის ხელმისაწვდომი ისტემა.

ამ ოვეების განმავლობაში გურულები სოციალური ბედნიერების იმ დონეზე რჩებოდნენ, რომელზეც ფილოსოფოსები აღრე თუ იცნებოდნენ. მაშინ როცა მეფის ბრძანებით მხარე აოხრდა და სოფლები გადაინვა, პირადად მე არ ვყოფილვარ მათ მთის სახლებში. მაგრამ ჩემი მეგობარი ლუიჯი ვილდარი [12] იქ იყო, როცა კომუნალური სისტემა ჯერ კიდევ არსებობდა. თავის წიგნში „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ ის აგვინერს სოფლის სასამართლო გარჩევას მახვილი კამათს, რომელსაც ესწრებოდა. მას აგრეთვე მოჰყავს ამონარიდი უდიდესი ცოცხალი ფილოსოფოსის, მოხუცი ტოლსტოის [13] ნერილიდან, რომელიც წერდა მეგობარს: „რაც გურიაში ხდება, ეს ამბავი ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა მე ვთვლი, რომ გურულებს არც გაუგიათ ჩემი არსებობის შესახებ, მიუხედავად ამისა, მაქვს დიდი სურვილი, გამოვხატო აზრი და გრძნობები, რაც მათ გააღვიძეს ჩემში მათი აღმაფრთვოვანებელი მოძრაობით. გადაეცი მათ, რომ არსებობს მოხუცი კაცი, რომელიც ოცი წელია გამუდმებით იმეორებს, რომ კაცობრიობის ყველა ბოროტება განპირობებულია ფაქტით, რომ ადამიანები ყოველთვის ელოდებინ რაიმე გარეგან დახმარებას, რათა მოიწყონ თავისი ცხოვრება; და როცა დაინახვენ, რომ ხელისუფლება არ შველის მათ და არ ამყარებს წესრიგს, ისინი ინყებენ ბრალდებების ნამოყენებას, მათ დაგმობას, მათ წინააღმდეგ აჯანყებას. უნდა გაკეთდეს ის, რასაც ზუსტიად გურულები სჩადიან – მოაწყონ ცხობრება იმნაირად, რომ საჭირო არ გახდეს არავითარი ხელისუფლება“.

გამოსვლები დაიწყო გადასახადებზე უარის თქმით, მაგრამ მალე ეს გახდა მეორეხარისხოვანი. ერთი თუ ორი არაპოპულარული მემამულის სახლი გაანადგურეს (მე პირადად ვნახე), მაგრამ ქართველი თავად-აზნაურობის მეტი წილი ისეთივე კარგი პატრიოტია, როგორც ხალხი. თითქმის ყველა შემთხვევაში გადასახადი შეთანხმებით შეამცირეს; თუ წინათვის იყო 24 – ან 32- აკრზე, მემამულეე-

ბი ახლა იღებდნენ 8 ან 12-ს. მე შევხვდი ბევრ თავად-აზნაურს, რომელმაც პირადი თანხმობით მთლიანად გადასცეს მიწები გლეხებს და ახლა სხვებივით თავს ირჩენენ ქალაქში ან სოფლად. ინგლისში ასეთი რამ ჩაითვლებოდა დაუჯერებლად ან სიგიურედ; საქართველოში კი ამას დიდ ყურადღებას არ უთმობენ. მოსახლეობის ყველა ფენა ჩვენზე წინაა სოციალური იდეების პრაქტიკული თვალსაზრისით. მე შევიტყე მხოლოდ ერთი თუ ორი ცალკეული შემთხვევა, როცა შეშინებულმა მემამულებმ ითხოვა რუსეთის დახმარება. მთელ საქართველოში გავიგე მხოლოდ ორი შემთხვევა ეროვნული მოტივით დალატის შესახებ – ერთია პოლკოვნიკი ჩიქოვანი, რომელიც მეთაურობდა ალიხანოვის ავანგარდს, როცა რუსული რაზმები 1906 წლის თებერვალში შემოვიდნენ პროვინციათა ასახორებლად. მეორე – მემამულე, გვარად მხეიძე, რომელიც ცხოვრობს სენაკის სადგურის გადაღმა და ახლდა ალიხანოვს როგორც მეგზური. იგი ადანაშაულებდა გლეხებს, რომლებიც არ ესალმებოდნენ მტარვალ რუსებს და აროზგინებდა კაზაკთა ტყვიის მათრახებით, სანამ თვით ალიხანოვი არ მოსთხოვდა პატივებას. რა სახის ცხოვრებას უნდა ელოდე მსგავსი ადამიანებისგან? სამომავლოდ უნდა დავეთანხმოთ ჯოვონეთის დანტესულ [14] ხედვას, სადაც ყინულით შებოჭილი ლუციფერი მუდმივად ცოხნის იუდას სულს.

ალიხანოვის შემოსვლა არ იყო გამოწვეული გადასახადის შეგროვებით, ან ქართველ მემამულეთა უსამართლობით. ის მოვიდა, რათა დაესაჯა პატარა პროვინცია, რომელმაც, რუსეთის იმპერიის ხელში მყოფმა გაპედა კეთილდა ემართა თავისი თავი და ესარა ადამიანური ბეჭდიერებით საკუთარი გზით. სანამ ალიხანოვი შემოვიდა, კაზაკთა მცირე რაზმები იმყოფებოდნენ ქვეყანაში, მაგრამ უკუაგდეს 8 თუ 10 კაცის დანაკარგით. რევოლუციის ცდამ რუსეთში, რომელიც იაპონიის ომს მოჰყვა, სტ.-პეტერბურგის მთავრობა აიძულა ოკუპაცია მეტი ხნით გაეგრძელებინა. მეფის 1905 წლის 30 ოქტომბრის მანიფესტმა [15] ქართველებს თავისუფლების იმედი ჩაუსახა. რამდენიმე კვირის შემდეგ მომხდარმა მოსკოვის აჯანყებამ დაანახა მათ, რომ მარტონი არ იყვნენ. მაგრამ სარგებლობა არაფერს მოჰყოლია. იმედი მაღლ მოკვდა; რევოლუციური მოძრაობა კვლავ სისხლში ჩახსეს. 1906 წლის იანვარში მეფემ საკმაოდ მომძლავრებულად ივრძნო თავი, რომ ულეტა გაეგრძელებინა თავის ქვეშევრდომებში და გაენადგურებინა მათი პროვინციები.

ალიხანოვი – მაპმადიანი ლეკი, ჩაუყენეს მეთაურად ორ სამხედრო კორპუსს. ოთხი დივიზიით ტუილისიდან გადავიდა კასპიისა და შავი ზღვების წყალგამყოფზე; შტაბი ქუთაისში დაიდო და ქვეყანა თავიდან ბოლომდე აალდა. ისმოდა მომაკვდავი კაცების, გაუპატიურებული ქალების, შიმშილით მომაკვდავ ბავშვთა ყვირილის ხმა,

მაგრამ არავინ იყო გამგონი. შესრულდა მეფის სურვილი ჩვეულებრივი იმპერიული მანერით.

მრავალი მხარე იტანჯებოდა. წყალგამყოფის დასავლეთით სოფლების უმეტესობა და რეინიგზის გასწროვ მდებარე პატარა ქალაქები ან მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა. ძველი ქართული ქალაქის ქუთაისის ერთი ნაწილიც გადაინვა. მოშორებით ქვემოთ, სამეგრელოს პროვინციაში, რიონის ჩრდილოეთ ნაპირზე განადგურდა ხუთი ქალაქი და მრავალი სოფელი. მაგრამ მთავარი რისხვა გურიას ფაატყდა, რადგან გურულებმა გაბედეს ეძებათ საკუთარი ბედნიერება შეფისადმი დაუმორჩილებლობაში და იპოვეს ის.

პროვინციის განადგურება დაევალა პოლკოვნიკ კრილოვს ხერსონესის (33 დ) პოლკიდან. მეფის სახელით გაიცა სასწრაფო ბრძანება არავითარი პატიების შესახებ. ბრძანებები ნამოვიდა მეფის გენერალ-გუბერნატორის ვორონცოვ-დაშვილისგან [16] ტყილისში და არავითარ პატიებაზე არ იყო ნათქვამი. კაზაკთა და რუსთა რაზმების უძლევი რაოდენობა შემოედინა მხარეში. ისინი დაქროლდნენ სოფლიდან სოფელში, წვავდნენ ხის სახლებს და ბელლებს (= ნალიებს, გ.გ.), სადაც სიმინდს ინახავდნენ. გლეხების სახლების გაფანტულობა აიოლებდა მათ განადგურებას, ხოლო წინააღმდეგობის განევას შეუძლებელს ხდიდა. კოტეჯები, რომლებსაც კაცები და ქალები ასე სათუთად აგებდნენ თავისი ოჯახების თავშესაფარად, ერთი მეორის მიყოლებით რამდენიმე წუთში იქცეოდა რუს ნაცრად, რომელიც მობრული იყო მაგარ, სწორ მინაზე შუა საკვამური მიღლის ირგვლივ; ეს მიღლი ჯერაც იდგა, რადგან ქვითა და აგურით იყო ნაგები.

უმეტეს შემთხვევაში სახლები იდგა ქვის საყრდენებზე, როგორც ნალიები. ამდენად ეს ქვის მოკლე სვეტები დარჩენილიყვნენ მთავარ ნანგრევთა შორის. სხვა ყველაფერი ცეცხლმა მოსპო – სათავსები გოგოებისა და ბავშვების ტანსაცმლით, ქვეშაგები, უბრალო ავეჯი, ქვაბები, საზამთროდ საკვების მცირე მარაგი. ყოველივე ეს ან ცეცხლმა შთანთქა, ან გაიტაცეს როგორც ალაფი. სოფელ ნაგომარიდან, სადაც მე შემდგომში გავჩერდი, 31 ურმით გაიტანეს სალდათებმა ნაძარცვი. იგივე მოხდა ყველგან.

ერთი მცირე ინციდენტი გვიჩენებს განსხვავებას ქართველ ხალხსა და ველურებს შორის, რომლებიც იმედოვნებდნენ მათ ამონყვეტას. უმონყალო თავდასხმის წინ ერთი ახალგაზრდა ქართველი, რომელიც რუსულ ჯარში იყო განვეული, დაბრუნდა თავისი მშობლიურ სოფელში და დაიწყო ტრაბახი იმ ალაფის შესახებ, რაც მან შეგროვა მოსკოვის რევოლუციის დროს. ის მაშინვე გამოიძახეს სოფლის ტრიბუნალზე და მიუსაჯეს სამთვიანი ბოკიკოტი. ამავე დროს სოფელმა თავისი ხარჯებით მოსკოვის გაზეთებში გამოაქვეყნეს

მოწოდება, რომ თუ ვინმე განაცხადებდა პრეტენზიას ნაძარცვზე, ამას ის უკან მიიღებდა უფასო გადაზიდვით.

მომდევნო დეკემბერში მე თვით გავიარე გაჩანაგებულ ქვეყანაში. იდგა საშინლად გაუსაძლისი ზამთარი. ყოველდღე ბობოქრობდა ქარიშხალი; არ ჩანდნენ მთები, რომლის ირებიც ღრმად იყო თოვლში ჩაფლული. ნიაღვარს წაელება გზები და წაელო ხიდები. მებორნემ (მეგზურმა) ძლივს გაბედა ჩემი გადაყვანა მორევიან მდინარეებზე. ძლიერ ქარს ჭყაპის და წვიმის სვეტები გადაპქონდა ტყის თავზე. ნაპირიდან ათ მილზე ისმოდა ზღვის ღრიალი, თითქოს ანგრევდა კოლხეთის სახურავს; ქარიშხლის ღმუილს თან ახლდა ჭექა-ქუხილი და ელვა.

მე ვნახე სოფლელები საცოდავად შეყუულები თავიანთი სახლების შავ და სველ ნანგრევებში. რამდენიმე თვე თავდასხმის შემდეგ ისინი ცხოვრობდნენ მთიანი ტყეების კლდეებსა და გამოქვაბულებში; ისინი ემალებოდნენ სალდათებს და ლამით მოიპარებოდნენ ქვევით, რომ წაელოთ მარცვლეული და სხვა საკვები, რაც შესაძლოა ცეცხლს გადარჩენოდა. ჯარების პირველი მოახლოებისას მათ იქ გადამალეს თავისი გოგოები და ქალები, რადგან კაზაკებმა და სალდათებმა მიიღეს ბრძანება (დაკვეთა) პოლკოვნიკ კრილოვისგან, დაეკმაყოფილებინათ სურვილები ქალებთან. „მოგვიყვანეთ თქვენი ქალები. ჩვენ გვინდა ქალები და გოგოები“, დაუყვირეს ოფიცერებმა დატყვევებულებს, „მეფე მოთხოვს ერთგული ქვეშვრდომების შექმნას“. ზოგიერთი ქალი მოძებნეს. ერთი ბიჭი ჩამოახრჩეს სალდათის მოკვლისთვის, რომელიც აუპატიურებდა დედამისს. მრავალი ქალი და ბავშვი დაიღუპა ტყეებში სიცივისა და შიმშილისგან. ბევრი დედა გაგიუდა. მე ვნახე უბედურებისგან ჯერაც გამომტერებული და უგონო. ზოგი გაგიუბული დაეხეტებოდა შორს მაღლა მთებში და იღუპებოდა ნამქერში ან უფსკრულში. იმ კაცებისა და ქალების ბედი, რომლებმაც მამაცურად სცადეს დარჩენილიყვნენ თავიანთ სახლებში, არანაკლებ სავალალო გამოდგა. დიდი სოფლის ნანგრევებში, სუფსას ნაპირებზე, ისინი გამოცოცდნენ საძალლე სამაღლვიდან, რომელიც გაეკეთებინათ ტოტებითა და თივით და მიამბეს, რაც გადახდათ. დილით ადრე შემოვიდა რუსული ბატალიონი და მეთაურმა ოფიცერმა მოუწოდა მთელ სოფელს ეკლესისაკენ. იმ დროს, როცა ხალხი ეკლესიაში იყო, გაისმა საყვირის ხმა და სალდათებმა, რომლებიც ყველა სახლთან იდგნენ, ცეცხლი წაუკიდეს ხის შენობებს, თუმცა ჯერ გაძარცვეს და გაიტანეს ყველაფერი, რისი წალებაც შეძლეს. როცა ხალხი გამოუშვეს ეკლესიდან, მათ დაინახეს კვამლსა და ცეცხლში გახვეული თავიანთი სახლები, რასაც ახლა ვერაფერი ჩაქრობდა. ეკლესის კართან სალდათებმა მათ წაართვეს ქურთუები და ფეხსაცმელები და ასე გარეკეს ცივსა და თოვლიან გარემოში, სადაც მათ ყველაფერი დაკარგეს, თვით ბოლო

საკევებიც კი. იმ სოფელში 70 სახლი გადაწვეს; მეორეში, მდინარის გადაღმა – 87. ასე გადადიოდა ნგრევა ერთი ადგილიდან მეორეზე.

ადრე ზაფხულში, როცა შემოსევის პირველმა შიშმა გაიარა, ხალხმა დაინყო დაბრუნება ტყეებიდან და შეუდგა მომქანცავ საქმიანობას – საცხოვრებლების აღდგენას. მაგრამ ყველაფერი დანგრეული ან გაძარცული იყო – ხელსაწყოები, იარაღი, ავეჯი, რქოსანი საქონელი, ცხენები. ეს იყო ხანგრძლივი სამუშაო. დეკემბერში, როგორც ვთქვი, მე ვნახე მათი უმრავლესობა გრიგალისგან დასაცავად რომ შეყუულიყო ქოხმასებსა და საფარებში, რაც სასწრაფოდ აეგოთ ნანგრევების იმ მასალისგან, რომელიც ცეცხლს გადაურჩა. ისინი კვამლისგან ხველით იხრჩობოდნენ და ბრმავდებოდნენ; წვიმა და ქარი ეცემოდა იატაკზე, რომელსაც წარმოადგენდა ნაცრისა და ტალახის ნარევი. ტანსაცმელი და ქვეშაგები არასდროს შრებოდა; ბავშვები დაუბანები იყვნენ. საკევებს შეადგენდა მხოლოდ სიმინდი – გადარჩენილი ძველ საცავში, ან ფარულად გამოგზავნილი პატრიოტი სოფლებიდან, რომლებიც გადაურჩნენ შურისძიებას. იქ სადაც გადარჩა ნალია ან საქონლის ფარდული, ბევრი ოჯახი იყო შეჯგუფული. ზოგიერთ ასეთ ფარდულში მე ვნახე 20 ან 30 ადამიანი გაცილებით უარეს პირობებში, ვიდრე რომელიმე გარეული ნადირი, რადგან ავადმყოფობა, სიკვდილი და მშობიარობა მიმდინარეობდა მინის იატაკზე როგორც ჩვეულებრივი მოვლენა.

ხალხი ცდილობდა აღდგენას. რამდენიმე ახალი სახლი უკვე გადახურული იყო. უფრო დიდ სოფლებში გაიხსნა ახალი დუქნები (ბატრიოტული სესხით, ან სხვა კუთხის ქართველების მიერ ავანსად გაცემული საქონლით). მე ბევრგან მითხრეს, რომ ძალზე გამხნევლენ ინგლისიდან ჩამოსული ერთი ქალბატონის [17] სტუმრობის მერე. მან გაიარა ცენტრალური გზა ჩემ ჩამოსვლამდე ორი-სამი თვით ადრე. მან ჩამოიტანა მცირე თანხა ინგლისელი ხალხისგან როგორც შემონირულობა დახმარების ფონდიდან, რასაც მისი ხალხი შეუერთდა ტფილისში. ეს იყო მისი გულითადი საჩქარი და ფიქრი გარედან ადამიანური სიმბათის, რაც გაამხნევებდა ხალხს. „ის მოვიდა როგორც ჩვენი სულების მაღამ“, მეუძნებოდა ყველა. ეს მოვიდა როგორც გადასაცმელი გადასაცმელი გადასაცმელი გადასაცმელი მაგალითი, თუ რა შედეგი მოაქვს ერთეულთა სიმამაცეს და აღშევოთებას.

თუმცა ხალხი აღადგენდა დანგრეულს, გაჩანაგების ბოლო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. რუსული რაზმები ჯერ კიდევ იდგნენ უმრავლეს სოფლებსა და ქალაქებში და ყოველ დღე იგზავნებოდნენ, რათა შეენერათ იძულებითი გადასახადები. გლეხები ამ პორცესს ეძახდნენ „ეზეუციას“. აი მისი მეთოდი: კაზაკთა ბატალიონი, ან რუსების მნკრივი გადიოდა სოფელში. სოფლელთა წინამძღვრი, ან ყველა მცხოვრები იკრიბებოდა სოფლის მნვანეზე, გარშელი ან ყველა მცხოვრები იკრიბებოდა რომელთაც პქონდათ მრგვალი ვაზნები

და ხიშტები. შემდეგ ოფიცერი ევაჭრებოდა თანხის ოდენობაზე, რაც სოფელს უნდა გადაეხადა იმ პრივილეგიისთვის, რომ იყო რუსეთის იმპერიის კუთვნილება. მე ჩემი თვალით ვიხილე პროცესი და ვიცი, რომ ხალხი ხშირად სანამებლად რამდენიმე დღე და ღამე ერთად დგას საჭმელისა და თავაშესაფრის გარეშე, სანამ ისინი შეთანხმდებან ვადაზე, ან დათმობენ მათი ლიდერები. ამასობაში სოფელს უნდა გადაეხადა დღეში 8 ფუნტი ოფიცერისა და მდევნელების გამოსაკვებად. ბოლო თანხა იმ ცოდვისთვის, რომ იყავი ქართველი, ძირითადად იყო 200 ფუნტი. რადგან, რა თქმა უნდა, სოფლელებს არ გააჩნდათ საკმარისი თანხა, სამხედროებს მიჰყავდათ საქონელი, მიჰქონდათ ხელსანყოები ან სხვა მარაგი, რაც დარჩენილიყო ნინა ძარცვიდან, ან აღებული ჰქონდათ ვალად გაჩანაგების დროიდან. პატარა ქალაქმა ოზურგეთმა, რომელიც ითვლება გურიის დედაქალაქად, ყოველი „ეკუნეკუციის“ დროს უნდა იხადოს შენერილი 300 ფუნტი; მან ისე ხშირად იხადა, რომ არაფერი დარჩა გასაცემი თუ საძარცვი. ხალხი შიმშილობდა; ვაჭრობა და მინათმოქმედება შეწყდა; განადგურება სრული იყო. „ჩვენ აქ თქვენს მთლიანად გასანადგურებლად ვიმყოფებით“, თქვა მეთაურთაგანმა ოფიცერმა.

გავისხენოთ, რომ მთელი ამ გაჩანაგების, ძარცვის და ხოცვა-ულეტისას სიტყვა არ თქმულა იმპერიის დაცვის შესახებ; არცერთი გამართლება სტრატეგიის, ისეთი, როგორსაც შედამ აქვს ადგილი, ან ენიჭება მნიშვნელობა ჩვეულებრივი ომისას. მთელი არსი იყო უმნეო და პატარა დაუცველ პროვინციაზე შურისძიება, რადგან მან გაბედა უარყო რუსული კანონმდებლობისა და ადმინისტრირების უნიათო და დესპოტური სისტემა. მან შემოიღო გონიერი რეფორმები საკუთარ საზღვრებში და შეუდგა საკუთარ საქმეებს თავისებური სამართლით და ნარმატებებით. სანამ ის თავისთვის იყო, მსოფლიოში არცერთი ქვეყანა არ იყო მასზე ბედნიერი. მაგრამ თავის ხალხთან, ანუ დამორჩილებულ ხალხთან ერთად ბედნიერება არასდროს ჯდება სტ.-პეტერბურგის ცენტრალური მთავრობის გეგმების ფარგლებში. მთავრობის არად ჩაგდების გამო როგორც შურისძიების აქტი, გურულებს მიესაჯათ ტანჯვა ცხოვრებაში, ღირსებასა და ყოველივეში, რაც კი გააჩნდათ.

მარტო გურულები არ იტანჯებოდნენ. ორი მილიონი დანარჩენი ქართველი კასპიისა და შავ ზღვებს შორის იტანჯებოდა მათთან ერთად და იტანჯება ახლაც, როგორც მე ვნერ. სამწუხაროა დაემშვიდობ ასეთ მშვენიერ ქვეყანას და ასეთ კეთილშობილ ხალხს

გულისწყორმისა და შიშის ალნიშვნით. მათი ქვეყანა მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე ბარაქიან და მიმზიდველ მხარეში. მაგრამ, ძველად თურქეთისა და სპარსეთის უღლის და ბოლო საუკუნეში რუსეთის უღლმლამო ვაიხელისუფლების დროს, ხალხმა, ასეთმა გონიერმა და ყოჩალმა, დაიკავა ნამყვანი ადგილი არა მარტო ახლო აღ-

მოსავლეთში, არამედ ევროპაში. მათი თანამედროვე ბედი არის მაგალითი უბედურების, რაც თან სდევს უზარმაზარ იმპერიიებს, როცა ისინი ცდილობენ გათელონ სხვა ეროვნებები მომაბეზრებელ მოდელში, რომელსაც ქმნის დამპყრობელი ან უფრო მრავალრიცხოვანი მოღვამა. ამ ვითარებაში სირცხვილი უფრო დიდია, რადგან მცირე და დამორჩილებული ხალხი ყოველმხრივ მაღლა დგას მმართველზე, რომელმაც გამოგზავნა რუსული ჯარები მათ გასანადგურებლად. იმედის მხოლოდ ერთი გზა ჩანს ახლო მომავალში. შეუძლებელია დაიჯერო, რომ სტ.-პეტერბურგის მმართველმა წრემ გააგრძელოს დევნა-შევინროება, ძარცვა და ნამება, გადასახლება და ხოცვა უზარმაზარი რაოდენობის – 130.000.000 სულის, რომელსაც მართებს ნომინალური მორჩილება. რუსული რევოლუციის განვითარებასთან ერთად, რომანოვების დინასტიის გაქრობასთან ერთად, ცენტრალიზებული ბიუროკრატიის დაშლით, საიდუმლო პოლიციეს ამოძირებით, ბიუჯეტისა და ჯარის დაქვემდებარებით საზოგადოებრივი კონტროლისადმი, ცელილებები მოხდება არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში; ისეთი, როგორიც არ მომზდარა ნაპოლეონთან ომის მერე. რუსეთმა უნდა დაიცადოს 10 ან 50 წელი, მაგრამ იმ ცელილებათა სიდიადები საქართველოს ექნება თავისი ნილი და მთელი რუსეთის დიდებონფედერაციაში ის იქნება თვალში საცემი, როგორც დიდებული ეროვნება საკუთარი ინტერესით და მისთვის დამახასიათებელი ბრწყინვალებით. [18].

კომენტარები 1. შესავლის მაგიერი

1. ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გიორგი ფელიქსის ძე – 1855-1917. სოციალისტ-ფედერალისტი, ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. თანამშრომლობდა „ივერიაში“. იყო თავდადებული მამულიშვილი, ქველმოქმედი, გაჭირვებულთა სულიერი მეგობარი. მას დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა ინტელიგენციაზე. იყო საქართველოს ავტონომიისთვის მებრძოლი.

2. ნერეთელი მიხეილ (მიხაელ) გიორგის ძე – 1878-1965. იყო ცნობილი მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, ასიროლოგი), პუბლიცისტი. ჯერ კიდევ ცარიზმის დტოს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, იმყოფებოდა ემიგრაციაში. შემდეგ კი ბოლშევიკების დროს. ის იყო საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი პატრიოტი ქართველოლოგი.

3. ლეონიდე – ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე – 1860-1921. იყო გორის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. შემდეგ თბილელი მიტროპოლიტი. იყო ავტოკეფალური მოძრაობის ერთ-ერთი მებრძოლი ნინამძღოლი კიროვნთან ერთად. 1906 წელს

სინოდის საგანგებო სხდომაზე პეტერბურგში დიმიტრი აბაშიძეს უტვამს: „დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე და საქართველოში ავტოკეფალია აღარავის გაახსენდებაო“. იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონის შემდეგ 1918-1921 წლებში.

4. კირიონი - ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე სააგალიშვილი - 1855-1918. მეცნიერი, უდიდესი მამულიშვილი. ავტოკეფალიური მოძრაობის ხელმძღვანელი. რეპრესირებული იყო ცარისტული ხელისუფლების მიერ. ქართული ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში. ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქოს რეზიდენციაში.

2. კავკასიის ტვირთი (ტექსტი)

1. ფაბრიკის ხსნებული მუშა, რომელიც ემალებოდა ხელისუფლებას, ხოლო შემდეგ მოხსენებულია გელათის მონასტრის წინამდლვად, უნდა იყოს ნიკოლოზ ნამორაძე (1872-1923). დუშეთის მაზრის აზნაურის შვილი სწავლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. 1902 წელს აღიკვეცა ბერად, 1904 წელს დაინიშნა გელათის მონასტრის წინამდლვად და არქიმანდრიტად. 1905 წელს მონაწილეობა მიიღო რევოლუციაში, რის გამო გადააყენეს, აუკვეთეს მღვდელმასაურება და ხარკოვის ეპარქიის ერთ-ერთ მონასტერში გადასახლება მიუსაჯეს. ანაფორა კი გაიხადა, მაგრამ 1908 წლამდე არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში და თავს ლიტერატურული შრომით ირჩენდა. ამას გარდა ის ფარულად ფაბრიკაშიც მუშად მუშაობდა. სწორედ მას შეხვდა ნევინსონი საქართველოში ყოფნისას და მიიღო ვრცელი ინფორმაცია ავტოკეფალისტების პროგრამის შესახებ, ასევე დასავლეთ საქართველოში მთავრობის მიერ ჩატარებულ „ეკზეკუციებზე“ 1905 წელს.

1908 წელს ნავიდა ემიგრაციაში სტამბოლში. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში გელათის, შემდეგ კი მონამეთას მონასტრის არქიმანდრიტად. გარდაიცვალა 1923 წელს. წმდრ. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ. 1983].

2. ქუთაისის ეპისკოპოსი იყო ლეონიდე (ოქროპირიძე). იხ. (შესავლის მაგიერ), კომენტარი 3.

10. სარტყელის ახლადას რამდენიმე ფრთხი კავკასიის ხელისუფლების მიმდევნობა. 2. ფართო და მაღალ 3. ქართველი უნიტარი

3. ვილჰელმ I დამპყრობელი (1027-87) ნორმანდიის ჰერცოგი 1035 წლიდან. ინგლისის მეფე 1066-87 წლებში. 1066 წლს დაიპყრო ინგლისის ნორმანდიელი და ფრანგი რანდების ჯარებით.

4. იუსტინიან I დიდი (482-565). ბიზანტიის იმპერატორი 527-65 წლებში. ხმელთაშუა ზღვის აუზი მთლიანად პიზანტიას დაუკემდებარა. ეპრძოდა ირანს ძირითადად ამიერკავკასიაში - ეგრისში დებარა. მის დროს აიგო წმ სოფიოს ტაძარი კონსტანტიონიპოლიში.

5. მერსიელი ოფა ერთერთი ანგლო-საქსონური სამეფოს - მერსიის მეფე 757-796 წლებში. მის დროს მერსიე გაფართოვდა ანგლო-საქსების სხვა სამეფოთა ხარჯზე. დაამყარა კავშირი კარლოს დიდთან და რომის პაპთა.

6. რიჩარდ ლომგული (1157-1199) 1189 წლიდან ინგლისის მეფე მონანილეობდა III ჯვაროსნულ ლაშქრობაში 1189-92 წლებში.

7. უორდროპი ჯონ ოლივერ (1864-1948). ინგლისელი დიპლომატი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე. ქართული ისტორიისა კოპულარიზაციონი. ბევრი იმოგზაურა საქართველოში. მას ეკუთვნის ნარკვევი „საქართველოს სამეფო: ქადაგის, ღვინის და სიმღერის ქვეყანა“ (1888). ოლივერის უზარმაზარი კოლექცია დაცულია ოქსფორდში ბოდლიონთეკაში. კუორდროპს ხელთ ჰერნია ჩახრუხაძის „თამარიანი“. მის კოლექციაში დაცულია პლატონ იოსელიანის მიერ 1838 და ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1882 წელს გამოცემული „თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა“, თქმული ლექსიად ჩახრუხას-ძისგან. ეს ციტატიც თარგმანია „თამარიანიდან“ შემდეგი სტროფის: „თამარ წყნარი, შესანინარი, ჩმა ნარნარი, პირმცინარი, მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქარი, მომდინარი...“

8. აქ იგულისხმება ნიკოლოზ ნამორაძის გადაყენება. იხ. კომენტარი 1.

9. მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი (ზოგ დოკუმენტში ალექსანდრე მიხეილის ძე) 1846-1907 დაიბადა დალესტნის სოფ. ხენძაში ავარიელი ოფიცირის ოჯახში. ბავშვობაში მძევლად ჰყავდა შამილს. გამოსყიდვის შემდეგ გაამნესეს ტფილისის მეორე სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1862 წელს შევიდა სამხედრო სასწავლებელში. 1871 წლიდან როტმისტრის ჩინით მსახურობდა დალესტნის ოლქის სამხედრო მეთაურის ლ. ი. მელიქვაზის ადიუტანტად. 1875 წელს ოფიცირთან ჩახრუბების გამო ჩამოაქვეთეს რიგითამდე და ჩამოარცერთან მეთაურის ფრონტზე. 1883 წელს კავკასიის მეფისნაცვლის და მოეთაბირა სასაზღვრო საკითხებზე შემდეგ წელს უკვე მოხდა მერვის ოზისის შემოერთება რუსეთის კავკასიის ფრონტზე. 1883 წელს კავკასიის მეფისნაცვლის დავალებით შეხვდა სპარსეთის შაპს და მოეთაბირა სასაზღვრო საკითხებზე შემდეგ წელს უკვე მოხდა მერვის ოზისის შემოერთება რუსეთის კავკასიის ფრონტზე.

თის იმპერიასთან, ხოლო ალიხანოვ-ავარსკი მერვის პირველ გუბერნატორად დაინიშნა. მას ალუდეინეს მაიორის ჩინი და დაუბრუნეს ორდენები. 1885 წელს ებრძევის ავღანელებს, 1900 წელს კი მონაწილეობს ჩინეთის სამხედრო ექსპედიციაში, რომლის დასრულების შემდეგ მიენიჭა გენერალ-მაიორობა. 1905 წლის დეკემბერში დაინიშნა ტფილისის დროებით გუბერნატორად, 1906 წლის იანვრიდან კი – ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორად. რაც მან დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში ჩაიდინა, ნევინსონის სტატიის მთავარი თემაცაა. ალიხანოვ-ავარსკი მოკლეს დაშნაკებმა 1907 წელს 3 ივლისს აღექსანდროპოლში.

იგი არის ბევრი სტატიის, რეპორტაჟის და ილუსტრაციის ავტორი პერიოდიკაში. მაგ., მას ეკუთვნის: „მერვის ოაზისი და მისკენ მიმავალი გზა“, სპ. 1893; „სტუმრად შაპთან. ნარკვევი სპარსეთზე“, ტფილისი, 1898 და ა.შ. მის შესახებ არსებობს მონოგრაფია – რ.ნ.ივანოვი, „გენერალი მაქსუდ ალიხანოვი: ტრიუმფი და ტრაგედია“, მაპაჩალა, 2003.)

10. ხელშეკრულებაში იგულისხმება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი.

11. მიუდიზი, ესაა ლონდონის ბიბლიოთეკა, რომელიც წიგნებს სახლში ატანს მკითხველს.

12. ლუიჯი ვილლარი, გ. ნევინსონის მეგობარი; ავტორი წიგნისა „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში. იხ. შესავალი გვ. 422 და თარგმანი გვ. 433.

13. ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე (1828-1910), დიდი რუსი მწერალი. 1851-54 წლებში იმყოფებოდა კავკასიაში, 1951-52 წელს იყო თბილისში. 1900-იანი წლების რევოლუციის გავლენით რეაქციის წლებში გაიდაშექა სისხლიანი ტერორის ნინააღმდეგ. წერილში ილია ნაკაშიძისადმი ის ეხება 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას გურიაში (ისევე, როგორც წერილში ლუიჯი ვილლარისადმი). [ილია შეტრეს ძე ნაკაშიძე (1866-1923) იყო მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. 1897 წლიდან ჰქონდა მინერ-მონერა ლ. ტოლსტოისთან].

14. დანტე ალიგიერი (1265-1321) იტალიელი პოეტი; ავტორი „ლვთაებრივი კომედიის“, რომლის ერთი ნაწილი – „ჯოჯონეთი“ თარგმნეს კ. გამსახურდიამ და კ. ჭიჭიაძემ. ჯოჯონეთში დანტე ხედავს ბოროტების ყოველგვარ გამოვლინებას და სასჯელს მათ გამო. ლუციფიცერი იგივე სატანაა.

15. მანიუესტი გამოიცა 1905 წლის 17 ოქტომბერს.

16. ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ ივანეს ძე (1837-1915), გრაფი, გენერალ-ლეიტენანტი; კავკასიის მეფისნაცვალი 1905-15 წლებში.

17. ეს ქალბატონია ნენი დრაიპორსტი. იხ. შესავალი, გვ. 425.

18. სტატიას ახლავს რამოდენიმე ფოტო: 1. გელათის სამონასტრო კომპლექსი, 2. ქართველი დიდებული, 3. ქართველი ეპისკოპოსი(გაბრიელი – გ.გ.), 4. განადგურებული სახლი 5. ორი ცხენოსანი პატრული გზაზე.

Gia Gelashvili

Doctor of History, head scientist researcher of modern and contemporary history department of the Ivane Javakhishvili institute of History and Ethnology.

ENGLISH JOURNALIST HENRY W. NEVINSON ABOUT GEORGIA (1906)

Summary

In the following article there is given the Georgian translation and comments to the H.W.Nevinson's reporting 'The Burden of the Caucasus' from Harper's monthly Magazine.

Nevinson was in Georgia in 1906. He traveled in Kakheti and Guria. He tells about revolutionary movement in Guria in 1905-06; describes the state of this province before and after the recent devastation by Russian troops.

Nevinson tells about position of the Georgian Church and the objects of its party of reform.

Nevinson characterized the Georgian people, speaks well of them.